მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეორე

№ VII

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 августа 1895 г.

ივლისი, 1895

ტფილისი

სტამბა წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა * ТИП. ГРУЗ. ИЗД. Т-ВА. Л.-МЕЛ. № 13

1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 августа 1895 г.

შინაარსი

გვ.

I ვინ გავამტყუნოთ?—დაუმთავრებელი მოთხრობა ა. ყაზაბეგისა 1

II ცეცხლითა და მახვილითა.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ე—ძისა (გაგრძელება). . . 78

III სიმღერა.—ლექსი შ. მდგომელისა 125

IV განთიადი.—მოთხრობა ეჟისა, თარგმანი თ. სახოკიასი (გაგრძელება) 127

V რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება.—IV.—ნადების მოგროვება და მოხდა.—პროფესორის გ. პეტრაშევილისა (გაგრძელება). 1

VI მთიულეთი 1804 წელსა.—V—ისტორიული ამბავი ალ. ფრონელისა (გაგრძელება) 29

VII მესამე სქესი.—გულიელმო ფერეროსი, თარგმანი კ. ბ—ძისა 56

VIII ქართველთა მეფეთა ტიტული, კურთხევა და რეგალიები.—ს. ხახანაშვილისა 75

IX პროვინციის ცხოვრება.—კახეთი.—კახურისა და ქიზიყურ ვენახების ავადმყოფობა და იქაურივე წლევანდელი ჰიაობა. ვაჩრაძისაგან 89

X განცხადებანი.

დამატება:

XI საქართველოს სიძველენი. . . . . 48—64

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ გავამტყუნოთ?

დაუმთავრებელი მოთხრობა

ს. ყაზიბეგისა

I

ლამაზმა და ცქრიალა მარიამმაც გიმნაზია შეასრულა და, როგორც მომეტებული ნაწილი გიმნაზიის ახალგაზდა ქალებისა, ფიქრობდა უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა თავისი განვითარება.

— წავალ, ვისწავლი, კარგად მოვემზადები და დავუწყებ ბავშვებს სწავლებას! — არა ერთხელ ამბობდა მარი ყმაწვილურის გულწრფელობით და დარწმუნებული იყო, რომ ეს წადილი ადვილად შეუსრულდებოდა და მიზანს უეჭველად მიაღწევდა. რასაკვირველია, ის არც თავის საშუალებას უყურებდა, არც იმ გაჭირვებას და განსაცდელს, რომელიც ჩვენს დროში ყმაწვილ ქალს ჩრდილსავით უკანა სდევს და მაცდურად იზიდავს თავისკენ.

430

ყმაწვილობა — ოცნების დროა, ის დრო, როდესაც კაცს ყველაფერზე რწმუნება აქვს, ყველას გულწრფელად ენდობა, სჯერა თავისი ძალ-ღონე, სჯერა ყველას სიტყვების უმანკოება; მარიც საქმეს ასე უყურებდა და ფიქრობდა, რომ კეთილ საქმეზედ დამდგარს ყველა ძმურს ხელს გაუშვერს, ყველა სიხარულით შეეწევა, ყველა გზას უჩვენებს.

საქართველოს პარლამენტის

მარიც ყმაწვილი იყო, მასაც არ ასცდა გულ-წრფელი გატაცება და ოცნებით შეპყროზილს აღარ უნდოდა გამოსულიყო სასიამოვნო ფიქრებიდან.

მართალია, დედ-მამა ეწინააღმდეგებოდა, საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ გიმნაზიის ყმაწვილი მასწავლებელი ისე გულმხურვალედ ამტკიცებდა: „ვისაც თავი აქვს და მუშაობის სურვილი, ყველაფერი ადვილიაო“, რომ ყმაწვილი ქალი სრულიად დარწმუნდა საოცნებო წადილი გაუმართლდებოდა.

მარის დედ-მამა, ძველებური, გაუნათლებელი ხალხი, მუდამ სოფელში სცხოვრობდა და ნეტარებით მოელოდა იმ დროს, როდესაც მათი მარტოდ ერთად-ერთი ნუგეში ქალი სწავლას გაათავებდა, დაბრუნდებოდა შინ და ქორწინებით გაახარებდა მოხუცებულების გულს.

როდესაც მარი უკანასკნელს კლასში იყო და ეძლეოდა თავის ფიქრებს, მისი დედ-მამაც არა რჩებოდა უოცნებოდ; გრძელსა და მოსაწყენს ზამთრის ღამეებში, როდესაც ბუხარი ტკბილად გუგუნებდა, ისინი სიამოვნებით უცქეროდნენ მხიარულს ალს, თავის ქალზედ ჰფიქრობდნენ და თითებზედ ანგარიშობდნენ—ვინ იქნებოდა მათი ქალის საკადრის საქმროდ. ამ დროს ბევრჯელ ცოლქმარს შუა დიდი ბაასი ასტყდებოდა, რადგანაც ან ცოლის დასახელებული ქმარს არ მოეწონებოდა, ან ქრმისა—ცოლსა.

მაგრამ ტკბილი, ერთმანეთის მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ამგვარს ბაასს უფრო დროს-გასატარებლად ასტეხდნენ ხოლმე, ვიდრე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და ყოველთვის მშვიდობიანის ალერსით გაათავებდნენ ხოლმე.

იმათ უყვარდათ ერთმანეთი, ერთად გატარებულმა ორმოცმა წელიწადმა შეაჩვია, შეათვისა ერთმანეთს, თუმცა თავიანთ ცხოვრებაში ბევრი უბედურება ენახათ, ბევრჯელ მწარის მწუხარებით გული ასდუღებოდათ, შვიდი შვილი დაემარხათ, მაგრამ ღვთის მლოცველები, მარის შერჩენით მაინც თავის თავს ბედნიერად სთვლიდნენ.

გათავდა ეგზამენები, გათავდა სწავლა, ყველანი დაითხოვეს და მოხუც დედ-მამასაც მოუვიდათ სასიხარულო წიგნი: მარი ატყობინებდა, რომ მან სწავლა ვაათავა და მიიღო ატესტატი. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მოსვლაზედ არას იწერებოდა და თითქმის სტრიქონ გამოშვებით თავის მასწავლებელი ვალერის სახელს ახსენებდა.

— ვინ არის ეს ვალერი? რა კაცია?.. ასე ხშირად ჩვენი ქალი იმის სახელს რად ახსენებს?—მოხუცებს ებადებოდათ ფიქრი და წარმოუთქმელის წადილით უნდოდათ, რომ ჩქარა მოსულიყო მათი შვილი, ჩქარა დაეკოცნათ და ჩქარა მიეღოთ პასუხი იმ კითხვაზედ, რომელიც მზრუნველი მშობლის გულში იბადებოდა.

მაგრამ იმათი წადილი, იმათი სურვილი რჩებოდა ამაოდ, დღე მისდევდა დღეს, კვირა—კვირას და მარი კი არსადა სჩანდა.

II

დედ-მამა ამ მოლოდინში იყო, მაგრამ მარი ჯერ ისევ ქალაქში სცხოვრობდა და რაღასაც გვიანობდა.

ეგზამენები გაათავა თუ არა, მაშინვე გახარებული გაიქცა ვალერისთან და მისვლის უმალ შესძახა:

— გავათავე, დავიჭირე!

ვალერი მხიარულად კარებში მოეგება და შეპატიჟებასთან ერთად უთხრა:

— ჭეშმარიტად ბედნიერები არიან თქვენი მშობლები, რომ გამოუთქმელს მშვენიერებასთან სწავლითაც აგრე განვითარდით.

ქალი გაწითლდა სილამაზის ხსენებაზედ, მაგრამ მაშინ ის ისე ბედნიერი იყო, ისე, რომ ყმაწვილი მასწავლებლის სიტყვებმა წარმოუთქმელის სიტკბოებით დაუბრინეს გულში.

ვალერი და მარი შევიდნენ მოწყობილ, პატარა სასტუმროში, სადაც ქალი ჩამოჯდა დივანზედ და ვალერიმ კი მხიარულად უთხრა:

— თქვენ გიმნაზია შეასრულეთ და ეგ ისე სასიხარულოა ჩემთვის, რომ მსურს თქვენთან ერთად მივეგებო ახალ ცხოვრებას.

— ჩემთვის ნუ სწუხდებით!—დაფაცურდა მარი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ!—ისევ დასვა მასწავლებელმა მარი:—კელბერი აქვეა, თითო სტაქანი შოკოლადი დავლიოთ.

— შოკოლადს არა ვსვამ.—სცადა წინააღმდეგობა ქალმა.

— არა სვამთ?!. რა მიზეზია? იქნება მეკრძალებით?... აი, აი, აი!—გაიქნია თავი:—განა ეგ იმედი მქონდა?

— კი არ გეკრძალებით, მაგრამ...—აღარ გაათავა მარიმ.

— მაგრამ-რა?—ღიმილით იკითხა ოსტატმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუჭირა ხელები და თვალებში შეხედვით უთხრა:—ხომ მეგობრადა მთვლით?

ქალი კიდევ გაწითლდა, დაიბნა და წყნარად უპასუხა:

— დიაღ.

— მაშ თუ აგრეა, რას მერიდებით, რად მექცევით, როგორც უცხოს?... კარგია, დაჯექით, ეხლავე მოგვიტანენ. ამ სიტყვებთან ერთად დარეკა ზარი და უბძანა შემოსულს ბიჭს ორი სტაქანი შოკოლადი, პიროჟნები და კანფეტი მოეტანა. მერე ისევ ქალს მიუბრუნდა და ტკბილის ხმით უთხრა:

— მაშ ეგრე... ვიყვნეთ სიკვდილამდინ მეგობრები... თანახმა ხართ?

ქალს რაღაცა მოსდიოდა, თავბრუ ეხვეოდა; მთლად გახურებული რაღაცა უცნაურს, აქამდინ უცნობს გრძნობას შეეპყრო და მთლად ცახცახებდა. დღემდინ იმას არ გაეგონა ამ გვარი ლაპარაკი და დღეს პირველად ესმოდა. მერე ვისგან?... იმ მასწავლებლისგან, რომელსაც მთელი გიმნაზიის ქალები აღმერთებდნენ და თავის იდეალად ხადიდნენ!

მეგობრობა!.. ამისთანა მოწინავე, განათლებულს, ჭკუითა და პატიოსნებით სავსე კაცთან!? მართლადაც, რომ საბედნიერო იყო მარისთვის,

— თანახმა ხართ? გაუმეორა კითხვა კიდევ უფრო მიმზიდავის, უფრო ტკბილის ხმით მასწავლებელმა.

— თანახმა ვარ. გაუშვირა მარიმ ხელი, რომელიც ვალერიმ სიამოვნებით ჩამოართვა.

— ახლა მოიხადეთ შლიაპა, გაიხადეთ ხელთათმანები და ნუღარ დაგავიწყდებათ, რომ მეგობართანა ხართ.

ამ სიტყვებთან ერთად ვალერიმ ხელთათმანების ღილები გაუხსნა, შლიაპა მოხადა, შესცქეროდა თვალებში და მხიარულად ელაპარაკებოდა. მარი ჰგრძნობდა რაღაცა უხერხულობას, მაგრამ წინააღმდეგობა ვეღარ მოეხერხებინა, რადგანაც ცხოვრებაში გამოუცდელს ეშინოდა თავის გამოუცდელობა არ შეემჩნევინებინა, ან უსაბედო ქცევით მეგობრისთვის არ ეწყენინებინა.

გაიღო კარები და ბიჭმა შემოიტანა შოკოლადი ბისკვიტებით და სხვა-და-სხვა გვარი ტკბილეულობით.

მეგობრები სტოლს შემოუსხდნენ და წყნარად შეექცეოდნენ. მარი გათამამდა, რადგანაც იფიქრა, რომ თუ ვალერი ასე იქცევა, უეჭველია თვითონაც იმას უნდა მიჰბაძოს, რადგანაც ვალერი არის განათლებული, ზრდილი, გონიერი და უწესოებას არ ჩაიდენს. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ მარი მოვიდა მასთან სარჩევლად, იმას უნდოდა ეკითხა თავის გამგზავრებაზედ რუსეთში, სწავლის გაგრძელებაზედ; ეს სურვილი ვალერისათვის გაკვრით ნათქვამიცა ჰქონდა, მაგრამ დღეს ენა ებმოდა და ვერ გაებედა. რამდენჯერმე ქალმა პირი გააღო, უნდოდა მოსვლის მიზეზი მასწავლებლისთვის ეთქვა, მაგრამ რა წამს შეხედავდა, რა წამს ლაპარაკის დაწყებას დააპირებდა, ენა დაებმებოდა ხოლმე და სიტყვა უწყდებოდა.

ბოლოს მარიმ მოიკრიფა ღონე, დაატანა თავს ძალა და თვალების დახრით წარმოსთქვა:

— თქვენთან სარჩევლად მოველ და...

— უეჭველია პეტერბურგში წასვლაზედ უნდა მკითხოთ რჩევა?—გააწყვეტინა ვალერიმ.

— დიაღ.

— მე ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავ,—წამოიძახა იმან და დაუმატა:—ეხლა ისეთი დრო არის, რომ მოსწავლე ქალების ცხრა მეათედი ნაწილი სწავლისკენ მიილტვის... რატომ, რატომ?... ეგ კარგი ნიშანია...

ვალერის სიტყვები ქალს ესიამოვნა, რადგანაც მასწავლებელმა ოცნებად არ ჩასთვალა მისი აზრი.

— დიაღ, მაგრამ დედ-მამა ვერ დამიყაბულებია და...

— ჰმ!...—ჩაფიქრდა ყმაწვილი კაცი და პატარა ულვაშების გრეხა დაიწყო.—ეგ კარგი არ არის... ცხოვრება გინდათ, ხარჯი დაგჭირდებათ... სხვა საშუალება ხომ არა გაქვთ-რა?

— არა.

— უნდა ეცადოთ როგორმე დააყაბულოთ.

— როგორ ვეცადო, რა ვქნა?... მეზობლები ისეთი არავინა გვყავს, რომ ჩააგონონ, და ნათესაობას კი იმათი მხარე უჭირავთ.

— უეჭველია, ჩაგცივებიან გათხოვდიო? იმათი აზრი ხომ მაგაზედ შორს არ მიდის!...

— დიაღ, მართალსა ბრძანებთ... მაგრამ სანამ სწავლას არ შევასრულებ, სანამ საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრი არ შევიქნები, გადაწყვეტილი მაქვს სხვაზედ არაფერზედ ვიფიქრო.

— ჩემთვის სასიხარულო და თავმოსაწონია მაგ სიტყვების გაგონება... თქვენს სწავლაში და ხასიათის სიმტკიცეში მეც ხომ რაოდენიმე წილი მიძევს.

— გაძლევთ სიტყვას, რომ დიდი წილი გიდევსთ!—წამოიძახა მარიმ გატაცებით და დაუმატა:—ყოველი თქვენი სიტყვა სამუდამოდ გულში ჩამენერგა!

ვალერის ესიამოვნა ეს სიტყვები და რაოდენსამე ხანს ჩუმად იყო.

— მაშ დედ-მამა არას გაძლევთ?—სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ვალერიმ.

— კიდეც ეგ არის უბედურება, რომ არას მაძლევენ.

— აქვთ რამე შემოსავალი?

— დიაღ, სამას თუმნამდინ წელიწადში. ასე ამბობს ხოლმე მამა-ჩემი, — დაუმატა ქალმა.

— სამასი თუმანი კარგია!... ყოველთვის შეუძლიანთ სამოცი თუმანი თქვენთვის გადადონ... სოფელში მაგოდენა ფული რად უნდათ?

— შინ რომ დავრჩე, განა წელიწადში სამოც თუმანზედ ნაკლები მომინდება? განა არ იცით, გასათხოვარს ქალს რამდენი ხარჯი უნდა?

— სამოცი თუმანი რას გეყოფათ?

— იქ კი ოც და ათს თუმანსაც დავჯერდებოდი.

— ეგ ცოტაა, ყოველთვის გაჭირვებაში იქნებოდით.

— ცხოვრება ხომ შემეძლებოდა?

— რასაკვირველია, მაგრამ რა ცხოვრება იქნებოდა?

— როგორიც უნდა ყოფილიყო, ოღონდ შიმშილით არ მომკვდარვიყავ! — წამოიძახა გატაცებით მარიმ.

ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზედ, თუ მოხუცებულები როგორ დაერწმუნებინათ და დაეყაბულებინათ, რომ საჭირო ფული მიეცათ ქალისთვის და გზაში არ გადაჰლობოდნენ თავიანთ ქალის პატიოსანს სურვილს.

ვალერიმ ურჩია და, რასაკვირველია, მარიმაც ცოტაოდენის მღელვარების შემდეგ მიიღო, რომ ქალი შინ არ წასულიყო, რადგანაც მისი ძალდატანებით გათხოვება შეეძლოთ და თუ ამას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ რაოდენსამე ხანს სრულიად აღარსად გაუშვებდნენ და დროს უბრალოდ დააკარგვინებდნენ.

— როგორ შეუძლიანთ ჩემი დაჭერა? ფეხშიშველი გამოვიქცევი, — იწყინა და ითაკილა მარიმ.

— თქვენ თვითონ ამბობთ, რომ მამა-თქვენი ჯიუტი კაცია და მაგგვარ ხალხისაგან კი ყოველგვარი ძალდატანება მოსალოდნელია.

იმათ გადასწყვიტეს, რომ წერილებით ემოქმედათ და მარი ხელში არ ჩავარდნოდა.

ამით გათავდა ეს დღე და ისინი განშორდნენ, მარი აღტაცებული ამისთანა მეგობრის შოვნით და ვალერი კი რაღაზედაც დაფიქრებული. ქალი მიეშურებოდა, რადგანაც სადილობა მოახლოვებული იყო და ის სახლობა, რომელთანაც იდგა, ლოდინს დაუწყებდა.

III

ვალერი ჩხიკარიძე შუათანა შეძლების კაცი იყო, მამა დიდი ხანია მოჰკვდომოდა და მოხუცს დედას კი თავი არ გამოეყო გარედ, რადგანაც თავადობას დაობდნენ, თავის საზოგადოებას დაშორებოდა და სხვა საზოგადოებას კი ვერ მიჰკედლებოდა. მაგრამ საცხოვრებელი მაინც იმდენი ჰქონდათ, რომ შვილს უნივერსიტეტში კურსი გაეთავებინა და დედას შინ, თუმცა ღარიბულად, ცხოვრება შესძლებოდა.

ვალერი, ამხანაგების გასაოცებლად, დიდს მნიშვნელობას აძლევდა თავადიშვილობას და ბავშვობიდანვე ამაყობდა ამ ხარისხით. როდესაც რუსეთში ჯერ კიდევ სტუდენტი იყო და ვისთანმე ნაცნობთან მივიდოდა და შინ არ დაუხვდებოდა, პირველი სიტყვები იყო ხოლმე:

— მოახსენე, კნიაზ ვალერი ბრძანდებოდა-თქო. ან არა-და გადასცემდა საკუთრივ ამ შემთხვევისათვის მომზადებულს „კარტოჩკას“, რომელზედაც ფრანგულად ეწერა: „ვალერ ჩხიკარიძე, თავადი ჩხიკარიისა“.

ამისთვის ყურადღება იქნება არაეის მიექცია, მაგრამ ვალერი ჯერ არ იყო გათავადებული და ამ წოდებას მხოლოდ დაობდა. ამისთვის, რასაკვირველია, ამხანაგობა იგდებდა მასხარად და გულით შორდებოდა. ყმაწვილი კაცი ამ შემთხვევას შურს აწერდა და ამბობდა: „რაც უნდა თქვან, თავადობა მაინც ამშვენიერებს გვარს! და მე კი მივიღებ თავადობას“. ასე იზრდებოდა ვალერი, რომელსაც მარჯვე ლაპარაკი, ლაზათიანი შეხედულობა და თავადობის ტიტული ყველა რუსის ნაცნობების სახლის კარებს უღებდა. ვალერი იქ დანავარდობ-

და, ოხუნჯობდა და სხვა-და-სხვა ხნოვანი ქალების გმირად შეიქმნა.

ამ მხრით რუსეთი მდიდარი საასპარეზოა და ამან კი ყმაწვილი კავკასიელი, მხურვალე ტემპერამენტით, შეაჩვია ქალებისათვის სრულიად სხვა თვალით ეყურებინა, სანამ მის ამხანაგებს. ისა ჰფიქრობდა, რომ ქალი მისდა სასიამოვნოდ არის გაჩენილი და სვინდისის წინააღმდეგ არ მოქმედებს, ვინც სარგებლობს ამ სიამოვნებითო!

— რაც უნდა დაწეროთ, რაც უნდა სთქვან,—ამბობდა ვალერი,—თუ ქალსა და კაცს ერთმანეთი მოსწონთ, ერთმანეთით რატომ არ უნდა იხაროთ, რატომ არ უნდა დასტკბნენ?

ამ აზრებში იყო ვალერი გართული, ასე შეასრულა კურსი და მის შესრულებასთან ერთად მას მოუვიდა სასიამოვნო ამბავი, რომ მის გვარს თავადობა დაუმტკიცდა.

მის სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა და მეტის გაბედულობით ლაპარაკში უფრო ხშირ-ხშირად ჩაურთოდა ხოლმე: „ჩემი გლეხები, ჩემი ყმები, ჩემი მოსამსახურეები“ და სხვა, თუმცა რიცხვით სულ ხუთი კომლი ყმა ჰყვანდა! ისე ჰბერავდა და აზეიადებდა თავის მდგომარეობას, რომ კაცი იფიქრებდა: „უეჭველია, აუარებელი რიცხვი ყმა უნდა ჰყვანდეს და თვალგადუწვდენელი მამული უნდა ჰქონდესო!“

მაგრამ ვალერი მეცხრამეტე საუკუნის შვილი იყო, ის ისე ვერ დარჩებოდა, რომ იმ დროს წყობილებას თავადზედაც მოქმედება არ ჰქონოდა და რაოდენადმე ლიბერალი, რასაკვირველია სიტყვით და არა საქმით, არ ყოფილიყო. ამისთვის ვალერი დაუმატებდა ხოლმე: „ჩემს ყმებს ესა და ეს ადგილი ვაჩუქო, ესა და ეს ღალა ვაპატიებო, ესა და ეს საქმე გავურიგეო“ და სხვა. მაგრამ ეს ყველა ისე იყო ნათქვამი, რომ თავის ღირსება არ დაემცირებინა. ვალერი გამოემართა საქართველოში და ჩამოსვლის უმალ რომელსაღაც გიმნაზიაში მასწავლებლის ადგილი მიიღო. აქაც კიდევ ახალი ნიჭი აღმოჩინა და თავისთვის სასარგებლო ქებას თავის უფროსებს ასხამდა და სხვებთან კი განუსაზღვრელად ამაყობდა.

ერთის სიტყვით, ყმაწვილ კაცს კარგად შეესწავლა ამ სოფლის შესაფერი და ცხოვრებაში გამოსაყენებელი საქციელი. ბევრმა ხანმა არ გაიარა, რომ ვალერი ტფილისში გადმოიყვანეს და შეიქნა თითით საჩვენებელ გმირად. ყველა საუკეთესო ოჯახების კარებები გაიღო მისთვის და ყველგან სასაიამოვნო და დამამშვენებელ თაიგულად შეიქნა. ყმაწვილი მასწავლებელი ყველას იქამდის ბედნიერად მიაჩნდა, რომ უმეტესობა თავის შვილების ამ ყოფაში ნახვას ნატრობდა. ამ საერთო სიტკბოებას ვალერის ხანდისხან ის ხალხი უმწარებდა ხოლმე, რომელთაც „ძონძებიანს“ უწოდებდა; ესენი სადაც კი შეხვდებოდნენ იმ ბედნიერს, ღიმილით შეხედავდნენ და ღიმილით გაადევნებდნენ თვალს. მაგრამ ისინი რა ანგარიშში ჩასათვლელნი იყვნენ. ვალერის ფიქრით, დაძონძილს ტანისამოსში მყოფნი შურით უყურებდნენ მის გაკრიალებულს წაღებს და ინგლისის მაუდისაგან გამოწყობილს ტანსაცმელს. ყმაწვილი კაცი მედიდურად გადახედავდა ხოლმე უკმაყოფილოებს, თითქოს იმის თქმა უნდოდა: „დეე იტანჯნენო“.

IV

ვალერიმ ქალების გიმნაზიაშიაც მიიღო გაკვეთილები და პირველსავე დღიდან მათი გმირი შეიქნა. ის ისე ტკბილად, გატაცებით ლაპარაკობდა ხოლმე, იმოდენი გრძნობა გამოითქმოდა ყოველ მის მოძრაობაში, ლაპარაკში, თვალები ისეთის ცეცხლით უელვარებდა, რომ ყველა კაცი აღტაცებაში უნდა მოსულიყო. ამ დღეს გიმნაზიის მოსწავლე ქალების ყველა ჯგუფი მხოლოდ ვალერიზედ ლაპარაკობდა, ყველა იმის სახელს გატაცებით ახსენებდა.

ვალერის გიმნაზიაში პირველსავე შესვლის დღეს მარი შეხვდა და გამოცდილმა თვალმა მაშინვე გაარჩია სხვებში ქალის სილამაზე და მოხდენილობა. ვალერიმ გადაიგრიხა პატარა ულვაშები და ისე გაიღიმა, რომ ქალს აგრძნობინა, ლამაზი იყო და მის სიკეკლუცეს ყმაწვილი კაცის გული აეფართხალე-

ბინა. ქალი გაწითლდა და თავი დახარა; ყმაწვილი კაცი არ შეკრთა ქალის აღშფოთებით და რამდენიმე კითხვა მისცა, რამდენჯერმე იძულებული გახდა თავისკენ მიეხედვინებინა და თავგასულის ყურებით უმეტესად აელელვებინა ნორჩი მოწაფე.

ამ დღიდან დაიწყო იმათი გაცნობა და მარის ისე არ შეხვედრია, რომ შეუმჩნევლად დაეგდო, კითხვა არ მიეცა, არ შეხუმრებოდა.

ტკბილად ესაუბრებოდა გამოუცდელს ქალსა ვალერი, ტკბილს ნექტრად ეწვეთებოდა ამხანაგებისგან მასწავლებლის ქება და წყნარ-წყნარად მორჩილ აკვნად ღხდებოდა ვალერის მარის გული.

დრო მიდიოდა, მოწაფე თან და თან ემორჩილებოდა ტკბილ გრძნობას, თან და თან ეძლეოდა ტკბილს ოცნებას.

თუმცა ეს ყველა ასე იყო და მარის გული იმ ბულბულს დამსგავსებოდა, რომელიც ანგარიშ-მიუცემლად ვარდისგან ნეტარებას მოელოდა, მაგრამ მოწაფის და მასწავლებლის ლაპარაკი თავის დღეში საზღვარს არ გადასცილებია; ვალერის ყოველთვის ახსოვდა, რომ მოწაფესთანა ჰქონდა საქე და თავს მხოლოდ ყმაწვილურის ცელქობის ნებას აძლევდა.

ვალერი ამ ხანში ერთხელ არ დაფიქრებულა რა მოსდის, რასა შვრება, ან სადამდინ უნდა მიეღწია მათს ცელქობას; ის წარმოუთქმელს სიტკბოებას ჰგრძნობდა მარის ხილვით და ამ სიტკბოებას არ ერიდებოდა.

— ოხ, ღმერთო, რა მშვენიერია, რა მდიდარი შეხედულება აქვს!—იძახდა ის განუწყვეტლივ. ცოტა ხანმაც გაიარა და იმათი დამოკიდებულება გამოიცვალა: ვალერიმ აშკარად არშიყობა დაუწყო და მარიც არამც თუ აღარ ერიდებოდა, არამედ თითქოს თვითონვე ეძებდა.

მასწავლებელს არ უნდოდა მარის ტფილისიდან წასვლა, რადგანაც ეშინოდა მადლიერი ქმნილება ხელიდან არ წასვლოდა. ეს კი, იმის აზრით, ძლიერ ადვილი მოსახერხებელი იყო: ამ ქალის დედ-მამა იმის გათხოვებას მოიწადინებდა, ქალს კი

სწავლა უნდოდა. ვალერი ეცდებოდა, რომ ქალმა არ დაუთმოს და კიდეც მოახერხებდა. ასე ფიქრობდა ყმაწვილი კაცი.

გაზაფხული იყო და მთელი ბუნება გადაშლილიყო; ყველაფერი ხარობდა და სიამოვნებას ეძლეოდა; ყოველ მცენარეს დიდის ხნის ძილის შემდეგ გამოეღვიძა და გადაშლილს ყვავილებს, კოხტად თავ-მოხრილებს, თითქოს ის-ის იყო თვალები გაეხილათ, რომ ქვეყნის მშვენიერებით დამტკბარიყვნენ. ყოველი ცხოველი რაღაცა მოუსვენრობას ჰგრძნობდა და თავისავე უნებურად, ანგარიშ-მიუცემლად ტოკავდა და საითკენღაც გარბოდა.

ამ საერთო ჰარმონიას ჩამორჩენოდნენ მხოლოდ მოსწავლენი, რომელთა გამოცდა წლიური შრომის შედეგ დაეწყოთ.

იქნებოდა დილის ცხრა საათი, როდესაც ვალერი იმ სასწავლებელში მივიდა, სადაც მარი მიებარებინათ და, რადგანაც ჯერ ყველა მასწავლებელნი არ შეყრილიყვნენ, ეგზამენების დაწყებას ელოდა. აღელვებული ბავშვები წიგნებით ხელში წამ და უწუმ მოუსვენრად ოთახებში შერბოდნენ და გამორბოდნენ.

ვალერი ტალანში დაფიქრებული დადიოდა და თითქო ვილასაც მოელოდა.

ზოგიერთი ბავშვები ცდილობდნენ იმის ყურადღების მიქცევას, მაგრამ მასწავლებელს ჩვეულებრივი მხიარულება დაეკარგა და მისალმებაზედაც კი პასუხს აღარავის აძლევდა.

ერთი ოთახის კარები გაიღო, ვიღაც ყმაწვილი ქალი გამოვიდა, შეხედა ვალერის და გაწითლდა; რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა იმისაკენ, მაგრამ მაშინვე დახარა თავი და კედელზე მიყუდებული გაუნძრევლად დარჩა. აშკარად დაეტყო, რომ მას ვალერისთან მისვლა უნდოდა, მაგრამ ეკრძალებოდა.

მასწავლებელმა გრძელის ტალანის ერთს ბოლოს მიაღწია, როდესაც მეორე ბოლოში, სადაც ყმაწვილი ქალი იდგა, გამოვიდა მეორე ვიღაცა ცელქი, გაურბინა დაფიქრებულს მოწაფეს და უჩქმიტა. ქალმა დაიწივლა და წიგნები ხელიდან დასცვივდა. ახლად გამოსული ქალი ხარხარით გაიქცა და კედელ-

თან მდგარი ქალი კი წიგნებს დაეწოდა. ამ ხმაურობამ ვალერი შეაკრთო და მოახედა. შეხედა თუ არა ქალს, სახე გაუღიმდა, თვალები გაუბრწყინდა და ჩქარის ნაბიჯით ქალისაკენ გასწია. როდესაც უკანასკნელმა წიგნები შეაგროვა და თავი მაღლა აიღო, მთლად აშფოთდა და გაწითლდა. მის წინ გაღიმებული ვალერი იდგა და კოკობს ულვაშებს იგრეხდა.

— ახ, თქვენა ხართ?—დაიწყო ქალმა.

— დიაღ, მარი, მე ვარ... რამ აგაშფოთათ?—უპასუხა ვალერიმ და ეს საკმარისი იყო, რომ მთლად გაწითლებულიყო.

— მე არა... ისე...

— მაშ რადა სწითლდებით?

— მე, მე... დახრილი ვიყავ და უთუოდ სახეში სისხლი მომაწვა.

— რაც უნდა იყოს მიზეზი, მაინც მშვენიერი ხართ!—წამოიძახა ვალერიმ და თვალთაგან ნაპერწკლები გადმოყარა.

— კნიაზო!—სცადა მარიმ გაეჩუმებინა, მაგრამ ვალერი იმგვარ ხალხს არ ეკუთვნოდა.

— მარი, მართალს ვამბობ.—ისეთის გრძნობის მომპარავის ხმით წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა, რომ მოწაფეს სიტკბოების ჟრიალმა გაურბინა სხეულში.

ჩამოვარდა წუთი სიჩუმისა, წუთი ანგარიშ მიუცემელის გულისა. მაგრამ ეს იყო წუთი, რომელსაც ქალისთვის კაცის ზოგიერთი მოვლენა უნდა ეგრძნობინებინა და ვალერისთვის კი—სული ამოექცევინებინა. ამის შემდეგ ისევ კაცმა დაიწყო, მაგრამ კიდევ უფრო ტკბილად, უფრო სანეტაროდ; ხმა უკანკალებდა, თითქო ნაზი ნიავი არხევდა, სდნებოდა ტკბილად, როგორც ყანდის შაქარი და იზნიქებოდა, როგორც სითბოებით გამხვალი წმიდა სანთელი. სიტყვები ჰქონდა მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ნიავსავით ოდნავ ხმიანი, რომელიც ხან-გამოშვებით გაშმაგებულს მდინარესავით გადმოხეთქავდა, გრიგალსავით გაჰქროლავდა.

— გწყინთ, რომ სიმართლეს გეუბნებით?—ჩასჩურჩულებდა ისა.—მაგრამ რა ვქნა, რომ გული სიცრუეს არ უახლოვ-

დება, ენა არ ემორჩილება!? დიაღ, მართალს ვამბობ და თუნდა გამიწყრეთ კიდეც, მაინც არ შემიძლიან არ გითხრათ, რომ ამ წუთში თქვენი სახე ახლად გადაშლილს და დაუჩაგვრელს ვარდს მაგონებს... რისთვის იჭმუხვნით წარბებს, რად მარიდებთ თვალებს, როდესაც მათ, მხოლოდ მათ შეუძლიანთ ედემის ნეტარება მაგრძნობინონ?! იქონიეთ შებრალება!

ქალს ესიამოვნებოდა ეს სიტყვები, რადგანაც საყვარელის კაცისგან ესმოდა, და გამოცდილებას კი ჯერ არ შეეჩვია საშიშს მდგომარეობას მორიდებოდა; სიამოვნებასთან ერთად ჰგრძნობდა რაღაცა სიმწვავეს, რომელიც სისხლს უჩუხჩუხებდა და გულს უფართხალებდა, უნდოდა შემაწუხებელს მაცდუნებას განშორებოდა, მაგრამ მოხიბლულსავით ძალა მიხდილი იდგა, სთვრებოდა და მხოლოდ ცახცახებდა.

ძნელად გადასწყვეტავდით, რითი გათავდებოდა მათი საუბარი, თუ ზარის ხმას ქალი არ შეეკრთო, თავდავიწყებიდან არ გამოეყვანა და გონს არ მოსულიყო. ქალი შეკრთა, გადისვა შუბლზედ ხელი და წამოიძახა:

— რეკენ...

ამ სიტყვებთან გაქცევა დააპირა, მაგრამ ვალერიმ ხელი მოსჭიდა და შეაყენა.

— დეე დარეკონ!—უკმაყოფილოდ წარმოსთქვა იმან და დაუმატა:—იქ კიდევ მივასწრობთ.

— რა გინდათ?

— აქ ვერ გეტყვით, მიშლიან, არ მისვენებენ.

— მა რა ვქნა?

— ჩემთან მოდით.

— თქვენთან?!—გაკვირვებით იკითხა ქალმა.

— რა არის?... მაგრამ როგორ იქნება? ყმაწვილი ქალი... ყმაწვილ კაცთან!... გარყვნილი ხალხი გარყვნილების მეტს რას იფიქრებს?!—წარმოსთქვა იმან მწარედ.—იქნება თქვენც მაგ აზრისა ხართ?

—არა, მაგრამ...

— მაგრამ რაღა? თუ მეგობრად მიგაჩნივართ, თუ რწმუნება გაქვთ ჩემი—მოდით... მოდით, რადგანაც მინდა თქვენს მოსავალზედ მოგელაპარაკოთ და თქვენი მომავალი კი ჩემთვის ყველაზედ ძვირფასია.

ქალი ტოკავდა და გადაწყვეტილი პასუხი ვერ ეთქვა. იმას ნეტარებად მიაჩნდა ეს სიტყვები, რადგანაც მისგან გაღმერთებული ვალერი მის მომავალზედ ლაპარაკს აპირობდა, ზრუნავდა,—მაშასადამე, თავის ყურადღების ღირსადა ხდიდა; მაგრამ წესი, ჩვეულება და ხალხის შეხედულება ბავშობიდანვე ყურში ჰქონდა ჩაწვეთებული და მისი დათრგუნვა ვერ მოეხერხებინა.

— მოხვალთ?—თითქმის სახესთან ტუჩების მიტანით წარმოსთქვა ვალერიმ და ქალმა იგრძნო გახურებული სუნთქვა.

— მოხვალთ?—კიდევ უფრო ნაზად და მაცდურად გაიმეორა ვალერიმ.

— მოხვალთ? ნიავსავით წყნარის ხმით ჩასჩურჩულა იმან ყურში და ეს-ღა კმაროდა, რომ უკანასკნელი კედელიც გადმორღვეულიყო.

— სანამ ეს წაიკითხეთ... პასუხი მომიმზადეთ და მოვალ... მოვალ უთუოდ, რადგანაც გენდობით.

ქალი გაუსხლტა ხელიდან და ოთახში შევიდა, ვალერის გაშლილი ხელები რაოდენსამე ხანს ისე დარჩა; ბოლოს დაკმაყოფილებულის სახით გადაიქნია თავი, მოილოკა ტუჩები და ულვაშების გადაგრეხით წამოიძახა:

— ეგ გოგონა გამაგიჟებს! სწორედ რომ გამაგიჟებს!

ამ დღიდან ვალერი ყოველ წუთს მოელოდა მარის, მაგრამ არსად სჩანდა. უეჭველია ეგზამენის გასათავებლად ემზადებოდა და ამისათვის არსადა სჩანდა,

V

ერთ დღეს ტფილისის საზაფხულო თეატრში რაღაცა წარმოდგენა იყო. დღის სიცხისაგან შეწუხებული ხალხი, სულის ამოსაქცევად, სათეატრო ბაღში მოგროვილიყო.

კასასთან შეჯგუფებულს ხალხს შორის ვალერიც გამოჩნდა; მივიდა კასირთან და ბილეთი აიღო. შევიდა თეატრში, მაგრამ რადგანაც წარმოდგენის დაწყებისთვის ჯერ ადრე იყო, ბაღში გავიდა.

ვალერიმ მოიხედა ერთს მხარეს, საიდანაც ვიღაცა კაცის ხმა მოესმა, რომელიც მას უძახოდა.

— სალამო მშვიდობისა, ნიკიტა კარპიჩ!—თავის დაკვრით უთხრა ვალერიმ.

— ვალერი გიორგიჩ! მარტოკა ხართ?

— როგორცა მხედავთ.

— ისა, ის?—ღიმილით და მკლავის წაკვრით ჰკითხა იმან. —ის ქალი, პა, პა, პა... აი, აი, აი! ვალერი გიორგიჩ!.. არა გცხვენიანთ?

ვალერიმ სიამოვნებით ჩაიღიმა და უთხრა.

— რასა იქ, ნიკიტა კარპიჩ... რასა? ყველანი კაცები ვართ. ყველას დროს-გატარება გვეჭირვება, ცხოვრებაში სიამოვნება გვინდა.

— გვინდა, გვინდა, რასაკვირველია, რომ გვინდა!.. ჰა, ჰა, ჰა!—უშნოდ ჩაიცინა მოსაუბრემ და დაუმატა:—მე ვნახე, შეეამჩნიე...

— ვინა?

— ისა... ვალერი გიორგიჩ, ისა.—ანიშნა თვალით.

— არ მესმის ვიზედა ლაპარაკობთ.

— ახა ღმერთო!... ის... ლამაზი, თეთრ-წითელი, თქვენთან რომ დადის ხოლმე. აუხსნა ნიკიტამ და კიდევ თვალი ჩაუკრა.

ვალერიმ ულვაშებზედ ხელი წყნარად გადაისვა და ღიმილით უპასუხა:

— რა ხუმარა რამა ხართ, ნიკიტა კარპიჩ!

მაგრამ ეს პასუხი იმ კილოთი იყო ნათქვამი, თითქოს უნდა ეთქვა: „სწორედ შეგიმჩნევიათ; ჩემთან თუ არა ლამაზს, მახინჯს რა ხელი აქვსო?“

ისინი გავიდნენ სათეატრო ბუფეტთან; კიდევ რამდენჯერმე გაულიმეს ერთმანეთსა და გაიყარნენ. ვალერი გაბრუნდა და ბუფეტში შევიდა, რადგან ც არყის დალევა უნდოდა. მაგრამ მაშინვე უკან გამოვიდა და ერთს ბნელა ადგილას მიჯდა.

საღამო იყო ჩინებული, თბილი; თუმცა ადგილ-ადგილ ღაჟვარდოვანი ცა ღრუბელს დაეჩითა, მაგრა მთვარეს მშვენიერებას არ ართმევდა. თითქმის უფრო ალაზათიანებდა კიდეც, რადგანაც ფერ-მკრთალი მნათობის ნაზი სხივები ღრუბლის ნაკვეთებს შუა თამაშობდნენ და მიკარებისათანავე სხვა-და-სხვა სიძლიერით უცვლიდნენ ფერსა; ხანდახან მთვარე შიგ ჩაიმალებოდა ხოლმე, ხან ისევ ამოკურდებოდა გაბადრულს ქალსავით, რომელიც ტალღებზედ დანავარდობდა და რომ სხვას თვალი არ მოეკრა ზვირთებს ფარდად იხდიდა. მთვარე ცელქს ბავშვსავით გარბოდა, საითკენღაც მიესწრაფებოდა და თითქოს ხალხს ეძახდა: „გაუმაძღარო დასტკბი, გეყოფა, ახლა სხვაგან მიმელიან, იქაც უნდა მივასწროვო“!

ვალერი შესცქეროდა მოალერსე მთვარეს და ოცნებაში მარი ეხატებოდა.

ვარსკვლავებსაც ფერხული დაებათ; ციმციმებდნენ, კრთებოდნენ და კაცს აგონებდნენ, რომ იქნება კიდევ სხვა ქვეყნები არსებობდნენ, ბევრით უფრო სასიამოვნონი, უფრო მშვენიერნი და კაცის გულის დამყვავებელნი, ვიდრე ჩვენი დედამიწა. ხალხი შეჰბრძოლებოდა ბუნების ძალას, გაჯიბრებულებს თავიანთი მნათობები ამოერჩიათ და მით მბრწყინავ ქვნილებათ დაბნელებას უპირობდნენ.

ვალერის მარი მეტის-მეტად ჩავარდნოდა გულში და რადგანაც შეჩვეული არ იყო, რომ ქალებს ელოდინებინათ, ყმაწვილი ქალის მოუსვლელობა მეტის-მეტად აკაპასებდა.

მარი მოსვლას დაჰპირდა, საქმე გაჩალხული იყო, მაშ რაღად იგვიანებდა? ეს კითხვები ებადებოდა ყმაწვილ კაცსა და საკმაოდ სტანჯავდა მის თავმოყვარეობას.

ვალერი არა სახუმროდ მღელვარებდა, რადგანაც გიმნაზიაში რამდენჯერმე მისულიყო, მაგრამ მარი იქაც ვერ ენახა.

— რად მომატყუა, რატომ არ მოვიდა?—გაურბენდა გუნებაში და გული მოუთმენლობის ნიშნად ძგერას დაუწყობდა.

ყმაწვილი კაცი ამ ფიქრებში იყო, როდესაც იქავ ახლო მდგომ სტოლთან რამდენიმე ქალი მივიდა და წყალი მოითხოვეს.

ვალერი ერთბაშად შეკრთა, ზეზე წამოიჭრა და ულვაშების გრეხით ახლად მოსულებისკენ გასწია, სადაც ორ ამხანაგთან ერთად წყალსა სვამდა მარიცა.

ქალს როგორღაც ფერი ჰკრთომოდა და სახე რაღაცა დუმილს მოეცვა; აშკარად ეტყობოდა, რომ მას არა ერთი ღამე გაეტარებინა უძილოდ და მოსვენება ეჭირვებოდა.

მისი ამხანაგები, როგორც ყმაწვილი ხალხი, იცინოდნენ, მხიარულობდნენ და განუწყვეტლივ რაღაზედაც ლაპარაკობდნენ. მარი, რომელიც აქამდინ ჩუმად იჯდა და მოსაუბრეთ მხოლოდ ყურს უგდებდა, ერთბაშად გაწითლდა, გასწორდა სკამზედ და მღელვარების შესაყენებლად ჩაახველა. იმან ვალერის თვალი მოჰკრა და მთლად აინთო, სისხლი აუდუღდა, მოებჯინა ყელთან და გულმა ძალზედ ძგერა დაუწყო.

— მარი, რამ გაგაწითლა?—ჰკითხა ერთმა ქალმა, რომელიც იქვე იჯდა.

— მე?.. მე არ გავწითლებულვარ.—უპასუხა იმან და უფრო აენთო.

— როგორ არ გაწითლებულხარ... აბა შეხედეთ, ქალებო, ტყუილს ვამბობ?—ყველამ იქით მიიხედა.

— ავად ხომ არა ხარ?—ჰკითხა მეორე ქალმა.

— რას გადამეკიდეთ, იქნება დამცხა!—უპასუხა მარიმ და მღელვარების შესაყენებლად რამდენიმე წვეთი გაცივებული წყალი ჩაყლაპა.

— სალამო მშვიდობისა.—სწორედ ამ დროს მოისმა ვალერის ხმა, რომელიც თავს წამოადგა და კოხტად შლაპის მოხდით მიესალმა. ქალებმა, მხიარულად მიიღეს და მიიწვიეს.

ყველანი დასხდნენ და გაიბა საერთო მხიარული მასლაათი. აქამდინ გაჩუმებულმა მარიმაც ღონე მოიკრიფა, თითო-ოროლა სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე საერთო ლაპარაკში და ბოლოს ისე გაერთო, რომ აღარავის აცლიდა. ყველანი გამხიარულდნენ, რადგანაც ვალერი ოხუნჯობდა. ყველას აშკარად ეტყობოდა, რომ გულით მხიარულობდა და არავინ სრულიად საჭიროდ არ ხედავდა შეეკავებინა თავის სიამოვნება, მით უფრო, რომ ვალერი, როგორც განათლებული კაცი, ფარისეველობას უფრო გაჰკიცხავდა.

ცოტა ხანს შემდეგ ქალები წამოდგნენ, რამდენჯერმე ხეივანში გაიარეს და მერე თეატრში შევიდნენ.

პირველსავე ანტრაქტის დროს, მარი და ვალერი მარტონი დარჩნენ და ჩუმად, ხმა-ამოუღებლივ ბაღშივე გავიდნენ.

— რატომ არ მოხვედით, ან არა შემატყობინეთ-რა?—დაიწყო ვალერიმ.

— ვერ მოვიცალე და... შეუძლოდაც ვიყავ.

— მეც ეგრე მეგონა.

— ეხლაც თავი მტკივა.

— მაშ შინ რატომ არ წახვალთ? აქ გაზი შეგაწუხებთ და ხმაურობაც არის.

— მაინც ეგრე ვაპირობ... ჩემი წერილისა რა ჰქენით?

— წავიკითხე, მოვიაზრე და თქვენთან მოლაპარაკება მინდოდა.

— მიბრძანეთ...

— მაგაზედ ლაპარაკი ეგრე არ შეიძლება... აქ ბევრნი არიან და არ დაგვაცლიან.

— რატომ, ვინ დაგვიშლის?

— აგერ თქვენი მეგობრები მოდიან.

მართლაც, ხეივანში ქალები გამოჩნდნენ და მივიდნენ იმათთან. ცოტა ლაპარაკის შემდეგ მარიმ გამოაცხადა, რომ შეუძ-

ლოდა ვარო და ყველას გამოემშვიდობა. ვალერიმ კი მარტოს თავი არ დაანება და თან გაჰყვა.

მარიმ დაუძახა ფაიტონს, რადგანაც კალონიაში იდგა და ქვეითი წასვლა ეძნელებოდა.

— ნება მიბოძეთ გამოგაცილოთ. — წყნარად უთხრა ყმაწვილმა.

— რადა, რა საჭიროა!—უპასუხა მარიმ და პირისახე იქით მიიბრუნა, რომ გაწითლება კიდევ არ შეემჩნევინებინა.

— მშვენიერი საღამოა, მე მაინც მინდოდა გასეირნება და სალაპარაკოცა გვქონდა.

— მაშ ფეხით გავიაროთ.—დასთანხმდა მარი.

— ძალიან კარგი.—უპასუხა ვალერიმ და მიუშვირა მკლავი, რომელზედაც ქალი წყნარად დაეყრდნო და ორთავემ კუკიისკენ გასწიეს.

რამდენსამე ხანს ორნივ ჩუმად მიდიოდნენ, თითქო ორნივე ჩაჰკვირვებოდნენ თავიანთ გულის მოძრაობას და წელანდელი მხიარული თავისუფლება კი გადავიწყებოდათ.

ამავე დროს ორთავეს უნდოდათ ლაპარაკის დაწყება და ვერცერთს ვერ მოეხერხებინა; რამდენჯერმე ორნივ მივიდნენ იმ მდგომარეობამდინ, რომ სიტყვის წარმოსათქმელად გახსნილი ტუჩები რაოდენსამე ხანს ისე რჩებოდა, რადგანაც ყელშივე შესწყდებოდა და მღელვარებად გარდიქცეოდა ხოლმე.

ორთავენი გრძნობდნენ ამგვარად სიჩუმის უხერხულობას, მაგრამ არის ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც სიტყვას ვეღარ პოულობ და ხმა გიწყდება. ერთბაშად მარიმ წაიბორძიკა და მთლად გაჟრჟოლდა, რადგანაც ძარღვები მეტად აღგზნებოდა და მცირედი შერყევა საკმარისი იყო, რომ თრთოლა დაეწყოთ.

ვალერიმაც რაღაცა ძალა იგრძნო, რომელმაც თვალის დახამხამების უმალ მთელს სხეულში გაურბინა და გაჟრჟოლებითვე აპასუხებინა.

— მაგრა დამეყრდენ, არ წაიქცეთ.—ხმის კანკალით წარმოსთქვა ვალერიმ და მკლავი თავის უნებლიე მოუჭირა.

— არა მიშავს-რა,—თვალების დახრით უპასუხა მარიმ და რაღაცა ძალა იგრძნო მკლავის მოჭერაზე.

იმას შეეშინდა, ძალზედ მძგერავი გული ერთბაშად თითქო შეუდგა, შეუდგა მხოლოდ იმისთვის, რომ მერე უფრო მეტად დაეწყო ფოთხალი. ქალი თითქოს შეშინდა ამ სხვა დროს უმნიშვნელო შემთხვევით, მაგრამ ეხლა რაღაცა ძალამ უფრო მიიზიდა, მიუახლოვა ვალერის.

ჩამოვარდა ისევ სიჩუმე და ორივეს დაუწყო გულმა ძგერა. ვალერის თავის სიცოცხლეში არ უგრძვნია ამგვარი მდგომარეობა. ქალებთან გამოცდილი და გაბედული იყო, არშიყობას პირდაპირ და გულადად დაიწყებდა ხოლმე. ბედი ყოველთვის ულიმოდა. ეხლა რაღა დაემართა?... სიტყვა უწყდებოდა, გული შიშით და კრძალვით ავსებოდა, მთელი მისი არსება გაუბედაობას მოეცვა. ისიც კი ვერ მოეხერხებინა, რომ თეატრის ბილეთების სყიდვა გაემხილა, რადგანაც უარისა ეშინოდა.

ისინი ჩავიდნენ ბაღის ბოლოს, სადაც ვალერი შეფერხდა და ძალდატანებით, თითქმის ხვნეშით, ძლივს გაბედა:

— ერთხელ კიდევ გავიაროთ....

— გვიან ხომ არ იქნება?—იკითხა მარიმ, უფრო იმისთვის რომ ეთქვა რამე.

— შინ რა მიგაჩქარებთ?... ისეთი ხომ არავინ გელისთ, რომ გაგიჯავრდეთ?

— არა, სულ სწორი ქალები ვდგევართ.

— მეც მაგას ვამბობ... მაშ გავიაროთ?

— გავიაროთ.

ისინი გამობრუნდნენ, მაგრამ ვალერი ისევ შესდგა, მას დაუბრუნდა თავის გაბედულობა—ძნელი იყო მხოლოდ პირველი სიტყვა.

— ან მოდი თეატრში წავიდეთ.

— თეატრში?... ბილეთებს ვეღარც კი ვიშოვით.

— ორი ბილეთი მაქვს,—სიხარულით უთხრა ვალერიმ.

— ორი ბილეთი რად გინდოდათ?—მოულოდნელად ჰკითხა მარიმ და გაწითლდა, რადგანაც ამგვარის კითხვის უადგილობა იგრძნო.

— გამოგიტყდებით და სწორეს გეტყვით... იმ აზრით ავიღე ორი ბილეთი, რომ თქვენ წამეყვანეთ...

— გმადლობთ, მაგრამ რად სწუხდებოდით?

— თქვენ დაგავიწყდათ, რომ ჩვენ მეგობრები ვართ?—იკითხა ვალერიმ და დააცქერდა.

— სულაც არა, მაგრამ...

— მაგრამ რა?... განა მეგობრებში მაგგვარს ლაპარაკს ადგილი აქვს?—თითქოს ყვედრებით უთხრა ყმაწვილმა კაცმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—წავიდეთ... მაგისთანა მომღერლები ტფილისში ხშირად არ არიან.

— თქვენი ნებაა.—მოისმა მარის ხმა.

— გმადლობთ.—აღტაცებით წამოიძახა ვალერიმ.

მარიმ გაოცებით შეხედა, რადგანაც არ იცოდა მადლობას რაზედ ეუბნებოდა, მაგრამ არა უთხრა-რა.

ორნივ გავიდნენ ბაღიდან და, რადგანაც ცოტა დაგვიანებული იყო, ჩქარის სიარულით გაემართნენ თეატრისკენ.

თეატრი გაჩაღებული იყო, როდესაც ვალერი და მარი შევიდნენ. ლოჟა და პარტერი გაჭედილი იყო სხვა-და-სხვა გვარის და ხარისხის საზოგადოებით. მუსიკა უკრავდა „ვილგელმ ტელიდან“ დამატკბობელს უვერტიურას. ახლად მოსულები წუნარად შევიდნენ, მონახეს თავისი ადგილები და დასხდნენ.

მარის ძალიან უყვარდა მუსიკა და ისეც საკმაოდ მღელვარება-გამოვლილი სრულიად დაჰბნიდა. ყველა სიმის ჩამოკერა, ყოველი ნოტის ხმა იმის გულში პოულობდა ბინას, თრთოლით დარბოდა მის სხეულში და რაღაც სიტკბოებით სავსე დამამუსტებელ გრძნობით აგრძნობინებდა სიამოვნებას. სუსტდებოდა, ჰგრძნობდა, რომ იღლებოდა, ერთსა და იმავე დროს ეს ხმები ხან აწუხებდა და ხან ასიამოვნებდა, მაგრამ ვერ მოშორებოდა, სურდა, რომ გაგრძელებულიყო.

ერთბაშად მოისმა ძლიერი აკორდები, მუსიკა გაჩუმდა და ფარდა შრიალით აიწია.

სცენაზედ იდგა ფორტოპიანო, სკამი და ამით თავდებოდა მდიდრული ოთახის მორთულობა. წუთს შემდეგ ვიღაცა

ხანში-შესული, გასუქებული და სქელი ქალი გამოვიდა. თეატრი შეინძრა და გაისმა წუნარი ჩურჩული: „არტო, არტო!“ იძახდა ყველა.

დიაღ, ეს გახლდათ უწარჩინებულესი მომღერალი არტო, რომელმაც კარგა ხანს ატკბო მთელი ევროპელთა ყურთასმენა და იმდენი ალაპარაკა გაზეთების სხვა-და-სხვა გვარი რეპარტიორები და რეცენზენტები. ოდესღაც სასიამოვნო სახის, ნაზი და წუნარი არტო, ეხლა წარსულის კარიკატურას წარმოადგენდა. სილამაზის მაგიერ სახე დალმეჭოდა, სინაზის მაგიერ სიმსუქნეს უშნოდ დაერგვალებინა მისი ტანი, სიმარდე შესცვლოდა ძალდატანებულს ჩქარს სიარულად. ეხლა პირველსავე შეხედვით უსიამოვნო შთაბეჭდილების მომხდენი, ოდესღაც პირველსავე გამოსვლით კაცს სიხარულით უვსებდა გულს. იმას გამოჰყვა ფორტოპიანოზედ დამკვრელი ვიღაცა მოხუცი, გამხდარი კაცი, რომელიც გულადად და ამაყად მივიდა როიალთან, აიღო რამდენიმე აკორდი, გაუტია წარმოუთქმელის სისწრაფით კლავიშებს და მაყურებელი დაარწმუნა, რომ ჯერ იმის თითები არ გახეებულიყვნენ და კიდევ შეეძლოთ სიყმაწვილის ძალით კაცის თავდავიწყებამდის გატაცება.

არტო წინ ავან სცენაზედ გამოვიდა, როიალისგან გამოისმა წუნარი და დაბალი აკორდები და ქალმა პირის დაღებასთან ერთად ისეთი ნაზი, ისეთი თავს-ბრუ დამხვევი ხმები აღმოახდინა ყელიდან, რომ ყველას გადაავიწყდა მისი სახე და შეხედულობა, ყველა გარდააქცია სმენად. არტომ დაიწყო ძალიან წუნარად, თითქოს სიოსავით ოდნავ მფეთქავის ძალით, და ისე გაატარა ეს პარტია ბოლომდინ, რომ ხმას ერთხელ არ უღალატნია, ერთხელ არ დაუკანკალია, ერთხელ ვერ იტყოდით, რომ სიო შესწყდა, ან სიოში ნიავი გაერია. დამშვიდებული წუნარი რომანსი გათავდა პოეტურის სიტყვებით „განქრა, განქრა!“ და მეორე სიტყვა იმგვარად, იმ გრძნობით და ხელოვნებით იყო ნათქვამი, თითქოს თვალით ხედავდით ანთებულს რაღაცას, რომელიც წყნარ-წყნარად ქრებოდა და უკანასკნელ სიტყვებთან თითქმის ყველგან დაბნელდა.

არტომ გაათავა, მაგრამ ამ ხმებით მოხიბლული საზოგადოება ისევ სიამვნებით იყო მოცული, განძრევა ვერ გაებედა და ყურში კი გაისმოდა: „განქრა, განქრა!“

არტომ დაუკრა თავი და გაბრუნდა, საზოგადოება მხოლოდ მაშინ გამოერკვია და საერთო ტაშის ცემით გამოუცხადა მომღერალს თავის აღტაცება.

მარიც ტაშის ცემაზედ გამოერკვია თავდავიწყებიდან, მიიხედა, ვალერი დაინახა და ერთბაშად უთხრა:

— გთხოვთ წავიდეთ, ეხლავე გავიდეთ თეატრიდან!

— რადა, რა მოგივიდათ?

— არ შემიძლიან, მეტად დავსუსტდი... ეს ხმები სულს ამომართმევენ.

ვალერიმ ეს სიტყვები კრძალულობის ნიშნად ჩასთვალა და ამისთვის ღიმილით შეხედა. მაგრამ მარი მთლად გაყვით ლებულიყო და მთლადა ცახცახებდა.

— რა მოგივიდათ?— ზრუნვით უთხრა ვალერიმ.—ადამიანის ფერი აღარა გაქვთ.

— წავიდეთ, თორემ ეხლავ წავიქცევი.

ვალერი დაეშურა, მისცა ხელი ქალს და ორნივ გამოვიდნენ გარედ, სადაც მარიმ ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

— ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია მაგგვარი ხმები.—წარმოსთქვა იმან წყნარად.

— მეტად სუსტი ძარღვები გქონიათ.

— მე თვითონაც არ მინდა, მაგრამ რა ვქნა... ექიმები მარწმუნებენ, რომ გულის ჩქროლა მაქვს და ყოველ გვარს მღელვარებას უნდა ვერიდო.

— რასა ბრძანებთ?! თქვენ ისეთი ელფერი გაქვთ, რომ ყოვლად შეუძლებელია ეგ კაცმა წარმოიდგინოს.

— მეც არა მჯერა... მაგრამ რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ყოველ გვარს მღელვარებას ასეთი დამასუსტებელი მოქმედება აქვს ჩემზედ?

— ძარღვების სისუსტე.

—კარგი, მაგრამ ძარღვების სისუსტე რაღად უნდა მქონდეს.

— ო-ო, ეგ ბევრი მიზებისგან წარმოსდგება,—მრავალ-მნიშვნელოვანად უთხრა ვალერიმ და ცოტა ხანს უკან დაუმატა:—მე მგონი ძარღვების სისუსტის მიზეზიც კი არ უნდა იყვეს.

— მაშა?

— მეტად მგრძნობიარე ბძანდებით... სხვა ფრივ არც იქნებოდა თქვენი კეთილის გულისგან.

ამაზედ ლაპარაკი შესწყდა. ისინი მიუახლოვდნენ კრუჟოკის ბაღს, საიდანაც მუსიკის ხმა გამოისმოდა, მარი იქვე პირდაპირ იდგა და ამისთვის გაჩერდნენ იმათ სახლის კარებთან.

— საშინლად პური მშიან, — სიფრთხილით წარმოსთქვა ვალერიმ და დაუმატა:—თქვენც დასუსტებული ხართ, თქვენთვისაც კარგი იქნებოდა ცოტა რამ შეგეჭამათ.

— დიაღ, ჩვენ ყოველთვის ვივახშმებთ ხოლმე.

— მოდით კრუჟოკში შევიდეთ და თითო კოტლეტკა შევჭამოთ.

— მადლობას მოგახსენებთ, ეხლა არ შემიძლიან... კვლავ როდისმე.

— ეხლა რატომ არა?

— დავიღალე, დასუსტებული ვარ.

— წავიდეთ, ღონეს მოიკრეფთ.

— არა, ეხლა არა, არ შემიძლიან.

ვალერი ჩაფიქრდა, თითქო გაიბუტა მაგრამ აღარა უთხრა-რა.

— ამასთან დედას წიგნიც უნდა მივწერო.—დაუმატა ცოცოტა სიჩუმის შემდეგ.

— მართლა, სრულიად გადამავიწყდა მეკითხა: რასა გწერენ.

— სრულს უარს... ამ დღეებში მამა ჩამოვა.

— რისთვის?

— უნდა წამიყვანოს.

— უნდა წაგიყვანოს?

— დიაღ.

ვალერი გაჩუმდა და კიდევ ჩაფიქრდა.

— თქვენ რაღას აპირობთ?

— ჯერ არ ვიცი.

— წახვალთ?

— მოვიდეს მამა და ვნახოთ.

ამ დროს ზევით ბალკონიდან ვიღაცამ გადმოიხედა და იკითხა:

— მარი, შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ.

— ჩვენ კი გვეგონა, რომ ამაღამ იულიასთან დარჩებოდი... მოიცა, ეხლავე კარს გაგიღებ. — უთხრა ქალმა და გაბრუნდა.

ცოტა ხანს შემდეგ კიბეზედ ფეხის ხმა მოისმა, ეტყობოდა, ის ქალი იყო, რომელიც ბალკონიდან ელაპარაკებოდა, რადგანაც ნახევარ ხმად რაღაცა სიმღერას ამბობდა და ხმა სრულიად წელან მოლაპარაკე ხმას მიემსგავსებოდა.

— მარი! — ერთბაშად გაუშვირა ვალერიმ ხელი. მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და მოსაუბრეს სიტყვა პირში გაუწყვიტა.

— ღამე მშვიდობისათ. — დააბოლოვა ვალერიმ და გამობრუნდა.

მეგობრები კი მარის ოთახში შევიდნენ და იქ გააბეს მუსაიფი.

გათენებამ მოაღწია, რომ მარის ჯერ კიდევ არ გაეხადნა ტანისამოსი და კუშეტკაზედ, მარტო ერთს სანებიერო ადგილზედ, რომელიც იმასა ჰქონდა ამორჩეული, წამოწოლილიყო და რაღაზედაც ფიქრობდა. თვალ-წინ ეხატებოდა ათასი სურათები, რომელნიც ერთმანეთს წარმოუთქმელის სიჩქარით სცვლიდნენ და განსაცვიფრებელის ხელოვნებით და ფერებით შეხამდებოდნენ. შენინგის პავილიონი, თეატრი, არტო, მუსიკა, ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა ქალის ოცნებაში და სხვა-და-სხვა რიგად ცვლილობდა ფერს; ახლა ამას ზედ დაუმატეთ ვალერის

მომღიმარი სახე და მაშინ წარმოიდგენთ რა ნაირის სიტკბოებით აევსო ქალს გული.

მარის თავი გაჰხურებოდა და სიცხის ოცნებას შეეპყრო. ხანდისხან ბოდვამდინაც მიდიოდა და მაშინ წყნარად, ნაზად და ტკბილის ალერსით მისი ნაზი ტუჩები ვალერის სახელს წარმოსთქვამდნენ ხოლმე. ვალერიც მაშინვე გონებაში უცოცხლდებოდა, ჰხვევდა ხელებს, იკრავდა გულში, ჰკოცნიდა, ეფიცებოდა, რომ მისთვის გაჩენილა და ქვეყანაზედ მის მეტი საგანი აღარა აქვს. მარის ახარებდა ეს სიტყვები, სიხარულით სთხოვდა გაემეორებინა ძვირფასი სიტყვები და, რა ხელ-ახლად გაიგონებდა, თვითონაც მიეკვრობოდა, ძალზე მოეხვეოდა და დაუწყებდა კოცნას.

ბოლოს, დაღალულმა სხეულმა ადგილი დაუთმო ბუნების კანონს, დამოჩრილდა მას და წყნარმა, თუმცა მოუსვენებელმა ძილმა მოიცვა.

ვალერი კი ჯერ კიდევ ბაღში დადიოდა და ოხვრით წარმოსთქვამდა მის სახელსა, ვისაც შეეპყრო მისი სული, გული, მთელი არსება. ის მეათასედ იძახოდა: „გამაგიჟა იმ გოგონამ, გონება დამაკარგვინა!“ და ამის შემდეგ ისიც დაიწყებდა ოცნებას, თუ როგორ ბედნიერი იქნებოდა მარისთან, რა რიგად ისიამოვნებდა, რა სიხარული მოელოდა იმის ხელში და რა ნეტარებით სავსე ცხოვრება ექნებოდა.

— სწავლა სურს, — ამბობდა ვალერი: — დეე ისწავლოს, ვინ უშლის?—მაგრამ მაშინვე დაუმატებდა:—სამწუხაროდ, მეტად ლამაზია, მეტად მშვენიერი, რომ მარტოს თავი დანებდეს!...

ამ სიტყვებზედ ისევ დაფიქრდებოდა და შემდეგი ფიქრი გაურბენდა თავში:

— ვეცდები არ წავიდეს, არ მომაკლოს სიამოვნებას და, თუ მაინც და მაინც არ დაიშალა, რა ვუყოთ; მარი იმდენად პატიოსანია, რომ არ მიღალატებს.

ამ აზრებსა და მოფიქრებაში იყო, როდესაც ალიონის აწევამ მოაგონა, რომ შინ წასვლის დრო იყო და ვალერიც

წყნარად წავიდა შინისაკენ და წყნარად შევიდა სახლში და მარის სახელის ხსენებით თვალები დაეხუჭა.

VI

მეორე დღეს მარიმ ძალიან გვიან გაიღვიძა. ფერი მთლად დაფეფქვილი ჰქონდა, თითქოს მთელი ღამე უმუშავნიაო. გაღვიძების უმალ დახედა საათს და გაუკვირდა, რომ პირველს გადასცილებოდა, მაგრამ ისე დასუსტებული და დაზარმაცებული იყო, რომ მაშინადვე ისევ მიწვა. იმას უკვირდა თავის სისუსტე და პირველში არ იცოდა, რისთვის მოუვიდა ასე. მაგრამ გონება ჩქარა მოიკრიფა და გუშინდელი დღე ნათლად წარმოუდგა თვალ-წინ.

რასაკვირველია, ეს ერთი დღე მარიზედ ასე ვერ იმოქმედებდა და ერთბაშად ასე ძალას ვერ წაართმევდა: ამის მიზეზი წინა დღეებიც იყო, რომელსაც მარი ატარებდა მღელვარებაში. პირველში, რა წამს საქმე ან ფიქრი ვალერის შეეხებოდა, გული ანგარიშ-მიუცემლად ძგერას დაუწყებდა, სისხლი ხან პირისახეში და თავში ასკდებოდა, ხან ისევ გულისკენ გაექანდებოდა და მარის ამ მდგომარეობის მიზეზი ვერ წარმოედგინა, ვერ ეპოვა; მერე გაუელვა აზრმა, რომ ვალერი უყვარს და მღელვარება გაუძნელდა, რადგანაც ამ აზრის მოსპობას, გულიდან ამოგლეჯას ებრძოდა, მაგრამ ამაოდ. იგი მწუხარებით ხედავდა, რომ ძალა არ მოსდევდა გულიდან ამოეფხვრა ის გრძნობა, რომელიც იქ ძალად ჩასჭროდა და ეს ყველაზედ მეტად აჯავრებდა და ასუსტებდა. ახლა ზედ დაერთო ვალერის ჩქარ-ჩქარა ნახვის სურვილი, რომელიც ცხოვრების საჭიროებად გახდომოდა და სრულიად საკმარისი იყო მარის გულისთანა გრძნობიარე გულისთვის და ნაზი აგებულებისთვის, რომ ქალი სრულიად დაესუსტებინა.

მარი ამ ღამეს თითქო ჩამომდნარიყო, თვალები ჩასცვივნოდა და თვალის ძირები ძალზედ ჩალურჯებოდა. იმან აიღო სარკე და შიგ ჩაიხედა.

— ღმერთო! რა სახე მაქვს?!—წამოიძახა უსიამოვნოდ და მიაწყდა ისევ ბალიშს და წაიღო დუმილმა.

— სისულელეა, უნდა დავივიწყო! — კიდევ გაჯავრებით წამოიძახა იმან და შუბლზედ ხელი გადაისვა.—უნდა დავივიწყო, უნდა დავივიწყო, რადგანაც იმას სრულიად არ ვუყვარვარ... ეს მამა-ჩემი რაღას იგვიანებს?... ერთი მოსულიყო, რომ ყველაფერს მოვშორებოდი!

— მარი, გაიღვიძე?—კარების შემოღების უმალ იკითხა იმის ამხანაგმა ქალმა, რომელიც ის-იყო სოფლიდან ჩამოსულიყო.

— არა გრცხვენიან ამდენს ხანს ძილი? — გადახვევასთან ერთად ეუბნებოდა ნადო.—ქალო, რამ გაგხადა აგრე? რა მოგსვლია? ტფილისის ჰაერმა აგრე იცის, რატომ სოფელში არ წახველ?—აძლევდა კითხვებს და პასუხს აღარ ელოდა.

— შენ კი გასუქებულხარ, გაკეთებულხარ,—ღიმილით უპასუხა მარიმ და სიამოვნებით შეხედა ნადოს კარგად მყოფს სახეს და უზრუნველს, მხიარულს ქცევას.

— სოფელმა აგრე იცის!... ახ, მარი, უნდა იცოდე რამდენს ნაღებსა ვჭამ?.... მერე როგორი ნაღებია-და?... სწორედ დანით საჭრელი.

— სხვა რაღას აკეთებ! სულ ხომ ნაღების ჭამაში არ იქნები?

— დილით ავდგები, დავლევ ერთს სტაქანს რძეს, იქვე სახლებთან ტყე გვაქვს და იქ დავდივარ სასეირნოდ... ნეტა იცოდე, მარი, რამდენი მარწყვი იცის?... ერთს წუთში მთელს კალათას გავავსებ ხოლმე.

— საკითხ წიგნებს შოულობ?

— როგორ არა... ჩვენს სოფელთან რაღაცა პოლკის დგას და იმათა აქვთ ბიბლიოთეკა... მაგრამ ვერ წარმოიდგენ, მარი, რა წიგნებია?... სულ რაღაცა ბრძოლა, რომელშიაც გმირები შვიდჯერ იხოცებიან, ათჯერ ცოცხლდებიან!... ერთი რაღაც წიგნი მომიტანეს, სახელად „გაუმაძღარი“, რომელშიაც ისეთი გმირია შიგ გამოყვანილი, რომელსაც ორასი თუ სამასი ქალი მოეტაცა?

— მერე მაგებსა კითხულობ?

— რატომ არა?.... სოფელში ყველაფერი წაიკითხება.... ვკითხულობ და ვიცინი...

— ნეტავი შენ!...

— აფიცრები როგორები-ღა არიან! ხა, ხა, ხა!—ჩაიცინა ნადომ.

— როგორი?

— ყველანი არშიყობას ცდილობენ, ყველანი შეყვარებულის როლს თამაშობენ.

— შენ გეარშიყებიან?

— რასაკვირველია მე.—ისეთის კილოთი უპასუხა ნადომ, თითქოს ეს კითხვა კიდეც გაუკვირდაო.

— მერე შენ ნებას აძლევ?

— რატომ არა?... დროს მაინც მატარებინებენ.

— კარგი დროს-გატარება გიპოვნია.

— გარწმუნებ, რომ ჩინებული!... მერე უნდა იცოდე არშიყობას რა რიგად დაიწყებენ ხოლმე-და... ყველანი ერთს რიგად, ერთის სიტყვიდან.. ჯერ მოჰყვებიან ოხვრას, მეც ვყვები... მერე ყოველ საღამოზედ მოვლენ ფანჯარის წინ და რამდენჯერმე მიმღერებენ: „Ты куда, мой другъ...“ და სხვა, ან კიდევ „Вотъ взошла луна злотая“...მეც გავალ ბალკონზედ, დავიდგამ სკამს ჩ ყურს ვუგდებ.. ამის შემდეგ მესამე-მეოთხე დღეზედ ცდილობენ მარტოკა სადმე ჩამიგდონ, შემეხვეწებიან, დრო დავუნიშნო სად და როდის მნახონ მარტოდ-მარტო, მარწმუნებენ, რომ ძალიან საჭირო რაღაცა აქვსთ სათქმელი და ჩემგან არის დამოკიდებული ერთი კაცის სიცოცხლე და სხვა... მე ვითომ არა მესმისრა, თავსა ვხრი, თვალებს ვლულავ, ვეკეკლუცები, ათჯერ დავუნიშნავ ადგილს და ერთხელაც არ მივალ, ისინი კი იხრუკებიან... ბოლოს, სადაც იქნება, შევხვდებით მარტოები და პირველსავე შეხვედრაზედ ბოხის ხმით მეტყვიან: „ქალბატონო, მე თქვენ მიყვარხართ!“ მე შეკრთები, ვითომც მოულოდნელობისაგან, დაბლა, დაბლა თავსა ვხრი და პასუხს არ ვაძლევ. ისინი ისევ დაიდებენ გაპარჭყულ თითებს გულზედ და მი-

მეორებენ: „ქალბატონო, პასუხს ველი!... რა მომელის—ჯოჯოხეთი თუ სამოთხე“? მეც ხმას გავიწვრილებ, გავინაზები და ვეუბნები: „მე უმამოდ არა შემიძლიან-რა, მამასა ჰკითხეთ“... ისინიც გახარებულები გაქანდებიან მამასთან და შენ ხომ იცნობ მამა-ჩემს, სიცოცხლე გაქვს, ის იმათ იფრენს ხოლმე.

— შენ რაღას გეუბნება.

— ჯავრობს... ამ ზაფხულს ათამდინ აფიცერი მივუგზავნე.

— ახ, ნადო, როგორ შეიძლება?.. ვინ იცის, იქნება მართლა შეუყვარდე ვისმე და შენის მიზეზით გაუბედურდეს.

— კაცებზედ ახია, მარი!.. ისინი ყველანი, ყველანი გაურჩევლად საზიზღრები არიან!.. აბა წარმოიდგინე, იმათის მიზეზით რამდენი ქალი გაუბედურებულა?..

— ვთქვათ, რომ ბევრი, მაგრამ ყველა კაცები საზიზღრები რად იქნებიან?

— სუყველანი, განურჩევლად სუყველანი?

— მაგაზედ ვერ დაგეთანხმები.

— აბა მაშ ერთი კაცი მიჩვენე, რომ ცოლის შერთვამდის ათასნაირი სიყვარული და არშიყობა არ გამოევლოს? ქალებს კი ათასობით ჩამოგითვლი, რომელნიც თავის ქმარს პირნათლად შეჰყრიან...

— საიდან იცი ეგენი?

— საიდან?.. რომელი რომანიც უნდა აიღო, ყოველთვის კაცი პირველი იწყებს ხოლმე არშიყობას, პირველი ცდილობს ქალს მახე დაუგოს და ბოლოს თავის გამარჯვება საკვეხურადაც მიაჩნია ხოლმე... თავის დღეში ქალი თვითონ არაფერს უპატიოსნოს არ იკადრებს, თუ ისევ კაცისაგან არ არის გარყვნილი!... რას ამბობ მარი.... კაცები სწორედ საზიზღრები არიან!

— ეგ ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს, თავის დღეში მაგ აზრზე არ დაგეთანხმები.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენც ვიღაცა შეგყვარებია!

— სულაც არა...—გაწითლდა მარი.

— სულაც არა კი არა და ნამდვილად!... ღმერთმა ბძანოს, რომ შენგან ამორჩეული სხვებისგან განირჩეოდეს, იყო ბედნიერი და არ მოსტყუვდე.

მარი ჩააჩუმა სტუმრის სიტყვებმა და რაოდენსამე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სტოლის საათი ერთგვარად არაკუნებდა და აწვრილებდა კაცის გულს. სტუმარმა სტოლიდან წიგნი აიღო და დაუწყო ფურცვლა, მარი კი ფერ-მიხდილი გადაწვა საგებელზედ და დაფიქრდა.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც გოგომ კარები შემოაღო და მარის ისე წასჩურჩულა, რომ ნადომ ვერ გაიგო.

— ვიღაცა ყმაწვილი კაცი მოვიდა და თქვენი ნახვა უნდა.

— ყმაწვილი კაცი?— წამოიწია მარიმ და აღელდა.

ნადომ შეამჩნივა მღელვარება.

— მარი, იქნება გიშლი რასმე? პირდაპირ მითხარ, არ მეწყინება.

— სულაც არა.

— მაშ რა ამბავია?

— ვიღაცა ყმაწვილი კაცი მოსულა და ჩემს ნახვას ნდომობს.— მემრე მოუბრუნდა გოგოს:—არ უთხარ, რომ შეუძლოდა ვარ და ვწევარ?

— როგორ არა, მაგრამ მაინც არ წავიდა!.. წადი უთხარიო, რომ ვალერი კ—ძეს თქვენი ნახვა უნდა-თქო.

— ვალერი!—ერთბაშად წამოიძახა ნადომ და გაკვირვებით დააცქერდა მეგობარს.—მაშ ეგა ყოფილა.

მარი კიდევ გაწითლდა.

— არა-მეთქი, არა! არც ეგა და არც სხვა!.. წადი უთხარ, რომ ვწევარ და მათი მიღება არ შემიძლიან.

გოგო გავიდა, ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მოისმა ისევ კარების ჭრიალი, მოსამსახურე ისევ შემობრუნდა, მას რაღაცა ქაღალდი ეჭირა, რომელიც მარის გადასცა. მარიმ მოუთმენლად გამოსტაცა პირისფერი მარმარილოს ქაღალდის პატარა კონვერტი, მთრთოლვარე ხელებით გაგლიჯა და ამო-

იღო ისეთივე ფერის და ღირსების პაწაწა ფურცელი, რომლის ნაპირებსაც ოქროს ვარაყი აშვენებდა.

მარის ჯერ გულზედ თითქოს რაღაცა მოუჭირესო, მერე ერთბაშად მოშორდა და განთავისუფლებულმა გულმა ფართხალი დაუწყო. ის ჩაფიქრდა და ქაღალდი ისე დარჩა ხელში, რადგანაც წაკითხვა ვერ გაებედა. მარი ჰგრძნობდა, რომ ამ ქაღალდში მისი ბედ-იღბლის გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო.

— ღმერთმანი, მარი, გული მომდის, შენ რომ გიყურებ!— ერთბაშად შეუტია ნადომ.

— რადა, რა დავაშავე?—დაფანტვით წარმოსთქვა დაფიქრებულმა.

— განა შეიძლება აგრე მღელვარება, თავის დავიწყება?.. მაგით თავს მოიკლავ, სხვა რომ არა იყოს-რა?

— მაშ რა ვქნა, როგორც მოვიქცე?

— წაიკითხე ეგ ბარათი, რომელშიაც, უეჭველია, ვალერი ხელსა გთხოვს და პასუხი მიეც.

მარიმ ინსტიქტიურად დახედა ბარათს და მაშინვე ცრემლები ღაპაღუპით გადმოედინა. მაგრამ ეს ცრემლები სიხარულისა იყო და ამისთვის დამამშვიდებლად უნდა ემოქმედნა.

ბარათში ეწერა შემდეგი:

„კნიაჟნავ!

„ნება მომეცით საუკუნოდ ჩემს მარით გიწოდოთ, რადგან უთქვენოდ ჩემი სიცოცხლე შეუძლებელი ხდება. პასუხს ხვალამდინ ველი“.

«ვალერი».

— რა არის, რა მოგივიდა? ახლა ტირილი დაიწყე?—გაჯავრებით შეჰბუზღუნა ნადომ.

— რაღა დავმალო, წაიკითხე.—მიუშვირა ნადოს ბარათი.

სტუმარმა გამოართვა და დიდის ყურადღებით რამდენჯერმე გადაიკითხა. შუბლზედ ოდნავ შესამჩნევმა ჭმუნვარებამ გაურბინა, მაგრამ ხელის გადასმამ შეუმჩნევლად გაუქარვა იგი. მარის ჯერ გული ვერ მოებრუნებინა.

— რაღას ფშრუკუნებ? ადექ და ჩქარა მისწერე პასუხი.

— რა მივწერო? არ შემიძლიან.—გადაეხვია მეგობარს.

— ვითომ არ იცი, რაც უნდა მისწერო, ან რასაც მისწერ!

— გეფიცები, რომ არა.

— მაშ ჩქარა ადექი; პირზედ წყალი შეისხი, ის გონებას გაგინათლებს... თუ სანამ მაინც და მაინც პასუხი ვერ მოახერხე, მე რასაც გეტყვი, ის მისწერე.

მარი წამოდგა და ნადოს რჩევისამებრ მოიქცა. მართლადაც, დამძიმებული თავი ეხლა რაღაცა სიმსუბუქესა ჰგრძნობდა.

— ჯერ კიდევ ვერ მოიგონე პასუხი?—ჰკითხა ნადომ, როდესაც მარიმ ჩაიცვა.

— ვერა.

— აბა მაშ მოდი სტოლთან, ამოიღე ქაღალდი და დასწერე:

„შე უღმერთო! აქამდინ რად მაწვალებდი?.. ნუ თუ ვერ ხედავდი, შენგან გაგიჟებული ვიყავ?“

„სიკვდილამდინ შენი“

«მკრი».

სანამ მარი სწერდა, ნადო ჩქარის ნაბიჯით დადიოდა ოთახში, მაგრამ, როდესაც წერა შეაჩერა, მისი მეგობარიც ერთბაშად შესდგა და ჰკითხა.

— დასწერე?

— დავწერე,—უპასუხა მარიმ და პირდაპირ შეხედა.

ნადოს პირისახეზედ კიდევ რაღაცა უსიამოვნობამ გაურბინა და შემდეგი სიტყვების დროს ხმამ ორგან სამგან ულალატა, თითქოს ხრინწი მოედოვო.

— აბა წაიკითხე.

მარიმ აიღო ბარათი, ამოიწმინდა ხმა, ერთი ხელი მიიტანა გულთან, თითქოს მისი მღელვარება მითი უნდა გაეჩერებინა და ბოლოს დაიწყო:

— „კნიაზო! ჩემს თავს სიტყვა მივეც, სწავლა შევასრულო, კურსებზედ წავიდე და შეივიქნე საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრი. ვიდრე მიცემულს სიტყვას არ შევასრულებ, მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი".

„სიკვდილამდინ თქვენი პატივისმცემელი"

«მარი».

ამ წერილის შემდეგ სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რადგანაც ნადოსთვის სრულიად მოულოდნელი იყო და მარი კი მთრთოლვარე თითებით ცდილობდა წერილი დაეკეცა და კონვერტში ჩაედო.

— მარი!

— რა ვინდა?

— მართლა აპირობ მაგ წერილის გაგზავნას?

— მართლა?

— რისთვის?... ეგ ხომ უბრალოდ ხანის გაგრძელებაა?

— როგორ?

— ისე რომ ხვალ თუ მოილაპარაკებთ და გადასწყვეტავთ, სჯობს ჯვარი დაიწეროთ.

— არა მგონია,—მოკლედ უპასუხა მარიმ და კონვერტი გოგოს გაატანა ფოჩტის კოლოფში ჩასაგდებად.

— მარი, მოიფიქრე... შენ ვალერი ისე გიყვარს... მასთან მოშორება შენთვის სატანჯველი და ძნელი მოსანელებელი იქნება... მერე შესძლებ ამის ატანას?

— როდისმე ჩვენი ძალა ხომ უნდა გამოვცადოთ?

— რისთვის?

— თუნდა იმისთვის, რომ ჩვენ თავს ვიცნობდეთ!... მაგრამ კმარა მაგ საგანზედ ლაპარაკი... შენთვის არა დამიმალავს-რა და ეხლაც გულ-გახსნილი მინდა ვიყო... ვალერი, მართალია, გაგიჟებით მიყვარს, მასზედ ფიქრი არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ მაძლევს, არ ვატყუებ ჩემს თავს—ბრძოლა ძნელი, სასტიკი იქნება ჩემთვის, მაგრამ, რადაც უნდა დამიჯდეს

ეს ბრძოლა, რითაც უნდა გათავდეს, სანამ ჩემს ძალ-ღონეს არ გამოეცდი, თავს არ დაანებებ...

ნადო ამ სიტყვებს გატაცებით ყურს უგდებდა და, როდესაც გაათავა, გადაეხვია თავის მეგობარს. გრძნობას იქამდინ შეეპყრო, რომ სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა.

— ღმერთმა მოგცეს ძალა, ღონე... მაგრამ მე... მე კი ვერ შევძელ ბრძოლა, ვერ ავიტანე.

ამ სიტყვებთან ერთად ნადოს მდუღარე ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ საჩქაროდ შეიკავა თავი, საჩქაროდ მოიწმინდა თვალები და ღიმილით წარმოსთქვა:

— მაგრამ იმას თავი დავანებოთ, რასაც აღარა ეშველებარა, დავიწყება სჯობს!

მეგობრები გადაეიდნენ სხვა საგანზედ და ცოტა ხანს შემდეგ ერთად-ერთს სახლობაში პურის საჭმელად მიდიოდნენ.

VII

ვალერიმ დილა ადრიან გაიღვიძა და სიამოვნებით გაიზმორა. მემრე ზარმაცად დახუჭა თვალები და პირისახე გაუღიმდა.

ამ ზაფხულს, ტფილისში განსაკუთრებითი ჰაერი იყო და ზაფხულის სიცხეები არავის შეუმჩნევია. ამისთვის ვალერიც ჩათუთქული არ იყო და ჩვეულებრივს, სიცხის შედეგს მოდუნებას არ გრძნობდა. ყმაწვილ მასწავლებელს ნებიერობა უყვარდა და მისთვის იწვა ისე გაუნძრევლად.

მთელი წინა დღე იმან გაატარა მოლოდინში. ეგონა, რომ ან ეხლა და ან ეხლა მოუვა მარის წიგნი, ან თვითონ მოიჭრება, მაგრამ იმედებმა უბრალოდ ჩაუარეს. ის იჯდა და ძილი არ ეკიდებოდა და ღამის ოთხ საათამდინ ეალერსებოდა მარის სიცოცხლით სავსე სახეს, რომელიც თვალ-წინ ისე ნათლად ეხატებოდა. ჰფიქრობდა მომავალზედ და მომავალი ცხოვრების პროგრამას ჰხატავდა. საკვირველი ეს იყო, რომ ამ პროგრამაში მარტო თავის თავის სიამოვნება შედიოდა, ყოველისფრის

მოწყობა მხოლოდ თავის-თავის მოსასვენებლად იყო შედგენილი და ის, ვისაც ეს კაცი უნდა დაეტკბო, გაებედნიერებინა უკანა პლანზედ, ჩრდილში რჩებოდა! მაგალითად, ის ჰფიქრობდა იმ წუთებზედ, როდესაც დილით გამოიღვიძებდა, ქვეშსაგებში ინებიერებდა და მარი კი ჩაცმული, მომზადებული შემოვიდოდა უალერსებდა, ტიტინს დაუწყებდა. იმას კი აღარა ჰფიქრობდა, უეჭველად მარი რად უნდა ამდგარიყო იმაზედ წინ, უეჭველად მარი პირველი რად უნდა შესულიყო ქმართან და სხვა. ერთი სიტყვით, იმის აზრებში მარი იხატებოდა გამანებივრებელ გამზდლად, რომელსაც ზედ ემატებოდა სიყმაწვილე და მიმზიდველობა.

ბოლოს, ბუნებამ თვისი ქნა, ვალერის თვალები დაუხუჭა, მაგრამ ძილშიაც გახურებული გონება არ უსვენებდა და სულ მარის სახე ელანდებოდა.

აი, ხედავდა მარის მორთულს ისე კი არა, როგორც მისთვის სახერხო იყო, არამედ ისე, როგორც ვალერის ესიამოვნებოდა, ხედავდა მარის მუდამ მხიარულს, მუდამ მოცინარს, თითქოს მის გულში სხვაფერ გრძნობას ადგილი ვერ ეპოვნა. ასე გაატარა მთელი ღამე და გამოღვიძების შემდეგ ჯერ კიდევ მოცული იყო მომხიბლავი სიზმრებით. იმას არ უნდოდა გამქრალიყო ეს სურათები და თვალებს სწორედ ამისთვის ხუჭავდა.

ერთბაშად ბიჭმა კარები შემოაღო და წყნარად შემოვიდა.

— მაქსიმე, შენა ხარ?—თითქმის შეტევით უთხრა ვალერიმ.

— დიაღ, ბატონო.

— რაო, რა მოგარბეინებს? მე ხომ არ დამიძახნიხარ?

— არა, ბატონო, მაგრამ მეტად ბევრი გეძინათ, სამოვარი სამჯერ ჩაქრა და...

— სულელო!—გაჯავრებით დაუძახა ვალერიმ.

მაქსიმემ ხმა არ ამოიღო, თუმცა უსიამოვნობის ნიშნად პირისახე რაოდენადმე დაუგრძელდა და ქვენა ტუჩი როგორღაც ჩამოუგრძელდა.

— მაშ ჩაის არ მიირთმევ?—ბოლოს ჰკითხა მაქსიმემ.

— დამეკარგე!—დაუყვირა ბატონმა და მაქსიმე საჩქაროდ გავიდა. ვალერიმ კი დაუმატა:—ახ, როდის იქნება ამ პირუტყვებს მოვრჩე?!... სწორედ სისხლს მიფუჭებენ. შევირთავ მარის და მოსამსახურეებს ახლოს აღარ მოვიკარებ, ჩემს ცოლს ექნება იმათთან საქმე.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ვალერიმ წამოიძახა:

— მაქსიმე, მაქსიმე!

— გიახლებით.—შემოაღო ბიჭმა კარები.

— რამდენი საათია?

ბიჭი მივიდა ვალერის გვერდით მდგარს სტოლთან, აიღო ოქროს საათი და მოახსენა:

— თორმეტის ნახევარია.

— რაო?—წარმოვარდა ბატონი.

— თორმეტის ნახევარი გახლავს.

— არ შეიძლება, სტყუვი!... მომეცი აქ საათი.

მაქსიმემ საათი მიართვა, ბატონმა ხელიდან გამოჰგლიჯა და დარწმუნდა ბიჭის სიმართლეში. ჩაფიქრდა რაღაზედაც და რაოდენიმე ხანს რაღაცას ბუტბუტებდა.

— წიგნი არა მოგსვლია-რა?—ერთბაშად ჰკითხა მაქსიმეს.

— რა წიგნი?—მაქსიმე მართლაც ცოტა ატაცებულსავით იყო.

— რა წიგნი?—გაუკირცხლა ბატონმა:—რა წიგნი იქნება, წერილი ხომ არავის მოუტანია?

— მართლა, სულ არ დამავიწყდა!—და უბიდან ამოიღო კონვერტი:—წელან პოჩტალიონმა ვადმომცა.

— მომეცი აქ.—გამოსტაცა ხელიდან ბატონმა, გაგლიჯა საჩქაროდ კონვერტი და მარის წიგნი წაიკითხა. ამ წიგნის შინაარსი ვალერისთვის ისე მოულოდნელი იყო, რომ ხელებიც კი ჩამოუცვივდა. თვალებისა არ სჯეროდა და ამისთვის ხელახლად წაიკითხა. რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი, გაკვირვების მაგიერად, სიბრაზე ერეოდა, მაგრამ, რადგანაც ჯავრის

ამოსაყრელი ბიჭის მეტი არავინ შეხვდა, მაქსიმეზედ უნდა ეყარა ჯავრი.

— აქამდის წიგნს რატომ არ მაძლევდი?

მაქსიმემ იგრძნო დანაშაული და პასუხის მაგიერად თვალების ფარფატი დაიწყო.

— არ გესმის! რატომ არ მაძლევდი?

— დამავიწყდა.

— დაგავიწყდა, დაგავიწყდა!... მაშ რაღა გახსოვს შე გამოკერუებულო?... დამეკარგე თვალიდან!

მაქსიმე გაქრა, მაგრამ კარებში გასვლა ვერ მოასწრო, რომ ისევ გაიგონა:

— მაქსიმე, მაქსიმე!

ბიჭი ისევ შემობრუნდა, ბატონმა გაუშვირა ფეხი და დასძახა:

— ჩქარა!

მაქსიმე დაჩვეული იყო და აუხსნელად მიხვდა ბატონის სურვილს. მივიდა, ცალ მუხლზედ დაიჩოქა, მეორეზედ დაიდო ვალერიის ფეხი და წყნარად დაუწყო წინდების ჩაცმა.

ის-იყო ბიჭი ათავებდა თავის საქმეს, როდესაც კარი ვიღამაც დააკაკუნა.

— ნახე ვინ არის, ჩქარა!—უბრძანა ბატონმა.

ბიჭმა გასვლა ვერ მოასწრო და კარების გაღებასთანვე ვიღაცა გამხდარმა ყმაწვილმა კაცმა თავი შემოყო.

ახალ-მოსულს პირისახეზედ დაღალვა და ფერ-მკრთალობა ეტყობოდა.

— რა ამბავია აქამდის ძილი?—შემოსვლის უმალ წამოიძახა სტუმარმა.

— ა-ა, გიორგი! შემოდი... შენა სულა მუშაობ, სწერ. ჰეშმარიტად განსაცვიფრებლადა მუშაობ.

— განსაცვიფრებელი არა არის-რა, —ვმუშაობ, რადგანაც ჩემი მოთხოვნილება ეგ არის.

— მართალია, მაგრამ უნდა დაისვენო, ადამიანის ფერი აღარა გაქვს.

— რომ დავიხოცებით, მოსვენება მაშინაც გვეყოფა... შენა, ვალერი?—დააცქერდა ახალ-მოსული.—შენც საკმაოდ დაგიკარგავს ფერი. წუხელის არ გძინებია თუ?

— ჰო, არ მეძინა... მეც მინდა ლიტერატორობა დავიწყო.

— ხელი რა ნაწილს გინდა მოჰკიდო?

— კრიტიკას, ძმაო, კრიტიკას.

— კარგია?

— ხუმრობა გაშვებით გეუბნები... სრულიად არა გვყავს კრიტიკოსები და უკრიტიკოდ კი არავითარი მწერლობა წინ არ წაიწევს.

— ეგ მართალია, მაგრამ კრიტიკის მწერალს დიდი ნიჭი და გონების გახსნა უნდა...

— ო-ო, მაგას რა ლაპარაკი უნდა!

ამ ლაპარაკის დროს მაქსიმემ ისევ დაიჩოქა ცალ მუხლზედ და მეორეზედ ბატონის ფეხი, რომელიც სტუმრის შემოსვლაზედ ნახევრად წინდა-ჩაუცმელი დარჩა,—დაიდო.

გიორგი რაღაცის თქმას აპირობდა და ისე პირ-ღია დარჩენილმა მასპინძელს გაკვირვებით ყურება დაუწყო.

— ნუ ირჯები, ჩემო მაქსიმე!... რას შვრები?... მე თვითონ ჩავიცვამ.—ტკბილად და მეგობრულად ეუბნებოდა ვალერი.

— ნუ მიწყრები, შენი ჭირიმე!... ნება მომეც გემსახურო!... —ელრიჯებოდა მაქსიმე.

— საკვირველი კაცია!—ვალერიმ გიორგის ღიმილით თავი გადმოუბრუნა და მერე ბიჭს ფეხი გაუშვირა:—აჰა, შენი ნება იყოს.

მაქსიმე ეწვალებოდა, რომ ვიწრო საკოხტაო ჩექმები ბატონისთვის ჩაეცვა, მაგრამ როგორღაც უგვიანდებოდა, რადგანაც ქუსლი ხან აქეთ მოუვიდოდა ხან იქით. ბოლოს, როგორც იყო, ბიჭმა ბატონს წალა მოაწყო, მუხლი თავის გულზედ მიიბჯინა და ისე ძალზედ მისწია, რომ მთლად გაწითლდა.

— უჰ! ფეხი, ფეხი, შე მხეცო!—ვალერიმ თავი ველარ შეიმაგრა, მაგრამ წურბელასავით მოკიდებული მაქსიმე, სანამ არ ჩააცვა, არ მოეშვა.

ჩააცვა, წამოდგა შუბლიდან ოფლის წმენდით და საჩქაროდ გავიდა გარედ.

— ეგ სულელი სად გიშოვნია?—ჰკითხა გიორგიმ და ხელი გაიშვირა მიმავლისკენ.

— სულაც არ არის სულელი!... ეგ ჩემი გლეხ-კაცია, გადამეკიდა წამიყვანე—გემსახურებიო და მეც მეტი ღონე არა მქონდა, უნდა წამომეყვანა... წარმოიდგინე ასე მტანჯავს, მაწვალებს და, თუ წაღები თვითონ არ ჩამაცვა, არ მომეშვება...

— რად აძლევ მაგის ნებას, ვინცა გნახავს, რას იტყვის, რა აზრს შეიდგენს ჩვენს შესახებ?

— რა ვქნა, რომ არ მეშვება?... უარი რომ ვუთხრა, დიდ წყრომად მიიღებს!...

— სწორე გითხრა, სხვის ჩექმების ჩაცმა არა მგონია ვინმე წყალობად მიიღოს...

— შენ არ იცნობ ჩვენს გლეხებს!... მეტადრე ჩემსას; ისე უყვარვარ, რომ რაღა გითხრა.

გიორგი გაჩუმდა, პირისახეზედ უსიამოვნობა შეეტყო და ცოტა ხანს შემდეგ წამოავლო ქუდს ხელი.

— სად მიხვალ, დაიცადე... ეხლავ ყავას მოგვიტანენ.

— არა, გმადლობთ, არა მცალიან.

— სად მიეშურები?

— წარმოდგენას ვაპირობთ და ბილეთები მომანდვეს გასასყიდად.

— კიდევ წარმოდგენა!—უსიამოვნოდ დაიძახა ვალერიმ.— გაგვატყავეთ, სწორედ გაგვატყავეთ მაგ წარმოდგენებით.

— მეც შეგამჩნიეთ გატყავება და სწორედ იმის გამო ალარა გითხარით-რა.

— არა, მე კი ავიღებ ბილეთს, მაგრამ...

— თუ შეგაწუხებს, რა საჭიროა?

— არა, სულაც არა... მომეცით პირველ რიგში ერთი ბილეთი.

გიორგის უნდოდა ეთქვა, რომ პირველ რიგში აღარ დარჩა ბილეთები და ვალერი ამით მოეშორებინა თავიდან,

მაგრამ მერე იფიქრა, ეს ისეთი საქმისთვის არის, რომ მე გარჩევის ნება არა მაქვსო.

— რამდენი გერგებათ?

— სამი მანეთი.

ვალერიმ მისცა ფული, მაგრამ ისევ გაყვლეფაზედ ჩამოაგდო სიტყვა:

— სწორედ, რომ დიდი ფული გვეხარჯება ამ ქართულს თეატრზედ.

— რა გეხარჯებათ, ნეტა ვიცოდე?... თქვენ თვეში სამას მანეთამდინ იღებთ, იძახით შინიდანაც ორასი მომდისო და თვეში თორმეტი მანეთის დახარჯვა გეძნელებათ.

— ეგ ტრუპას და ახლა მოყვარეთ წარმოდგენები?

— ისიც თვეში ორი ვიანგარიშოთ, სულ თხუთმეტი მანეთი... თქვენთვის ლაპარაკადაც არა ღირს... მშვიდობითა ბრძანდებოდეთ.

— არა, როგორ არა ღირს, როგორ...

— ისე, რომ სამს მანეთს დახარჯავთ თეატრზედ და ამოდენს კი ჰყვირით, თითქოს ქვეყნის უბედურება თავს მოგეხვიათ!... მე მიკვირს, თუ აგრე სამწუხაროდა გაქვსთ, რაღას დადიხართ?

— მაშ თავს რითი შეინახდა?... სულ ჩვენით, გარწმუნებ, ჩვენით.

— თქვენით კი არა, ქართული თეატრი შუათანა ხალხით სცხოვრობს და გაზაფხულობით იმერეთი აბრუნებინებს სულს...

ამ სიტყვებთან გიორგიმ გაიხურა კარი და გასვლის უმალ წამოიძახა: „ღმერთო ჩემო! ვინ არის, ან რა არის!?“ ვალერი კი შემობრუნდა და გაჯავრებით წამოიძახა:

— ყოველი სულელი, მაწანწალა უნდა შემოგივარდეს და ფული წაგართვას!... ეი, მაქსიმე!... ვინც უნდა მოვიდეს, სანამ არ დამეკითხები, არ მიიღო!...—ამ სიტყვებით დაასკდა ტახტზედ:—კაცს რომ მოსვენება უნდოდეს, ერთს წუთს არ დააცლიან.

მერე წამოდგა ისევ, აიღო მარის წერილი და რამდენჯერმე გადაიკითხა. მასუკან ისევ მესდგა, დაფიქრდა, რამდენჯერმე ხელი გადისვა კოხტა ულვაშებზედ და მერე წარმოსთქვა:

— უარს მითვლის, თუ მეკეკლუცება?... ამას ხომ ეჭვი არ უნდა, რომ უყვარვარ?...

— ვალერიმ პირი დაიბანა, კბილები რამდენჯერმე ელექსირით გამოირეცხა, თავი დაისველა „ო-დე-სტალით“ და თმების ვარცხნა დაიწყო. ამ დროს მეორე ოთახიდან მოისმა რაღაცა ხმაურობა.

— არ შეიძლება შესვლა, არ შეიძლება!...—იძახდა მაქსიმე:—რომ მომკლათ, მაინც ვერ შეგიშვებთ.

— დამეკარგე-მეთქი, შე ბრიყვო, უზრდელო! — ისმოდა ვიღაცის ხმა:—ეხლავ უნდა ვნახო.

— ვინ არის?—დაუგდო ყური ვალერიმ და მერე ერთბაშად გაბრუნდა კრებისკენ:—ღმერთო, რა სულელია ეს ბიჭი!... მობძანდით, კნიაზო, მობძანდით...—კარების გაღებით შემოიწვია ვიღაცა კაცი და ბიჭს მიუბრუნდა:—რას შვრები, შე სულელო, გამოყეყეჩებულო?

— მე ვეუბნები, შესვლა არ იქნება-მეთქი და ესენი კი მაინც ძალათი მოდიან.—მოეგება კარებში მაქსიმე.

— სულელო, ტვინ-დაბნეულო, დაიკარგე იქით!...—ბატონმა ხელი ჰკრა.

— რა ვქნა, თქვენ არ მიბრძანეთ ნურავის...

— დამეკარგე, დამეკარგე-მეთქი!

მაქსიმე გაბრუნდა ბუზღუნით:

— მე რა, ძე დავიკარგები... თქვენ მიბძანეთ, თორემ მე რა?...

კარებში გამოჩნდა ვიღაცა გასიებული ჩოხიანი კაცი, რომელიც ძლივსღა მოათრევდა მძიმე ტანს დასუსტებულს თუ გასიებულს ფეხებზედ. მისი მოშვებული, შეშუპებული სახე თუმცა აწითლებული იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა სიზარმაცის ბეჭედი და სრული აპატია. დიდი მოხეული ლაში და სქელი ტუჩები ამტკიცებდნენ მის სიმსუნაგეს და გაუმაძღრობას,

თუმცა უკმაყოფილო გამომეტყველება დაგარწმუნებდათ, რომ სურვილს კუჭი აღარ ემორჩილებოდა და არა იშვიათად გულის ამსუყებელ საჭმლებს შემდეგ აკვნესებდა. ეს კაცი იყო თავადი გორჯასპ ძროხა-მჭამლის შვილი, ხანში შესული, როდესღაც სახელ-გავარდნილის ცოლის პატრონი, რომლის მოწყალებითაც ყველას სახლში კარი გაღებული ჰქონდა. გორჯასპს თუმცა ყველანი სულელად სთელიდნენ, მაგრამ სავალალო ტფილისში ისე საქმეს ვერავინ გაარიგებდა, როგორც ეს ბატონი; ამაზედ ადრე ვერავინ გაიგებდა ვერც ნამდვილს ახალ ამბავს და ვერც ჭორს. ერთი სიტყვით, გორჯასპ სასარგებლო კაცი იყო და კეთილის თუ ავის სიტყვის დაძვრა შეეძლო, სადაც საჭირო იყო.

გორჯასპ ვალერისთვის ყველაზედ საჭირო იყო, ის აფასებდა ამ თავადს, რომელსაც იმაზედ არა ერთხელ მიექცია კეთილი თვალი.

— მობრძანდით, კნიაზო... სწორედ დათვია ეგ ჩემი ბიჭი! ვერაფერი გამიგონებია.

— არა, საკვირველია, შენმა მზემ!... მოვდივარ და არ მიშვებს!?

— ნუ გეწყინებათ, ბრიყვია, გაუზდელი გლეხი...—მოიხადა სახლის პატრონმა ბოდიში.—დაბძანდით.

— იიფ!...—ჩამოჯდა რბილს კუშეტკაზედ სტუმარი.—გააგდე ე ბიჭი, თორემ შეგარცხვენს სადმე.

— მეტი ღონე არ არის... ღარიბი გახლდათ, მინდოდა ლუკმა პური შეეჭამა, მაგრამ ეხლა დავრწმუნდი, რომ შეუძლებელია მაგის შენახვა.

— ღარიბი?... გლეხი რა ღარიბია?... საკვირველები ხართ ეს ახალი ხალხი, მამი შენის მზემ!... გლეხები კი არა, ჩვენა ვართ ღარიბები, ჩვენა!... გლეხებს რა უჭირსთ, ისინი საცა იქნება მოჯამაგირედ დადგებიან, იმათთვის სულ ერთია, რაც უნდა ჭამონ, როგორც უნდა იყვნენ... იმათ არც ჩვენოდენა მოთხოვნილება აქვსთ, არც ჩვენოდენა გრძნობა.

— ეგ კი რასაკვირველია, სწორესა ბრძანებთ. პაპიროსს ხომ არ მიირთმევთ? აი, ჩინებული თამბაქოა.—მიუწია პაპიროზები.

— გმადლობთ... ჩვენ სულ სხვა სისხლი გვაქვს...

— ჰეშმარიტება გახლავსთ.

— გონებაც რომ ჩვენისთანა არა აქვსთ?

— რასაკვირველია... აი თუნდა ავიღოთ ჩემი ბიჭი... მე ვუთხარ, თუ ისეთი ვინმე მოვიდეს, არ მიიღო-მეთქი, ხომ მოგეხსენებათ... ეხლა ყოველ გვარი ხალხი დაწანწალებს, ზოგი თეატრის ბილეთიო, ზოგი ისე ითხოვს მოწყალებას... გაგვატყავეს სწორედ!

— ოჰ, თეატრს კი ნუღარა ბრძანებთ!... სწორედ რომ გაგვატყავეს!... ბატონო! ვის შეუძლიან ყოველთვის სამი მანეთის ძლევა?... მოსვენება კი აღარ არის-და!... ეს მეორე წელიწადია, რაც უარი ვსთქვი, ქართულ წარმოდგენაზედ სრულიად აღარ დავდივარ!...

— ძალიან კარგი გინებებიათ.—მოუწონა ვალერიმ.—თქვენს ხარჯთან რაღა ეს გინდათ?

— ხარჯისას კი ნულარ იტყვი!—ჩაიქნია ხელი გორჯასპმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—ხვალ პიკნიკსა ვმართავთ და შრომა შენ უნდა მიიღო.

— ბატონი ბძანდებით, დიდი სიამოვნებით.

— კარგი სადილი კი გააკეთებინე... ქართული საჭმელები. ხომ იცი?... ახალი თევზი, ჩიხირთმა, ფლავი, ტოლმა, სუკები... მხოლოდ ერბო რიგიანი იყოს.

— ძალიან კარგი, მაგრამ სად?

— კრწანისში.

— კარგი იქნება, მაგრამ ცოტა ძვირად ხომ არ დაჯდება?

— ძვირად კი არა. მომეტებული კაცის თავზედ თუნდა ხუთი მანეთი დაგვეხარჯოს, მეტი ხომ არ წავა?

— არა, მეტი არ წავა.

— ხუთი მანეთი რა ბევრია?

— ვინ მოგახსენებს? არაფერი.

— მხოლოდ მუზიკაც უნდა იყოს, აი.

— მუზიკა რაღად გვინდა? აბდულა გვეყოლება, ის იმღერებს.

— ქალებს ტანცაობა უნდათ.

— კაცის თავზედ რა დავუნიშნოთ?

— ოც და ხუთი მანეთი და, თუ გადასჭარბდა, მერე მოვაგროვებთ კიდევ.

— რუსები ხომ არავინ იქნებიან?

— როგორ არა? მართლა, სულ დამავიწყდა, უეჭველად შამფანსკი და ყინული იყოს... მხოლოდ კარგი შამპანსკი კი იყოს, შენ თვითონ იყიდე.

— ბატონი ბძანდებით.

— მაროჟინაც არ დაგავიწყდეს.

— რას მიბრძანებთ!—თითქოს ითაკილა მოგონება.—სადაც ქალები არიან, იქ უმაროჟნოდ, როგორ იქნება!

— მაშ, აი სია და დღესვე შეუდექ მაგ საქმეს.

— ამ წუთშივე,—გამოართვა სია და დაიწყო ნახევარ ხმად კითხვა:—„თავადი ბ., კნეინა დ., კნეინა მ., კნიაჟნა ბ., კნიაზი ხ., გრაფი ჩ., ბატონი ვარდიაშვილი“... ამაზედ შესდგა ვალერი და უკმაყოფილება დაეტყო სახეზედ:—ვარდიაშვილი რაღად გვინდა?

— არ ვიცი, შენ ნუ მომიკვდე, ქალებმა ჩასწერეს.

— რა ჩვენი საზოგადოების კაცია?

— მართლა... ამოშალე.

ვალერიმ წაუსვა ყარანდაში და წამოიძახა:

— სწორე გითხრათ, ბატონი ვარდიაშვილებისა და კიდევ სხვა ბატონებისა მე არა მწამს-რა... არ იქნება, რომ გვარიშვილობამ არ წამოჰკრას!

— სწორეს ამბობ, მამი-შენის მზემ!... სწორედ რომ როცა იქნება გვარიშვილობა წამოჰკრავს.

ვალერიმ ისევ კითხვა გააგძელა და რამდენიმე ბატონი ვარდიაშვილებისთანა, ვისაც გვარი გაბრწყინვებული არა ჰქონდა, ამოშალა.

თავადი გორჯასპ შეინძრა სკამზედ და როგორც ლეშით გამომძღარს ორბს, რამდენჯერმე წამოწევა მოუნდა, სანამ აიმართებოდა.

— მიბძანდებით, კნიაზო? რას მიეჩქარებით?—მიაშურა ვალერიმ, თუმცა გუნებაში ღმერთს ევედრებოდა, რომ გორჯასპ თავიდან მაშორებოდა.

— ჰო, ცოტას გავივლი... მაშ ზეგ ჩინებულად გავატარებთ დროს.

— რასაკვირველია.

— რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი წრე შეგვედგინა და კვირაში ერთხელ გაგვემართა ამისთანა პიკნიკები.

— ჩინებული, თქვენმა მზემ, ჩინებული. არც ბევრი დაგვეხარჯებოდა.

— რასა ბრძანებთ, კაცის თავს ოც და ხუთი მანეთი თავს გადაგვედინებოდა.

— გავმართოთ რა?

— აი, ვუთხრა ჩემს ცოლს, ის მოახერხებს... ნახვამდის.— გავიდა გორჯასპ, ვალერი კი კარებამდის მიცილების შემდეგ გამობრუნდა და ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

— მადლობა ღმერთს, წავიდა!... მაქსიმე, მაქსიმე!...—შემოვიდა ბიჭი.

— ეხლა კი ვინც უნდა მოვიდეს, აღარ მიიღო, უთხარ, რომ შინ არა ვარ.

— წელანაც ეგრე მიბრძანეთ და მერე კი თქვენვე გამიწყერით.

— წადი, გაეთრიე! რასაც გეუბნები, ის აღასრულე.

— მე წავალ, მე განა რა, მაგრამ წელანაც გამიწყერით.

— გადი, გადი-მეთქი.

— აი მივდივარ, მაგრამ წელანაც... დანარჩენი სიტყვების გაგონება კარების მოხურვამ შესწყვიტა.

ვალერი ჩქარის ნაბიჯით დადიოდა თავის ოთახში, იფშვნეტდა ხელებს, ისრესდა შუბლს, იგრეხდა ულვაშებს და ღმერთმა იცის რას არ ჩადიოდა... ხანდისხან შესდგებოდა წაიტუტუ-

ნებდა: „იქნება მართლა უარს მეუბნება?... არა, ეგ არ შეიძლება, ეშმაკობს, კეკლუცობს“.—მერე ერთბაშად წამოიძახა:

— არა, ასეთს მდგომარეობაში ყოფნა არ შემიძლიან!—დაიყვირა:—მაქსიმე, მაქსიმე!

მაქსიმე ის-იყო სკამზედ ჯდებოდა და გუნებაში ფიქრობდა: „მადლობა ღმერთს, ახლა კი დავისვენებ.“ მაგრამ ბატონის ძახილმა ერთბაშად ზეზე წამოაგდო.

— პალტო ჩქარა!—უბძანა ბატონმა.

— პალტო? რომელი პალტო?

— რაღა რომელი, რომელსაც ვიცვამ ხოლმე!—მივარდა ვალერი.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ხან თეთრს პალტოს იცვამთ ხან შავსა.

— თეთრი, თეთრი.

— ეგრე მიბძანეთ, შენი ჭირიმე, თორემ მე რა ვიცი.

— ოჰ, ჩქარა-მეთქი!—მოუთმენლად შეუტია ბატონმა, რომელიც რამდენიმე წუთს შემდეგ ფაიტონში ჯდებოდა.

— კუკიაში, მიხაილოვის ქუჩა!—უბძანა მეფაიტონეს და ცხენები მარდად გაქანდნენ.

მარის სადგურთან, კარების ზარის ჩამოკვრაზედ, გამოვიდა გოგო და შეატყობინა ვალერის, რომ ქალბატონი დიდი ხანია, რაც შინიდან გაბძანდაო.

— სად წაბძანდა?

— რა მოგახსენო... ვილაცა ქალი გიახლათ და იმასთან ერთად წავიდნენ.

— ვინ ქალი იყო?

— არ ვიცი.

— სტყუი... გეცოდინება... მითხარ, ჩემო მაშო, სად წავიდნენ?—თითქმის ხვეწნით გაათავა ვალერიმ.

— არ ვიცი, თორემ მოგახსენებდით.

ვალერი დაფიქრდა და თავში ისევ იმ ფიქრმა გაუელა, რომ მარი მართლა უარს ეუბნებოდა, და დაიბნა.

— უნდა ვნახო, უეჭველად ეხლავ უნდა ვნახო!—წამოიძახა იმან და მიუბრუნდა გოგოს:—შენ მიმალავ, ქალბატონი შინ არის... უთხარ, ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

— რად დავმალავდი, შინ რომ იყვეს? არ გახლავსთ, თქვენმა მზემ.

ვალერი ისევ ჩაფიქრდა და გადაიგრიხა ულვაშები.

— არც ის უთქვამს, როდის დაბრუნდება?

— არა.

— საღამოობით რა დროსა ბრუნდება ხოლმე?

— ხან ადრე და ხან გვიან.

ვალერიმ აღარ იცოდა, რა ეკითხა, თუმცა საკითხავი იმოდენი ჰქონდა, რომ გონება ერეოდა. საზოგადოდ, უარი ყოველ გვარ თხოვნაზედ ყველასთვის უსიამოვნოა და ვალერისთანა თავ-მოყვარე კაცისათვის ხომ თითქმის გასაგიჟებელი იყო. მარის წიგნმა პირველში შეაშინა; ცოტა დაფიქრების შემდეგ, კაცთ მინიჭებულ საერთო ჩვეულებით თავის სასარგებლოდ აღსნა და წერილში უფრო თანხმობა დაინახა, სანამ უარი. ეხლა კი ისევ დარწმუნდა, რომ ნამდვილად უარს ეუბნებიან და თავ-მოყვარეობა სულს ართმევდა.

„არ უყვარვარ?“ მეასედ გაურბინა კითხვამ თავში: „მაშ თუ არ უყვარვარ, გუშინ რა იყო, რა მოუვიდა?.. მაშ რას მივაწერო იმისი საქციელი?... ერთბაშად გაწითლება, როდესაც ჩემთან ლაპარაკობს, თვალების გაბრწყინება და სხვა!“

ვალერი კიდევ დადგა რაოდენიმე ხანს, რაღაცა წაიდუდუნა, რამდენჯერმე ჩაახველა და მერე უთხრა გოგოს:

— საღამოზედ კიდევ მოვალ. მოახსენე ქალბატონს, რომ ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

ამ სიტყვებით ვალერი გაბრუნდა, ჩაჯდა ფაიტონში და გასწია მუშტაიდისკენ, იმ ტფილისის მარტო ერთად-ერთს ადგილისკენ, სადაც კაცს ცოტაოდნად თავისუფლად ამოსუნთქვა შეუძლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

არც ამ დღეს, არც ამ კვირია, ვალერის მარი არ უნახავს, რადგანაც, როდესაც მივიდოდა, ქალი ან შინ არ დაუხვდებოდა და ან ეძინა.

ვალერი ჩაფიქრდა, ჩამოდნა და, რამდენიც დღე მიდიოდა, იმდენად მეტად უნდებოდა მარის ნახვა, იმდენად უცოცხლდებოდა მასთან შეკავშირების წადილი.

მარიც არ დარჩა უგრძნობლად; იმისთვისაც ძნელი იყო საყვარლის ასე საჩქაროდ დაშორების ატანა, მაგრამ გადასწყვიტა, რომ მტკივანს ადგილს ერთბაშად უნდა მოჭრაო და იმანაც ერთბაშად გადაუსო დანა.

ნადო თითქმის თავიდან არა შორდებოდა თავის მეგობარს და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა გაერთო როგორმე და დრო არ მიეცა, რომ სანატრელს საგანს დაჰკვირვებოდა. მაგრამ რა ძალას შეუძლიან შეაყენოს იმ საგანზედ ფიქრი, რომელიც კაცს გულში ჩასახია, ჩამდგარა და მთელი არსების პატრონად შექნილა... მთელი ღამეები ძილ-გამფრთხალი მარი ფიქრობდა განუწყვეტლივ, და მისვე უნებურად, მისთვის მოულოდნელად ერთბაშად თვალ-წინ ვალერის სურათი განუცხოვლდებოდა მის აზრს და ანგარიშ-მიუცემლად ვინ იცის რას არ აოცნებინებდა.

მარის ყველაზედ მომეტებულად ვალერისთან შეხვედრისა ეშინოდა, რადგანაც მის ლაპარაკს, თვალებს, შეხედვას, რაღაცა განსაკუთრებითი მოქმედება ჰქონდა მარიზედ და ამისთვის ნატრულობდა, რომ მამა ჩქარა ჩამოსულიყო და სოფელში წასულიყვნენ.

მარი აღარსად გამოდიოდა, აღარავისთან დადიოდა და პირველში ყველას უკვირდა მისი მოქმედება, მაგრამ შემდეგში გავრცელდა ხმა, რომ მარი კურსებზედ მიდის და ემზადება, სწავლობსო. ამისთვის გასაკვირველად არავის მიაჩნდა მარის შინ ყოფნა და არც არავის საჭოროდ გაუხდა.

ამ დროს მარი და ნადო მთელს საღამოებს შინ ისხდნენ ხოლმე, ერთად მუშაობდნენ და სწავლობდნენ, რადგანაც ნადომაც გადასწყვიტა, უეჭველად კურსებზედ წასულიყო.

ერთს ამგვარ საღამოს, ამ ორი მეგობრის ლაპარაკი შეეხო მათ მომავალს ცხოვრებას; შეეხო პეტერბურგს, გატაცებით ოცნებობდნენ სიცოცხლით სავსე ყმაწვილ-კაცთ ყრილობებზედ, მათ ცხოვრებაზე,—ერთს იმგვარ ცხოვრებაზე, რომელსაც ყველას გული ერთის საგნით არის გატაცებული, რომელსაც ცხოვრების ჟანგი ჯერ არ შეხებოდა, უმანკო გრძნობა გაუმაძღარ სვავად არ გადაჰქცეოდათ. ორნივ ნატრობდნენ ამ გახურებულს, სიცოცხლით სავსე მღელვარე ცხოვრებაში მალე ჩარევას და მონაწილეობის მიღებას.

ღამეს კარგად გაევლო, მაგრამ ოცნებას ისინი ისე გაეტაცა, რომ ძილიც კი გადავიწყებოდათ. ამ დროს მოისმა ზარის წკრიალი და ორივე ქალი შეკრთა.

— ვინ იქნება ასე გვიან?—წამოიძახეს ორთავ თითქმის ერთად.

მოსამსახურეს ეძინა და მარი კი იმას კაკობრიულად ეპყრობოდა; ამის მიზეზით იმან გადასწყვიტა თვითონ გაეღო კარი, მაგრამ, სანამ ამას აასრულებდა, უნდოდა ბალკონიდან დაენახა და გაეგო, თუ ვინ მოვიდა. გარედ ძალიან ბნელოდა, რადგანაც ცა მოღრუბლული იყო და ის თითო-ოროლა ფარანი, რომელიც აქა-იქ აებჟუტებინათ თავიანთ დანიშნულებას ვერარ ასრულებდნენ. ბნელაში ძლივს გაარჩია ვიღაცა ნაბადში გახვეული კაცი, რომელიც მეფაიტონეს უსწორდებოდა. უცნობმა ზევით აიხედა, ბალკონზედ მდგარი ქალი შეამჩნია და დაუძახა:

— თუ უკაცრავად არ ვიქნები, მიბძანეთ, გალეგაშვილის სახლები ეს გახლავს?

— მამა!—დაიძახა მარიმ და სიხარულით გაექანა კიბისკენ. მარი ისეთი სიჩქარით ჩარბოდა კიბეზედ, რომ სამ-სამ საფეხურს ერთად ჩახტოდა და როდესაც ჩაათავა, კედელი რომ არ დახვედროდა, რომელსაც ძალზედ მიაწყდა, უეჭველად წაიქცეოდა.

ქალმა საჩქაროდ გააღო კარები და ყელზედ ჩამოეკიდა მოხუცს. გორჯასპს, დიდი ხანი იყო, რაც თავის ქალი არ ენახა და ეხლა ხედავდა კურს-შესრულებულს, გაზრდილს და მამის გული სიხარულით თრთოდა! თავისი თავი მიაჩნდა უბედნიერეს კაცად და ცხოვრების მიზანს მიხწეულს.

მართლადაც, მეტი რაღა უნდოდა? თავ-მოყვარეობის, მხოლოდ თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჰყოფნიდა მისის ნაშობისგან გემნაზიის გათავება, სხვა არაეითარს სარგებელს სწავლაში არ ხედავდა. და დანარჩენი წადილი კი იყო თავისი ქალის გაზდა და კარგად მყოფობა, რომ ამის გათხოვებაზედ ზრუნვის შემთხვევა მისცემოდა. ყველა ეს აუსრულდა გორჯასპს, ყველაფერი მოეწყო, ის იყო სრული ბედნიერი. მართალია, კიდევ ერთი სურვილი ჰქონდა, მას უნდოდა ენახა თავის ტომობის გაგრძელება, რომ მათი ხსენები ქვეყანაზედ არ გაწყვეტილიყო და ენახა მარის შვილები, მაგრამ ეს წადილი თავის-თავად უნდა ასრულებულიყო, რადგანაც მარი კარგად მყოფი იყო და მიზეზი არ ჰქონდა უშვილოდ დარჩენილიყო.

მამა და ქალი ავიდნენ ოთახებში, სადაც მარიმ თავის მეგობარი გააცნო.

— დარწმუნებული ვარ, ნადო, რომ მამას დაუმეგობრდები. ეს სხვა მამებს კი არა ჰგავს, იმ მამებს, რომელთაც უეჭველად თავის სიტყვის გაყვანა სურთ და მთელს სახლობას თავის მონად ხდიან... ეს ყოველ თხოვნას გვისრულებს, ყველაფერში გვეთანხმება!—ამ სიტყვებით მიეალერსა მამას, რომელსაც ამ ქებით პირი უფრო მეტად გაუბრწყინდა.

— ეგ სიტყვები თქვენი ქალისგან პირველად არ მესმის და გულით მოხარული ვარ, რომ თქვენის გაცნობის შემთხვევა მომეცა.

— მეც მოხარული ვარ, თქვენმა მზემ... ჩემი ქალის მეგობრები მეც შვილსავით მიყვარს.

— პური გეშიება, მამავ?... ბევრი კი არა გვაქვს-რა, მაგრამ გიშოვით რასმე.

— არა, მარიკო, არა მშიან, ნუ შესწუხდები.

— უეჭველია გეშიება, ჯერ ჩვენც არა გვიჭამია-რა,—უთხრა მამას და მიუბრუნდა გოგოს, რომელსაც ხმაურობაზედ გამოღვიძებოდა და იქვე შემოსულიყო.—გვაქვს რამე?

— ყველი, ძეხვი და პური გახლავს.

— მაშ თუ აგრეა, ე ხურჯინი გაახსნევინე, დედა-შენმა რაღაცეები გამოგიგზავნა.

მოხსნეს ხურჯინს პირი და ამოალაგეს ნაზუქები, ქადა, ფალუსტაკი, რომელმაც ისე გაახარა ყმაწვილი ქალები. მეორე თვლიდანაც ამოალაგეს ნაზუქი, ინდოურები, ქათმები, კვერცხები და პატარა კოჭობი კარაქით გავსებული. ერთს სალფეთქში გამოკრული იყო გორჯასპის საგზალი და პატარა ტიკჭორით ღვინო, რომელიც უწინდელ დროში აუცილებელი იყო ყველა მგზავრი მებატონისთვის და ეხლა კი მარტო რამდენიმე კაცის საჭიროებად-ღა დარჩენილა.

გაშალეს სუფრა და გამართეს ვახშამი.

— ხილი კი არ ჩამოგვიტანე?—ჰკითხა ქალმა.

— დედა შენი ძალიან კი გამომიშვებდა, რომ ხილი არ გამოეტანებინა? ორი გოდორი გამომატანა, რკინის გზის სტანციაზედ არის.

სამნივ დასხდნენ და შეექცნენ ვახშამს. ყველანი მხიარულად იყვნენ, ყველამ იმოდენი დალია ღვინო, რომ ქეიფზედ მოსულიყო და უფრო მომეტებულად გამხიარულებულიყო. ვახშმის დროს სწრაფი ლაპარაკი ყოველგვარ საგანს ეხებოდა და ყველა წრფელის გულით ხარხარებდა. ერთბაშად გორჯასპ შეეხო ქალის პეტერბურგში გასტუმრებას და საერთო სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი გაინაბნენ.

— მართლა, მარიკო! შენ რომ გვწერდი პეტერბურგში უნდა წავიდეო?

— მერე რა, რომ გწერდით?—ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა ქალმა.

— კიდევა ფიქრობ?—მამამ პირდაპირ ჰკითხა.

მარი გაჩუმდა და თვალები დახარა. ნადოც კი, რომელიც ყველაზედ მეტს ლაპარაკობდა, დაწყნარდა და სიტყვა ველარ

მოეხერხებინა. მამამ უსიამოვნოდ შეიჭმუხვნა წარბები და კითხვა გაიმეორა.

— ვფიქრობ,—წყნარად უპასუხა ქალმა.

გორჯასპმა, როგორღაც ყრუდ ჩაიცინა და ეს ხმა ზარივით გაისმა ქალების ყურებში. წელან ტკბილი და სასიამოვნო სახე, ახლა უსიამოვნო ხაზებით დაისახა.

— რას იცინით?—შეხედა მარიმ.

— რას ვიცინი? იმას, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ.

— რად ვიქნები ბავშვი?—იწყინა მარიმ.

— იმიტომ, რომ ბავშვურად დაგიჩემებია... რაო, ბებიად უნდა გამოხვიდე?... იუფ, ფიუ, ფიუ!... დამიხედეთ თავადისშვილის ქალს, რომელსაც საბებიოდ აქეთ-იქით დაათრევენ... რად მინდა შენი ბებიობა.... რა შენი საქმეა?... განა მატუშკა ხარ?

მოხუცის ხმა და კილო სრულიად შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ ის სულაც ისეთი გულჩვილი არ ყოფილა, როგორადაც მარიმ წარმოადგინა.

— მე ბებიობის სასწავლებლად არ მივდივარ.

— სულ ერთია, რისთვისაც უნდა მიდიოდე!—ერთბაშად გააწყვეტინა მამამ, რომელსაც ნასვამობაც დაეტყო.

— როგორ სულ ერთია...—დაიწყო მარიმ, მაგრამ მამამ გააწყვეტინა.

— სულ ერთია-მეთქი!... რისთვისაც უნდა მიდიოდე, მე გვარს არ შეგარცხვენინებ, არ გაგიშვებ.

ჩამოვარდა უსიამოვნო სიჩუმე. ქადაც კი გადაავიწყდათ.

— გესმის, არ გაგიშვებ-მეთქი!

მარიმ შეხედა მამას და შეამჩნივა, რომ ღვინო მოჰკიდებოდა და გაჩუმდა.

— გესმის, არ გაგიშვებ-მეთქი!...

— კარგი, მამავ, კარგი!... ხვალ ვილაპარაკოთ.

— ხვალ რაღა გგონია?... იქნება დამთვრალი გგონივარ?... ყველაფერს აღგისრულებ, ყველაფერს, რასაც კი მეტყვი, მაგრ მ იმას კი არავის ვათქმევინებ—შვილი რუსეთში გაეჭრაო... გესმის, არ ვათქმევინებ-მეთქი, მტერს არ გავაცინებ ჩემზედ.

— ვინ გეუბნება!—აიმაღლა მარიმაც ხმა, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა.—რა დროს ეგ არის, მამავ, განა მაგაზედ ლაპარაკს ველარ მოვესწრობით.

— მოსწრობით კი მოვესწრობით, მაგრამ მინდოდა დღესვე გცოდნოდა, რომ არ გაგიშვებ...—არა, მამიშენის მზეს!—მიუბრუნდა ნადოს.—მართალს არ ვეუბნები?... რიგიანი გასათხოვარი ქალი ვინ გაიჭრება რუსეთში?

— რატომ, ბატონო...

— იმიტომ, რომ არ შეჰფერის... თქვენ რატომ არ მიდიხართ?

— მე... მე... მეც გიახლებით!—უპასუხა ნადომ, რომელსაც ეშინოდა, რომ ნასვამს მეტად არ გაელანძღა.

— თქვენცა?—გაიკვირვა მოხუცმა.

— დიაღ.

— ცუდსა შვრებით!—ერთბაშად მოუჭრა მოხუცმა. ნადომ შეხედა და აინთო.

— მე რჩევას არა გკითხავთ,—ველარ მოითმინა ქალმა.

— რადა ჯავრობ, ქალო... მართალს გეუბნები... არ გეკადრებათ, არა!—წარმოსთქვა გორჯასპმა და ხმაში მოლბობა დაეტყო.

დიდმა ხანმა აღარ გაიარა, როდესაც გორჯასპ თავის ოთახში ხვრინავდა და ნადო კი თავის მეგობარს ეუბნებოდა:

— ძალიან რბილი ხასიათის მამა გყოლია, სწორე გითხრა! რაზედ გამლანძღა?

— სულაც არ გაულანძღავხარ, შენმა გაზდამ... თუ ორიოდე სიტყვა მეტი სთქვა, ნასვამობით მიუვიდა,—თავს მართლულობდა მარი და სთხოვდა მეგობარს არა სწყენოდა.

— მე არა მწყინს, მარი, არც ვჯავრობ, მაგრამ ის მაწუხებს, რომ მგონი შენს წასვლაზედ ვერ დავიყაბულოთ.

— მაგასა ვნახავთ,—დარწმუნებით წარმოსთქვა მარიმ და დახუჭა თვალები.

IX

მეორე დღეს გორჯასპმა მარის გამოუცხადა, რომ მოემზადებულიყო, რადგანაც ამ სამის დღის შემდეგ სოფელში უნდა წაეყვანა. მისცა რაოდენიმე ფული და თვითონ ნათესავების სანახავად წავიდა.

ქალებმა გადაწყვიტეს, რომ გორჯასპთან აქ ლაპარაკი ამაო იქნებოდა და ამისათვის მარი სოფელში უნდა წასულიყო, ენახა დედა და ის მოემხრო; იმის დაყაბულება უფრო ეადვილებოდა, რადგანაც დედაკაცი ჭეშმარიტებას გრძნობით უფრო ხშირად მიაღწევს ხოლმე, სანამ კაცი თავისის ჭკუით და მოაზრებით. მაგის გარედ მარის დედას ქმარზედ ისეთი გავლენა ჰქონდა, რასაც მოიწადინებდა, იმას აქნევინებდა.

ამ ხნის განმავლობაში, მეგობართ შუა, ვალერიზედ ლაპარაკი სრულიად არ ჰქონიათ და რაწამს, ლაპარაკის საგანი იმას მიაღწევდა, ორნივ სიფთხილით ცდილობდნენ თავიდან აეცდინათ.

მარის თითქმის გადაავიწყდა იმ კაცის სახელი, რომელზედაც ლაპარაკი ისე ასიამოვნებდა და რომლის ხსენებაც ტანში ჟრიამულს გაუტარებდა ხოლმე.

მეგობრები სავაჭროდ წავიდნენ და გზაში ლაპარაკი ისევ მამის თანხმობას შეეხო.

— მარი, დედა-შენიც რომ ვერ დააჯეროო, მერე რაღასა იქ?

— იმედი მაქვს, რომ ეგ არ მოხდება. მაინც და მაინც თუ ვერ დავიყაბულე, სადმე მასწავლებლად დავდგები, ვიმუშავებ იქამდინ, სანამ საჭირო ფულებს ვიშოვნი, და წამოვალ რუსეთში.

ნადომ სიამოვნებით შეხედა, რადგანაც ასეთმა თავ-განწირულმა გადაწყვეტილებამ აღტაცებაში მოიყვანა.

— მარი... მე ბევრი არ მექნება... სულ ოთხი თუმნის მეტს ვერ დავხარჯავ თვეში, თუ წამოსვლა მოახერხე, შუაზედ გავიყოთ.

მარი თაეის მეგობარზედ ბევრით მდიდარი იყო და ნადოს სიტყვები კიდეც უამა და ლახვრადაც მოხვდა გულში. იმაზედ ღარიბი უკანასკნელ ლუკმას შუაზედ უყოფდა, მაშინ, როდესაც მარისთავის საცხოვრებელი თავის სწავლაზედაც ვერ დაეხარჯა.

— გმადლობ,— მოკლედ უპასუხა იმან.—ან ჩემი დედ-მამა მომცემს საშუალებას სწავლა შევასრულო და ან მე თვითონ ვიშოვნი ამ საშუალებას. ჩემის შრომით...

— ჩემი სიტყვები გეწყინა?

— არა... კი არ მეწყინა, უპატიოსნებადა ვსთვლი მეტ ბარგად აგეკიდო, გაგძარცვო.

ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც გორჯასპ მივიდა სწორედ იმ სახლთან, სადაც ვალერი იდგა და მისავალ კარებთან ჩამოჰკრა ზარი.

— ვინ გნებავთ? — იკითხა და აათვალიერ-ჩააათვალიერა გორჯასპი ბიჭმა, რადგანაც ამგვარ სტუმრების ნახვას ჩვეული არ იყო.

— აქ ჩემი მამიდა-შვილი დგას.

— თქვენი მამიდა-შვილი ვინ არის?... ეზოში თუ დგას.

— რას მიჰქარავ, ეს სახლები იმათი არ არის?

— აქ თავადი ხელგძელაძე დგას, იმის სახლია.

— გიჟია ეს ვიღაცა ოხერია? — წამოიძახა გაჯავრებით გორჯასპმა.—მეც მაგათა ვკითხულობ!

როცა იქნა, მოხუცებულს საშუალება მიეცა შესულიყო. პირველსავე ფეხის შედგმაზედ თავადისშვილს გალაქულს და გაკრიალებულს პარკეტზედ ფეხი მოუსხლტა და ძლივს-ღა შეიმაგრა თავი.

— დასწყევლოს ღმერთმა! ყინულსავით არ გალიპულა!— წამოიძახა იმან და გაფრთხილდა.

გაიარა დიდი და განიერი ზალა, შევიდა მოწყობილს ოთახში და იქ რბილს კუშეტკაზედ მიწოლილი თავისი ნათესავი მაიკო დაინახა.

კნეინა მაიკო თუმცა ხანში შესული იყო და თაეის ძველი სილამაზე დაეკარგა, მაგრამ მაინც კეკლუცობდა, მანჭიაპრანჭიაობდა და ყმაწვილობდა.

— კნეინა მაიკო!— დაიძახა გორჯასპმა და მოჰხვია ხელები თეთრს, სუფთად გარეცხილს და ცოტათი გახამებულს ჟუკონეთის პენურს.

მაიკო უსიამოვნობის ნიშნად დაიღმიჯა, მაგრამ ვერ მოახერხა ნათესავის გულწრფელს მისალმებაზედ პასუხი არ მიეცა.

ისინი დასხდნენ და დაიწყეს ლაპარაკი უწინდელ დროზედ, როდესაც მაიკო და გორჯასპ სოფელში ერთად დარბოდნენ, დროებას ატარებდნენ და უერთმანეთოდ ლობიოსაც კი არა სჭამდნენ.

გორჯასპმა ამ ლაპარაკში საკვირველი მახსოვრობის ნიჭი გამოიჩინა და ყოველ წვრილმანს შემთხვევასაც კი იგონებდა, მაიკოს კი დავიწყებოდა და ყმაწვილობის მოგონებით წამ და უწუმ წითლდებოდა და წამოიძახებდა: „როდის, ყმაწვილო? სადა?... უცნაური ხარ!“ და სხვ.

— შენმა ქალმა გაათავა გიმნაზია; მითხრეს, ჩინებულად სწავლობდაო.—დაიწყო მაიკომ.

— დიაღ,—გაათავა.

— ჩემთან ხომ არ გაივლის,—თითქოს უსაყვედურა სახლის პატრონმა.—მაგრამ რა ვუყოთ, ეს ახალი ხალხი სულ ეგრე არიან.

— ძალიან დაუშავებია, შენმა მზემ, ჩემო დაო! თქვენთანაც რომ არ იაროს, მაშ ვისთან-ღა უნდა წავიდეს!

— რა ვიცი, გენაცვალე, სხვების შვილები დადიან და ეგ უფრო ჩემი სისხლი და ხორცი არ არის?

— უთუოდ თქვენს შეწუხებას ვერა ბედავდა,—სცადა მამამ გაემართლებინა მარი.

— არა, შენმა სიცოცხლემ, — გააწყვეტინა მაიკომ.—ეხლანდელი ხალხი სულ ეგრეა, სულ თავის ჭკუით უნდათ იცხოვრონ.

— არა, მაიკო, ჩემი ქალი მაგას როგორ გაბედავს.

— ამას წინად, ჯერ გიმნაზია არ გაეთავებინა, აქ მოვიდა... მე მითხრეს, რუსეთში ბებიობის სასწავლებლად აპირობს წა-

სვლასაო... რასაკვირველია, მეწყინა და საყვედური ვუთხარ... მას აქეთ, ყმაწვილო, აღარ მოუხედნია ჩვენკენ.

— რასა ბძანებთ!... მერე ვინ გაუშვებს?

— მე ასე მითხრეს, ვითომც თქვენ ნება კიდეც მიგიციათ.

— შენც არ მომიკვდე!... ჩემს შვილს ჩემი ხელით გამოვჭრიდი ყელსა?... მაგის ნებას როგორ მივცემდი.

— მეც არ გამიკვირდა!—წარმოსთქვა კნეინამ და დაუმატა:—მაინც წასვლას აპირობს თურმე და ხუმრობა არ არის, არ დასთანხმდე.

— აი, შენ არ მომიკვდე!... მაგაზედ როგორ დავსთანხმდები?

— მერე უნდა იცოდე, რა რიგად ირყვნებიან თურმე...

— მა რა იქნება, შენი ჭირიმე, უპატრონოდ ყმიწვილი ლამაზი ქალი...

— იმდენს ყმაწვილ-კაცებში!... მემრე ვინ გინდა რომ ვისი შვილი იქ არ იყოს?... ალია და მუსია სულ შიგ თურმე ირევიან... ქალები და კაცები ერთადა სცხოვრობენ, ერთადა სწვებიან და დგებიან.

— ფუ, მაგათ განათლებას!—გადააფურთხა მოხუცმა.

ამ დროს გაიღო კარები და ოთახში ვალერი შემოვიდა, მივიდა კნეინასთან მარდად, აკოცა ხელზედ და სტუმარსაც თავი დაუკრა.

— ძალიან კაი დროს მოხვედრ, ვალერი... ეს კნიაზი გორჯასპ ბძანდება, თქვენი მოწაფის მამა...

— ახ, კნიაჟნა მარის მამა?!—ჩამოართვა ხელი.—ძალიან სასიამოვნო გახლავს თქვენი გაცნობა.

— ესენი თქვენი ქალის მასწავლებელი იყო,—გააცნო ვალერი გორჯასპს.

— ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

— აი, კნიაზო ვალერი,—დაიწყო კნეინამ:—ჩვენა ვლაპარაკობდით პეტერბურგზედ, თქვენ იქ ნამყოფი ბძანდებით, ერთი იქაური ამბავი გვიამბეთ... შეიძლება რიგიანი ქალის გაგზავნა?

— უთუოდ კნიაჟნა მარის გამზადებამ აღძრა ეგ ლაპარაკი,—ღიმილით წარმოსთქვა ვალერიმ.

— როგორ თუ გამზადებამ?—შერცხვა გორჯასპს.—ჩემი ქალი არსად მიდის.

— ესე იგი ემზადებოდა,— გაასწორა მასწავლებელმა.

— ჰო, ისე... ისე, როგორც ბავშვი, ლაპარაკობდა, თორემ....

— ნეტა ვიცოდე, ეგ სისულელე თავში ვინ ჩაუდო?—წარმოსთქვა კნეინამ.

— ეხლა, ბატონო, ყოველი გვარი ხალხი იპოვება... ისეთებიც იპოვებიან, რომელთაც ქალის და კაცის გასწორება უნდათ,—ღიმილით დაუმატა ვალერიმ.

— რასა ბძანებთ!... ჯერ მთა და ბარი არ გასწორებულა და ხალხი როგორ გათანასწორდება?

— ქალს ქალობა უნდა ეტყობოდეს და კაცს კაცობა,— დაუმატა კნეინამ და გადალულა თვალები.—ქალს კაცის ოდნობა საიდან შეუძლიან?

— მართალსა ბძანებთ... თვით ბუნებისგანვე ქალი ისეთი სუსტი აგებულებაა, რომ მისი კეთილდღეობა უეჭველად კაცის მზრუნველობაზედ უნდა იყვეს მივარდნილი,—უპასუხა მასწავლებელმა და გადავიდა პეტერბურგის სტუდენტკების ცხორებაზედ.

ჯერ ყველაზედ უწინ დაიწყო იმათ გარყვნილებით და ხასიათის გაფუჭებით, მემრე გადავიდა საზოგადოდ ქალის დანიშნულებაზედ და ამტკიცებდა, რომ საზოგადოდ იმათთვის ყოველი სწავლა მეტი არის, რადგანაც ამგვარი შრომა ასუსტებს, ავადა ხდის და ართმევს იმათ ქალის დანიშნულებას... ვალერის სიტყვით, სწავლით ქალი არამც თუ თავის დანიშნულებას ცხოვრებაში ჰკარგავდა, არამედ კარგა მყოფი შვილების დაბადება და აღზრდაც ეელარ შეეძლო. იმან ხმა არ ამოიღო იმ შემთხვევაზედ, თუ ქალებს სწავლაში რა აბრკოლებდა, რა უშლიდა ხელს და პირდაპირ მოჰყვანდა სწავლის შედეგი. მთელს ისტორიაში ვერ პოულობდა ვერც ერთს გამოჩენილს ქალს,

რომელსაც შექსპირის სახელი დაეგდო და ამის მიზეზს კი აღარ უყურებდა. აქედან, იმის სიტყვით, აშკარა შედეგი გამოდიოდა, რომ თვით ბუნებას ქალი ისე გაუჩენია, რომ ის მამაკაცისთვის მისაწდომს განათლებას ვერ მიაღწევდა.

მერე გადავიდა ქალის იდეალის დახატვაზე და, გორჯასპის სასიამოვნოდ, წინ გადუშალა პრუდონის მთელი თეორია, სადაც ქალი ყოველს უფლებას უნდა იყოს მოკლებული და სამზარეულოს იქით აღარა ეკითხებოდეს-რა. დანარჩენი კაცის მზრუნველობაზედ უნდა ყოფილიყო, რადგანაც, ვალერის სიტყვებით, მამა-კაცი სახლის უფალი უნდა იყვეს.

ვალერის კარგად ესმოდა, რომ თუ მარი რუსეთში წავიდა, მიიღო განათლება, გამოიცადა, ხალხი ნახა, მაშინ ვალერი სამუდამოდ უნდა გამოსალმებიყო მის შერთვის იმედს და ამისთვის ყოველის ღონისძიებით ცდილობდა გორჯასპ ისე მოემართა, რომ მარი არ გაეშვა.

სრულიად სხვა მიზეზების ხელმძღვანელობით კნეინაც ვალერის ხელს უწყობდა და მამა კი უიმათოდაც დარწმუნებული იყო, რომ მარის რუსეთში წასვლა მთელი გვარეულობისთვის თავ-მოსაჭრელი შემთხვევა იქნებოდა.

ვალერიმ ლაპარაკი დააბოლოვა თხოვნით, რომ გორჯასპს ქალისთვის არ შეეტყობინა მისგან წარმოთქმული აზრი, რადგანაც ამ ხმის გავრცელებით მოსწავლეთ მასწავლებლის რწმუნება და ნდობა აღარ ექნებოდათ.

ამით გათავდა იმათი შეყრა და ყველანი განშორდნენ. მხოლოდ, როდესაც ვალერი ტანთ იცვამდა, ბიჭი წამოეწია და უთხრა, რომ კნეინა ერთის წუთით გეძახისო, და ვალერი ისევ შებრუნდა.

— დღეს თეატრში არ წამოხვალ?—ჰკითხა კნეინამ.

— რომელ თეატრში?

— რაღა რომელ თეატრში, რუსულში.

— დღეს ქართული წარმოდგენაც გახლავთ და იქა მაქვს ბილეთი.

— გააჭირა საქმე ამ ქართულმა წარმოდგენებმა!—უკმაყოფილოდ დაიძახა კნეინამ.

— სწორედ, რომ გააჭირა,—დაემოწმა ვალერი.

— მაგის გარედ, გაგვატყავეს, ბატონო.

— ოჰ, მაგას კი ნუღარა ბძანებ!—წარმოსთქვა ვალერიმ და დაუმატა:—მოდით, თქვენც ქართულ წარმოდგენაზედ წამობრძანდით.

— მე მაგ სისულელეზედ არ დავდივარ... ჩვენთან წამოდით.

ვალერი ჩაფიქრდა, იმას იმედი ჰქონდა, რომ მარი დღეს ქართულ წარმოდგენაზედ იქნებოდა და იმის ნახვა კი უეჭველად უნდოდა. მაგრამ არც კნეინას წყენინება უნდოდა, რადგანაც იმის სახლში თითქმის მუქთად იდგა და ბევრს რამეში გამოდგომაც შეეძლო.

— რამდენასმე წარმოდგენაზედ არ გხლებივართ და, თუ დღესაც არ წაველ, შემჭამენ სწორედ.

— ფული ხომ მიეცით, სხვა რაღა უნდათ?

— ფული კი მივეცი, მაგრამ დღეს უთუოდ უნდა წავიდე, დავენახვო ჩვენს ყმაწვილ-კაცებს.

— უთუოდ რომელსამე აქტრისას ეარშიყები!... მიფთხილდი, თორემ...—აღარ გაათავა კნეინამ და მუქარის ნიშნად თითი დაუქნია.

— რას მიბრძანებთ!.. მაშ აი რა ვქნათ: თქვენ მიგიყვანთ რუსულ თეატრში და მე ქართულ წარმოდგენაზედ წავალ.

— არა, ეგ რა საჭიროა... ხვალ წამოდი ჩემთან, მე ხომ აბონიმენტი მაქვს?

— ვიცი, ბატონო... მაშ ხვალამდის?

— ხვალამდის.

ამ სიტყვებით ისინიც გაშორდნენ; ვალერი შევიდა თავის ოთახში, რომ კარგა მოეაზრა, თუ რა ეთქვა მარისთვის და კნეინა კი ზარმაცად ისევ კუშეტკაზედ მიწვა, რომ რამდენჯერმე დაეწყევლა „უსარგებლო და საზიზღარი“ ქართული

წარმოდგენები, რომელიც ამ საღამოს სასიამოვნო ვალერის სტაცებდა.

X

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც არწრუნის თეატრი მთლად გაჩაღებული იყო. კასაში ბილეთები ცოტა-ღა რჩებოდა, რადგანაც რაღაც ახალ პიესას თამაშობდნენ. უკანასკნელის რიგების და გალერეიას ბილეთები დილიდანვე აღარ იყო, რადგანაც ქართული თეატრის არსებობის ბურჯი, წვრილი ჩინოვნიკობა, ვაჭრები და დაბალი ხალხი,—ერთმანეთის შორის ყიდულობდნენ ბილეთებს.

იქვე კასასთან რამდენიმე კინტო იდგა და კასირს ეხვეწებოდნენ ფეხზედ დგომით მაინც შეეშოთ, მაგრამ, რადგანაც კასირმა ნება არ მისცა, იმათ ოროლ-მანეთიანი ბილეთები აიღეს.

ეს ხალხი, გროშის მოანგარიშე ხალხი, ყოველ წარმოდგენაზედ დადიოდა, გულით სიამოვნებდა, მაგრამ მათგან თავის დღეში ვერ გაიგონებდით კნეინა მაიკოსაგან წარმოთქმულს სიტყვებს, რომელიც არც დადიოდა და საქვეყნოდ კი ყვიროდა: „გაგვყვლიფეს, გაგვატყავესო!“

წარმოდგენა ჯერ არ დაწყებულიყო და ამისთვის ხალხი გალერეიაში გაფანტულიყო. ერთბაშად მოისმა ზარის ხმა, რომელიც ძალზედ დაწკრიალდა და წუთში ხალხი შეიკრიბა თეატრში.

გაათავა მუსიკამ და აიხადა ფარდა. ყველას თვალები სცენამ მიიპყრო. ყველაზედ უმეტესის გატაცებით ერთი მოხუცი უყურებდა და პირზედ რაღაცა გაოცება დაჰხატოდა. ხედავდა ნამდვილს გლეხს, ჩინოვნიკს, დიანბეგს და ცხოვრების წარსული სურათები თვალ-წინ ეხატებოდა. ეს გახლდათ გორჯასპ, რომელიც პირველად იყო ქართულს წარმოდგენაზედ და რომელსაც თავის ცხოვრების სურათი, ყოველივე წვრილმანის ხაზით და ფერით სცენაზე გადაეტანა. ყველა, ვინც კი სცენაზედ გა-

მოდიოდა, ნაცნობად ეჩვენებოდა, რადგანაც ყოველივე მოძრაობა, ყოველივე მიმოხვრა იმას ათასჯერ სადღაც ენახა.

ვალერი არ მოტყუვდა, მარიც აქ იყო. მაგრამ ის თვითონ არსადა სჩანდა. საკვირველია, ასე მოუთმენლად მოელოდა ამ საღამოს და რაღად იგვიანებდა?.. უეჭველია, რომელიმე მაღლა მდგომ კაცთან ლაპარაკს გაება და იმან დააბრკოლა?... ან იქნება, როგორც დიდი კაცი, თავის მოვალეობად სთვლიდა უეჭველად ცოტა მაინც არის დაეგვიანა. ასე იყო თუ ისე, პირველი მოქმედება რომ ბოლოვდებოდა, კარები გაიღო და ვალერი გამოჩნდა. ვალერი კარებში შესდგა, ქორებლივ თვალი გადაავლო საზოგადოებას და მყისვე თვალი მოჰკრა მარის, რომელიც იმისკენ იყურებოდა.

ქალი გაწითლდა და საჩქაროდ თავი ჩაღუნა, ვალერიმ სიამოვნებით ჩაიღიმა და გულში გაურბინა ფიქრმა, რომ საქმე ჯერ კარგად არის. მასწავლებელი წავიდა თავის ადგილზედ და სცენას დაუწყო ყურება. მაგრამ ეს ჯაფა დიდს ხანს არ დასჭირდა, რადგანაც ფარდა დაეშვა და ტაშის ცემა აქტიორებს გამოსასვლელად იწვევდა.

ვალერი გაეშურა იმ კარებს, საიდანაც მარი უნდა გამოსულიყო, მაგრამ ის დიდ ხანს არ გამოდიოდა. უეჭველია აქტიორებს უყურებდა, რომელთაც განუწყვეტლივის ტაშის ცემით საზოგადოება მრავალჯერ იწვევდა. შესწყდა აპლოდისმენტიც და ხალხმა ჯგუფ-ჯგუფად დაიწყო გამოდენა. ვალერი მოუთმენლად ელოდა მარის და წუთები მთელს საათებად ეჩვენებოდა. ძლივს! აგერ მარიც გამოჩნდა. მოდიოდა დაღონებული, ფერ-მკრთალი, მაგრამ რაღაცა მღელვარება ეტყობოდა.

—საღმო მშვიდობისა, კნიაჟნავ!—გამოსვლის უმალ მიესალმა ვალერი.

მარი თუმცა ამას მოელოდა, მაგრამ ძარღვები ისეთს მღელვარებას ჰგრძნობდნენ, რომ ძალზედ შეკრთა, თითქმის შეეშინდა და რაოდენიმე ხანი დასჭირდა, სანამ პასუხს მისცემდა.

გორჯასპ ვიღაცა ნაცნობებთან მივიდა, ვალერი და მარი კი მარტონი დარჩნენ.

— კნიაჟნა, თქვენ ჩემზედა ჯავრობთ?.. რა დაგიშავეთ, რისთვის?...—მუდარით და ხმის კანკალით დაიწყო ვალერიმ.

— ვინ გითხრათ!... სულაც არა ვჯავრობ.

— მაშ რას მივაწერო, რომ ერთხელ ვეღარ გნახეთ?

— შემთხვევა არა მქონდა,—თავ-დახრით უპასუხა.

— კნიაჟნა!... თქვენ მეგობარს მეძახდით...—ყვედრებით და ნაღვლიანად წარმოსთქვა ვალერიმ.

ისინი განშორდნენ დანარჩენ ხალხს.

— მართალი ხართ!...—საჩქაროდ და მღელვარებით დაიწყო მარიმ.—ამ გვარი პასუხი საკადრისი არ არის... პირდაპირ გეტყვით... მეშინოდა თქვენთვისაც და ჩემი თავისთვისაც.

— მაშ გიყვარვართ!—აღტაცებით წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა.

მარიმ დაინახა, რომ თავისვე უნებურად გულის პასუხი გამოაშკარავა და უკან დახევა გვიან-ღა იყო.

— არ მოგატყუებთ, მართალი ხართ და... სწორედ მაგისთვის უნდა დავშორდეთ ერთმანეთს.

— სულაც არა, კნიაჟნავ!... თუ ოდესმე უნდა დავახლოვდეთ, ის დროც ახლა არის... რისთვის გავექცეთ ბედნიერებას, როდესაც ისე ძნელად საშოვია?.. რად მივეცეთ რაღაცა გამოცდას, წვალებას, როდესაც სიხარული, სიამოვნება ხელში თვითონ გვეძლევა?

უწინ, სანამ მარი ვალერის დაშორებული იყო, იმას ეგონა, რომ ყმაწვილ-კაცს ადვილად დაივიწყებს, აღძრულ გრძნობას დაიმორჩილებს, შეიქნება გულის მბძანებელი, მაგრამ ეხლა ვაგლახად ხედავდა, რომ ვალერის თვალები სწვავდა მის თვალებს, სიტყვები ქურდულად გულში ეპარებოდა, ათრობდა, ჰბანგავდა, ჰხიბლავდა მას.

— მართალს ამბობთ, მაგრამ სიტყვა მივეც ჩემს თავს, სწავლა შევასრულო, ისეთი შევიქნე, რომ არავისგან დამოკიდებული არ ვიყო.

— კარგი, მაგრამ განა ჩემზედ გათხოვება მაგას დაგიშლისთ. მე მგონი ხელსაც კი უფრო მოგიმართავსთ.

მარიმ გაკვირვებით შეხედა.

— როგორ?

— განა თქვენი სურვილის წინააღმდეგობა შემიძლიან?... დავიწეროთ ჯვარი და ისე წადით სასწავლებლად... მაშინ ვეღარც მამა დაგიშლით... პირველ წელიწადში მეც წამოვალ თქვენთან, შემდეგში ზაფხულობით მოხვალთ ხოლმე...

მარი ჩუმად იყო და ყურს უგდებდა. ისეთი საბედნიეროდ და საოცნებოდ სურათები ეხატებოდა, რომ ნება-უნებლივ გაეტაცა ქალის წრფელი გონება. მართლადაც, რა ბედნიერება იქნება!... სწავლა, განათლება, ყმაწვილი ხალხი, იმათში ცხოვრება და გვერდით, ამხანაგად ისეთი ქმარი, როგორიც ვალერი იყო! ყველაფერს აუხსნის, ყველაფერს ასწავლის და სიცოცხლეს სიტკბოებით აუვსებს!

ამ ოცნებაში იყო მარი, მაგრამ დრო არ ჰქონდა კარგად დაჰკვირებოდა ამ საგანს.

— მარი!—წყნარად მოჰკიდა ხელი ვალერიმ და თვალებში შეხედა.—რას მეტყვი?

— არ ვიცი, არა... ხვალამდის დამაცადე!—ერთბაშად გამოსტაცა ხელი და გამობრუნდა, მაგრამ ვალერიმ ისევ დაიჭირა.

— მარი, მაშ ერთი კოცნა, მხოლოდ ერთი კოცნა.

— არა, არ შეიძლება, არა...—წარმოსთქვა მარიმ, მაგრამ გვიანღა იყო, რადგანაც ვალერიმ მოხვია ხელები და გატაცებით ჩაეკონა.

პირველში მარის თავ-ბრუ დაეხვა, პირველსავე მიკარებაზედ მიიღუშა, მიენდო, მაგრამ ერთს წუთს შემდეგ საჩქაროდ გაეშვებინა და მთლად აღგზნებული, აღგზნებულის თვალებით გაემართა თეატრისკენ, სადაც წარმოდგენა დაწყებული იყო.

ვალერი წამოეწივა და წყნარად ჩასჩურჩულა:

— მიჯავრდები, მარი?

მარი მობრუნდა; უნდოდა მკაცრად ეპასუხნა, მაგრამ, რა შეხედა, რა იმათი თვალები ერთმანერთს შეხვდნენ, რაღაცა დამმორჩილებელმა ძალამ შეიპყრო და მთლად აკანკალდა.

— კიდეც ეგ არის ჩემი უბედურება, რომ არ შემიძლიან.

— ჩემო ღმერთავ, ჩემო სიცოცხლევ.—დაუჭირა ხელი.

ეხლა მარი დანებდა და მოდუნებულს ხელზედ ვალერიმ კიდევ აკოცა.

— მაშ ხვალამდის?—ჰკითხა ვალერიმ.

— ხვალამდის, საღამოს შვიდ საათზედ, ალექსანდრეს ბაღში.

ამ სიტყვებით ისინი სხვა-და-სხვა კარებით შევიდნენ თეატრში, მაგრამ რამდენიმე ბოროტმა გულმა მოჰკრა თვალი და იმათი ერთს დროს შესვლა ეუცხოვათ.

— შეხედე, შეხედე,—წაჰკრა მხარი ერთმა გძელ-ცხვირა ყმაწვილმა ქალმა შავ-ტრუხა ყმაწვილს.—აგერ მარი და ვალერი ერთს დროს შემოვიდნენ.

— ოჰ, მაშ ეგენიც?!—გაიღიმა ყმაწვილმა-კაცმა, რომელიც ამ შემთხვევას ანტრაქტებში სხვა-და-სხვა ვარიანტებით უამბობდა დანარჩენებს.

ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ მთელ ქალაქში მარის სახელი გასაკიცხად გაეხადათ.

XI

წარმოდგენის შემდეგ, გორჯასპ ქალს არ უსვენებდა თეატრზედ ლაპარაკით, რადგანაც ისე რიგად მოეწონა, რომ ადრე დაწოლას დაჩვეულს მოხუცს ძილიც კი გადაავიწყდა.

მარის კი მარტოდ დარჩენა ეჭირებოდა და ხან თავის ტკივილის მოგონებით, ხან ძილით თავიდან იშორებდა მამას.

ბოლოს, როგორც იყო, გორჯასპმაც მოისვენა, რადგანაც ძილმა დაუხუჭა თვალები; მარი ძლივს მარტო დარჩა და თავისუფლად შეეძლო მისცემოდა თავის ოცნებას. ის ისე ბედნიერი იყო, იმდენი სასიხარულო შემთხვევა მოხდა ამ საღამოს, იმოდენი სურვილები ერთად უსრულდებოდა, რომ მეტის გრძნობით ერთს საგანს ვერ დასდგომოდა. სწავლა, სტუდენტ-

კობა, სხვა გვარი ცხოვრება შეხამებულს, განათებულ სურათებად ეხატებოდა და ამათ დასაშვენებლად შიგ ერეოდა ვალერის სახე, რომელიც ეკუთნებოდა მარტო მას, რომელიც განუშორებლივ მასთან იქნებოდა და შრომის შემდეგ სიტკბოების განსვენებას აგრძნობინებდა. მართლადაც, ეს ისეთი ძნელად მისაწდომი და მოსაფიქრებელი ბედნიერება იყო, რომ ვის არ გააბრუებდა?

მარის ეჭირებოდა მოლაპარაკე ვინმე ჰყოლოდა, რადგანაც მეტის-მეტად ბევრი ეგრძნო და უნდოდა თავის სიხარული გაეწილადა. მაგრამ ვისთვის მიენდო თავის გული, ვინ თანაუგრძნობდა? ნადო დღეს დილით სოფელში წასულიყო და სხვა კი არავინ ეგულებოდა. მამა? იმას მთლად ვერ გაუშლიდა თავის გულს, რადგანაც შვილის კურსებზედ წასვლა უბედურებაზედ მეტად მიაჩნდა. ისიც კი საეჭვო იყო, რომ ვალერის სიძეობისთვის თანაეგრძნო, რადგანაც სიძედ იმას სხვა კაცი ჰყვანდა გამორჩეული და ხასიათი კი ისეთი ჰქონდა, რომ თავის გამორჩეულს სხვას აგრე ადვილად არ ამჯობინებდა. მარი ნატრობდა, ჩქარა გათენებულიყო, დღეს მალე გაერბინა, რადგანაც გული ითხოვდა ვალერისთან მალე შეყრას.

მარის მთელი ღამე არ სძინებია, არ სძინებია მეორე დღესაც და ასეთს წვალებასა და მღელვარებაში გაატარა დღე და ღამე.

რამდენადაც შეყრისთვის დანიშნული საათი ახლოვდებოდა, იმდენად მარი მეტს მღელვარებაში შედიოდა; ხან წითლდებოდა, ხან ფერსა ჰკარგავდა და მამა ზრუნვითა ჰკითხავდა— ავად ხომ არა ხარო?

მოაღწევა საღამომაც და მარიმ დაიხურა შლიაპა.

— სად მიხვალ?—ჰკითხა მამამ.

მარი გაწითლდა და პასუხი ვერ მოახერხა.

— თუ სასეირნოდ მიხვალ, მეც შენთან წამოვალ.

მარის შეეშინდა. ამ შემთხვევას სრულიად არ მოელოდა და ამისთვის აჩქარებით უპასუხა:

— არა, სასეირნოდ არ მივდივარ.

— მაშ ამ დროს სად მიხვალ?

— ნაცნობთან... ამ დღეებში წავალ და მინდა გამოვეთხოვო.

— მაშ მეც მაიკოსთან ავალ.

— შენ იცი.

— ფაიტონი მოვაყვანინოთ, მიგიყვან, სადაც მიდიხარ, და შემრე ისევ ჩამოგიველი.

— მაიკო მთაწმინდაში დგას და მე კი მუშტაიდის მხარეს მივდივარ.—ასე გაბედვით პირველად იმტყუნა მარიმ.

— მარტოკა?

— ფაიტონით წავალ, რა მიშავს?

— იქიდან.

— ბიჭს გამოვიყოლებ... ნახვამდინ, მამავ.—მიეალერსა ქალი და აკოცა, თითქოს ბოდიშს იხდიდა რაღაშიაც.

მარი გავიდა, გაემართა ალექსანდრეს ბაღისკენ, სადაც გულის ძგერით ვალერი ელოდა.

ღამე იყო ჩინებული, წვიმის შემდეგ ღრუბელს გადაეყარა და მოკაშკაშე მთვარისთვის ადგილი დაეთმო. ისიც ნაზად სივრცეში ციმციმებდა, თითქოს მეტი სიამოვნება ათრთოლებდა. ამაყად გადმოსცქეროდა ბნელს დედა-მიწას, რომლიდანაც ხალხი ისე შესტრფოდა. ნათელს სხივებს მშვენივრად დაეფერათ ხის წვერები, რომელზედაც წვიმას მტვერი გადაერეცხა და სანოვაგე მიეცა.

ვალერი გამოვიდა ბაღის ქვეით კარებიდან და იმედ-გადაწყვეტილმა მოუთმენლად საათს დახედა. შვიდი ჯერ არ შესრულებულიყო და ამისთვის იმას წარმოუდგა, რომ იმის საათი უკან რჩებოდა. ის-იყო შემობრუნდა ბაღში, როდესაც კარებთან ფაიტონი გაჩერდა, გადმოვიდა ქალი და ფული მისცა, რომელიც ხელში მომზადებული ეჭირა. ვალერი ისევე კარისკენ მიბრუნდა და გატაცებულმა წამოიძახა:

— ძლივს!—და გაუშვირა ხელი.

პირველსავე მისალმების შემდეგ, კაცმა წასჩურჩულა:

— მთელი ბაღი მოსეირნეებით გაჭედილია, ადგილს ვერ გიპოვით მოსალაპარაკებლად... წავიდეთ, ფაიტონით გავიაროთ.

— სადა?—ჰკითხა მარიმ.

— სადაც უნდა იყოს, მხოლოდ აქ არა... წავიდეთ, წავიდეთ,—აღარ დააცალა ვალერიმ და დაუძახა ფაიტონს.

რამდენიმე წუთს შემდეგ ისინი მუშტაიდის დაბურვილს ხეივანში შედიოდნენ.

— წყნარა,—უთხრა ვალერიმ მეეტლეს და ხელი მოჰხვია მარის წელში.—რას მეტყვი? კიდევ უარს?

იმან მიიკრა ქალი ახლოს და აღგზნებულის თვალებით ჩახედა პირისახეში. თუმცა მთვარის შუქს ძნელად უშვებდა ერთმანეთში გადახლართული ფოთლები, მაგრამ ვალერის ისე ახლო მიეტანა სახე, რომ სუნთქვასაც კი ჰგრძნობდა. ვალერი აშკარად ხედავდა ნახევრად გაღებულს მარჯნის ტუჩებს, რომლებიც თრთოდნენ, როგორც ვერხვის ფურცელი ნიავის მიკარებაზედ.

ვალერიმ სრულიად ახლო მიიტანა სახე და კიდევ ჩასჩურჩულა:

— არ გესმის, მარი?... თუ ის გინდა, რომ მომეტებულად გამტანჯო?

ფაიტონი სწორედ ამ დროს შეუბრუნდა მოსახვევს და იმათ მიადგათ მთვარის შუქი, რომელსაც ფურცლების მწვანე ფარდა გაეგლიჯა, თითქოს უმოწმოდ არ უნდოდა დაეგდო შეყვარებულთ სიამოვნება.

სწორედ ამ წუთებში მარიმ თავი აიღო, შეხედა და ბედნიერმა ვალერიმ მთვარისგან განათებულს, მიბნედილს თვალებში ამოიკითხა სანატრელი წადილის პასუხი.

აქამდის თავ-შეკავებული, გაჩუმებული და გაყუჩებული ქალი, როგორც გრიგალის წინა წუთები, ერთბაშად აენთო, აღელდა და ცრემლებ-მორეულმა გულში ჩაიკონა.

ორთავესათვის დადგა სანატრელი წამი, წამი გაჩუმებულის, მაგრამ ძლიერის ალერსისა, როდესაც კაცს ყველაფერი, ყველანი, თავის თავიც კი ავიწყდება და ეძლევა ბუნების ძალას,

რომელიც ათრობს, აცახცახებს, თავბრუს ჰხვევს და მოუსვენარ თავდავიწყებაში შეჰყავს.

რა დაუშლიდათ ბედნიერებს: სიყმაწვილე, გრძნობა, ჰაერი, მოალერსე მთვარის შუქი თუ? ყველაფერი ისე ხელს უწყობდა, ისე უძლიერებდა სიყვარულს ძალას.

იმათაც უნდოდათ, ერთს საგნად გადაქცეულიყვნენ, ერთად დარჩენილიყვნენ სამუდამოდ, რომ იმათი გაყრა ველარავის შესძლებოდა.

ისინი მიახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც პატარა ჩარდახი წყალს გადაჰყურებს.

— აქ გადავიდეთ, მარი, ცოტა ხანს დავსხდეთ.

მარი დასთანხმდა, რადგანაც მთვარისაგან გაშუქებული მტკვრის ზენაპირი მიმზიდავად ლაპლაპებდა და რაღაც წუნარი ჭყაპუნი და მდინარის ხმა ალერსით დუდუნებდა.

შევიდნენ ჩარდახში და ახლოს დასხდნენ ერთმანერთთან. ვალერის ერთი ხელი გადახვეული ჰქონდა და მეორით კი თევზებზედ უჩვენებდა, რომლებიც შუქს შესთამაშებდნენ და მთელს საჟენზედ წყალზედ მაღლა ხტებოდნენ.

— ეგენიც მთვარის შუქს ეარშიყებიან,—ჩუმად ეუბნებოდა მარის.—მაგრამ ჩემსავით ბედნიერები კი ვერ არიან.

ამ სიტყვებით ის ძალზედ მიიკრავდა მარის და ხანგრძლივის კოცნით გულს იჯერებდა.

მარი, როგორც ცეცხლში ჩადებული, ისე გახურებულიყო და კოცნაზედ კოცნითავე აძლევდა პასუხს.

— მაშ გიყვარვარ, გიყვარვარ?... — მეათასედ ჰკითხავდა ვალერი და მეათასედ ევლებოდა თავს.

— მიყვარხარ.... ყოველისფერი მოგეც, რაც მებადა, შენ ითხოვდი მაგას... ახლა შენც გიყვარდე, ვალერი, თორემ ნახევრად სიყვარული არ მინდა, არ ვიცი...

— ჩემო ანგელოზო!—ჰკოცნიდა ვალერი.—განა შეიძლება კაცს მარტო ნახევრად უყვარდე?

— აბა, შენ იცი.

რამდენსამე წუთს შემდეგ, ისინი ჩასხდნენ ფაიტონში და ორნივ ბედნიერნი, ორნივ დამტკბარნი შინისკენ მიდიოდნენ.

მხოლოდ მარის გადაჰკრავდა ხოლმე რაღაცა მწარე ფიქრები, უნებლიედ ჩაფიქრდებოდა, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ დღეიდან ის ისე თავისუფალი აღარ არის, მაგრამ, რა ვალერის შეხედავდა, ყოველისფერი ავიწყდებოდა, პირი უღიმოდა და სიხარულით გული ევსებოდა.

მარის სახლთან ახლოს შეაყენეს ფაიტონი და რამდენიმე კოცნის შემდეგ ვალერიმ უთხრა:

— ხვალ შვიდ საათზედ ამ ადგილს დამხვდები.

— მიბძანებ?

— ჰო, გიბძანებ.—გაიცინა ვალერიმ და კიდევ მოეხვია.— განა შენ ჩემი ცოლი არა ხარ?... ცოლი ქმრის ბძანების აღმასრულებელი უნდა იყოს.... თვით საღმრთო წერილიც მაგას ამბობს.

— აღვასრულებ, ჩემო ბატონო.—უპასუხა მარიმ და თითონვე მოეხვია.

— მამა-შენს ზედ გაისტუმრებ, შენ, რასაკვირველია, არ გაჰყვები.... შემოდგომაზედ ჯვარს გადავიწერთ, გავუვლით შენს დედ-მამას, დაგვლოცვენ და ერთად წავალთ რუსეთში.

— კარგი, მაგრამ არ ემჯობინებოდა მამასთვის გვეთქვა, რომ შენ ჩემი საქმრო ხარ.

— არა... ეგ დრომდის საიდუმლო უნდა იყოს.

— კარგი.—დაჰყაბულდა მარი, რადგანაც ვალერიმ უთხრა გაჩუმებულიყო.

XII

ქალი მოვიდა შინ დაღალული, დაწყვეტილი და პირ-და-პირ თავის ოთახში შევიდა; მაშინვე ჩაწვა ქვეშსაგებში, რადგანაც მამასთან შეხვედრა და ლაპარაკი არ უნდოდა და გორჯასპ კი ჯერ არ დაბრუნებულიყო.

მარის თითქოს ყველასგან რცხვენოდა, ყველასი ერიდებოდა, მაგრამ ეს ფიქრები ჯერ კიდევ არ გამოაშკარავებოდნენ, რადგანაც წარსული სიამოვნების მოქმედების ქვეშ იყო და სიტკბოებიდან ჯერ ვერ გამორკვეულიყო.

ცოტა ოცნების შემდეგ ის წავიდა ბურანში და წყნარად დაეძინა. რამდენიმე ხანს შემდეგ სახე გაუბრწყინდა ტუჩები მოძრაობაში მოვიდნენ და წყნარადვე, მაგრამ წარმოუდგენელის ალერსით ვალერის სახელს წარმოსთქვამდნენ.

მარიმ ღამე გაატარა ამ მდგომარეობაში, მხოლოდ მეორე დღეს ნახა თავისი მამა და გადაწყვეტით უთხრა, რომ რუსეთში წაუსვლელი არ დავდგებიო.

მამა ბევრს ეჩხუბა, ბევრს ეწინააღმდეგა, მაგრამ ქალი მაინც თავისას არ იშლიდა და დაჟინებით ითხოვდა წასვლის ნებას. გორჯასპმა, ლაპარაკით რომ აღარა გაუვიდა-რა, გადაწყვეტით უთხრა, რომ წასასვლელს საშუალებას არ მოგცემო. ქალი გაიბუტა და სოფელში გაყოლის უარი უთხრა.

დიდის ლაპარაკის, ბაასის და ხვეწნის შემდეგ, მამა დასთანხმდა ტფილისში საცხოვრებელი ფული ეგზავნა, ოღონდაც მარის რუსეთში წასვლაზედ უარი ეთქვა.

ამით გაათავეს ლაპარაკი; მამას ეს ამბავი თუმცა სწყინდა, მაგრამ აღარას ეუბნებოდა.

საღამოზე ვალერი და მარი შეიყარნენ დანიშნულს დროს, წავიდნენ ისევ მუშტაიდის იმ ჩარდახში, რომელიც მარისთვის ისე სამახსოვრო იყო.

ყმაწვილ კაცს ძალიან უამა, როდესაც შეიტყო, რომ მარი სოფელში აღარ მიდის და ყოველ ჟამს შეეძლო მასთან დროს-გატარებით დამტკბარიყო.

მარტო ერთად-ერთი ხელის შემშლელი, რომელსაც ვალერი ერიდებოდა, მამა იყო და ისიც რამდენიმე დღის შემდეგ წავიდა. მაშინ ყმაწვილი-კაცი მთელს დღეებს მარისთან ატარებდა. იმან დააქირინა ჩუღურეთში გაცალკევებით პატარა ოთახები და ყოველ საღამოს უზიდავდა სხვა-და-სხვა წიგნებს; ერთად კითხულობდნენ, ერთად იცინოდნენ, ხარობდნენ და

მათი ხუმრობა მხოლოდ გატაცებულის კოცნით შეიცვლებოდა.

მარი არ აკვირდებოდა თავის მდგომარეობას; იმას არც ეცალა ამისათვის, რადგანაც ბუნება თავის ხარკს იღებდა და ყმაწვილი გული მთლად გრძნობას შეეპყრო. ან რა უნდა ეფიქრა?... ვალერის უყვარდა, ვალერი იმისი იყო, ვალერიზედ დაიწერდა ჯვარს, ვალერი საუკუნოდ იმისი იქნებოდა!.. სხვა რაზედ-ღა უნდა დაფიქრებულიყო?... თავის განზრახვაზედ?... კარგი, მაგრამ აკი ვალერი დაჰპირდა, რომ ჯვარის-წერის შემდეგ ერთად წავალთო?... ვალერი ხომ არ მოატყუებდა?

ამ საგანზედ მასწავლებელი ხმას არ იღებდა, მარი კი იქამდის ენდობოდა, რომ ერთხელ არ უკითხავს, ერთხელ აღარ შეუმჩნევინებია, რომ ამ საგანზედ დაფიქრებულა ოდესმე. ქალმა მიანდო თავისი გული და მასზედ მზრუნველობაც ვალერის საქმე იყო. თუ ვალერის ჯერ არა ეთქვა-რა, ალბად დრო არ მოსულა, თორემ ვალერი იმას როგორ დაივიწყებს?!

ასე ჰფიქრობდა მარი, ასე სწამდა თავისი საყვარელი და ასე იმიტომ ენდობოდა, რომ ჯერედ გაურყვნელი ქალი იყო, კაცს პირველად შეხვედროდა და ნახევრად, ანგარიშით სიყვარული არ იცოდა. მარის ვინც უყვარდა, იმას ეძლეოდა სულით, გულით და გრძნობით.

ერთს საღამოს, ეს პირველი შემთხვევა იყო, მარი დაღონებული იჯდა და დაფიქრებულიყო. წინა საღამოს ვალერი არ მოსულიყო და შეყვარებული გულისათვის ეს საკმარისი საბუთი იყო, რომ ყოველი გვარი ჯოჯოხეთის ცეცხლი გამოეარა, ყოველ გვარს შავ ფიქრებს თავში გაერბინა.

„რატომ არ მოვიდა?... იქნება დამივიწყა?... იქნება ავად არის?“ ერთი მეორის შემდეგ ებადებოდა კითხვა და ვერც ერთხელ პასუხს ვერ აძლევდა. ყოველ ახალ კითხვაზედ მას უხურდებოდა გული, რომელსაც თითქოს რკინის თაღები შემოსჭეროდა და მწარედ კვნესოდა.

მე არა მგონია ისეთი ქალი იყოს, რომელსაც მოლოდინის მწუხარება, გულის ძგერა და ამ მდგომარეობაში ხან და ხან

იმედის გაელვება, როგორც მოლრუბლულ ცაზედ მზის შუქის გამოკრთომა, რომელიც ისევ ახლად წამოწეულს ღრუბელს შეუბრალებლად ჩაუნთქავს,—არ გამოეცადოს.

ისინი გაიგებენ, ისინი მიხვდებიან, რამდენ სხვა-და-სხვა გვარის ლახვრებით იხეოდა მარის გული, რამდენ რიგად ინთებოდა მისი აღგზნებული ფიქრები, რა ტკივილებს შეეპყრო მთელი მისი აგებულება. სიცხე, ჟრუანტელი, აღუღებული სისხლი, რომელიც სიძლიერით მოჩუხჩუხებდა ძარღვებში, ერთბაშად შესდგებოდა და უყინულებდა ყოველ ძარღვს, ყოველ ასოს. ძალზედ მოფართხალე გული ერთბაშად შესდგებოდა და მწარედ, უსიამოვნოდ კვნესოდა; გახურებულს, იმედით სავსე გონებაში ერთბაშად გაიელვებდა შავი ფიქრი და ცივი ოფლი გადმოედინებოდა პირისახეზედ. სიწითლე შეეცვლებოდა ფერის წასვლით, ღიმილი—სახის დამპრანჭავის მწუხარებით.

— აღარ შემიძლიან!—წამოიძახა იმან და წამოდგა.—უნდა ვნახო, სად არის, რატომ არ მოდის?!

ამ სიტყვებით წამოსასხამი წამოიგდო, საჩქაროდ დაიხურა შლაპა და კარებთან მისული გაჩერდა.

— სად მივდივარ?—ხმა-მაღლა წარმოსთქვა იმან.—იქნება აღარ უყვარვარ?... აღარ უყვარვარ!...—უფრო წყნარად განიმეორა და მობრუნდა.—აღარ უყვარვარ!—თითქმის ჩურჩულით გაათავა და ფერ-მიხდილი, ტუჩებ-მოკუმული ჩამოჯდა დივანზედ.

ის შევიდა რაღაცა გვარ თავდავიწყებაში. მეტის-მეტად ბევრ გრძნობა მოწოლილმა აზროვნობის ძალა დაკარგა და რაოდენსამე ხანს ისე დარჩა.

ცოტა ხანს შემდეგ გონებამ ისევ ძალ-ღონე მოიკრიბა და აზრმა წყობილად დაიწყო მომდინარეობა.

მარის თვალ-წინ წამოუდგა გიმნაზია, პირველად ვალერის ნახვა, კურსის შესრულება, ვალერის სიტყვები.

მხოლოდ ეხლა, პირველად გაუელვა თავში: „რატომ არ აღასრულებს თავის დაპირებას, რატომ ჯვარს არ იწერს?“

ეს აზრი ჯერ არ დაბოლოვებულიყო, როდესაც კარები გაიღო და მარი შეკრთა. იმან დახარა თავი და ახედვისა ეშინოდა.

— მარი, განა მეგობარს ეგრე მიიღებენ!—მოესმა ქალს მისი დამბანგავი ხმა და წუთზე დაიმორჩილა.

მარიმ აიხედა, მის წინ იდგა ვალერი, მოღიმარე, თვალებგაბრწყინვებული, მომხიბლავის სახით.

— ვალერი!...—სიტყვა გაუწყდა მარის, გადაეხვია კისერზედ და თავდავიწყებით დაუწყო კოცნა.

პირველი გატაცების შემდეგ ისინი დასხდნენ და მარი ეჭვნეულად, მოუსვენრად ჰკითხავდა მოუსვლელობის მიზეზს.

ვალერიმ რაღაცა ისტორია მოიგონა და ბოლოს მარი დაარწმუნა, რომ მოსვლა შეუძლებელი იყო.

— შე უღმერთო, ბარათით მაინც შემატყობინებდი!—საყვედურით უთხრა მარიმ.

— ველარ მოვახერხე, შენმა გაზრდამ... ახლა ჯვარს რომ დავიწერთ, სულ გვერდით უნდა გყვანდე?

— არა, ვინ ამბობს...

— უნდა შეეჩვიო... კაცი ვარ, ვინ იცის რა საქმემ დამაბრკოლოს.

— მართალია, მაგრამ...

— მაგრამ, შენ კი იწუხებ, თავს მოიკლავ!

— შენ კი არ შეგამჩნევინებ და სხვა რა გინდა?

— ეგ ცოტაა... მე არ შემამჩნევინებ კი არა, უნდა იმ აზრს შეეჩვიო, რომ შეიძლება ბევრჯელ მთელი კვირეები ვერა ვნახოთ ერთმანერთი.

— მთელი კვირეები!—წამოიძახა მარიმ და დაუმატა:—ეგ მეტად ბევრია!—თითქოს ამის ნებას იმასა სთხოვდნენ.

— მეტად ბევრია?—გაიცინა ვალერიმ.—იქნება როდისმე მეტს ხანსაც მოგვინდეს დაშორება.

— რისთვის მეუბნები მაგას, ჯერ ხომ ეგ უბედურება არ შეგვმთხვევია?—წყენით წარმოსთქვა მარიმ.

— არა, მაგრამ მოსალოდნელია...

— მაგაზედ მაშინ ვილაპარაკოთ, როცა მოვა.

— მაშინ გვიან-ღა იქნება, კაცი წინადვე უნდა მოემზადოს.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს აუცილებელი უბედურება მომელოდეს?... მითხარი, რაღას უყურებ?.. აღარ გიყვარვარ?...

— რა ყმაწვილი ხარ!—აკოცა ვალერიმ.—რამდენიც დღე გამოდის იმდენად მეტად მიყვარხარ, მაგრამ კაცი ყველაფრისთვის უნდა მოემზადოს.

— რისთვის?

— თუნდა იმისთვის, რომ შენ პეტერბურგში მიდიხარ!

— და მერე?.. შენც ხომ მოხვალ.

— ჰო... მაგრამ... მერე ხომ დაბრუნება მინდა? ჩემს საქმეს ხომ სულ თავს ვერ დავანებებ?

მარი დასთანხმდა ვალერის და წამოიძახა:

— მართალი ხარ, მართალი, მაგრამ რა ვქნა, რომ ასე მიყვარხარ!

ამ სიტყვების პასუხად ხანგრძლივი კოცნა იყო.

XIII

ამ საღამოს ვალერიმ რაღაცა მოიმიზეზა და ადრე წავიდა. მარი თუმცა დააღონა ამ შემთხვევამ, მაგრამ მაინც ცდილობდა არ შეემჩნივა და თავისი თავი დაერწმუნებინა, რომ ვალერი, როგორც კაცი, უეჭველად უნდა გავიდ-გამოვიდეს.

თუმცა ქალს ასე სურდა ეფიქრა, მაგრამ წამდაუწუმ რაღაც გაჰკენწლიჯა და მწარედ დააკვნესებდა.

ასე გაიარა ამ საღამომ, ამავე მდგომარეობაში იყო მეორე დღეს, მეორე ღამეს.

ქალი ისევ მღელვარებაში შევიდა და იმისი გონება ისევ შავმა ფიქრებმა მოიცვეს.

გაიარა რამდენიმე დღემ, მაგრამ ვალერი არსადა სჩანდა და მარის კი ყოველ ჟამს მღელვარება ემატებოდა.

— რა იქნა, რატომ აღარ მოდის? — ვინ იცის მერამდენედა ჰფიქრობდა მარი, მაგრამ პასუხი ვერ მიეცა თავის თავისთვის, რადგანაც ვალერი მეტად უყვარდა და სიყვარული კი ნებას არ აძლევდა ამ კაცის მოქმედება წესიერის თვალით დაენახა.

მარი გულის კვნესით აღამებდა და ათენებდა. ბოლოს, ერთს საღამოს მარის მეტად გული გადაელია და გადასწყვიტა ცოტა გაეარნა....

ცეცხლითა და მახვილითა

რომანი

გენრიკ სენკევიჩისა

ნაწილი მეოთხე

VII*)

ვახშმობა იქნებოდა, როცა მთვარიან ღამეში თავადის ჯარი მივიდა რაზლოგს და მოულოდნელად თავს კი წაადგა პან სქშეტუსკის, რომელიც ქვაზედ იჯდა გაშეშებულივითა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ რაინდს ტანჯვისა და მწუხარებისაგან ცნობა დაჰკარგოდა და გონს მოვიდა მხოლოდ ქსენძ მუხოვეცკის წყალობითა. აფიცრები გულ-მხურვალედ მიესალამნენ და ანუგეშებდნენ ძველს მეგობარს, მეტადრე პან ლონგინუს პოდბიპენტა, რომელიც აგერ უკვე სამი თვე იყო რაც პან სქშეტუსკის სადროშოს რაზმში მსახურობდა. პან ლონგინუსი მზად იყო დაუსრულებელად ეტირნა და ექუხნა თავის ამხანაგთან ერთად და მაშინვე აღთქმაც დასდო ჩემი დღენი სამშობათობით მარხვა შევინახო ხოლმე, ოღონდ კი ღმერთმა ინებოს და შეუმსუბუქოს დესპანს თვისი მწუხარებაო. პან სქშეტუსკი წაიყვანეს თავადთან, რომელიც იქვე ერთ-ერთის გლეხკაცის ქოხში ჩამომხდარიყო. თავადმა ხმა არ ამოიღო თავის სასურველის კაცის დანახვაზედ და მხოლოდ მკლავები გაშალა ფართოდ მისაგებებლადა. პან სქშეტუსკი ქვითინით მივარდა თავის მფარველს, თავადმა გულში ჩაიკრა და დაუწყო კოცნა

*) «მოამბე», № VI.

თავზედა. ბევრმა შეჰნიშნა, რომ იმის სასტიკს თვალებში ცრემლმა დაიწყო ბრწყინვა.

ჭეშმარიტად მიხარიან, რომ კვლავ გნახე,—წარმოსთქვა ბოლოს თავადმა,—მიხარიან იმიტომ რომ მეგონა კვალ-წმინდად დაეკარგე-მეთქი. ვაჟკაცურად ატარე შენი ტვირთი და გახსოვდეს, რომ ათასნი და ათი-ათასნი ჰგრძნობენ იმასვე, რაც შენა გტანჯავს; ათასმა და ათი-ათასმა დაჰკარგეს თვისნი ცოლნი, შვილნი, მშობელნი და მეგობარნი. და, როგორც ერთი წვეთი ჰქრება ზღვაში, დეე ისე გაჰქრეს შენი მწუხარებაცა საყოველთაო უბედურების თვალ-გადუწვდენელს ზღვაშია.

— ამინ!—დასძინა ქსენძმა მუხოვეცკიმ.

— ოჰ, თავადო, თავადო! ბევრად მერჩივნა, რომ ძკვდარი მენახა ის ქალი,—ქვითინებდა რაინდი.

— იტირე, იტირე... დიდი დასაკარგი დაჰკარგე, ჩვენც შენთან ერთად ვიტირებთ, მაგრამ ეს კი უნდა უთხრა შენს თავს: დღეს ჩემს თავსა ვსტირი, გარნა ხვალინდელი დღე ჩემი არ არის-თქო. იცოდე, რომ ხვალ ომში მივდივართ.

— საცა გნებავთ, იქ წამოვალ მეც თქვენთანა, ხოლო ნუგეშს კი ვერაფრით ვერა ვსცემ ჩემს თავსა... გული მიწუხს უიმისოდ... არა, არა, ნუგეში აღარ არის ჩემთვის...

და საცოდავი რაინდი ჰკბენდა თავის ხელებს, რომ ეგებ გულში ჩავიკლა კვნესაო, რომელიც მზად იყო აღმოჰხდომოდა გაწამებული მკერდიდანა.

— შენა სთქვი: იყავნ ნება შენიო!—სასტიკის ხმით წარმოსთქვა ქსენძმა.

— ამინ, ამინ! ვემორჩილები მისს ნებას... ეს არის მხოლოდ, რომ ველარ ამიტანია სიმწვავე გულს მოდებულის ცეცხლისა... არ ვიცი, რა წყალში გადავვარდე!—სთქვა პასუხად სქმეტუსკიმ და თან ხმა უწყდებოდა წამ-და-უწუმ.

ეტყობოდა, რა დიდს ბრძოლაში იყო მისი სული, რა გვარ მუხლთ ეკვეთებოდა თვისის ტანჯვის მძიმე ტვირთ ქვეშე. ყველას ცრემლები მოერია თვალებში, ხოლო ვინც გულ-ჩჩვილი იყო, როგორც მაგალითებრ, პან პოლოდიევსკი და პან

პოდბიპენტა, ისინი ხომ სულ მდუღარებას აპნევდნენ. პან ლონგინუსმა დაიკრიფა გულ-ხელი და სთქვა ნაზის, გულ-ჩამწვდენის ხმით:

— ინუგეშე როგორმე, ძმაო... და გაუძელ როგორმე შენს ჭირსა.

— გამიგონეთ,—სთქვა უცებ თავადმა,—მე ნამდვილად ვიცი, რომ ბოგუნი აქედან ლუბნს წავიდა; ასე რომ არ ყოფილიყო, ჩემს ხალხს ვერ დაჰხოცავდა ვასილიოვკას ახლო. წინდაწინვე სასოება არ უნდა დავკარგოთ; უნდა ვიფიქროთ, რომ ბოგუნს არ გაუტაცნია ის ქალი, თორემ ლუბნს რიღასთვის წავიდოდა?

— მართლა-და, ადვილად შესაძლებელია, სწორედ ეგრე იყოს!

— სწორედ აგრე უნდა იყოს!—წამოიძახეს აფიცრებმა.— ღმერთი მოწყალეა.

პან სქშეტუსკიმ თვალები ისე დააჭყიტა, თითქო არ ეყურება, ამას რას ამბობენო. იმის თვალ-წინ გაიელვა სხივმა იმედისამა და ეს კაცი უცებ ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა თავადსა:

— ოჰ, თავადო, მთელი ჩემი სიცოცხლე, ჩემი სისხლი...

პან სქშეტუსკიმ ველარ შესძლო ლაპარაკი, ისე გაფითრდა, რომ სულ სიკვდილის ფერი დაედო. პან ლონგინუსი იძულებული იყო აეყენებინა და იქვე ტახტზედ ჩამოესვა.

მეორე დილით დაბრუნდა რაზმი, რომელიც თავადმა ჩერკასს გაჰგზავნა. რაზმმა, რასაკვირველია, ვერ შეიპყრა ბოგუნი, მაგრამ სამაგიეროდ საყურადღებო ამბავი მოიტანა. ვინც გზაში შეხვედროდათ, ეთქვათ, რომ ბოგუნი ვიღასაც დაჰსდევს, ყველას ჰკითხავს, სქელ-სქელი შლიახტიჩი ხომ არ გინახავთ პატარა ყმაწვილი ბიჭითაო. ატამანი ამასთანავე სადღაც ეშურებოდა და თავ-პირის მტერევით დააჭენებდა ცხენსაო. ბოგუნთან ქალი არავინ გვინახავს, მარტო ჯარის-კაცნი ჰყვანდა და ისინიც ცოტაოდენიო. ახალი იმედი და თან ახალი მოუსვენრობა მიეცა პან სქშეტუსკის გულსა.

სრულიად არა ეყურებოდა-რა და ვერ მიმხვდარიყო, როგორ უნდა ყოფილიყო საქმე; არ ესმოდა, რად მირბოდა ბოგუნი ჯერ ლუბნის მხარესა, რად ამოსწყვიტა ვასილიოვკის მეციხვანეთა რაზმი და მერე რად გაუხვია უცბად ჩერკასისაკენა. ელენე რომ არა ჰყვანდა გატაცებული, ეს საკმაოდ ცხადი იყო, მაგრამ ამის გაგება სწყუროდა, სად იქნება ის ქალი, სად უნდა დამალულიყოვო? გაიქცა ვითომ? ხოლო თუ გაიქცა, საითა და რა მხარესა? ან რად გაიქცა არა ლუბნსა, არამედ ჩერკასსა და ზოლოტონოშას? მაგრამ, ეს ბოგუნის ჯარის-კაცნი რომ ეძებდნენ ვიღასაც ჩერკასსა და პროხოროვკას ახლოს. მერე რას უნდა ჰნიშნავდეს ის გარემოება, რომ ბოგუნი და მისნი კაცნი კითხულობდნენ, შლიახტიჩი და ყმაწვილი ბიჭი ხომ არ გინახავთო? საწყალს დესპანს სულ თავ-გზა ეკარგებოდა.

— ერთი ამიხსენით, ღვთის გულისათვის, რას ჰნიშნავს ყოველივე ესე? გონება დამიბნელდეს ლამისა,— ეკითხებოდა წამ-და-უწუმ გარშემოხვეულ აფიცრებსა.

— მე მგონია, რომ ის ქალი ლუბინშია ახლა,— სთქვა პან მიგურსკიმ.

— ეგ შეუძლებელია,— უპასუხა ზაცვილიხოვსკიმ.— ელენე რომ ლუბინში იყოს, ბოგუნი ეცდებოდა საჩქაროზედ დამალულიყო ჩიგირინსა და გეტმანებისკენ აღარ წავიდოდა; იმათკენ წასვლა საშიში უნდა ყოფილიყო მისთვის, იმიტომ რომ იმ დროს ბოგუნს ჯერ არ ეცოდინებოდა, გეტმანები უკვე დამარცხებულნი არიანო. თუ თავისი რაზმი ორ ნაწილად გაჰყო და გაჰგზავნა ვისმე შესაპყრობად, თქმა არ უნდა, სწორედ ელენეს შესაპყრობად გაჰგზავნიდა.

— ამ ხნიერს შლიახტიჩსა და ყმაწვილს კაცს რაღასა კითხულობდა?

— მე მგონია, ეგ ადვილი მისახვედრია, რომ თუ ელენემ თავს უშველა, ქალურად კი აღარ იქნებოდა ჩაცმული, კაცურად ჩაიცვამდა. აი ეს კაცურად ჩაცმული უნდა იყოს სწორედ ელენე.

— ეგ მართლა ჭკუას ახლოა!—წამოიძახეს ერთად აფიცრებმა.

— კარგი, მაგრამ ის შლიახტიჩი ვიღაა ახლა?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ მაგასაც მივიკვლევ. აქაურმა გლეხ-კაცებმა ყოველივე ჰნახეს უთუოდ და უნდა იცოდნენ რამე. აბა, მოიყვანეთ აქ ამ ქოხის პატრონი.

აფიცრები გაცვინდნენ და რამდენისამე წუთის შემდეგ მოიყვანეს სახლის პატრონი.

— გამიგონე, მოხუცო,—ჰკითხა ზაცვილიხოვსკიმ,—შენ აქ იყავ, როცა ბოგუნი დაესხა თავს ბატონის სახლსა?

გლეხ-კაცმა, ჩვეულებისამებრ, დაიწყო ფიცი, რომ არა ვიცი-რა, არა მინახავს-რაო, მაგრამ ზაცვილიხოვსკიმ კარგად იცოდა, როგორც უნდა მოჰქცეოდა გლეხ-კაცსა.

— ჰაი, შე წუწკო!—შეუტია იმანა.—მე ვიცი, რომ შენ აქ იყავი სწორედ მაშინ, როცა აიკლეს სახლი ბატონისა. სხვასთან იტყუე ეისთანმე და ჩემთან კი ნუ სტყუი, თორემ ფოსს ვერ გახვალ; აგერა, ოქრო, გარედ კი ჯარის-კაცი სდგას ხმალ-ამოწვდილი. მერე სოფელსაც ცეცხლს წავუკიდებთ და საწყალი ხალხი შენის მიზეზით დაიღუპება.

ახლა კი ამოიდგა ენა გლეხ-კაცმა. როცა ყაზახებმა სმა დაიწყეს ეზოში სახლის წინა, სხვებთან ერთად მეც იქ წავედი, რომ დამენახა, რა ამბავია-მეთქი. ყური მოვკარით, რომ კნეინა და თავადნი მოჰკლესო და რომ ნიკოლოზმა დასჭრა ატამანიო; ატამანი ამის გამო გულ-შეწუხებული წევს ლოგინშიო. რა მოუვიდა პანნას, ეგ კარგად ვერ გავიგეთ, მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ ქალი გაიქცა იმ შლიახტიჩთან ერთად, რომელიც ბოგუნს მოჰყვაო.

— ვერ უყურებთ, როგორა ყოფილა საქმე!—ამბობდა ზაცვილიხოვსკი.—აჰა, აი დაპირებული ოქრო; ხომ ჰხედავ, უსაჩუქროდ არ დაგტოვეთ, ახლა ეს გვითხარი, შენ ის შლიახტიჩი არ დაგინახავს? აქაური იყო?

— დავინახე, პანე, მაგრამ აქაური არ იყო.

— როგორი იყო ან თვალად, ან ტანად?

— სქელ-სქელი იყო, პანე, და ჭაღარა წვერი ჰქონდა. სულ იგინებოდა. ცალი თვალი ამოკიჟული ჰქონდა.

— ოჰ, შესძახა პან ლონგინუსმა,—ზაგლობა ყოფილა.

— ზაგლობაო? მოითმინეთ... ზაგლობა. რატომ, შეიძლება. ჩიგირინში ძალიან დოსტი იყო ბოგუნისა, იმასთან ერთად ქეიფობდა, კამათლებს ამღერებდა. შეიძლება!

— ერთი ეს მითხარ, ჩემო კარგო, ის შლიახტიჩი გაჰყვა პანნას?

— სწორედ ისა. აგრე გავიგონეთ და და ნამდვილად არ ვიცით.

— კარგად კი იცნობთ მერე ბოგუნსა?

— კარგად როგორ არ ვიცნობთ, ბატონო! თვის-თვეობამდე აქ იყო ხოლმე.

— იქნება იმ შლიახტიჩმა პანნა იმის ბრძანებით წაიყვანა?

— არა, ბატონო. შლიახტიჩმა შეჰკრა ბოგუნი და მისივე დაშლული ჩამოაცვა თავზე; პანნაც მასუკან აღარავის უნახავს. ატამანი სულ მგელივითა ჰღმუოდა. განთიადისას უბრძანა ყაზახებს, საკაცეზე დამაკარითო. გამოეკიდა გაქცეულებს ლუბნისაკენ, ხოლო როცა იქით ვერავინ იპოვნა, სხვა მხარეს გაჰქანდა.

— მადლობა ღმერთსა!—სთქვა მიგურსკიმ,—მაშ, ელენე ეხლა ლუბნში იქნება. პან სქშეტუსკი დაჩოქილი იყო და გულ-მხურვალედა ლოცულობდა.

— დახე, დახე!—ბუტბუტებდა მოხუცი მედროშე,—სწორედ არ ველოდი ასეთ ვაჟკაცობასა ზაგლობასაგან; არ მეგონა, რომ გაჰბედავდა და ბოგუნს გაუმკლავდებოდა. მართალია, პან სქშეტუსკიმ ძალიან მოუგო გული იმ ლუბნურის სამ-ნახადითა, რომელიც ერთადა ვსვით ჩიგირინში, მაგრამ ამ ბოგუნის ფულითაც რომ ცოტას არ სვამდა. არ ველოდი, ღვთის წინაშე, იმისაგან იმისთანა საქმეს, სწორედ არ ველოდი, იმიტომ რომ მუდამ მხდალი და ტრაბახა მეგონა.

— ასეა თუ ისე,—ჩაურთო სიტყვა ვოლდიევსკიმ,—ისიც საკმაოა, რომ კნიაჟნა ავაზაკთა ხელიდან გაანთავისუფლა. ხო-

ლო, რადგან ცბიერება და მოხერხება არ აკლია, დარწმუნებული ვარ, მტერს ადვილად გაუსხლტება ხელიდან. პან სქშეტუსკი, გესმის? მაშ, გიხაროდეს!

— თუ გაღმა-მხარს გავიდა და შეიტყო კორსუნის ამბავი,—სთქვა ზაცვილიხოვსკიმ,—უნდა ვიფიქროთ, რომ უსათუოდ ჩიგირინისაკენ წავიდოდა. გზაში შეხვდებით... ახლა კი მოდით და დავლიოთ სადღეგრძელო შორიდან მოსულის ამხანაგისა.

აფიცრები დიდის სიამოვნებით დაეთანხმნენ ზაცვილიხოვსკის. დალიეს სადღეგრძელო პან სქშეტუსკისა, კნიაჟნასი, მათის მომავლის შთამომავლობისა, პან ზაგლობასი და სხვათა. ღამე შეუმჩნევლად გავიდა. განთიადისას დაჰკრეს ნაღარა ჯარის თავმოსაყრელად და ლაშქარი გაემართა ლუბნისაკენ. თავადის რაზმნი სწრაფად მიდიოდნენ წინ; ურმები კი ბარგი-ბარხანით უკან დარჩა. პან სქშეტუსკის უნდოდა წინ წასულიყო თათართა სადროშო ჯარითა, მაგრამ ძალიან სუსტადა ჰგრძნობდა თავსა; ამასთანავე არც თავადი იშორებდა და დაწვრილებითა ჰკითხავდა, რა ყოფაშია საქმე სეჩისაო. რაინდმა უამბო, როგორ იმგზავრა, როგორ დაესხნენ თავს ხორტიცის ახლოს თათარ-ყაზახნი და როგორ წაიყვანეს სეჩს. სქშეტუსკიმ არა სთქვა-რა მხოლოდ იმ შელაპარაკებასა და შეხირებაზედ, რომელიც იმასა და ხმელნიცკის მოუვიდათ: ვაი თუ თავადმა ტრაბახობაში ჩამომართვასო. თავადს ძალიან გაუკვირდა და გაუოცდა ის ამბავი, რომ მოხუცს გროძიცკის თოფის წამალი შემოჰკლებოდა.

— ახირებული უბედურება დაჰმართნია,—სთქვა მან,—ეგ შემთხვევა რომ არა ყოფილიყო, კიდევ ძლიერ შეუშლიდა ხელს ამბოხების გაძლიერებას. პან გროძიცკი მამაცი ჯარის-კაცია, ერთგული შვილი რესპუბლიკისა. რატომ ჩემთან არ გამოგზავნა კაცები ტყვია-წამლისათვის.

— ალბად, იმასა ჰფიქრობდა, რომ დიდმა გეტმანმა თვითონვე უნდა იცოდეს, თვისის მოვალეობისამებრ, თავისი საქმეო,—უპასუხა პან სქშეტუსკიმ.

— მართალია, მართალი,—სთქვა თავადმა და პატარა ხანს გაჩუმდა.

— დიდი გეტმანი ხნიერი ბ გამოცდილი მხედართ-მთავარია, მაგრამ მეტის-მეტად ზავია და დიდი იმედი აქავს თავისა. ამან დაჰღუპა კიდეც სწორედა. ძალიან მცირე მნიშვნელობას აძლევდა აჯანყებას და, როცა გავეშურე შემწეობის აღმოსაჩენად, არაფრად ვეპიტნავე. არ უნდოდა, რომ დიდება რომელსაც ვითომ მოიხვეჭდა, საზიარო ყოფილიყო ვისიმე.

— მეც აგრე მგონია,—სთქვა პასუხად სქშეტუსკიმ.

— იმას ეგონა, კეტებით დავამშვიდებ იმიერ-ჭორომეთსაო, გარნა ხომ ჰედავ, რაც ამბაეია? ღმერთმა დასაჯა გულ-ზავობისათვის. გულ-ზვაობა სწყინს შემოქმედსა; ეგ ზნე ჰღუპავს რესპუბლიკას და, ვგონებ, არავინ არ არის ისეთი, ეგ ზნე არა სჭირდეს.

თავადი მართალს ამბობდა, თვით იმასაცა სჭირდა ეგ ზნე. აი თუნდ მაშინ, დავა რომ ჩამოუვარდა ალექსანდრე კონეცპოლსკისთან გადიაჩისათვის, თავადი გაუძღვა ორი ათას კაცს და შევიდა პირდაპირ ვარშავში. ეს ჯარი, თუ ვინიცობაა თავადს ძალას დაატანდნენ, ფიცი მიიღეო, უნდა შეკარდნილიყო სენატორთა დარბაზში. ყოველისავე ამის მიზეზი სხვა არა იყორა, გულ-ზვაობისა და თავ-მოყვარეობის მეტი. განა შეიძლება, რომ არ ენდნენ ვისნეველკას სიტყვასა და ძალა დამატანონ, გინდა თუ არა იფიცეო?!

ნაშუადღევის შემდეგ სულის მაღალ ნაპირიდან გამოჩნდა გუმბათები ლუბნის ეკლესიებისა, ბჭყვრიალა სახურავი და პატარ-პატარა გუმბათები წმ. მიხეილის ეკლესიისა. საღამომდე მოუნდა ჯარი ქალაქში შესვლასა. თვით თავადმა მიჰმართა თავის ციხე დარბაზსა, საცა უკვე ყოველივე მზად იყო ლაშქრობის განსაგრძობად; ჯარები დაბანაკდნენ ქალაქში, რაც აგრე ადვილი არ იყო. რადგან ამბოხების ხმა გავრცელდა, მთლად დნეპრის გამოღმა-მხარის თავად-აზნაურობას ლუბნში მოეყარა თავი; დიდ-ძალი ხალხი მოგროვილიყო ქალაქში. ქალაქში კიდევ მოდიოდნენ თავადის კომისარები, მოურავნი, უფროსნი ამა თუ იმ

თემისა, ეკონომები, იყვარადარნი, ურიანი,—ერთის სიტყვით, ყველანი, ვისაც კი საბუთი ჰქონდა მოჰრიდებოდა ამბოხებასა. კაცს ეგონებოდა, რომ ბაზრობაა ლუბნში დანიშნულიო. მოსკოვის ვაჭარნი და აშტერონის თათარნიც კი ბლომად იყვნენ. მომწყვდეულიყვნენ ქალაქში და ვერა ჰბედავდნენ გზად წასვლასა. ბაზარ ადგილას ათასობით იდგნენ ურმები, რომელნიც სხვა-და-სხვა საქონლით იყო დატვირთული. უფრო საპატრო სტუმარნი ციხე-დარბაზში ჩამომხდარიყვნენ, ხოლო მდაბიონი და მხლებელნი საყდრების გალავნებში მოთავსებულიყვნენ, საცა მრავლად იყო დაცემული კარვები. ყოველგან ხმაურობა იყო, მჭიდროობა და სხვა-და-სხვა გვარისა და ფერის ტანსაცმელი მოსჩანდა; აქ თავადის ჯარის-კაცნი სხვა-და-სხვა დროშისა და რაზმისა, იქ ჰაიდუკნი, აქეთ ურიანი შაის პაიჭებითა, სომეხნი იის-ფერი ტანისამოსითა, თათარნი ტულუფითა. ბრბო სიხარულით ეგებეოდა ჯარის-კაცთა, რადგან ისინი იყვნენ ერთად-ერთნი თავდებნი საყოველთაო მშვიდობისა. ათას-გვარი ხმები ისმოდა აქეთ იქიდან. ზოგნი ამბობდნენ, რომ თავადი ლუბნში რჩებაო, ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ლიტვას მიდისო; ვიღასაც ხმა დაეყარა, რომ თავადმა დაამარცხა ხმელნიცკიო. გარნა თავადი, რომელმაც უკვე ინახულა თვისი სახლობა, უკმაყოფილებით შეჰყურებდა დატვირთულ ურმებისა და ხალხის სიმრავლეს, რადგან ყოველივე ესე ჯარს გამოჰყვება უკან ბოლო-თრიასავით და გაგვიძნელებს სისწრაფით სიარულსაო. ერთად-ერთი ნუგეში მისი ის იყო, რომ ბრაგიმს იქიდან, მშვიდობიანს ქვეყანაში, ეს ხალხი შემომეფანტება და აღარ გამიძნელებს ლაშქრობასაო. თვით კნეინა და სეფე-ქალნი უნდა ვისნეველცს წასულიყვნენ, რათა თავადს, რომელსაც სახლობის დარდი აღარ ექნებოდა, თავისუფლად ემოქმედნა. ციხე დარბაზში ყოველივე მზად იყო; მაშინვე შეიძლებოდა, ჯარი გზას გასდგომოდა; ყოველივე ესე კნეინა გრიზლედას წყალობით იყო, რადგან კნეინა თავადს არ ჩამოუვარდებოდა არც მხნეობითა და არც ხასიათის სიმტკიცითა. თავადს სასიამოვნოდა ჰქონდა, რომ ასეთს

ყოფასა ჰხედავდა, თუმცა გული უკვდებოდა იმის გამო, რომ იძულებული ვარ დავტოვო მშობლიური კერა, საცა ამდენი ბედნიერი დღე გავატარე და საცა მოვიხვეჭე ასეთი სახელი და დიდებაო. იმის მწუხარებას იზიარებდნენ ყველანი: ჯარიცა, მხლებელნიცა და მთლად მისის სასახლის მცხოვრებთა კრებულიცა; ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვიდრე თავადი ილაშქრებს და იბრძოლებს შორეულს ქვეყნებში, მტერი ლუბნს არ დასტოვებს თავის ქერქში და მის სასურველ ზღუდეებზედ ამოიყრის თავის ჯავრსაო. მეტი ღონე კი არ იყო, ყოველივე უნდა დაეტოვებინათ, ყოველივე უნდა გაეწირნათ.

VIII

პან სქშეტუსკიმ, რასაკვირველია, ვერც კნიაჟნა ჰნახა ციხე-დარბაზში და ვერც ზაგლობა; ლუბნში არავინ არა იცოდა არც იმათი ასავალი და არც დასავალი. და რაინდმაც ჩაიკეტა კარი თვისის სახლისა, ცეიხჰაუზში და იყო ისე თვისის გაცრუებულის იმედებითა და მოუსვენრობითა. ეხვეოდა სხვადა-სხვა გულ-საკლავი ფიქრი და ისე იგერიებდა, თითქო დაჭრილი ჯარის-კაცი იგერიებს ყვავ-ყორანსა, რომელიც ეტანება თბილს სისხლსა და ახალის ხორცის წიწკნასა. თავს იმითი ინუგეშებდა, რომ ზაგლობა თვისის დაუსრულებელის ხერხიანობით როგორმე მიაღწევს ჩიგირინსაო. პან სქშეტუსკის მოაგონდა მოხუცი მეფანტურე, რომელიც რაზლოგის გზაზედ შეხვდა. ეს მეფანტურე, რომელიც ვიღასაც გაეძარცვა და დედიშობილა გაეშვა თვისის წინამძღოლითურთ, სამს დღეს იჯდა ლელიანებში და ვერ ჰბედავდა გზაზედ გამოსვლას. ვინ იცის, იქნება ზაგლობამ მოიქმედა ეს საქმე და ამ სახით იშოვა ტანისამოსი თავისთვისა და ელენესათვის.

„დიაღ, დიაღ, სხვაფრივ არ მოხერხდებოდა ეს საქმე!“ — იმეორებდა დესპანი და ჰგრძნობდა, რომ გულს ეფონებოდა.

ნუ თუ ყოვლად მოწყალე ღმერთი არ დაიფარავს ელენეს უმანკოებას? პან სქმეტუსკიმ იგრძნო საჭიროება მოსვენებისა და მამა მუხოვეცკისთან წავიდა აღსარების სათქმელად. ქსენძმა წაიყვანა სააღსარებოში და დიდ ხანს ემუსაიფა. მღვდელმა უთხრა, რომ ეჭვი არ უნდა გვქონდეს ღვთის მოწყალებაზედა, რომ მოქალაქე მოვალეა ყოველივე გასწიროს სამშობლოს კეთილ-დღეობისათვისო. მამა მუხოვეცკიმ ისეთი ცხოველი სურათი გაუთვალისწინა ქვეყნის დაცემისა და მწუხარებისა, რომ რაინდმა იგრძნო, როგორ იმსჭვალებოდა კვლავ მისი დამწვარი გული მშობლის ქვეყნის სიყვარულითა.

ქსენძმა ათქმევინა აღსარება, დაჰლოცა დესპანი და უბრძანა დილამდე პირქვე იწექი უძრავად იატაკზედ ჯვარის სახედ განთხმულიო.

სამლოცველო ნიში ცარიელი იყო და ბნელოდა შიგ. მხოლოდ ორი სანთელი ციმციმებდა ოდნავ საკურთხევლის წინაშე და ყვითელის შუქით ანათებდა მშვიდობიანსა და სიყვარულით სავსე სახეს ჯვარცმულისას. გადიოდა დრო და ჟამი, ხოლო დესპანი იწვა უძრავად, თითქო მკვიდრიაო და უფრო ცხადად ჰგრძნობდა, რომ მწუხარება, განწირულება, სიძულვილი და ვაება ნელ-ნელა სტოვებს მის გულს და იმალება სადღაც სიბნელეში. დესპანი ჰგრძნობდა, რომ უფრო უადვილდებოდა სუნთქვა და რაღაც საოცარი მშვიდობა სულისა ეფინებოდა მის არსებას; აქ, ამ ჯვარცმის წინაშე მან ჰპოვა ყოველივე, რის მოპოვებაც კი შეეძლო იმ საუკუნის კაცს, ისეთს კაცს, რომლის სარწმუნოება შეურყეველია და რომლის გულშიაც იოტის ოდენი ეჭვი არ იბადება ღვთის არსებობის შესახებ.

დილით უნდა გასულიყო ლაშქარი ლუბნიდან. აფიცრები გათენებისასვე ათვალიერებდნენ თავიანთ რაზმებს, ხომ ყველაფერი რიგზეაო, მერე გადიოდნენ ქალაქ გარედ და იქ მინდვრად ეწყობოდნენ სალაშქროდ მზად-მყოფნი. თავადმა მოისმინა წირვა წმ. მიხელის საყდარში, დაბრუნდა სასახლეში და ახლა ინახულა დეპუტაცია ბერძენთა სამღვდელოებისა და ლუბ-

ნისა და ხოროლის მოქალაქეთა. იერემია იყდა სვე-კვარცხლბეკზედ, გარ-შემორტყმული რჩეულის რაინდებითა და ისმენდა ლუბნის ბურგომისტრის სიტყვასა. ეს ბურგომისტრი, გვარად გრუბი, რუსულად ლაპარაკობდა და ეთხოვებოდა თავადს დნეპრის გამოღმა-მხრის ქალაქების სახელითა. თავადმა უპასუხა, რომ ვცდილობდი მამობა გამეწია და ბატონობას არა ვჩემობდიო, გაფიცებთ, იყოთ ერთგულნი რესპუბლიკისა, რომლის ძლიერ ფრთეთა ქვეშე სცხოვრობდით მშვიდობითა და კეთილდღეობითაო.

დადგა წამი ქალაქიდან გასვლისაცა. სასახლეში გაისმა ხმა ტირილისა და ქუხილისა. სეფე-ქალთ გული უწუხდებოდათ, ხოლო პანნა ანნა ბოჟობლატაია ძლივს მოიყვანეს გონსა. მარტო ერთი კნიაჟნა ჩაჯდა ეტლში ცრემლ-ჩამოუგდებელი და მაღლა თავ-აღებული; არ უნდოდა საყოველთაოდ გაემჟღავნებინა თვისი მწუხარება. სასახლესთან იდგა აღურიცხველი ბრბო ხალხისა, ზარებს გამწარებითა ჰრეკავდნენ ყველა ეკლესიებში. ბოლოს თვით თავადიც შეჯდა ცხენზედა. რაზმთა დროშანი წინ დაიხარა იმის წინაშე, ზღუდეებზედ ზარბაზნებმა დაიწყეს გრიალი; ხმა ტირილისა, ჟღავი-ჟღუვისა და ყვირილ-ტკრციალისა შეერია ზარების რეკას, თოფ-ზარბაზნის სროლასა და საყვირთა ხმასა. მიმავალნი გზას გაემართნენ.

წინ მიდიოდა თათართა ორის სადროშოს ჯარი რაზტვოროვსკისა და ვერშულისა, მერე ჯარი თოფჩებისა, ანუ არტილერია პან ვურცელისა, ქვეითი ჯარი მახნიცკისა, შემდეგ კნეინა და მთლად სასახლის კრებული, ურმები ბარგი-ბარხანითა, მერე ვლახელთა სადროშო პან ბიხოვეცისა და ბოლოს თვალი ლაშქრისა მძიმედ დარაზმული ცხენოსანთა ჯარი ჯავშინოსანთა და გუსართა სადროშოსი. სულ ბოლოს დრაგუნები იყვნენ.

ჯარებს მიჰყვებოდა უკან დაუსრულებელი აჭრელებული კუდ-ბაწარა შლიახტის ეტლთა, რომელთაც მიჰყავდათ სახლობა იმათი, ვისაც აღარ უნდოდა დნეპრ-გამოღმა მხარეს დარჩენა თავადის წასვლის შემდეგ.

საომარნი ბუკ-საყვირნი მხიარულს ხმებს უკრავდა, მაგრამ ყველას გული უნებურად უწუხდა. თვითეული შეჰყურებდა ქალაქის ზღუდეთა და გულში ჰფიქრობდა: ვინ იცის, გნახავთ-ღა კიდევ ჩვენს სიცოცხლეშიო? ოჰ, წასვლა ადვილია, ხოლო დაბრუნებაა ძნელი! თვითეულს ეს ზღუდენი აგონებდა წარსულ ბედნიერებას, თვითეულმა იცოდა, რასაც სტოვებდა აქ, ხოლო იქ... რა მოგველის იქ, რა მოგველის მომავალშიო?

ქალაქი აცილებდა წამსვლელთ თვისთა ზართა რეკითა, თითქო სთხოვს და ემუდარება, ნუ გვტოვებთ, ნუ გვიშვებთ ბედის ანაბარად, თითქო ეთხოვებოდა სამუდამოდ, საუკუნოდ.

ნუ თუ საუკუნოდ?

დიაღ! მთლად იმ ჯარიდანა და იმ ათი-ათას ხალხიდან, რომელიც ეხლა მიდიოდა თავად ვისნეველაკისთან ერთად, აღარც თვით თავადსა და აღარც სხვას ვისმე ბედმა აღარ არგუნა ხვედრად კვლავ დაენახა თვისი მშობელი ქალაქი.

ბუკ-საყვირნი კვლავ უკრავდნენ, სიმრავლე წამსვლელთა, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, და მალე ქალაქის ყველა შენობას გადაეფარა ცის ლაჟვარდი და გააერთიან-გააერთფერა. თავადმა ჰკრა ქუსლი ცხენსა, ავიდა მაღალ სერზედ და დიდ ხანს იდგა იქ გაუნძრევლად. მთლად ეს ქალაქი, რომელიც ბრწყინავდა ცხრა თვალის მზის შუქზედა, მთლად ეს მხარე, რაც ამ მაღალ სერიდან მოსჩანდა, მისი და მისთა წინაპართა ქმნილება იყო. ვისნეველაკებმა გარდაჰქმნეს ეს ყრუ უდაბნო აღყვავებულ ქვეყნადა და ყველაზედ მეტი ამ ქვეყნისათვის თვით თავადმა იერემიამ გააკეთა. ის აგებდა ტაძრებს, რომელთა გუმბათნი ისე მოსჩანდა ახლა, თითქო ცაში ჰკიდიაო, მან გაამაგრა ქალაქი, მან შეუერთა გზებით ეს მხარე უკრაინას, ისა სჩეხავდა ტყეებსა, აშრობდა ჭაობებსა, აშენებდა ციხე-დარბაზებს, სდევნიდა ავაზაკებს, იცავდა მშვიდობიანობას, რომელიც ასე საჭიროა ვაჭრისა და მხვნელ-მთესველისათვის, მისის მეოხებით დამყარდა წესიერება და სამართლიანობა. იმის წყალობა იყო, რომ ეს ქვეყანა სცოცხლობდა, წარმატებასა

და აღყვავებას ეძლეოდა. ის იყო მისი სული და გული, ახლა კი იძულებული იყო მიეტოვებინა ესე ყოველივე.

თავადს არც დიდი სიმდიდრე ენანებოდა, არც თვალგადუწვდენელი სამფლობელო, რომელიც რამდენსამე სამთავროს უდრიდა ნემენცებისას; იმას ის ენანებოდა, რომ სტოვებდა საქმეს, მისის ხელით შექმნილს, რომელსაც შეეჩვია და შეეტკბო სიყრმითვე. ერემიამ კარგად იცოდა, რომ უიმისოდ აქ ყოველივე დაიღუპებოდა, რომ მრავალთა წელთა სამძიმო ღვაწლი ტყუილ-უბრალოდ დაიკარგებოდა, თავ-დაუჭერელი გულის-თქმა და ვნებათა ღელვა აზვავდებოდა, ცეცხლი მოედებოდა ქალაქებსა და სოფლებს, თათარი ჩაიყვანდა თავის ცხენს აქაურ წმინდა წყალზედ წყლის დასალევინებლად და, თუ ღმერთმა ინება და კვლავ დამაბრუნა მე ამ ქვეყანაში, ყოველისავე ხელ-ახლად დაწყება მომიხდება, ხოლო შესაძლოა, რომ ის ძალ-ღონე აღარა მქონდეს, დროც აღარ მეყოს და აღარც ის იმედი მქონდეს ჩემის თავისა, რაც აქამდე მქონდაო. აქ განვლო ჩემის სიცოცხლის უკეთესმა დრომ, აქ დამედგა თავს გვირგვინი დიდებისა და ახლა კი იგი დიდება უნდა განიფანტოს ვითარცა კვამლიო.

და ორმა დიდმა, ტყვიასავით მძიმე ცრემლმა ნელ-ნელა ჩამოსერა მისნი ღაწვნი.

ეგ ორი ცრემლი იყო უკანასკნელი ცრემლი, რომელიც გამოიწურა იმის თვალთაგან; მას უკან მხოლოდ ელვა გამოჰქრთოდა.

თავადის ცხენმა კისერი წინ გაიწვდინა და დაიჭიხვინა; იმის პასუხად მოისმა ჭიხვინი ახლო მომავალ ცხენოსანთა რაზმის ტაიჭთა. ამან გამოაფხიზლა თავადი და მის გულს მიჰფინა სხივი იმედისა. ჯერ კიდევ ექვსი ათასი ერთგული ამხანაგი შემორჩენიაო, ექვსი ათასი ხმალია ჩემკენაო და ამ ხმალთა სიმრავლეს ელის, როგორც ერთად-ერთს ხსნას ჭირში მყოფი სამშობლოვო. დნეპრ გამოღმა მხარის ტკბილი მშვიდობა განჰქრა მაგრამ იქ, საცა გრგვინავს ზარბაზნები, საცა იწვის ქალაქ-სოფლები, საცა ღამ-ღამობით თათართა ცხენების ჭიხვინს

უერთდება ტირილი ტყვეთა, კვნესა მამაკაცთა, დედაკაცთა და ყმაწვილთა,—იქ ასპარეზი მოქმედებისა ვრცელია, იქ შესაძლოა მოხვეჭა სამშობლოს მამის სახელისა და დიდებისა: ვინ გაიწვდენს ხელს ამ გვირგვინისათვის, ვინ დაიფარავს შებღალულს, დათრგუნვილს და მტრის ფეხით გათელილს სამშობლოს, თუ არ მე, იერემია ვისნეველკაკი, თუ არ ის ჯარნი, აგერ აიქ, ამ სერის ძირას რომ ასე აელვარებს თვისთა შუბთა ფოლადის წვერებსაო?

ჯარები ახლა სწორედ სერის ძირობაზედ მოდიოდნენ. ჯარებმა რომ შეჰხედეს თავადს, რომელიც მაღლობზედ იდგა და ხელთ ეპყრა კვერთხი, ველარ მოითმინეს და ყველას ერთბაშად აღმოხდა გულიდან ხმა-მაღალი ძახილი:

— გაუმარჯოს თავადს! გაუმარჯოს ჩვენს წინამძღოლსა და გეტმანს ერემია ვისნეველკაკის!

და ასობით დროშანი კვლავ დაბლა დაიხარა მის წინაშე. თავადმა ამოიწოდა მახვილი, აღაპყრა თვალნი ცად და წარმოსთქვა ღაღადებით:

— მე, ერემია ვისნეველკაკი, დიდებული მოურავი რუსეთისა, თავადი ლუბნისა, ვფიცავ შენს სახელს, ყოვლის შემძლებელო ღმერთო, რომ ვიწვდი რა ამ მახვილს ამბოხისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, აღარ ჩავაგო ქარქაშში იმ დრომდე, ვიდრე ძალღონე და სიცოცხლე არ წამერთმევა, ვიდრე არ მოვბან ჩემს სამშობლოს სირცხვილსა, ვიდრე რესპუბლიკის ფეხ-ქვეშ არ განირთხმის მისი უკანასკნელი მტერი. ამინ!

თავადი ნელ-ნელა ჩამოვიდა სერიდან და შეუერთდა თვისს რაზმებს. იმ ღამეს მივიდნენ ბასანამდე, პანი კრინიცკის მამულებამდე. პანიმ თვალ-ცრემლიანმა შესტირა თავადს, რომ ჩემმა გლეხ-კაცებმა დაიწყეს მღელვარება და მხოლოდ შენის ჯარების მოახლოვების ხმამ გადამარჩინა აუცილებელს სიკვდილსაო.

თავადმა ბრძანა, შეიპყარით მოთავენიო, ხოლო თვითონ პან პონიატოვსკი გაჰგზავნა კანევს, იქაური მიდამონი დაათვალიერეო. პონიატოვსკი მალე დაბრუნდა და თან მოიყვანა ხუთი კაცი

იმიერ-ჭორომელი, რომელთაც წამების ქგეშ ყოველივე მართალი უთხრეს თავადს კორსუნის ომის შესახებ. იმათა სთქვეს, რომ ხმელნიცკი ჯერ ისევ კორსუნშია, ხოლო ტუღაი-ბეი ტყვეებითა, დავლითა და ოქრის გეტმანით ყირიმს აპირობს წასვლასაო. ხმელნიცკი ძალიან ეხვეწებოდა ტუღაი-ბეის, ნუ დამტოვებ მარტოსაო, მაგრამ თათარი თავისას არ იშლიდა და ამბობდა, რომ რაკი სახასო ჯარები იძლივნენ, ყაზახთათვის სხვების შემწეობა საჭირო აღარ არისო. იმიერ-ჭორომელთა სიტყვით, ხმელნიცკის უნდა ჰყავდეს ოთასი ათასი კაციო. ამათში მხოლოდ ორმოც და ათი ათასი იქნება ნამდვილი გაწვრთვნილი ჯარი, დანარჩენი კი სხვა-და-სხვა მილეთის ხალხია, აბრანძული, იარაღ-აუსხმელიო. თავადს გული მიეცა. ამასაც იმედი ჰქონდა, რომ მეც გამიბევრდება ჯარიო. გალმა მხარში მე უნდა შემომიერთდნენ ნაშთნი ძლეულ სახასო ჯარებისა, იქაური შლიახტა და პატარ-პატარა რაზმნი პანებისაო.

პერეიასლავლს შემდეგ ჯარები შევიდნენ უზარმაზარს ტყეში, რომელიც ატეხილი იყო ტრუბეჟის ნაპირებად კოზელციდან თვით ჩერნიგოვამდე. მაისი იყო, საშინლად ცხელოდა. ტყეში სიგრილის მაგიერ ისეთი ლული იდგა, რომ კაცსა და საქონელს ჰაერი არა ჰყოფნიდა სულის მოსაბრუნებლად; საქონელი, რომელიც ბარგის ურმებს მისდევდა, ისიცხებოდა, ან არა-და, იგრძნობდა თუ არა, აქ წყალიაო, გაექანებოდა დასალევად და იყო ერთი უწესოება. ცხენებსაც აწყინა სიცხემ, მეტადრე მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა ჯარში. ღამე უამრავი კოღო-ქინქლა მოსვენებას არ აძლევდა არავისა.

ასე გაიარა ოთხმა დღემა. მეხუთე დღეს სიცხემ უფრო უმატა. როცა დასაღამოჟამდა, ცხენებმა ხრიალი დაიწყეს, ხოლო საქონელი საცოდავად ზმუოდა, რაკი წინ-და-წინვე ჰგრძნობდა მოსალოდნელს განსაცდელსა.

— ჰგრძნობენ, რომ სისხლი უნდა დაიქცესო!—ამბობდნენ ბანაკში.

— ყაზახნი მოგვდევენ! ომი შეგვემთხვევა!

დედაკაცებმა ასტეხეს ტირილი და თავში-ცემა, ეტლნი ცდილობდნენ ერთმანერთისათვის გაესწროთ, უხვევდნენ გზიდან და ხეებ შორის ველარ ატანდნენ ტევრებსა.

გარნა თავადის კაცებმა მალე დაამყარეს წესიერება. თავადმა გაჰგზავნა სხვა-და-სხვა მხარეს პატარ-პატარა რაზმნი, წადით და შეიტყეთ, ხომ არა მოსწდარა-რა საიმისოვო.

პან სქშეტუსკი, რომელმაც გამოუცხადა—მეც წავალო, დაბრუნდა პირველი განთიადისას და პირდაპირ ერემიასთან მივიდა.

— რა გაიგე?—ჰკითხა თავადმა.

— ბატონო, ტყეები იწვის.

— ცეცხლი წაუკიდებიათ?

— დიაღ; რამდენიმე კაცი შევიპყარ; გამოტყდნენ და მიამბეს, რომ ხმელნიცკიმ გამოგვატანა ყაზახი და გვიბრძანა, ცეცხლი წაუკიდეთ ტყეებს, თუ ქარმა ხელი შეგიწყოთო.

— ვერ უყურებთ? ცოცხლები უნდა დავეწვით და ისე დავეხოცეთ, რომ ხელიც არ შემოემართნა, უბრძოლველად!

მოიყვანეს სამი ჩოდარი, განადირებულნი, ტუტუცნი, შიშით თავზარ დაცემულნი. მაშინვე გამოტყდნენ, რომ ჩვენ მოგვანდეს ტყეებისთვის ცეცხლი გვეკიდებინაო.

იმათვე სთქვეს, რომ თავადის საწინააღმდეგოდ ჯარებიც არის გამოგზავნილიო, მაგრამ ისინი სხვა გზით წავიდნენ ჩერნიგოვისაკენ, უფრო დნეპრის ნაპირ-ნაპირაო. ამ დროს მოვიდნენ სხვა გაგზავნილი კაცები და იგივე ამბავი მოიტანეს, რომ ტყეები იწვისო.

ხოლო თავადი ამან ძლიერ არ შეაწუხა.

— ეგ ბარბაროსთა წესია,—სთქვა მან,—მაგრამ ეგ ჩვენ ვნებას არ მოგვცემს. ცეცხლი ვერ ვადმოსცილდება იმ ხევსა და წყლებს, რომელიც ტრუბეჟს ერთვის.

მართლაც, ტრუბეჟს იმდენი პატარ-პატარა მდინარენი ერთვოდა და მდინარეთა შორის იმდენი ჭაობი და ჭანჭრობი იყო, რომ საიმისო შიშს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. საშიში მაშინ თუ იქნებოდა, რომ ყოველ მდინარესა და ჭაობს შემდეგ ეკი-

დებინათ ცეცხლი თვითეულის ტყისათვის, ხოლო ამას ვინ მოახერხებდა.

აქეთ-იქით გაგზავნილნი რაზმნი დარწმუნდნენ, რომ სწორედ ასეც იქცეოდნენ თურმე ტყეების ცეცხლ-წამკიდებელნი. ყოველ-დღე რამდენსამე ცეცხლის წამკიდებელს ჰპოულობდნენ.

ცეცხლი საშინელის სისწრაფითა ძლიერდებოდა და ედებოდა ტყეებს, გარნა ვრცელდებოდა უფრო დასავლეთად და აღმოსავლეთად, ვიდრე ჩრდილად კერძო. ღამ-ღამობით დიდი წითელი შუქი იდგა და ანათებდა მთელს ცას. დედაკაცნი დილით საღამომდე სულ სასულიერო საგალობლებს ამბობდნენ გალობითა. თავზარდაცემული ტყის ნადირი გამორბოდა თავის ბუნაგიდან, ტყის დაბურულ ტევრიდან გზაზედ და უერთდებოდა ბარგის ურმების საქონელსა. ჰაერში იდგა სუნი კვამლისა და ნახშირისა; ჯარი ნელ-ნელა მიიწევდა წინ ხშირ, უკუნეთ წყვდიადშია და სიბნელეში. კაცს ველარაფრით ამოესუნთქა, ხოლო მწარე კვამლი სწვავდა თვალებს და ქარს უფრო ბლიმად მოჰქონდა კვამლი. ღამე უფრო ნათელოდა, ვიდრე დღისით. გარნა ტყეს ბოლო არ უჩანდა, თითქო დაუსრულებელიაო.

აი ამ გარემოებათა შორის მოუხდა თავად ერემიას სიარული თვისის ჯარითა. ამასთანავე, მოვიდა კიდევ ამბავი, რომ მტერი ტრუბეჟის მეორე მხრიდანაც მოდისო.

ერთხელ ღამე თავადის ბანაკში მოვიდა პან სუხოდოლსკი დესნის გაღმა მხრიდან. მოსვლის უმალვე ითხოვა, რომ დაუყოვნებლივ წამიყვანეთ თავადის კარავშიო. პანმა დიდ ხანს ითათბირა რაღაცა თავადთან. შემდეგ თავადმა ბრძანა, რომ შეგროვდნენ ყველა ჩემი აფიცერნიო და გამოუცხადა სამწუხარო ამბავი, რომ მეფე ვლადისლავი გარდაიცვალაო.

აფიცრებმა, თითქო ბრძანება გაიცაო, ქუდები მოიხადეს მაშინვე. ყველას სახე დაეღვრიმა და დაუდინჯ-დაუმგლოვიარდა.

ქსენძმა მუხოვეცკიმ დაიწყო გალობა „dies irae“ და ამ დაბურულ ტყეში, ამ კომლსა და ნახშირის სუნში ყველა უნებურად მოიცვა რაღაც გრძნობამ ობლობისამა. ყველას ცხადად წარმოუდგა თვალ-წინ, რომ უკანასკნელი იმედიც გაჰქრა, რომ ახლა მარტოდ-მარტონი-ღა დავრჩით პირის-პირ საშინელის მტრისა და თავადის მეტი აღარავინ აღარა გვყავს ქვეყნადაო.

იმავე დღეს თავადმა უთხრა ზაცვილიხოესკის და უთხრა განგებ ხმა-მაღლა, რათა ყველას გაეგონა:

— ჩვენ გვინდა ახლა მეფე-მეომარი და, თუ ღმერთმა ინება, არჩევანებში მონაწილეობა მივიღეთ, კენჭი მივცეთ მეფის ძეს კარლოსს, რომელსაც რაინდობის უნარი უფრო მეტი აქვს, ვიდრე ბატონიშვილს კაზიმირსა.

— Vivat Carolus rex!—შესძახეს აფიცრებმა.

— Aivat!—განიმეორეს გუსარებმა, ხოლო მათ შემდეგ მთლად ჯარებმაცა.

თავადმა-დიდებულმა არ იცოდა, რომ ეს ძახილი დნეპრის გამოლმა ყრუ-ტყეებში ვარშავამდე მივიდოდა და ხელიდან წაართმევდა დიდს სახასო კვერთხს.

IX

ასე იარეს ცხრა დღეს ჯარებმა. სამს დღეს მერე დესნაში გავიდნენ და მივიდნენ ჩერნიგოვსა. თავადმა პან სქშეტუსკი წინ გაჰგზავნა, იქნება შეიტყო რამე კნიაჟნასა და ზაგლობას ამბავიო. მაგრამ აქაც, როგორც ლუბნში, არც ციხე დარბაზში, არც ქალაქში, იმათი ამბავი არავინ არა იცოდა-რა. კვალ-წმინდად დაიკარგნენ, თითქო ქვა ჩავარდა წყალში და დაიმალაო; რაინდმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. სად უნდა წასულიყვნენ ნეტავიო? მოსკოვს ხომ არ წავიდნენ, ან ყირიმსაო? ერთი ის-ღაა საფიქრებელი, რომ დნეპრში თუ გავიდნენ, მაგრამ მაშინ ხომ თვით ამბოხების შუა-გულ ადგილას მოჰყვებოდნენო. იქ ხომ ხალხის ჩეხა-ჟლეტაა, ცეცხლის კიდებაა;

იქაურობა ხომ მოდებულია გალეშებულ მდაბიოთა ბრბოთი, იმიერ-ჭორომღებითა და თათრებითა, რომელთა ხელიდან ელენეს თვით მისი ტანისამოსიც ვერ დაიფარავსო. პან სქშეტუსკის ის საშინელი აზრიც კი მოსდიოდა ფიქრად, რომ შესაძლოა ზაგლობამ განგებ წაიყვანა ელენე დნეპრ-გაღმა, ავიყვან და ტუღაი-ბეის მივყიდიო, ბევრად მეტს მომცემს ბოგუნზედაო. ეს აზრი სულ ცოფებსა ჰგვრიდა. საბედნიეროდ, პან ლონგინუს პოდბიპენტა უკედ იცნობდა ზაგლობასა, ვიდრე სქშეტუსკი.

— ეგ აზრი თავიდან განიშორე, საყვარელო მეგობარო,— ეუბნებოდა ლონგინუსი.—პან ზაგლობა მაგას არ მოიქმედებს. კურცევიჩებსაც დიდი ქონება ჰქონდათ, ხოლო ბოგუნიც არას არ დაიშურებდა. თუ იმ ქალის დაღუპვა ნდომებოდა, თავის თავს ასეთს ხათაბალაშიაც არ გააბამდა.

— კარგი, ვსთქვათ, აგრეა,—ამბობდა დესპანი,—მაგრამ მაშ დნეპრ-გაღმა რაღა უნდოდა, რატომ ლუბნს არ მიჰმართა თავშესაფარებლად, ან კიდევ ჩერინგოვს?

— შენ არხეინად იყავ, ჩემო ძვირფასო. მე კარგად ვიცნობ მაგ ზაგლობას. ჩემთან ცოტა არ უქეიფნია და ფულიც ბევრჯელ უსესხნია ჩემგანა. ფულისათვის არასდროს არა ჰზრუნავს, თავისია თუ სხვისა. თუ თავისი აქვს, ჰხარჯავს, ვალს თავის დღეში არ იხდის, ხოლო მაგისთანა საქციელი იკადროს, მაგას იმისაგან არ მოველი.

— თავქარიანი კაცია!

— იქნება თავქარიანიც იყოს, მაგრამ სამაგიეროდ, მოხერხებულია; ვინც უნდა იყოს, გააცურებს, წყალზედ ჩაიყვანს და წყალს არ დაალევინებს. შენ კი, როგორც ქსენძმა გიწინასწარმეტყველა, ღმერთი ისევ დაგიბრუნებს შენს საუნჯესაო, ისეც იქნება. იმედი გქონდეს ისევე, როგორც მე მაქვს იმედი.

პან ლონგინუსმა ღრმად ამოიოხრა და ერთს წუთს შემდეგ დაუმატა:

— გამოვიკითხოთ კიდევ ციხე-დარბაზშიაც: იქნება იყვნენ იქა.

მაგრამ ვაი, რომ გამოკითხვა-გამოწვლილებამაც სანუგეშო არა მოიტანა-რა.

ციხე-დარბაზი სავსე იყო შლიახტიჩებითა, რომელნიც აქ შემოხიზნულიყვნენ ცოლ-შვილითა, ისე შეშინებოდათ ყაზახებისა. თავადმა ბევრი ურჩია, წამოდით ჩემთან ერთად, მე გამომყევით, ყაზახნი უკან მომდევენ ფეხ-და-ფეხაო. ისინი ვერა ჰბედავდნენ ჯარს დასხმოდნენ თავს, ხოლო ძალიან ადვილად შეიძლებოდა, თავადის წასვლის შემდეგ, ქალაქს და მის ციხეს დასცემოდნენ.

შლიახტიჩები გაჯიქდნენ და მაინც თავისას არ იშლიდნენ, ისე იყვნენ დაბრმავებულნი.

— ჩვენ აქ უშიშრადა ვართ ამ ტყეებით დაცულნიო,— გაიძახდნენ თავისას.—აქ ვერავინ მოვა.

— აგერ მე ხომ გამოვლე ეგ ტყეები,—ამბობდა თავადი.

— თქვენ შეგეძლოთ და ავაზაკთა ურდონი კი მაგას ვერ შესძლებენ. არა, ის ტყეები არ არის ეს ტყეები!

ძვირად დაუჯდათ შლიახტიჩებს ეს ახირება და გაჯიქება. თავადის წასვლის შემდეგ, დიდ ხანს აღარ გაუვლია, რომ გაჩნდნენ ყაზახნი. ციხე-დარბაზს გმირულად იცავდნენ შიგ მყოფნი სამის კვირის განმავლობაში; შემდეგ კი ციხე მალე დასცეს და ისე ამოსწყვიტეს ყველანი, რომ ერთი აღარ გადარჩათ ცოცხალი. ყაზახნი კადრულობდნენ საშინელს სიმხეცესა და ბარბაროსობას: შუა ჰხლეჩავდნენ ბავშვებს, სწვავდნენ დედა-კაცებს ნელ ცეცხლზედ; არავინ იყო პატრონი, რომ გამოსარჩლებოდა საცოდავებს, სამაგიერო გადაეხადნა მათთვის.

თავადი ამასობაში ლიუბეჩს მივიდა, დასტოვა იქ ჯარი დასასვენებლად და კნეინითურთ წავიდა ბრაგიმს, რომელიც გაუვალ ტყეებსა და ჭაობებ-შორის მდებარეობდა. ერთის კვირის შემდეგ ჯარიც გაემართა იქითკენ. მალე დადგა დრო განშორებისა თავადსა და მის მეუღლეს შორის. კნეინა უნდა ტუროვს წასულიყო თავის მამიდასთან, ხოლო თავადს ცეცხლი და მახვილი უნდა შეეტანა უკრაინის შუა-გულს.

უკანასკნელ გამოთხოვების სადილზედ ერთად იყვნენ თავადი და კნეინა, სეფე-ქალნი და რჩეულნი რაინდნი. მაგრამ ქალებსა და კავალრებს წინანდელს მხიარულების ნიშან-წყალიც აღარ ეტყობოდათ; არა ერთი და ორი რაინდული გული იწვოდა და იდაგებოდა იმ ფიქრით, რომ ერთის წუთის შემდეგ უნდა განშორებოდა თავის საუნჯეს; არა ერთისა და ორის მიბნედილი ან ჟუჟუნა ლურჯი თვალები იმდუღრებოდა იმ ფიქრით, რომ აგერ ას ომში მიდის და, ვინ იცის, დაბრუნდება-და თუ არა ცოცხალიო. როცა თავადმა დაათავა თვისი გამოთხოვების სიტყვა, ქალებმა ქვითინი დაიწყეს, ხოლო რაინდებმა, როგორც უფრო გულ-მაგრებმა, უფრო ძლიერებმა სულითა, წამოიწიეს ზეზე, იტაცეს ხელი ხმალსა და დაიძახეს ერთობილის ხმით:

— გავიმარჯვებთ და ისევ უკან დავბრუნდებით!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — სთქვა პასუხად კნეინამ.

დარბაზში ისეთი გრიალი გაისმა რაინდებისა, რომ კედლებმა ზანზარი დაიწყს:

— გაუმარჯოს კნეინას! გაუმარჯოს ჩვენს დედას!

— ურა, ურა!

კნეინა უყვარდა ყველა ჯარის-კაცს, იმიტომ რომ გულმტკივნეულობით ეპყრობოდა რაინდობას, იმიტომ რომ დიდებულის სულის პატრონი იყო, იმიტომ რომ უხვი იყო და ჰზრუნავდა რაინდთა ცოლშვილისათვის. მაგრამ ყველაზედ მეტად კნეინა უყვარდა თავად ერემიას. ეს ორნი ისეთნი არსებანი იყვნენ, რომელთაც ბუნება ერთმანეთისათვის ჰბადავს, რომელნიც ერთ ყალიბზედ იყვნენ ჩამოსხმულნი ფოლადისა და ოქროსაგან.

რაინდნი სათითაოდ მიდიოდნენ რიგ-რიგით და მუხლს იდრეკდნენ იმის სავარძლის წინაშე და იმანაც გულს არავის დააკლო, თითო ტკბილი და თბილი სიტყვა უთხრა ყველას. სქშეტუსკის, ამას გარდა, ესეც უბრძანა:

— აქ არა ერთმა და ორმა რაინდმა მიიღო გამოთხოვების ლენტი, ან რაიმე სანუკარი, ხოლო რადგან ის აქ არ არის,

ვისგანაც თქვენთვის სასურველი იქნებოდა მიგეღოთ რამე სახსოვრად, ამიტომ მიიღეთ ჩემგან.

კნეინამ მოიხსნა პატარა ჯვარი ოქროსი, ძვირფასის თვალმარგალიტით მოჭედილი და ჩამოჰკიდა რაინდს.

ყველანი წამოიშალნენ. ქალებმა მიჰბაძეს კნეინას მაგალითს და დაუწყეს ბოძება საჩუქრებისა თავთავიანთ კავალრებს. მხოლოდ ერთი ანნა ბოჟობოლატაია, უულამაზესი ყველა იქ მყოფ ქალთა შორის, იდგა ფანჯარასთან მარტოდ-მარტო, ყველასაგან მიტოვებული: არც ერთი რაინდი არავითარს ყურადღებას არ აქცევდა. სახე აჭარხლებოდა, თვალები უბრწყინავდა განრისხებისაგან; ჯერ არას დროს არ გამოეცადნა ასეთი შეურაცხყოფა. მერე სწორედ ამ დროს, თითქო ჯიბრზედ, მიკიდა იმასთან მოღალატე ვოლოდიევსკი.

— მინდოდა მეთხოვნა რამე თქვენთვის სახსოვრად,—სთქვა მან,—მაგრამ წინდაწინვე უარ-ვუყავ ეს აზრი, რადგან ვიფიქრე, რომ სულ ერთია, ვერ გავატან იმ რაინდთა შორის, რომელნიც მრავლადა ჰყავს გარშემორტყმულნი-მეთქი.

ანნა სულ ცეცხლივით აენთო და ღაწვნი უფრო გაუჭარხალდა.

— ალბად ჩემის ხელით არ გინდოდათ მიგეღოთ საჩუქარი,—ნართაულის სიტყვით უპასუხა მაშინვე ყმაწვილმა ქალმა,—და კარგადაც გიფიქრიათ სწორედ, რომ იმედი გადაგიწყვეტიათ. იქ თუ მჭიდროობა არ არის, ძნელად შესაწდომი მაინცაა თქვენთვის.

ასეთი პასუხი შიგ გულში მოხვდა ვოლოდიევსკის და ქალმა ორი კურდღელი დაიჭირა ერთის ხელით. ამ პასუხით ჯერ სიტყვა იმაზედ გადუკრა, რომ დაბალის ტანისა ხარო და მერე იმაზედ, რომ კნიაჟნა ბარბარე ზბარასკის გაუმიჯნურდა. პან ვოლოდიევსკის პირველში მისი უფროსი და ანნა უყვარდა, ხოლო შემდეგ, როცა ის სხვამ დანიშნა, იწუხა, იწუხა და ახლა უმცროს დას ბარბარეს დაუწყო არშიყობა იმ იმედით, რომ ვერავინ ვერას მიმიხვდებაო. საწყალს ვოლოდიევსკის საშინლად შერცხვა და რაღაც სისულელე წამოროშა:

— დიალაც, ყველა ხომ ისეთი აყლაყუდა არ იქნება, როგორც პან პოდბიპენტაა, მაგალითად...

— სწორედ ის უფრო თქვენზედ მაღალია, მაგრამ არა მარტო ტანით, არამედ ცოტა სხვა რამითაც. გმადლობთ, რომ გამახსენეთ ის რაინდი. ეგეც კარგია თქვენგანა.

ანნა გაცქრიალდა და მივიდა ლიტველთანა.

— პან პოდბიპენტა, აქ მობრძანდით. მეცა მსურს ჩემი რაინდი მყავდეს და არ ვიცი, იქნება კიდევ სადმე თქვენსაზედ უფრო მამაცი მკერდი, რომელზედაც შემეძლოს ეს ჩემი შარფი დავამაგრო.

პან პოდბიპენტამ ისე დააჭყიტა თვალები, თითქო არა სჯერა, რაც ესმის ჩემს ყურებასაო, მერე მოიდრიკა მუხლები და ისე დაიჩოქა ქალის წინაშე, რომ იატაკმა ზანზარი დაიწყო:

— ოჰ, პანნა! განა უნდა მჯეროდეს...

ანნამ გადუხვია მკერდი შარფითა; პან ლონგინუსმა აღტაცებით გამოართვა პაწაწა ხელები და მხურვალედ დაუწყო კოცნა.

პან ვოლოდიევსკი განზე გადგა და გულში ჩაიკლა თვისი გაბრაზება... იყო ხომ დრო, როცა მიყვარდა ეგ ქალიო.

თავადიც გამოეთხოვა კნეინას და ერთს საათს შემდეგ ერემიას სახლობა გაემგზავრა ტუროვს, ხოლო ჯარმა გასწია პრიპეტისაკენ.

იმ ღამეს, პრიპეტის ნაპირად, როცა დურგლები კატარღებს აკეთებდნენ, ხოლო გუსარნი თვალ-ყურს უგდებდნენ მუშაობას, პან ლონგინუსმა ცალკე გაიხმო სქშეტუსკი.

— ოჰ, რომ იცოდე, რა მწუხარება შემომაწვა გულსა!

— რა იყო განა?—შეეკითხა პორუჩიკი.

— გაიგონე, რა ამბავი მოვიდა უკრაინიდან?

— რა ამბავი?

— იმიერ-ჭორომელებმა სთქვეს, რომ ტუღაი-ბეი თვისის ურდოთი ყირიმს წავიდაო.

— რაო მერე? შენ რას სწუხარ მაგისათვის?

— მაშ, ვიღამ უნდა იწუხოს თუ არ მე? შენვე არ მითხარი, რომ ყაზახთა თავნი სათვალავში არ ჩაიგდებაო? ახლა რაკი თათრები წავიდნენ, სადღა უნდა შევხვდე სამის წარმართის თავსა, სადღა უნდა ვსძებნო? ის სამი თავი კი, იცი, რა ნაირ მიჭირს!

სქშეტუსკიმ, თუმცა თავისი დარდი ძალიან აწუხებდა, ველარ მოითმინა და გაეღიმა:

— მესმის, მესმის... დავინახე, დღეს რომ შარფი შემოგახვიეს.

პან ლონგინუსმა გულ-ხელი დაიკრიფა.

— რაღა დავმალო და არცა ჰღირს. შემიყვარდა ის ქალი, ჩემო ძვირფასო, შემიყვარდა.... ღმერთო, რა უბედურებაა!

— ნუ სწუხარ, არა მჯერა, რომ ტუღაი-ბეი წასულიყოს, ხოლო თუნდ აგრეც იყოს, მაინც იმდენს წარმართს იპოვი იქა, რამდენიც შენ სულსა და გულს უნდა. წარმართნი იქ იმდენნი არიან, რამდენიც აქ მუმლი და კოღო.

მართლაც, რაინდებს უამრავი კოღო და მუმლი დაჰბზუოდა თავზედ. ჯარები ისეთ ქვეყანაში იყვნენ ახლა, რომელიც სავსე იყო ჭაობებ-ჭანჭრომებითა, ტყე-ღრეებითა, მდინარე-წყლებითა და ხევებითა, ერთის სიტყვით, ყრუსა, უსიერსა და მიუვალ უდაბნოში.

გარნა საკვირველი ეს იყო, რომ ამ ჭაობებ შორის, ალაგ-ალაგ ლამაზად გამოიკვირებოდა მდიდრული სახლ-კარი პანებისა. თავადის რაინდნი, აღზრდილნი დნეპრის გაღმა-მხრის მაღლობ, მშრალ მინდვრებ შორის, თავიანთ თვალებს არ უჯერებდნენ. იმათ სამშობლოშიაც იყო ალაგ-ალაგ ტყეები და ჭაობები, ხოლო აქ მთლად ეს ქვეყანა ერთი განუწყვეტელი ჭაობი იყო. ღამე კარგი იყო, მოწმენდილი, მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და საცა კი მიიხედავდი, ერთს ფეხის დადგმა მშრალს ადგილს ვერ დაინახავდი. ასე გეგონებოდა, ტყეები პირდაპირ წყალში ატეხილაო, წყალი წყაროსავით ამოჩუხჩუხებდა, საცა კი კაცი ფეხს დაადგამდა, ან ეტლი გაივლიდა. დინჯი, აღუშფოთებელი ვურცელიც კი განწირულებაში ჩავარდა.

— უცნაური ქვეყანაა! — ამბობდა წამ-და-უწუმ ვურცელი.—ჩერნიგოვს ახლო ცეცხლი გვემუქრებოდა, აქ ლამის წყალმა დაგვარჩოს!

მართლაც, აქ დედა-მიწა იმის მაგიერ რომ თვისის დანიშნულებისამებრ ფეხის მოსამაგრებელი ყოფილიყო, თითქო აპირობდა გასკდომას და იმათ შთანთქმას, ვინც ზედ ფეხს დააკარებდა.

ჯარები გავიდნენ პრიპეტში; შემდე სიარული უფრო გაძნელდა, რადგან თითქმის ყოველ დღე ახალ-ახალი მდინარე ჩნდებოდა და ახლა იმაში უნდა გასულიყვნენ. რალა თქმა უნდა, რომ ხიდების ნასახიც არსად იყო. ახლა წვიმამაც მოიდგა ძირი და დაიწყო ცრა. ხალხს ილაჯი გაუწყდა და ყოვლის ღონითა ცდილობდა დაელწია როგორმე თავი ამ წყეულის ქვეყნიდანა. თავადი სულ აშურებდა ჯარს და ჩქარა სიარულსა თხოულებდა. ბრძანებდა, რომ ეჩეხათ ტყე, ეფინათ გზა ხეებითა და ამ სახით დაუღალავად მიჰყავდა თვისი ლაშქარი ამ საშინელის გზით. ჯარის-კაცნი ჰხედავდნენ, რომ თვით ისიც არა ჰზოგავდა ძალ-ღონეს, მთელის დღეობით იჯდა ცხენზედ და ჩნდებოდა ყველგან, საცა მცირეოდენი რამ გაჭირვება იყო. ამიტომ ვეღარავინ ჰბედავდა ჩივილსა და დრტვინვას, თუმცა კი საშინლად მოიქანცნენ და ილაჯი გაუწყდათ. ან კი როგორ არ უნდა გასწყვეტოდათ ილაჯი, როცა დილით საღამომდე და საღამოდან დილამდე შეუწყვეტლად ასველებდა წვიმა და მუხლებამდე ლაფებში ურევდნენ ფეხებს. მოდი და ნუ დაჰკარგავ სასოებას ამისთანა ყოფაში! ცხენებს ჩლიქები წაუცვდათ და ძლივს მიათრევდნენ ფეხებსა. ქვეითა ჯარი და დრაგუნები ვოლოდიევსკისა იძულებულნი იყვნენ თვით ეთრიათ ზარბაზნები. უკეთესმა რაზმებმა, სქშეტუსკისა და ზაცვილიხოვსკისამ, ცულებს წაავლეს ხელი და ხერგითა და ფიცრითა ჰფენდნენ გზას. საშინელი ლაშქრობა იყო ის ლაშქრობა და მხოლოდ წინამძღოლის შეუდრეკელმა ხასიათმა და ჯარის-კაცთა მხნეობამ სძლია იმ ლაშქრობაში ყოველსავე დაბრკოლებას. მანამდე ჯერ არავის გაებედნა ჯარით გაევლო გაზაფხულ-

ზედ ამისთანა ადგილები. საბედნიეროდ, ამ ლაშქრობის დროს არც ერთხელ თავადის ჯარს მტერი არ დასხმია თავს. იქაურ ხალხს, წყნარსა და მშვიდობიანს, ფიქრადაც არ მოსდიოდა აჯანყება-ამბოხი და შემდეგაც კი იქაურნი მკვიდრნი არ მიემხრნენ ყაზახთა. ამ ჟამადაც მშვიდობიანად ეგებებოდა და აცილებდა მათ ქვეყანაში მიმავალ რაინდებს და მორჩილებით ასრულებდა ყოველსავე, რასაც კი უბრძანებდნენ.

ამის შესაფერად, თავადმა უფრო სასტიკი წესი და რიგი შემოიღო ჯარში, რათა მკვიდრნი არ შეწუხებულიყვნენ და ამიტომ იმის ჯარს უკან არ სდევდა, როგორც ჩვეულებრივ მოსდის ხოლმე სხვის ჯარებს, კვნესა და წყევა-კრულვა.

ბოლოს, ოცის დღის აუტანელ გაჭირვებისა და ჭაპან-წყვეტის შემდეგ, თავადის ჯარი შევიდა აჯანყების ცეცხლით მოდებულს ქვეყანაში. „ერიომა მოდის! ერიომა მოდის!“— გაისმოდა მგრგვინავი ბანივით ხმა მთელს უკრაინაში თვით ყრუ მინდვრებამდე, ჩიგირინამდე, ეგორლიკამდე. „ერიომა მოდის!“—გაისმოდა ყველა ქალაქსა, სოფელსა და დაბა-მოსახლობაში, ხოლო ამ ხმის გაგონებაზედ ცელები, რკინის ფოცხ-ფიწლები და ორთითები თავის-თავად უცვივოდათ ხელიდან გლეხ-კაცებსა, პირისახე უფითრდებოდათ, ბრბონი აბეზართა გარბოდნენ სეჩს, თითქო მგლის ხროვნი არიან და მონადირის საყვირის ხმა გაიგონესო; თათარი, რომელიც ძარცვა-რბევისთვის შემოსულიყო ამ ქვეყანაში, ჰხდებოდა ცხენიდან და დედამიწას ადებდა ყურს, ხოლო დაუნგრეველად გადარჩენილ ციხე-დარბაზებში ჰრეკდნენ ზარებსა და ჰგალობდნენ „Te Deum“.

გარნა მრისხანე ლომი დაწვა აჯანყებულ ქვეყნის სამზღვრად და ისვენებდა.

ლომს უნდოდა ძალ-ღონე მოეკრიბნა.

X

ხმელნიცკი პატარა ხანს იყო კორსუნსა და მერე ისევ თეთრ ეკლესიისაკენ დაიწია; აქ დაარსა მან თვისი სამეფო

ქალაქი. თათრებმა დასცეს თვისი კარვები მდინარე წყალის გაღმა ნაპირს და კალიასავით მოედნენ მთლად კიევის სამოურავოს. პან ლონგინუს პოდბიპენტა ტყუილადა სწუხდა, ვაი თუ თათრის თავები აღარ იყოს მოსაკვეთადაო. დესპანი მიხვდა, რომ იმ იმიერ-ჭოროშელებმა, რომელნიც პან პონიატოვსკიმ შეი პყრო კანევს ახლოს, ტყუილი სთქვეს ჩვენების ჩამორთმევაზედ: ტუღაი ბეის ფიქრადაც არ მოსდიოდა ჩიგირინიდან ფეხი მოეცვალა; ეს კიდევ არაფერი: ყოველ-დღე ახალ-ახალი ჯარები თათართა ემატებოდა მისს ჯარს. მოვიდნენ, მაგალითად, აზოველნი და აშტარხნელნი, რომელნიც მანამდე არასდროს არ ყოფილიყვნენ პოლონიაში, მოვიდა ნოღაელთა ურდო 12 ათას კაცამდე, აკკერმანელნი და ბუჯაკნი 20 ათასამდე; ეს ბუჯაკნი ოდესმე მოსისხლე მტერნი იყვნენ ყაზახთა და იმიერ-ჭოროშეთისა. ბოლოს მოვიდა თვით ხანი ასლანგირეი 12 ათასის პერეკოპელითა. ამ ახალ სტუმართაგან დიდადა ჰკვნესოდა მთლად უკრაინა; დიდი ჭირი და ვაგლახი დააღგა არა მარტო შლიახტას, არამედ თვით რუსთა ტომის მკვიდრ ხალხსაცა; თათარნი ცეცხლს უკიდებდნენ იმათ სოფლებს, სძარცვავდნენ ქონებას, ხოლო თვით მკვიდრნი მათის ცოლშვილითა ტყვედ მიჰყავდათ. ამ დროსა სიკვდილისა და სისხლის-ღვრისასას გლეხ-კაცს ერთად-ერთი საღსარი-ღა ჰქონდა ხსნისა; ეს საღსარი ხმელნიცკისთან გაქცევა იყო, იმის ბანაკში მისვლა იყო. თუ მანამდე გლეხ-კაცი განწირულებასა ჰგრძნობდა და მსხვერპლი იყო, იქ მისვლის შემდეგ ჯალათად გადიქცეოდა ხოლმე და თვითონვე ამტუტებდა თავის ქვეყანას; ამ სახით, თუ სხვა სიკეთეს არასა ჰპოვებდა, თვისის არსებობისა და სიცოცხლისათვის მაინც აღარა შიშობდა. საცოდავი ქვეყანა! ამბოხის დაწყებისას აამტუტა ნიკოლოზ პოტოცკიმ, მერე თათრებმა და იმიერ-ჭოროშელებმა, რომლებიც ვითომ მის გასათავისუფლებლად მოვიდნენ, ხოლო ახლა ემუქრებოდა საშინელი ლანდი ერემია ვისნევეცკისა.

და აი მირბოდნენ ხმელნიცკისთან ყველანი, ვისაც კი შეეძლო გაქცევა, მირბოდა შლიახტაც კი, იმიტომ რომ სხვა

ლონე ირ იყო ხსნისა. ამ გარემოების წყალობით, ხმელნიცკის ჯარი თან და თან მატულობდა, და თუ ჯერ რესპუბლიკის შუა-გულ არ შესულიყო, თუ ასე დიდ ხანს იდგა თეთრ-ეკლესიასთან, ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ უნდოდა, იქნება როგორმე წესსა და რიგში ჩაეყენო ეს ამოდენა განადირებული ბრბო ჩემთა მომხრეთა და თანამეომართაო.

იმისმა მძლავრმა ხელმა სწრაფად გასწურთნა ეს ათასის მილეთის ხალხი და საომარ ლაშქრად გადააქცია. ჯარები მზად იყო, რადგან გამოცდილნი იმიერ-ჭორომელნი მზა-მზარეულნი აფიცრები იყვნენ. ბრბო განაწილებულ იქმნა პოლკებად, რომელთაც პოლკოვნიკებად დაენიშნათ კაშევოი ატამანები. თვითეული რაზმი ყოველ-დღე იგზავნებოდა საფარეშოდა და ციხე-დარბაზთა შესამუსრავად და თან ომში გამოსაცდელად. ახალნი ჯარის-კაცნი მალე შეეჩვივნენ თავიანთ ახალს ყოფას; წინადაც კი ენახათ თათართა თავ-დასხმა, წინადაც კი უდგნენ პირის-პირ აუცილებელს დაღუპვას, საშინელს სიკვდილს.

ორმა პოლკოვნიკმა, განჯამა და ოსტაპმა, დაიპყრეს ნესტერვარი და სულ ერთიანად ამჟღიტეს თავად-აზნაურობა და ებრაელნი. თავადს ჩეტვერტინსკის მისმავე მეწისქვილემ მოჰკვეთა თავი ციხე-დარბაზის კარის ზღრუბლზედა, ხოლო კნეინა ტყვედ შეიპყრო ოსტაპმა. სხვა ბელადნი ყაზახთა სხვა მხარეს მიდიოდნენ და ყველგან ასევე გამარჯვებულნი იყვნენ, „ლიახთა“ გული „შიშმა შეიპყრო, მაშინ როდესაც ამ ერმა არ იცის, შიში რა არის“. ახლა კი ისეთი თავზარი დაეცათ, რომ იარაღი სცვივოდათ ხელიდან და ხელები უკანკალებდათ სისუსტითა.

პოლკოვნიკები არა ერთხელ აქეზებდნენ ხმელნიცკის: „რას უყურებ, რომ ვარშავზედ არ მიიტან იერიშს, ითვრები არაყითა და დროს აძლევ ლიახებს, რომ გონზედ მოვიდნენ და ლაშქარი შეჰკრიბონო? არა ერთხელ დაუწყვია ჟრიამული ლამლამობით ბრბოს, შემოჰრტყმია გარშემო ხმელნიცკის სადგურს და მოუთხოვნია ჰექა-ქუხილით: „ლიახთა ამოჟლეტა გვწყურიან, წაგვიყვანეო“. ხმელნიცკიმ გააზვიადა საქმე ამბოხებისა

და დიდი, საშინელი ძალა მისცა, ხოლო ახლა თვითონვე დაინახა, ეს ძალა სადღაც განურკვეველ მომავალისაკენ მიმაქანებსო, ცდილობდა შთაეხედნა იმ უფსკრულში, რომელსაც უშველებელი პირი დაეღო მის წინაშე და გული აჩქარებულის მოუსვენრობით უცემდა უნებურად.

თვისს პოლკოვნიკ-ატამანებ შორის მხოლოდ იმან იცოდა, რაოდენ საშინელი ძალა იფარვოდა რესპუბლიკაში, რომელიც დღეს დასუსტებული და დაუძლურებული ეგონებოდა კაცს. მან აღმართა დროშა ამბოხებისა, გაიმარჯვა ყვითელ-წყლებთან, გაიმარჯვა კორსუნთან; გაჰფანტა და ამოჰჟლიტა სახასო ჯარები... მაგრამ მერე?

შეჰკრებდა სათათბიროდ პოლკოვნიკებს, ბრიალით მოავლებდა თავისს დასისხლიანებულს თვალებსა, რომლის წინაშე ყველანი თრთოდნენ, და დაღვრემილი ეკითხებოდა ერთსა და იმავეს:

— ახლა რაღაი? რაღა გინდათ? ვარშავაზედ მივიტანოთ იერიში? მოვა მერე თავადი ვისნევეცკი, ამოსწყვეტავს ჩვენს ცოლშვილს და გრიგალივით აამტუტებს ქვეყანას, მერე შემოიკრებს შლიახტას და შემოგვიტევს. ჩავვარდებით ორ ცეცხლ შუა და, თუ ომში არ დავიხოცენით, მარგილებზე ჩამოგვაცვამს... თათრების მეგობრობის იმედი ტყუილია. ისინი დღეს ჩვენთან არიან, ხვალ ჩვენ წინააღმდეგ იმოქმედებენ; გაბრუნდებიან და წავლენ ყირიმს, ან ახლა პანებს მიჰყიდიან ჩვენს თავს... რაღა იქნება შემდეგ? სთქვით!... მივეტევნეთ ვისნევეცკის? მარტო ის შეგვაყენებს კარგა ხანს, ამასობაში რესპუბლიკის ჯარი თავს მოიყრის და ერემიას მიეშველება... ირჩიეთ, როგორც გინდათ!

და შეშფოთებული პოლკოვნიკები მდუმარებდნენ, ხოლო ხმელნიცკი განაგრძობდა:

— რას გაჩუმდით უცბად? რატომ არ ითხოვთ კვლავ ვარშავას წავიდეთო? როცა არ იცით, რა მოიქმედოთ, მე მომენდეთ, ხოლო მე, თუ ღმერთი შემეწია, გადავარჩენ ჩემს თავ-

საცა და თქვენსასაცა, უზრუნველ-ვჰყოფ ყაზახთა მომავალსაცა და მთლად იმიერ-ჭორომეთის ჯარსაცა.

ერთი რამ ღონე კიდევ იყო: მშვიდობიანი მორიგება. ხმელნიცკიმ კარგად იცოდა, რამდენს გამოსცინცლავდა ამ გზით რესპუბლიკას. დარწმუნებული იყო, რომ სეიმები უფრო ბევრის დათმობას იტვირთებდნენ, ვიდრე ხანგრძლივს ომს, რომელსაც აუარებელი ხარჯი მოუნდებოდა. მერე ვარშავაში ძლიერი დასია თვით მეფის მოთავეობით *), რომელსაც გულით უნდა შეაკვეცოს ფრთა უკრაინის მაგნატების ძლიერებას და თავისკენ მიიმხროს ყაზახნიო. ამ გარემოებათა შორის ხმელნიცკის შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ იქნება საგეტმანო კვერთხი თვით მეფემ ჩამაბაროსო.

აი მიზეზი იმისი, რომ ხმელნიცკი ისე დიდ ხანს იყო გაჩერებული თეთრ-ეკლესიაში. ამასობაში თვისს ჯარს აძლიერებდა, თოფ-იარაღში სვამდა, ბრძანებას ბრძანებაზედ ჰგზავნიდა აქეთ-იქით, დიდს ლაშქარს ამზადებდა, ციხე-დმრბაზებს ალყას არტყამდა. ხმელნიცკიმ იცოდა, რომ რესპუბლიკა მხოლოდ ყოველად ძლიერს მტერს დაუწყებს მოლაპარაკება-მორიგებასაო.

ოჰ, ეგ სურვილი რომ შემისრულდეს! მაშინ მახვილი თავის-თავად დაუვარდება ხელიდან თავად ვისნეველკის, ხოლო თუ ასე არ მოჰხდა, იმ შემთხვევაში მე კი აღარ ვიქნები მეამბოხე, წინააღმდეგი მეფისა და სეიმებისა, არამედ თავადი ვისნეველკიო.

მაშინ ვეკვეთები ვისნეველკის, მაგრამ უკვე მეფისა და რესპუბლიკის ბრძანებით და მაშინ დადგება უკანასკნელი ჟამი არა მარტო თავადისათვის, არამედ უკრაინის ყველა დიდებულ მოურავ-გეტმანებისათვის.

ასე ოცნებობდა არა-მკითხე იმიერ-ჭორომელი გეტმანი, ასეთს ტკბილს ზმანებაში იყო გართული. მაგრამ ამ ზმანებათა მწვერვალებზედ ხშირად მოიკრიბებოდა ხოლმე შავ-ბნელი გუნ-

*) 12 ივლისს თეთრ-ეკლესიაში ჯერ არ იცოდნენ მეფის სიკვდილის ამბავი.

დი მწუხარებისა, ეჭვისა, შიშისა და ბოროტის ხმით თავს დასჩხაოდა.

ვითომ საკმაოდ ძლიერი კია ვარშავაში დასი მშვიდობიანობისა? დამიწყებენ კი ვითომ მორიგებასა? რას იტყვის სეიმი და სენატი? ვითომ ბამბას დაიცობენ ყურებში და არაფრად ჩააგდებენ უკრაინის კვნესასა და ძახილს, გვიშველეთო! ვითომ თვალებს დაიბრმავებენ და არ დაინახავენ ამ ცეცხლ-წაკიდებულ ქვეყნის ვაებას? ვითომ იმ დასს არ აჯობოს პანების დასმა, რომელსაც აქ აუარებელი ქონება აქვთ, ვითომ არ წამოვიდნენ ამ ქონების დასაცველად? დავიჯერო რესპუბლიკა ისეა შეშინებული, რომ თათრებთან დაამხანაგებასა და დაკავშირებასაც კი დამითმობს?

მეორეს მხრით ხმელნიცკის გულს სწვავდა ის ეჭვი, მეტის-მეტად ხომ არ აღვაგზნე ცეცხლი ამბოხებისაო? ნებას-ღა მომცემს, ეს განადირებული სიმრავლე ათასის მილეთის ხალხისა, რომ მისთვის ასეთი თუ ისეთი წესი და რიგი იქმნას დადგენილი? კარგი, ვსთქვათ, მე ზავი დაედე, ყაზახნი მაინც თავისს ავკაცობასა და თარეშობას არ დაიშლიან, ან არა-და ჩემზედ ამოიყრიან ჯავრს, თუ იმედები გაუმტყუნდათ. ეს ამოდენა ბრბო ხომ ადიდებული მდინარეა, ზღვაა, გრიგალია! საშინელებაა ჩემი ყოფა! ამაზედ სუსტი რომ ყოფილიყო ეს აფეთქება, ჩემთან, როგორც უძლურთან, არავითარს მორიგებასაც არ მოინდომებდნენ; ახლა კი, როცა აჯანყებამ მიაღწია უმწვერვალესობამდე, მოლაპარაკებაც სიკეთეს აღარას მოიტანს.

მერე.... რა იქნება მერე?

როცა ასეთი ფიქრი ტყვიასავით შემოაწვებოდა გეტმანის გულს, ჩაიკეტავდა კარს თავისს სადგურში და სამდა დღე და ღამ. მაშინ პოლკოვნიკებსა და მიდამოთა შორის გავარდებოდა ხმა: „გეტმანი სვამსო“ და იმის წახედვით დაიწყებდნენ სმას ყველანი, წესი და რიგი სუსტდებოდა, ტყვეებს ჰხოცავდნენ, საშინელს ჩარბეზანას აბამდნენ. თეთრი ეკლესია ჯოჯოხეთად გადიქცეოდა ხოლმე.

ერთხელ შევიდა მთვრალ გეტმანთან ვიგოვსკი, შლიახტიჩი, კორსუნში დატყვევებული და ახლა გეტმანის მდივნად მყოფი. შევიდა და დაუწყო კადნიერად ბანჯღალი გეტმანსა, ბოლოს დასვა ნაბადზედ და, როგორც იყო, გონებაზედ მოიყვანა.

— რა ამბავია, რა მოჰხდა?—ჰკითხა ხმელნიცკიმ.

— აბძანდით, პან გეტმანო, და მოდით გონსა,—უპასუხა ვიგოვსკიმ.—ელჩები გეახლნენ.

ხმელნიცკი უცბად წამოხტა ფეხზედ და იმ წამსვე გამოფხიზლდა.

— ეი!—შეუძახა ყაზახს, რომელიც იქვე კარებში იყდა,— მომიტა მანტია, ქუდი და კვერთხი!... ვინ მოვიდნენ? ვისი გამოგზავნილები არიან?

— გუშჩელი ქსენძი, პატრონიი ლასკო, ბრაცლავის პან მოურავისაგან არის გამოგზავნილი.

— პან კისელისაგან?

— დიაღ.

— დიდება მამასა და ძესა, დიდება სულსა წმიდასა და ყოვლად-წმიდასა!—იწერდა პირჯვარს ხმელნიცკი. და სახე გაუბრწყინდა... მოლაპარაკება უნდათ ალბად, ძლიეს!

მაგრამ, ვაი, რომ იმ დღესვე სულ სხვა ამბავი მოვიდა, მოიტანეს ამბავი, რომ თავადმა დაასვენა თავისი ჯარები, რომელიც დაღალულიყო ტყეებსა და ჭაობებში სიარულითა, შემოესია ახლა აჯანყებულ ქვეყანას და სულ ნაცარ-ტუტეს ადენსო; რომ ერთმა რაზმმა, სქშეტუსკის მოთავეობით გაგზავნილმა, სძლია, ორი ათასი ყაზახთა ჯარი და სულ ამოსწყვიტა ერთიანადაო, რომ თვით თავადმა იერიშით აიღო პოგრებიშჩი, თავად ზბარასკების საკუთრება და არავინ აღარ დაინდოვო. საშინელს ამბებს ამბობდნენ პოგრებიშჩის აღების თაობაზედ, ხოლო ეს ადგილი ბუდე იყო თავზედ ხელ-აღებულ მძარცველთა და კაცის მკვლელთა. თავადმა უთხრა ჯარის-კაცთა: „დაჰხოცეთ ეგენი ისე, რომ ჰგრძნობდნენ, ვკვდები-

თო“,*) და მისთა ჯარის-კაცთაც, არ გაგონილა, რა საშინელი სიმხეცე გამოიჩინესო. მთელი ქალაქი ისე აიკლეს, რომ ერთი აღარ გადარჩენილა. ცოცხალი. შვიდასი ტყვე ჩამოარჩეს, ორასი მარგილებზე ჩამოაცვეს. ხმა დადიოდა, რომ ზოგს თვალები დაუხვრიტეს შამფურებით, ზოგს კიდევ ნელ ცეცხლზედ სწვავდნენო, ამბოხება უცებ დასცხრა იმ ადგილის არე-მარეზეო. მცხოვრებნი ან ხმელნიცკისთან ივლტოდნენ, ან მუხლმოდრეკილნი ეგებებოდნენ ლუბნის ბატონს და ევედრებოდნენ შეწყალებას. წვრილ-წვრილი ბრბონი ყაზახთა სულ განადგურებულ იქმნენ, ხოლო ტყეებში, როგორც ამბობდნენ ლტოლვილნი სამგოროდკისა, სპიჩინისა, პლესკოვისა და ვახნოვსკისა, ერთი ხე აღარ იყო დარჩენილი, რომ ზედ ყაზახი არა ყოფილიყო ჩამოხრჩობილიო.

და ყოველსავე ამას ითმენდა ხმელნიცკი, რომელიც იქვე ახლო იდგა ბანაკად თვისის რიცხვ-მრავალის მხედრობითა.

ხმელნიცკიმ რომ ეს გაიგო პირველად, საშინლად განრისხდა და დაჭრილი მხეცივით დაიწყო ღრიალი. ერთის მხრით მოლაპარაკება უნდოდათ და ზავის ჩამოგდება, მეორეს მხრით მახვილი მოციქულობდა. წავიდე და ვეკვეთო თავადს, იფიქრებენ, რომ არ მინდა მივიღო ის პირობა, რასაც პან კისელის ელჩნი მეუბნებიანო.

ერთად-ერთი იმედი თათრებზედ ღაობა. ხმელნიცკი ტუღაიბეისთან გაიქცა.

— ტუღაი-ბეი, ჩემო მეგობარო! — დაიწყო ხმელნიცკიმ ჩვეულებრივის სალამ-ქალამის შემდეგ, — ერთხელ უკვე დამიხსენი ყვითელ წყლებთანა და კორსუნში, დამიხსენი ახლაც. ეს არის ეხლა მოვიდა ელჩი ბრაცლავის მოურავისა და მომიტანა წერილი. მწერენ, რომ თუ სისხლის-ღვრას შესწყვეტავ, შეგიწყალებენ და დაგაჯილდოვებენო, ხოლო იმიერ-ჭოროშელთ ძველებურ თავისუფლებას დაუბრუნებენო. უნდა ასე მოვიქცე და დავანახვო, რომ მშვიდობის წინააღმდეგი არა ვარ.

*) რუდოვსკი ამტკიცებს, რომ ეს სიტყვები ნემიროვში იქმნა თქმულიო.

მაგრამ ამასობაში ჩემმა მტერმა, თავადმა ვისნეველკომ აიკლო პოგრებიშჩი და ცოცხალი აღარავინ დასტოვა; ჩემს ყაზახებს ჰხოცავს, თვალებსა სთხრის, მარგილზედ აცვამს. მე დრო არა მაქვს, რომ იმას გავუმკლავდე, ამიტომ მოვედი შენთან და გთხოვ ეკვეთო ჩვენს საერთო მტერს, თორემ მალე თვით ის დაესხმის თავს ჩვენს ბანაკსა და ბარგი-ბარხანის ურმებსა.

მურზა იჯდა ხალიჩების გროვაზედ, რომელიც კორსუნში წაერთმია დაძლეულთათვის, ან თავად-აზნაურთა სახლებიდან დაეტაცნა და ქანაობდა თვალებ-დახუჭული, თითქო რაღასაცა ჰფიქრობსო.

— ალლაჰ! — სთქვა მან ბოლოს. — მე მაგ საქმეს ვერ ვიტვირთებ.

— რატომა?

— უიმისოდაც ბევრი ბეი და ჩაუში გავწირე შენის გულისათვის თეთრ წყლებთანა და კორსუნში, ახლა სხვები რაღად უნდა გავწირო? ერიომა დიდებული მეომარია! მეც მაშინ წამოვალ იმასთან საომრად, როცა შენც წამოხვალ, მარტო კი არას დროს. არც ისე ტუტუცი ვარ, რომ ერთს ომში დავკარგო ყოველივე, რაც მოვიპოვე დღემდე. ისა სჯობიან, რომ ჩემი ხალხი გავგზავნო დავლისა და ტყვეების საშოვრადა. ისიცა კმარა, რაც მე თქვენთვის, თქვენისთანა უმადურ ძაღლებისათვის, მოვიქმედე. არც მე წავალ თავადთან საომრად და არც ხანს ვურჩევ. ვსთქვი და გავათავე.

— ფიცი გაქვს მოცემული, შემწეობა მაძლიო.

— დიაღ, ფიცი მაქვს მოცემული, რომ ვიომო შენთან ერთად და არა შენ მაგიერ. გამეცალე აქედან!

— ნება რომ დაგრთე და ტყვეები მოჰკრიბე ჩემს ხალხში? ეს დავლა ხომ მოგეც, გეტმანები?

— შენ რომ არ მოგეცა, მე თვითონ მივცემდი ჩემს თავს.

— ყეენთან წავალ, მაშ.

— ნუ სულელობ, ემანდა, აქედან დამეკარგე-მეთქი! — და მურზას წვეტიანმა კბილებმა თეთრად გამოანათა იმის თხელ ულვაშებ ქვეშიდან.

ხმელნიცკი მიხვდა, მე აქ ვერას გავარიგებ, მეტს ხანს დარჩენა საშიშიც არისო, ადგა და გასწია ყეენთან.

მაგრამ ყეენმაც იგივე უპასუხა. თათრებს თავისებური ჭკუა არ აკლდათ და ყველგან ხეირს ეძებდნენ. იმის მაგიერ, რომ ძნელად გასაბედი ომი დაეწყოთ უძლეველ გმირთან, ისევ იმასა რჩეობდნენ, რომ სისხლ-დაუღვრელად შეეძინათ ქონება და სიმდიდრე.

გაცეცხლებული ხმელნიცკი დაბრუნდა სახლში და ის-იყო წაავლო კიდეც ხელი არაყით სავსე ბოთლს, მაგრამ ვიგოვსკიმ ძალით წაართვა.

— მაგის დალევა არ იქნება, ბრწყინვალეო ატამანო,— უთხრა მდივანმა.—ელჩი აქ არის, ჯერ ის უნდა გაისტუმროთ.

ხმელნიცკის სულ დორბლები სცვიოდა სიბრაზითა.

— შენცა და იმ შენს ელჩსაც ვუბრძანებ, რომ მარგილზედ ჩამოგაცვან, გესმის თუ არა?

— არაყს მაინც არ დაგანებებთ. სირცხვილი არ არის, რომ ბედმა ასე აღგამაღლათ, და თქვენ კი ისე გინდათ გასკდეთ და გატყვრეთ, თითქო უბირი ყაზახიაო? ფუ, ფუ, ბატონო გეტმანო, ეგ შეუძლებელია. ელჩის მოსვლის ხმა ყველგან გავარდა უკვე ჯარი და პოლკოვნიკები თხოულობენ, რომ სათათბიროდ შეიკრიბნენ თავნი კაცნი. თქვენ ეხლა სმას კი არ უნდა ეტანებოდეთ, საქმეს უნდა აშურებდეთ, რომ დრო ხელიდან არ წაგივიდეთ. ახლა შეგიძლიან ზავი ჩამოაგდოთ და იმას მიაღწიოთ, რაც თქვენი სურვილია. მერე კი გვიან-ღა იქნება.... ხოლო დღეს ამაზედ არის დამოკიდებული ჩემი სიცოცხლეცა და თქვენიცა. თქვენ ეხლა იმას უნდა ცდილობდეთ, რომ ელჩნი გაჰგზავნოთ ვარშავას და სთხოვოთ შეწყალება, პატივება...

— ჭკვიანი გოგრის პატრონი ხარ, როგორც გატყობ,— მოტკბა ახლა კი ხმელნიცკი.—უბრძანე დაჰრეკონ ზარი და შემოჰკრბენ სათათბიროდ; პოლკოვნიკებსაც გამოუცხადე მოედანზედ, რომ მეც ეხლავე მოვალ.

ვიგოვსკი წავიდა. ერთს წუთს შემდეგ გაისმა რეკა სათათბირო ზარისა და იმიერ-ჭოროშეთის ჯარმა იწყო შემოკრება.

მოვიდნენ სპასპეტნი და პოლკოვნიკები: საშინელი კრივანოსი, მარჯვენა ხელი ხმელნიცკისა, ქშეჩოვსკი, ყაზახთა მახვილი, ხნიერი და გამოცდილებით დაბრძენებული ფილონ ძეძიალა, კრაპივნიცკის პოლკოვნიკი, თეოდორე ლობოდა პერეიასლაველი, მძვინვარე თედორენკო კალნიცკი, ნადირი პუშკარენკო პოლტაველი, შულეიკო, გულ-სწრაფი გადიაჩელი ჩარნოტა, ჩიგირინელი იაკუბოვიჩი, ნოსაჩი, გლადკი, ადამოვიჩი, გლუხი, პულიანი, პანიჩი,—არა ყველანი, რადგან აქეთ-იქით იყვნენ წასულნი, ხოლო ზოგნი თავადმა ერემიამ გაჰგზავნა საიქიოს.

თათრები არ მიიწვიეს სათათბიროდ. „ამხანაგობა“ შეიკრიბა მოედანზედ; მოჯარებულს ბრბოს ჯოხებითა ჰრეკავდნენ, ხან რკინის კომბლებითაც და ამასობაში რამდენიმე კაციც კი შემოაკვდათ.

ბოლოს, გამოჩნდა თვით ხმელნიცკიცა, მდიდრულად ჩაცმული, კვერთხით ხელში, ქუდ-დახურული. მასთან ერთად მოდიოდა თოვლივით გათეთრებული პატრონიი ლასკო, მართლმადიდებელი მოძღვარი და ვიგოვსკი, რომელსაც ქაღალდები ეჭირა ხელში.

ხმელნიცკი ხმა-ამოუღებლივ დაჯდა პოლკოვნიკებ შორის. მერე მოიხადა ქუდი ნიშნად იმისა, რომ კრება დაიწყოვო, წამოდგა და ასე დაიწყო:

— ბატონო პოლკოვნიკებო და ატამანებო! თქვენ უწყით, რომ ჩვენის აუტანელის შევიწროებისა და დაჩაგვრის გამო, იძულებულნი ვიყავით იარაღისათვის მოგვეკიდნა ხელი და მისის უდიდებულესობის და ყირიმის მეფის შეწევნით დაგვებრუნებინა ჩვენის ყოვლად-მოწყალე მეფის უდასტუროდ პანების მიერ წართმეული თავისუფლება და უპირატესობანი ჩვენი. ღმერთმა მოგვხედა და შიში მისცა ჩვენს მტარვალებს, დასაჯა უსამართლობისა და გულ-ქვაობისათვის, ხოლო ჩვენ მოგვანიჭა გამარჯვება, რისთვისაც მხურვალე მადლობას აღვავლენთ მის ტახტისადმი. როცა ქედ-მაღლობა ღირსეულად დასჯილია, ჩვენი ვალია ვიზრუნოთ, როგორ შესწყდეს ქრისტეანთა სისხლის ღვრა; ამას გვიბრძანებს თვით მოწყალე ღმერთი და წმინ-

და ეკლესია; გარნა ნუ განუტევებთ მახვილს ჩვენთა ხელთაგან იმ დრომდე, ვიდრე მის უდიდებულესობისა, მეფისა ჩვენისა ნებითა არ დაგვიბრუნდება ჩვენი წინანდელი თავისუფლება და უპირატესობანი. ახლა მწერს პან მოურავი ბრაცლავისა,—და თვით მეც ასე ვფიქრობ,—რომ თქვენ კი არა, ბატონი პოტოცკები, კალინოვსკები, ვისნევეცკები და კონეცპოლსკები გარდახდნენ მეფის ბრძანებასა და არ ემორჩილებიან რესპუბლიკასაო. და რადგან ჩვენ დაესაჯეთ ისინი, ამიტომ გველის პატივება და ჯილდო სამშობლოსგან. გთხოვეთ, მეგობარნო და ჩემნო კეთილის-მყოფნო, წაიკითხოთ წერილი, რომელიც მომიტანა ბრაცლავის დიდებულ მოურავისაგან მამა პატრონიი ლასკომ, მართლ-მადიდებლის სარწმუნოების შლიახტიჩმა. ბრძნულად განსაჯეთ, როგორ შევწყვიტოთ ქრისტეანეთა სისხლის ღვრა და ღირს ვიქმნეთ შეწყალებისა და ჯილდოსი ჩვენის ერთგულებისა და მორჩილებისათვის წინაშე რესპუბლიკისა.

ხმელნიცკი იმას კი არა ჰკითხავდა კრებას, განვაგრძოთ ომი, თუ არაო, არამედ პირდაპირ თხოულობდა, მის გათავებას. მაშინვე გაისმა ხმა წინააღმდეგობისა, რომელიც ბოლოს საშიშ მუქარა-დრტვინვად გადაიქცა. უფრო მეტად ცხარობდა ჩარნოტა.

ხმელნიცკი სდუმდა და მხოლოდ მოწინააღმდეგეთა სახელებს იხსომებდა.

ვიგოვსკი წამოდგა და წერილის წაკითხვა დააპირა. ზორკომ მისი პირი წაიღო, რომ „ამხანაგობისათვის“ წაეკითხა. აქაც დიდი მდუმარება ჩამოვარდა.

დიდებული მოურავი ასე იწყებდა თვის წერილს:

„პან უფროსო რესპუბლიკის საიმიერ-ჰოროშეთის ჯარისაო, ძველო ჩემო მეგობარო და ამხანაგო!

„თუმცა ბევრნი რესპუბლიკის მტრადა გსახავენ, მე, პირიქით, არა თუ მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ შეურყეველი ერთგულება გაქვთ სამშობლოსი, არამედ ბატონ სენატორებსაც და ჩემს ამხანაგებსაც ვარწმუნებ ამ აზრზედა. პირველად იმიტომ, რომ დნეპრის ჯარი ათანან-ბაბადან იცავს თვისთა

უფლებათა და თავისუფლებას და ამასთანავე ერთგულობს მუდამ მეფესა და რესპუბლიკას. მეორედ, ჩვენის რუსეთის ერი იმდენად თავდადებულია მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისათვის, რომ მზაა სიცოცხლე გასწიროს მისთვის. მესამედ, გრიგალი სხვა-და-სხვაა ხოლმე (როგორც ეხლა, მაგალითად, ღვთისა ნებითა მოვლენილი), სისხლი ძმათა იღვრება, გარნა სამშობლო ერთი და იგივეა ყველასათვის. ამ სამშობლოში დავიბადეთ, გვაქვს ჩვენი უფლებანი და არც არის დედა-მიწის ზურგზედ ისეთი ქვეყანა, სადაც უფრო მეტი თავისუფლება იყოს, ვიდრე ჩვენში. ამიტომა გვაქვს ჩვეულებად დაცვა ჩვენის სამშობლოსი და თუმცა ხანდახან ამ გზას გადვუხვევთ ხოლმე ასე თუ ისე, გონება მაინც ამცნევს ყველას, რომ ისევ თავისს თავისუფალ სამშობლოში იცხოვროს კაცმა, ვიდრე სხვის მონობაში ჩააგდოს თვისი ქვეყანაცა და ჩავარდეს თვითონაცა“

ლობოდამ გააწყვეტინა მდივანს კითხვა წერილისა.

— მართალს ამბობს,—სთქვა მან ხმა-მაღლა.

— მართალს ამბობს,—განიმეორეს სხვა პოლკოვნიკებმაცა.

— ტყუილია, სცრუობს ეგ ძაღლი, ეგა!—დაიგრიალა ჩარნოტამ.

— ხმა გაიწყვიტე! შენ თვითონ ძაღლო!

— თქვენ მოღალატენი ხართ, გასწით, დაიღუპენით!

— მოვისმინოთ, მოვისმინოთ! წაიკითხეთ! ის ჩვენი კაცია! წაიკითხეთ!

არეულობა დიდი ატყდა და სახუმარო საქმე აღარ იყო, მაგრამ ვიგოვსკიმ კვლავ დაიწყო კითხვა და ყოველივე დადუმდა.

პან მოურავი სწერდა შემდეგ, რომ იმიერ-ჭოროხეთის ჯარი უნდა მერწმუნებოდეს, უნდა მენდობოდესო; მეც მაგათისავე სარწმუნოებისა და გვარტომობის კაცი ვარ და ამიტომ მეც მოვალე ვარ კეთილის გულით ვეკიდებოდე მაგათაო. სწერდა აგრედვე, რომ მე მონაწილე არა ვყოფილვარ სრულიად იმ საუბედურო სისხლის-ღვრისა, რომელიც მოჰხდა

კუმეიკთან და სტარცთანა; ბოლოს ეუედრებოდა ხმელნიცკის, შესწყვიტე ომი, განუტევე თათარნი, ანა და მიაქციე მათზედ იარაღი და იყავ მტკიცე რესპუბლიკის ერთგულებაზედაო. წერილი თავდებოდა შემდეგის სიტყვებითა:

„აღგითქვამთ, ვითარცა ძე მართლ-მადიდებლის ეკლესიისა და რუსეთის ერისა, რომ თვითვე ვეცდები ყოველსავე კეთილს თქვენთვის. კარგად იცით, რომ, ღვთის მადლით, ცოტა-რამ ჩემზედაც არის დამოკიდებული რესპუბლიკის საქმეთა მართვაში; უჩემოდ არ შეიძლება გადაწყდეს ომი თუ მშვიდობა, ხოლო მე პირველს არა მსურს შინაური შფოთი და ამბოხი“ ect.

დამსწრენი ორ დასად განიყვნენ, თუმცა საზოგადოდ წერილი მოეწონათ პოლკოვნიკებსაცა და „ამხანაგობასაც“ კი. თუმცა ასე იყო, პირველში მაინც კაცი ვერას გაიგებდა, ისეთი ზრიალი ატყდა. „ამხანაგობა“, შორიდან რომ შეეხედნა კაცს, ისე ეჩვენებოდა, თითქო ქოჩქოჩანაა, რომელშიც ღურღუმალაობდა ბრბო და გაჰქონდა ჟრიამული. საითაც გაიხედავდა ადამიანი, ყველგან დასისხლიანებულსა და დაბრაწულს თვალებს დაინახავდა; ზოგი სულ დორბლებსა ჰყრიდა პირიდან. ყველა იმათი წინამძღოლი, ვინც ომის განგრძობასა თხოულობდნენ, იყო ერაზმ ჩარნოტა, რომელიც ისე იყო ატაცებულ-ალესილი, რომ აღარა ეყურებოდა-რა, ხმელნიცკი ამას რომ ჰხედავდა, აღარა დაუკლდა-რა და კინაღამ იფეთქა იმისმა გაოხავრებულმა სიბრაზემ, რომლის წინაშე ყოველივე დადუმდებოდა ხოლმე, როგორც წინაშე ლომის გრგვინვისა. მაგრამ ქშეჩოვსკიმ იმას აღარ დააცადა, თვით შეხტა ტახტზედ, გაიქნია ხმალი შხივილითა და შესძახა ქუხილისა სიტყვებითა:

— თქვენ უნდა მენახირეებად იდგეთ და საქონელსა მწყემსვიდეთ და არა სათათბირო კრებაზედ ესწრებოდეთ, თქვე მზაკვარნო მოხანო!

— ჩუთ! ქშეჩოვსკის უნდა ლაპარაკი! — დაიძახა პირველადვე ჩარნოტამ.

იმას ეგონა, რომ ქებული პოლკოვნიკი ომის სასარგებლოდ ილაპარაკებსო.

— ჩუთ, ჩუთ!

ქშეჩოვსკის დიდს პატივსა სცემდნენ ყაზახნი, პირველად, იმიტომ რომ დამსახურება მიუძღოდა და სამხედრო ნიჭი ჰქონდა, ხოლო მეორედ,—საკვირველი ამბავია!—იმიტომ რომ შლიახტიჩი იყო. ყველამ ხმა გაკმინდა და ელოდნენ, ვნახოთ, რას იტყვისო. თვით ხმელნიცკი მოუსვენრობაში ჩავარდა და თვალს არ აშორებდა.

მაგრამ ჩარნოტა შემცდარი იყო. ქშეჩოვსკი თვისის სწრაფის ჭკუით მალე მიხვდა, რომ ახლა შეუძლიან, ან სულ არასოდეს, მიიღოს რესპუბლიკისაგან ის უფროსობა და პატივი, რომლისათვისაც ოცნებობდა. მან მოისაზრა, რომ რაკი ყაზახნი დამშვიდდებიან, უპირველეს ყოვლისა ეცდებიან ჩემის გულის მოგებასაო. პან კრაკოვსკი ტყვედ არის წაყვანილი და ის ხელს ვერ შეუშლისო. აი რა სთქვა ქშეჩოვსკიმ:

— ჩემი საქმე ომია და ცემა ხმლისა და არა სჯა და პეეტრობა, მაგრამ რაკი საქმე სათათბიროდ გახდა, ვგრძნობ, რომ შემიძლიან მეცა ვსთქვა ჩემი აზრი, რადგან, თუ მეტად არა, სხვაზედ ნაკლებ არ დამიმსახურებია თქვენი ნდობა. იმიტომ დავიწყეთ ომი, რომ დაგვებრუნებინა ჩვენი წინანდელი თავისუფლება და უპირატესობანი, ხოლო პან მოურავი ბრაცლავისა იწერება, სწორედ აგრეც არისო. მაშ, ან დავიბრუნებთ, ან არა. თუ არ დავიბრუნებთ, ომი უნდა იყოს, თუ დავიბრუნებთ-და—ზავი! უბრალოდ რადა ვღვაროთ სისხლი? დეე, კმაყოფილება მოგვცენ, დავამშვიდებთ მდაბიო ხალხს და ომიც გათავდება; ჩვენმა მამად-მიჩნეულმა ხმელნიცკიმ ყოველივე ბრძნულად მოისაზრა და გვირჩევს დავიჭიროთ მხარე მისის უდიდებულესობისა, რომელიც დაგვაჯილდოვებს ამისათვის, ხოლო თუ პანები წინააღმდეგობას დაიწყებენ, ნებას მოგვცემს ხმა ჩავაკმენდინოთ. აი მაშინ შევუტიოთ ჩვენცა და სულ ზურგზედ ბოლი ავადინოთ. მარტო ერთს რასმე ვერ გირჩევთ, თა-

თრების განტევებას: დეე, ყრუ მინდვრებში დადგნენ, ვიდრე საქმე საბოლოოდ გათავდებოდეს.

ხმელნიცკის სულ გაუბრწყინდა სახე ამ სიტყვებზედა, ხოლო პოლკოვნიკების დიდი უმრავლესობა ჰყვიროდა, ომი უნდა გავათავოთ, დეპუტაცია გავგზავნოთ ვარშავაში, ხოლო პანკისელსა ვთხოვოთ, თვით მოვიდეს ზავის ჩამოსაგდებად. ჩარნოტა მაინც კიდევ ჰყვიროდა და წინააღმდეგობდა, მაგრამ ქშეჩოვსკიმ მრისხანებით დააბღვირა თვალები და სთქვა:

— შენ, ჩარნოტა, პოლკოვნიკო მადიაჩისავ, თხოულობ ომი, ომიო და როცა კორსუნთან გეკვეთა გვარდია დმოხუსკისა, მაშინ კი გოჭივითა ჭყიტინებდი: „არიქა, ძმანო, გვიშველეთ, დაგვიხსენით სიკვდილისაგანაო“! და გარბოდი მთელის პოლკის წინაშე.

— სტყუი!—დაიღრიალა ჩარნოტამ.—მე არც შენი მეშინიან და არც ლიახებისა.

ქშეჩოვსკიმ მოუჭირა ხელი ხმლის ვადასა და გაექანა ჩარნოტასაკენ, მაგრამ წინ გადეღობნენ და დაიფარეს მადიაჩელი პოლკოვნიკი. კვლავ საშინელი უწესოება ატყდა. „მოედანზედ“ „ამხანაგობა“ ისე გვრგვინავდა, თითქო ჯოგია გარეულის ზუბრებისაო. მაშინ წამოდგა თვით ხმელნიცკი.

— ბატონო პოლკოვნიკებო!—დაიწყო მან,—თქვენ გადასწყვიტეთ გაჰგზავნოთ ელჩნი ვარშავას და დააძოწმოთ ერთგულება ჩვენი მისის უდიდებულესობის მეფისა და რესპუბლიკის წინაშე და სთხოვოთ დაჯილდოვება. გარნა ვისაც უნდა ომი, იხილავს კიდეც ომს არა მეფესა და რესპუბლიკასთან,—ჩვენ არც ვომობდით იმათ წინააღმდეგ,—არამედ ყოვლად დიდს ჩვენს მტერთან, რომელმაც სისხლით შესვარა მთლად ყაზახთა მხარე, რომელმაც ჯერ ისევ სტარცს ახლოს იბანავა უბრალოდ დაღვრილ სისხლში და დღესაც არ ანებებს თავს ამისთანა საქმეს. მივწერე წერილი და ვთხოვ, ნუ განრისხდები, დამშვიდდი-მეთქი, ხოლო მან უღვთოდ მოჰკლა ჩემი ელჩები და არავითარი პასუხი არ მომცა ჩემის წერილისა; ამით, რა თქმა უნდა, დიდი შეურაცხყოფა მოაყენა მთლად იმიერ-ჭო-

რომეთის მხედრობას. ახლა გამოვიდა დნეპრის გაღმამხრიდან, აიკლო პოგრებიშჩი, ამოსწყვიტა უდანაშაულო ხალხი, რომლის მწარე ბედისათვის სულ გული მოვიკალ და მდუღარება ვაბნიე. შემდეგ, როგორც დღეს დილით მომიტანეს ამბავი, ესეთივე ბედი ხვდა წილად ნემიროვსაც. თათრებს ერიდებათ იმასთან შებრძოლებისა; იქნება ამასობაში ჩვენც დაგვესხას თავს, რათა ამოვჟლიტო ერთიანადაო, წინააღმდეგ ჩვენის მოყვარულის მისის უდიდებულესობისა და მთლად რესპუბლიკის სურვილისა, იმიტომ რომ ის კაცი ჯოჯოხეთის ქედ-მაღლობით არის ავად და მუდამ მზაა ვისმეს ეჩანაროს, ელერძ-ეჯავახოს...

გარშემო საშინელა დაყუდება და დუმილი ჩამოვარდა; ხმელნიცკიმ ჩაახველა და განაგრძო:

— ღმერთმა მოგვივლინა ძლევაი გეტმანთა ზედა, ხოლო ის ძე ჯოჯოხეთისა, რომელიც სცოცხლობს მარტო ოდენ უსამართლობითა, უფრო ავი და შავია ყველა გეტმანსა და დიდ მოურავზედა. მე თვითონ რომ გავილაშქრო იმის წინააღმდეგ, უთუოდ ეცდება თვისის ნათესავების შემწეობით მავნოს და უბრალოებასა ჩემს ჩრდილი მიაყენოს მეფისა წინაშე. რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა, მეფემა და რესპუბლიკამ იცოდნენ, რომ მე არა მსურს ომი და ჩემთვინაც ვარ დამშვიდებული, ხოლო ის პირველი გვესხმის თავსა. ამიტომ მე ვერ გავილაშქრებ და უნდა დავრჩე აქ და მოველაპარაკო პან მოურავს ბრაცლავისასა, ხოლო რათა იმ ჯოჯოხეთის შვილმა არ დაგვთრგუნოს, ჩვენ უნდა შევმუსროთ მისი ძალ-ღონე, როგორც ჩვენ შევმუსრეთ ჩვენი მტერნი, პან გეტმანები. არავინ ისურვებს ვითომ თქვენ შორის, რომ იტვირთოს ეს საქმე? ხოლო მე მივწერ მეფეს, ჩემს აქ არ ყოფნაში მოჰხდა მაგისთანა ამბავი-მეთქი, რადგან იძულებულნი ვიყავით თავი დაგვეცვა იმის თავდასხმისაგანა-მეთქი.

ყველანი მდუმარებდნენ.

— ვინც გაჰბედავს და იტვირთებს ამ დიდს საგმირო საქმესა, იმას საკმაოდ ჯარს მივცემ, ზარბაზნებსაც გავატან, რომ

ეგებ ღვთის შეწევნით სძლიოს ჩვენდა მძულვარებით აღსავსე მტერსა.

არც ერთი პოლკოვნიკი არ გამოვიდა წინ და არ იტვირთა ეს საქმე.

— სამოც ათას რჩეულს ჯარს ჩავაბარებ!—ერთხელ კიდევა სთქვა ხმელნიცკიმ.

კვლავ დუმილი იყო პასუხად.

მერე ის ჯარის-კაცნი ხომ, რომლის გატანებასაც ჰპირდებოდა ხმელნიცკი, ფრიად მამაცნი მეომარნი იყვნენ და კონსტანტინეპოლის ზღუდეთა არა ერთხელ შესმენოდა იმათი საომარი ყიჟინი. იქნება ეშინოდათ, ვაი თუ შევრცხვეთ საშინელ თავად ერემიას რომ შევებრძოლოთო?

— მე ვიცი ერთი კაცი,—განაგრძო წარბ-შერჭმით დაღვრემილმა ხმელნიცკიმ,—რომელიც უარს არ იტყოდა და იტვირთებდა ამ საქმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ახლა აქ არ არის.

— ბოგუნი!—გაისმა ვილასიც ხმა ბრბოშია.

— დიაღ, ბოგუნი. იმან ამოსწყვიტა უკვე მთელი პოლკი ერემიასი ვასილიოვკაში, მაგრამ ისიც დასჭრეს და ეხლა ჩერკასში წევს ავადმყოფი, ებრძვის სიკვდილსა. ის არ არის და ვხედავ, რომ სხვაც აღარავინ არის იმის მეტი! სად გაჰქრა ნეტავ ყაზახთა სახელ-დიდება, სად არიან პავლიუკები, ნალივაიკები, ლობოდები და ოსტრანიცები?! ამ დროს წამოდგა ერთი დაბალ-დაბალი, სქელ-სქელი კაცი გალურჯებულის სახისა, ცეცხლის ფერ ულვაშებაი, დაბრეცილ ტუჩება და მწვანე თვალებიანი, წამოდგა და მივიდა ხმელნიცკისთან.

— მე წავალ,—სთქვა მან.

ის იყო მაქსიმე კრივანოსი.

გაისმა ხმა მოწონებისა და ქებისა, ხოლო იმას შემოეყარა დოინჯი და განაგრძობდა ლაპარაკს ხრინწიანის, მკვეთრ-მკეთრის ხმით:

— არ იფიქრო, გეტმანო, რომ მეშინოდეს. პირველადვე არ წამოვდექი, იმიტომ რომ ვსთქვი გულში, ჩემზედ უკეთესნი

მოიპოვებიან-მეთქი. ხოლო რაკი არავინ არა კისრულობს, მე წავალ. თქვენ რა ხართ? თქვენ თავი ხართ და ხელები, ხოლო მე თავი არა მაქვს, მე მხოლოდ ხელნი მასხია და ხმალი მიჭირავს. ერთხელ დავბადებულვარ, ერთხელვე უნდა მოვკვდე! ომი ჩემი დედა და და არის. ვისნეველაკი სჩეხავს,—მეც ჩეხას დავუწყებ; ის არჩობს ხალხს,—მეც ჩამოვარჩობ. შენ მხოლოდ, გეტმანო, ყოჩაღნი ყაზახნი მომეცი; უბრალო ბრბო ვისნეველაკის თავს ვერ დაესხმის. წავალ და დავუწყებ ჩეხა-ჭრეტას, წვასა და დაგვას! სიკვდილი იმათ, იმ ნაზ ხელების პატრონთა!

მეორე ატამანიც გამოვიდა წინ.

— მეც შენთან ვიქნები, მაქსიმე.

ის იყო პულიანი.

— ჩარნოტაცა, გლადკიცა, ნოსაჩიც შენ წამოგყვებიან,— სთქვა ხმელნიცკიმ.

— წამოვალთ ჩვენცა,— დაიძახეს იმათაც პასუხად.

კრივანოსის მაგალითმა ფრთები შეასხა იმათაცა.

— ერიომას უნდა დავეცნეთ, ერიომას!—გაისმა ძახილი ხალხში.

—სჩეხეთ, სჩეხეთ!—განიმეორა „ამხანაგობამ“ და მალე თათბირიც დამთავრდა სმითა. ის რაზმნი, რომელნიც უნდა წასულიყვნენ ლაშქრად კრივანოსის მეთაურობით, სიკვდილის პირამდე სვამდნენ, სვამდნენ იმიტომ რომ სასიკვდილოდ მიდიოდნენ. ყაზახებმა კარგად იცოდნენ ესა, მაგრამ იმათმა გულმა არ იცოდა, რა არის შიში. „ერთს დღესა ვართ დაბადებულნი, ერთს დღესვე უნდა დავიხოცნეთ“!—იმეორებდნენ ისინიც თვისის წინამძღოლის წახედულობით და, რაკი წინადვე გამოიგლოვეს თავი, აღარც ენანებოდათ სიცოცხლე. ხმელნიცკი აგულიანებდა, რაც შეეძლო; ასი-ათასმა კაცმა ერთბაშად შემოსძახა სიმღერა. უნაგირ-მოხდილი ცხენები შეშინებულნი გარბოდ-გამორბოდნენ მეიდანზედ და იყო ერთი საშინელი უწესოება. ცხენებს დასდევდნენ დასაჭერად ყვირილითა და ხარხარ-ყიჟინით; ძალზედ-ნასვამნი გუნდ-გუნდად დადიოდნენ წყალის პირად, ისროდნენ თოფებს და ეჯახებოდნენ გეტმანის სახლს,

ისე რომ მან უბრძანა იაკუბოვიჩს, გაჰრეკეთ აქედანაო. ბოლოს, წამოვიდა შხაპუნა წვიმა და ყველანი გაჰფანტა: ზოგი ურმებს შეეფარა, ზოგმა კიდევ კარვებს მიჰმართა.

საღამოზედ დიდი ქარი ამოვარდა. ქუხილი გრიალებდა და ხან ერთს მხარეს გაჰქონდა რუხრუხი, ხან მეორესა; ელვა ანათებდა მთლად გარემოს ხან ყვითლადა და ხან წითლადა.

ამისთანა ამინდში, ამისთანა ელვასა და ჭექაში გაემართა კრივანოსი თვისის სამოცი ათასის რჩეულის ჯარითა და მდაბიო ბრბო ხალხითა.

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა

ღამეა. როგორც ღრუბელი
სევდა მაწვება ბნელადა,
ვარამთან ბრძოლით დაღლილი
გულიც სულს ითქვამს ძნელადა.

—

მაგრამ აზრს ნათელს, მაღალსა,
რწმენას მტკიცეს და დიადსა,
ლაჩრად არ დავუმორჩილებ
ნაღველსა, ღამის წყვდიადსა.

—

ჯერ არა ქრება იმედი,
გულს ანთებული ცხოველი...
მთების იქიდან საცაა
მთვარის ამოსვლას მოველი.

—

ამოვა,—სევდას უკუვყრი
მე სიმღერითა ნელითა,
ნათელით მოიფინება,
რაც მოცულია ბნელითა.

—

შენც თან გაჰყვები სალგელსა
დამისა ნისლო, ტიალო,
უოყინას დაგტეშს მთა-ბარი
და სალი კლდისა თრიალო.

შიო მღვიმელი

გ ა ნ თ ი ა დ ი

მოთხრობა ექისა

XI*)

ზემოხრე-აწერილ ამბების შემდეგ რამდენმამე დღემ გაიარა, რუშჩუკის ვალი (გუბერნატორი) ჩვეულებრივ დიდ-კაცურად და გულდამშვიდებით იღებდა სტუმრებსა. სხვებზე წინად მოწვეული იყო ელჩი იმ „მეგობარ სახელმწიფოსი“, რომელსაც ყველაზე მეტად ეინტერესებოდა ბოლგარეთში დაწყებული მღელვარება. ფაშა ძაან გულმხურვალედ დაუხვდა. ჩვეულებრივის მისალმება-მოკითხვის შემდეგ ლაპარაკი იმ საგნის შესახებ დაიწყეს, რომელზედაც ამ ერთის კვირის წინად ელჩმა ჩამოუგდო სიტყვა; მაგრამ ახლა ელჩის მაგივრად ფაშა აძლევდა სხვა-და-სხვა ცნობებს.

— იცით, ახლა იმდენი მასალა შეგვიგროვდა, რომ თამამად შეგვიძლია საქმის გარჩევა დავიწყოთ,—სთქვა ვალიმ.

— კამიტეტის წევრები რამდენი დაიჭირეთ?—ჰკითხა ელჩმა.

— არცერთი.

— მა რა მასალა გაქვსთ?

— ჩვენ სხვები გვყავს დაჭერილი,—უპასუხა ფაშამ.—კამიტეტის წევრთა მაგივრად სხვებს ჩამოვახრჩობთ, თუ გამოძიების დროს უფრო მსხვილ-ფეხობა არ დაასახელეს... როგორცა ჰხედავთ, განათლებაში ფეხსა ვდგამთ და მართლ-მსაჯულებაში საეგებიო კანონი შეგვაქვს.

---

*) «მოამბე» № VI.

— ჩემის ფიქრით, მართლმსაჯულებაში საეგებიო კანონის შეტანა საფრთხილო უნდა იყოს.—სთქვა ელჩმა.

— რაკი განაჩენს ევროპულს წესზედ დავადგენთ, შიში არაფრისა იქმნება.

ელჩმა ამ საგანზე ლაპარაკს თავი დაანება და სხვაზე გადავიდა:

— რამდენი კაცია დაპატიმრებული?

— სამი.

— ცოტაა.

ფაშამ ტაში დაჰკრა და შემოსულ ადიუტანტსა ჰკითხა:—კონაკში არისტარხი-ბეჯ ხომ არ მოსულა?

— გეახლათ, ფაშა ეფენდიმ.

— უთხარით, შემოვიდეს.

ცოტას ხანს შემდეგ შემოვიდა არისტარხი-ბეჯ, თავი დაუკრა, მოწიწებით გაჩერდა და ფაშას ბძანებას ლოდინი დაუწყო.

— იქმნება სამზე მეტი დააპატიმროთ?—ჰკითხა ფაშამ.

— რატომ, შეიძლება,—მოისმა პასუხად.

— იმისთანები კი უნდა შევარჩიოთ, რომ საქმის გარჩევის დროს სხვებს გვერდით მოვუყენოთ.

— სამაგისოდ ყველა ბოლგარელი გამოდგება.

— მართალია, მაგრამ ბრალდებას ცოტაოდენი სიმართლის ნიშანწყალიც უნდა ეტყობოდეს.

— საბუთები არ გვაკლია.

— ვის წინააღმდეგ?

არისტარხი-ბეჯმ რამდენიმე კაცი ჩამოთვალა და, სხვათაშორის, ჰაჯი ქრისტოც დაასახელა.

— როგორ?...—გაიკვირვა ფაშამ.

— ერთ საეჭვო კაცის-კვალს მის სახლამდე მიჰყვნენ...

— ძალიან კარგი...—მერე ელჩს მიუბრუნდა და უთხრა:—ეს კაი მსხვილი თევზია!

— ვიცნობ,—უპასუხა ელჩმა.—საეჭვოა, კანონის საწინააღმდეგო საქმეში ის არ გაერეოდა.

— პროცესში მაინც მისი გარევა სასარგებლო იქნება.

მერე რა მოჰხდა ისეთი? ადვილად მიხვდებით,რომ საქმის დაწყების საბაბად მილიაზიმის მოკვლა უნდა გამხდარიყო.

სტოიანი, გროუდანის ქცხიდგან გასვლისათანავე, მეტად უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. სახლში დაბრუნების აზრი გულიდან ამოიღო, სოფელში დარჩენაც საშიშო იყო. თავის თავს ყველრება დაუწყო, ასე როგორ გავბრაზდიო. მერე ვის მივექომაგე? იმისთანებს, რომელნიც არც კი ჰგრძნობენ, კაცი შეურაცყოფას აყენებს თუ არა. მათთვის თავის გაფუჭება ღირდეს მაინცაო?... თავის თანამემამულეებისადმი გულში სიძულვილი აღეძრა. მათი ხსენება ბრაზსა ჰგვრიდა. ცოტა ფიქრის შემდეგ დამშვიდდა და თავისს საქციელს სულ სხვა თვალით დაუწყო სინჯვა.

„ამათი რა ბრალია?—იფიქრა სტოიანმა.—ხუთის საუკუნის განმავლობაში მონად ყოფნა უეჭველად ღრმა კვალს დააჩნევდა, მით უფრო, რომ ამ ხუთ საუკუნეში ხალხს გონებრივად ეძინა, არას აკეთებდა. ოსმალოებს უდრტვინველად ემონებოდა და თავისი თავი არცკი ახსოვდა; მაგრამ ოსმალებმა ბოლგარელნი ძაღლებსავით გაჰგეშეს, ცხენების მსგავსად გაჰხედნეს, და მონების ყოველსავე შედეგს იმგვარად შეაჩვიეს, რომ ესენიც, რაც უნდა ყოფილიყო, ყოველსავე სრულიად კანონიერ და აუცილებელ საქმედ სთვლიდნენ. ცოდოც იქმნება, კაცმა უსაყვედუროს—თქვენის უხეირობის ბრალიაო“.

სტოიანი თავის თავს დაეკითხა: ისე რად გავბრაზდი, მილიაზიმის საქციელმა ისე რად წამართვა გონებაო? პასუხი თავისთავად დაებადა: ფიქრი პატიოსნებისა შედეგია განათლებისაო.

მაგრამ ყველა ეს მოსაზრებანი მოსაზრებებადვე რჩებოდა, და ის კი მაინც გაჭირვებისაგან ხსნას ვერა ჰხედავდა. გარშემო ერტყა მინდვრები, ჭალები, ტყე, რომელიც რუშჩუკის მთავრიან გარემოს ჰფარავდა; ზედ გაშენებული იყო ბოლგარების, ოსმალოების და ჩერქეზების სოფლები. ეჭვი აღარა ჰქონდა, რომ ყველგან ძებნას დაუწყებდნენ, ყველგან დარაჯებს დააყენებდნენ. სტოიანმა გამოიანგარიშა: სანამ ჩემის დაჭერის

ბრძანებას ყველანი შეიტყობდნენ, 24 საათი გაივლის, მაშასადამე, მთელი დღე ჩემს ხელთ არის და მანამდე თუ დუნაიაში გასვლა მოვახერხე, აღარაფრის შიში აღარ მექმნებაო. ამ აზრის ასრულება ძალიან ადვილად შეიძლებოდა, თუ მამის მექანეში მივიდოდა, ამიტომ რომ პეტრო მეთევზეებს ბევრს იცნობდა და მათთან ხშირად ჰქონდა ხოლმე საქმე. მაგრამ მექანეში დაბრუნების ფიქრიც კი მეტი იყო: თავის თავს ხომ ჩააგდებდა და ჩააგდებდა საფრთხეში,—მამასაც ცუდს საქმეს დაჰმართებდა. 1867 და 1868 წლებში მომხდარ ამბების დროს ოსმალეთის მთავრობა ჩამორჩობით სჯიდა და კატორღაში გზავნიდა არა მარტო იმათ, რომელნიც აჯანყებაში პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ, იმათაც კი, ვინც მეამბოხეთ სახლში შეუშვებდა ან პურს აჭმევდა. მექანეში სტოიანი გარეშე კაცს არავის უნახავს, მაშასადამე, მისს მამას თავის გამართლება შეეძლო და იმის მოხერხებულობის იმედიც დიდი ჰქონდა. ისევა სჯობს არ მივეკაროვო. ამ მოსაზრების შემდეგ ჩვენი ავაზაკი დუნაიას ნაპირისაკენ გაემართა, შეძვრა ლელიანებში და მარჯვე დროს უცდიდა, მაგრამ ეს მარჯვე დრო ხელთ ვერ იგდო. ჰხედავდა—მდინარეზე მიცურავდა ხან ორთქლმავალი გემები, ხან აფრებიანი ხომალდები, სანდლები, ხან ბარჟები, ხან მეთევზეთა ნავები, მაგრამ ყველა ძალიან დაშორებული იყო. რამდენიმე დღე მაინც უნდა ეცადნა, სანამ სამშვიდობოს გავიდოდა როგორმე. შეიძლება კიდეც დაეცადნა, მაგრამ პირველ დღესვე, საღამოს ხანს, სამზღვარზე მდგარ დარაჯების რაზმში რაღაც ფაცი-ფუცი ატყდა. ეჭვი არ იყო, სტოიანს დაეძებდნენ. დაღამდა თუ არა, უფრო დარწმუნდა, საშველი გზა შემეკრაო: დარაჯების რაზმს ერთი-ორად მოუმატეს ხალხი. სტოიანი ლელიანიდან გამოძვრა და გზისაკენ გაემართა, მაგრამ, სანამ გზამდე მიაღწევდა, იძულებული შეიქმნა პირველ შეხვედრილ თხრილშივე დასამალავად ჩაწოლილიყო,—გზაზე ჩერქეზების გუნდი დაინახა. შეიძლება ეს გუნდი იმის საძებრად არც კი მიდიოდა, მაგრამ შიშს დიდი ქარი აქვს. როდესაც ჩერქეზებმა გაიარეს, საჩქაროზედ გადირბინა გზა, შე-

ვიდა ტყეში, აირჩია მოხერხებული ადგილი და დასაძინებლად მიწვა.

„La nuit porte conseil"*)—ინუგეშებდა თავს. მაგრამ ძილი არ მოჰკიდებია: იფიქრა, იფიქრა და ბოლოს იმ გადაწყვეტილებას დაადგა, ისევ ხალხში უფრო ადვილად დაიმალება კაცი. ხალხის გროვაში ერთი კაცი ადვილად დაიკარგება, ხოლო გროვაც არის და გროვაცა. საჭიროა, გროვა და ის ერთი კაცი ერთის გვარისანი იყვნენ. სოფელში სტოიანი სხვებში არაფრით ირჩევოდა მანამდე, სანამ გლეხურს ტანისამოსში დადიოდა.

— ახია ჩემზედა, ტყაპუჭი, კაბა, ბოხოხი რად გადავაგდე!— ნაღვლობდა სტოიანი. მაგრამ გვიან-ღა იყო. როგორც ვნახეთ, დილით, რაკი შიში არაფრისა ჰქონდა, გადასწყვიტა რუშჩუკში დაბრუნებულიყო, ახლაც მეტი გზა არ ჰქონდა. საჭირო იყო რუშჩუკში დაბრუნდება, იქ ხალხში გაერევოდა და თავს დაიმალავდა, მერე მარჯვე დროს შეურჩევდა და ჟურჟევაში ჩავიდოდა. იმ ყოფაში, რა ყოფაშიც ის ჩავარდა, ჰხედავდა, რომ ასე სჯობდა ემოქმედნა. ყველაზე საძნელო საქმე იყო რუშჩუკში ჩასვლა,—ქალაქს გარშემო ბევრი თხრილები და საფრები ჰქონდა, სადაც ზარბაზნები დაეწყოთ და ყველა გასასვლელ-შემოსასვლელთან მცველები ეყენათ. „მაგრამ,—იფიქრა,—ეს სიძნელე უძლეველი არ არისო". ამ ფიქრებში სტოიანს ჩაეძინა. ტყეში რაღაც უცნაური ხმა გაისმა და ამ ხმაზე იმასაც გამოელვიძა. ქარი ხომ არ იყო? არა, ქარი არ იყო.

ყური დაუგდო და კარგად გაარჩია: ტყეში ხის ტოტებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა, მოისმოდა ფეხისა და ლაპარაკის ხმა, დრო-გამოშვებით ბრძანების კილოზედ გაცემულ განკარგულების სიტყვა-პასუხი.

— რა უნდა იყოს?

უცბად წამოხტა, კიდევ ყური დაუგდო და სრულიად დარწმუნდა, ტყე ხალხით გავსებულა და ეს ხმაურობაც იმი-

*) ღამეს მშვიდობა მოაქვს.

ტომ არის ატეხილიო. ვინც სტოიანსავით იცოდა ფილიპე ტობის, პანაჲეტა ხიტოვის, სტეფანე ყარაჯის და ჰაჯი-დიმიტრის ისტორია, ადვილად მიხვდებოდა, რომ ეს ამბავი ალყის შემორტყმას მოასწავებს.

სტოიანი გააჟრჟოლა. გული შიშით აევსო; მაგრამ ამ პირველმა შიშმა ჩქარა გაუარა. იფიქრა—თუნდაც ალყა იყოს, მომკლავენ, მეტს ხომ ვერაფერს მიზამენ, ჩემი სიცოცხლე მაინც ბეწვზედ ჰკიდიაო. ერთბაშად ღონე და სიმამაცე მოემატა. გასინჯა რევოლვერი, ცოტას ხანს დაფიქრდა, მოისაზრა ეს ნაცნობი ადგილი და გასწია ხევისაკენ, რომლის წყალიც ლოშს მიმდინარეობდა. დიდის სიფრთხილით მიდიოდა: აქეთ-იქით იხედებოდა, განსაკუთრებით ყურადღებას იმას აქცევდა—გზა არ დამეკარგოსო. მალე დარწმუნდა, ხალხი ყველა მხრით მახვევიაო. ამისთანა დროს, საეალი რაც უფრო დიდია, ჩასაფრებულნი მით უფრო შორის შორსა სდგანან ერთმანეთზედა, და, მაშასადამე, მათ შორის შეუმჩნევლად გავლა მით უფრო ადვილიაო. სტოიანი მიხვდა, დახანება არ შეიძლებაო და სისწრაფით წინ გასწია. რამდენიმე ათი ნაბიჯი გადასდგა თუ არა, ბოლგარელ გლეხს წააწყდა. გლეხმა უცხო კაცის დანახვაზე, ჯოხი ამართა და, ის-იყო, უნდა დაეყვირა; ამ დროს სტოიანმა რევოლვერი უჩვენა, და გლეხმაც ჯოხი ძირს დაუშვა და ხმა გაკმინდა.

— რა ამბავია?—ჰკითხა სტოიანმა ჩუმად და რევოლვერი დაუმიზნა.

— სტოიან კრივენოვის საძებრად გამოგვრეკეს,—უპასუხა გლეხმა.

— ჰო, მაშ ღმერთმა ხელი მოგიმართოს,—უთხრა სტოიანმა გლეხს და თავის გზაზე გასწია.

— ღმერთმა გადღეგრძელოს,—ჩუმად უპასუხა გლეხმა.

სანდალს თავი მშვიდობით დააღწია თუ არა, სტოიანი მარდად წავიდა ხევისკენ. ახლა ბილიკ-ბილიკ მიდიოდა და ერთბაშად სისტოვის ზაფთიების აღას წაადგა.

— დურ (გაჩერდი)!—შეუყვირა აღამ, და მარცხენა ხელი სტოიანისაკენ გაიწოდა, მარჯვენა კი ქამარზე დაკიდებულ რევოლვერს იტაცა.

რევოლვერი გავარდა... აღამ დაიყვირა, ხელები გაიწოდა, თითქოს რაღაცას გეპოტინებაო, და პირქვე გაიშხლართა.

სტოიანმა მოჰკურცხლა, ახლა სულ უარესს დღეში ჩავარდა: ერთს კაცის-კვალს მეორეც დაუმატა. ისევ გაქცევით თუღა უშველიდა თავს და, რაც შეეძლო, მირბოდა. ერთბაშად მოიფიქრა, კვალ-და-კვალ გამომიდგებიან და ჩემი დაჭერა არც ისე გაუჭირდებათ, რადგან იციან, საით გავიქეციო. ამ აზრმა თავში გაუელვა თუ არა, გზას გადუხვია, შეძვრა ხშირს ტყეში და ცდილობდა სულ სხვა გზით ევლო. წინანდელ გზით სიარული არ შეიძლება, უეჭველია, მდევარი გამომეკიდებოდაო. ამასობაში კრივენასაც მიუახლოვდა.

აქ კი სიარულს უკლო, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა; დროგამოშვებით უკან მოიხედავდა, შეჩერდებოდა, ყურს დაუგდებდა და ხელახლა გასწევდა. ბოლოს, რაკი კარგად დარწმუნდა— მდევარი სხვა მხარეს წავიდაო, ცოტა შეისვენა და ისევ გაუდგა გზას, მაგრამ ახლა კი ნება-ნება მიდიოდა. სოფელთან რომ მივიდა, ჯერ ისევ შორიდან გარს შემოუარა, მონახა ხშირ-ტოტებიანი და ფოთლებით დაფარული ქორაფი, ზედ გავიდა და კენწეროზე ხშირს ტოტებში დაიმალა. თვალ-წინ მიდამო გადაეშალა. უყურებდა მზის სხივებისაგან ალაპლაპებულ დუნაიას, მის იქით—ამწვანებულ ვაკეს, უყურებდა მინდვრებს, ბორცვებს, ტყეს, რომლებსაც ზედ დაჰყურებდა სისტოვის მინარეთები; შესცქეროდა აქა-იქ გაფანტულ სოფლებს, იანტრის პირს, და, ბოლოს, შორიდან—კრივენას, მამის მექალანეც გაარჩია.

„ვინ იცის, რა მოუვიდათ მამას, დედას, დიდედას, დას!“— იფიქრა სტოიანმა. მშობლების დარდი ძალიან აწუხებდა. მამას აქამდე დაიჭერდნენო; ისიც ეჭვს გარეშე არის, რომ ჩემს დასაჭერად გაგზავნილი ჩერქეზები და ბაშიბუზუყები, ამდენის ცუდად ჩავლილის მეცადინეობით გაჯავრებულები, მიჰვარდებოდნენ

დედას, დასა და დიდედას და უღმერთოდ აწვალებდნენო. განსაკუთრებით ახალგაზდა, მშვენიერ დის ჯავრი ჰკლავდა: ოსმალები ისეთს გემრიელს ლუკმას ხელიდან აბა რას გაუშვებდნენო! მუშტრის თვალით დააკვირდა მექალეს,—იმედი ჰქონდა ეგებ ისეთი-რამ ენახა, რომ იქიდან შინაურების ამბავი რამ გაეგო; მაგრამ ვერაფერი გაარჩია. მექანე თავის ადგილას იდგა; ეზოში ქათმები დადიოდნენ; მექაანეს გვეოდით შარა-გზაზე მგზავრები მიდიოდნენ—ზოგი ცხენით, ზოგი ქვეითი. სტოიანი მამის სახლს უკანიდან უყურებდა, ამიტომ, დარაჯი იდგა თუ არა, ვერა ჰხედავდა. რომ სცოდნოდა—ნიზამები წასულანო, ღამით შეეძლო მექალესთან მიპარულიყო და, რაც შინაურებს გადახდა, ყველაფერი შეეტყო. აი, კიდეც ამიტომ უნდოდა ყველაზე უწინ ის შეეტყო—დარაჯი იქ არის თუ არაო? ტოტებს გასწია, თვალებს ძალა დაატანა და ბოლოს ხიშტის ლაპლაპს მოჰკრა თვალი. ნიზამები ჯერ ისევ არიანო. ცოტას ხანს შემდეგ დაინახა ქალის ტანისამოსით მორთული ადამიანი, უკანა კარებიდან გამოსული. „დიდედაა!“ ჩურჩულითა სთქვა გულში. ამგვარად სტოიანმა შეიტყო, რომ დარაჯი ისევა სდგას და დედაც სახლშიაო. რა კი დიდედა დაინახა, ცოტა არ იყოს, გულს ეფონა: სახლიპატრონი თუნდ იქ არ იყოს, მის მაგივრად სახლს ბებერი უგდებს ყურს, მაშასადამე, ჩვენი ქონება აოხრებული არ არისო. დედ-მამას რაღა დაემართათ?

შეიძლება მამა დაიჭირესო,—ფიქრობდა სტოიანი,—შეიძლება, არც კი დაუჭერიათო; ყოველსავე შემთხვევაში, ალბად, მოულოდნელად თავს არ დასხმიან, მაშასადამე, დედასა და დასაც ისე ოხრად არ დააგდებდა და დრო ექმნებოდა მათთვის ეზრუნა რამეო.. ისიც შეჰნიშნა, რომ მექალეში ვაჭრობა წინანდებურად იყო. დაინახა რამდენიმე ცხენიანი ჩერქეზი; ჩერქეზნი გაჩერდნენ, ცხენებიდან ჩამოხდნენ, რამდენიმე ხანი მექალეში დაჰყვეს და მერე ისევ გზას გაუდგნენ. გარდა ამისა, დაინახა, რომ სხვა ჩერქეზნი მინდორ-ველად დატრიალდნენ ყურებდაცქვეტილნი.

„მე დამეძებენ, აი,“—გაიფიქრა სტოიანმა.

რა კი ცოტა გული დაიმშვიდა და იმედი მოეცა—ჩემს მშობლებს საიმისო არა უჭირდათ-რაო, უფრო დალაგებით დაიწყო ფიქრი თავის მდგომარეობის შესახებ. მტრისა ხომ ეშინოდა და ეშინოდა, ამას ისიც დაურთეთ, რომ ეს ორი დღე იყო არაფერი ეჭამა. შიმშილი მეტად ცუდს გუნებაზედ აყენებდა. მექალთანეში, რა თქმა უნდა, საჭმელს იშოვნიდა, მაგრამ იქ მისვლა მეტად საშიშო იყო.

ისევ სოფელს დაუწყო თვალიერება. კრივენაში, როგორც სჩანს, არაჩვეულებრივი არა მომხდარა-რაო. გლეხები მიდიოდმოდიოდნენ, საქმობდნენ, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო. სტოიანი ყველას სათითაოდ იცნობდა... გადასწყვიტა—საღამომდე დავიცდი და მერე კი პირდაპირ ჩორბაჯისთან წავალო.

თქმა და ნათქვამის შესრულება ერთი იყო. დაბნელდა თუ არა, ხიდან ძირს ჩამოვიდა და სოფლისაკენ გასწია. იმის დანახვაზე ჩორბაჯის ოჯახობას შიშით გული გაუსკდა: ბავშვები და ახალგაზდები დაიქსაქსნენ, ქოხში მხოლოდ დედაბერი დარჩა. ბოლგარეთში შიშიანობის დროს დედაბერია სულ მუდამ ოჯახის ერთად-ერთი წარმომადგენელი ხოლმე. პირველში, რაც კი იკითხა, სტოიანს პასუხად მხოლოდ ესმოდა: „არ ვიცი... არ ვიცი“...

— სად არი ჩორბაჯი, ან მექალთანჯი, სოფელში რა ამბავია?—ეკითხებოდა ახალგაზდა კაცი.

— არ ვიცი.

სტოიანი ცდილობდა დაემშვიდებინა, დაყვავებით ელაპარაკნა და, რის წვალებით, ზოგიერთი ცნობა გამოსტყუა.

— ჩემი ნუგეშინია, დედი,—ეუბნებოდა ახალგაზდა კაცი:—როგორც მოვსულვარ, ისევე წავალ.

— თუ ღმერთი გწამთ, წადით, მოგვშორდით,—ეხვეწებოდა ბებერი.

— მარტო ის მითხარ, ჩორბაჯი სად არის?

— სისტოვოშია.

— მამა-ჩემი?

— მამა-შენი?—ჰკითხა დედაბერმა.

— ჰო, მამა-ჩემი, პეტრო მექადაგი.

— სისტოვოშია.

— დედა-ჩემი და ჩემი დაჲ?

— სისტოვოში არიან.

— რისთვის წასულან, დაჭერილები ხომ არ არიან?

— სისტოვოში არიან.

სტოიანი ჰხედავდა, რომ დეჯაბერმა ჩასჭიდა ამ სიტყვას ხელი და არაფრის თქმა არ უნდაო, გამოსაცდელად ჰკითხა:

— თქვენი პური სად არის?

— სისტოვოში!

სტოიანმა შეუტია:

— გესმის, ჩქარა მომიტა პური და სხვა რამ საჭმელი!

დედაბერი, სამსახურს დაჩვეული, მაშინადვე წამოდგა და მოუტანა მჭადი, რამდენიმე თავი ხახვი, ერთი ნაჭერი ყველი და რაღაცა სხვა სანოვაგე კიდევ. სტოიანმა ხელსახოცში გამოახვია ყოველივე და წავიდა. სოფელში სხვა საქმე აღარა ჰქონდა-რა და რაღად უნდა დარჩენილიყო. გაუარა გროჯდანის ქოხს, მაგრამ შიგ არავინ იყო. ისევ მინდორს მიაშურა, ღამეც იქ უნდა გეთია და თავიც დაეფარა.

წინალამის ამბავმა სიფრთხილე ასწავლა; ამასთან, ამდენს სიფრთხილესაც ძლივას უძლებდა.

მთელი ღამე მუხლი არ ჩაუდრეკნია და, ბოლოს, ციხის თხრილებს წააწყდა. ჯერ არ გათენებულიყო, აღმოსავლეთი მხოლოდ წითლად იღებებოდა; სტოიანმა დაკვირვებით დაიწყო ყურება აქეთ-იქით. ჯერ ვერაფერს არჩევდა, მაგრამ მალე საყარაულო ფარდულს მოჰკრა თვალი, ახლოს მივიდა და დაინახა, რომ შიგ ჯარის-კაცი ზის.

„ვერ უყურებ, უნდა დადიოდეს, და ამას კი საყარაულოში მოუკალათნია,—სთქვა თავის გულში სტოიანმა.—ვინ იცის, ეგებ კიდეცა სძინავს“.

უფრო დაუახლოვდა და დარწმუნდა, დარაჯს მართლა სძინავსო. განთიადის პირველ შუქზე სტოიანმა რამდენიმე ფარდული დაინახა, მაგრამ დარაჯი არსად იდგა. „მოდი ვცადო“,

—სთქვა თავის გულში, ჩაეშვა თხრილში და მოხერხებულს ადგილს დაუწყო ძებნა, რომ თხრილს იქით გადასულიყო.

მშვიდობიანობის დროს ოსმალოები ციხე-სიმაგრეებს მეტის-მეტ უყურადღებოდ სტოვებენ; მათი შეკეთება მხოლოდ მაშინ მოაგონდებათ, როცა ომია ატეხილი და მტერი კარზე მისადგომად ემზადება. და აი კიდეც ამიტომ ჩაეშვა სტოიანი ასე გაუჭირებლად თხრილში, ადვილად მოსძებნა აგურებ-ჩამოცვივნული ადგილი, ზედ აცოცდა და სწორედ იქ ამოჰყო თავი, სადაც საყარაულო იდგა. სტოიანმა თავი ცოტა მაღლა აიღო და დარაჯს შეჰხედა, დარაჯს თოფი კარებთან მიეყუდებინა, თვითონ კი არხეინად ხვრინავდა. მერე ახლო მიცოცდა და ერთს წამს შეჩერდა. თავში აზრმა გაუელვა—მოდი, სადაც ორი მოვკალ, იქ მესამეც იყოსო. რაკი ასე დატრიალდა მისი აზრი, სტოიანისათვის ახლა ძრიელ ძნელი იყო თავი შეემაგრებინა. მე ხომ ოსმალოებს ომი გამოვუცხადე და, მაშასადამე, მე მაგათი მტერი ვარ და ეგენი ჩემიო და სრული უფლება მაქვს ჩემს მტერს, რითაც კი შემიძლია, ვავნოვო, მით უფრო რომ ოსმალოები მსაჯულად სთვლიან თავიანთს თავს, და, უეჭველია, მეც არ დამზოგავდნენ, და არც ახლა დამზოგავენ, თუ ხელში ჩამიგდეს. „მტერი ახლა ხელში მყავს,—ჰფიქრობდა ახალგაზდა კაცი:—შემიძლია მისივე ხიშტით გული გავუგმირო; ან რა საბუთით უნდა შევიბრალო“... მძინარე ჯარის-კაცი მაინც არ მოჰკლა. მხოლოდ თოფი ააცალა, მერე მოუარა ფარდულს, ჩამოხტა და უნდოდა თოფი გაეტეხნა და გადაეგდო; მაგრამ პატრუნმა ხელი შეუშალა. როცა სტოიანი ფარდულიდან ჩამოდიოდა, მოულოდნელად გაშეშდა,—ვილამაც ხელი შეახო.

— დურ!

თვალის დახამხამებაზე თოფი ხელიდან გააგდო და ელვის სისწრაფით მოჰკურცხლა შენობისაკენ, შენობის უკან ქალაქის შუაგულში მიმავალი ქუჩა იწყებოდა. იმედი ჰქონდა, შენობას რომ მოვეფარები, მდევრებს ხელიდან ადვილად გავუსხლტებიო. მაგრამ მდევრები ახლოს იყვნენ, ასე რომ, რო-

ცა სტოიანი შენობას გასცილდა, საშველი გზა მარტო ორგანა ჰქონდა: ან კედელთან მდგარ კასრში უნდა ჩამძვრალიყო, ან მახლობლად დაბანაკებულ ბოშების კარავს შეჰფარებიყო. კარავიდან მოსჩანდა მძინარე ხალხის ტიტველა ფეხები, ღობესთან კიდევ დაბმული იყო სახედარი. კარავი—თუ კასრი? დიდ ხანს არ უფიქრნია, კასრში ჩახტა და სული განაბა. ჯარის-კაცებმა მოირბინეს, გაჰხედეს ქუჩას და გინებასა და ბუზღუნს მოჰყვნენ.

— ჯაშუში... საძაგელი... გაგვექცა! როცა იქნება, ხელიდან ვერ წაგვიხვალ!

ბოშებმაც გაიღვიძეს; ერთი მათგანი გამოძვრა კარავიდან და დაიწყო აქეთ-იქით გაკვირვებით ყურება.

— ხომ არ დაგინახავს?—ჰკითხა ერთმა ნიზამმა.

— ვინა?

— ვინა? ვინა და ჯაშუში, ან კომიტაჯი.

— არა, არ მინახავს,—უპასუხა ბოშამ.

წამოდგა დედაბერი და ნიზამებს ქვეშ-ქვეშ დაუწყო ყურება, ნიზამები იგინებოდნენ, იფურთხებოდნენ, სწყევლიდნენ და ბოლოს თხრილებთან დაბრუნდნენ.

ცოტა ხანი რო გავიდა, სტოიანი კასრიდან გამოვიდა და გაოცებულ ბოშებს ჩქარის ნაბიჯით გაუარა წინა. შეიძლება კიდეც გაჩერებულიყო ბოშებს ახლო, მაგრამ ესენი სწორედ ის ბოშები იყვნენ, რომელნიც ამ სამის დღის წინად კრივენაში ოსმალების წინაშე თამაშობდნენ და რომელთა შორის სტოიანი დათვის როლს ასრულებდა. ახალგაზდა კაცმა იცნო ისინი და ამიტომ არ შეჩერებულა. ასე, ორმოც და ათი ნაბიჯიც ძლივას ექმნებოდა გადადგმული, ბებერი ბოშა დედაკაცი უკან დაედევნა; ამხანაგებისათვის არა უთქვამს-რა. წინ სტოიანი მიდიოდა—უკან ბოშა დედაბერი. ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო; ცარიელს ქუჩაზე ამ ორის ადამიანის მეტი არავინა სჩანდა, როგორც საბედისწერო ლანდი, ისე მისდევდა მოშორებით, თითქო განგებ არ უნდა დაეწიოსო. სტოიანი ვერა ჰხედავდა, და ეჭვიც კი არა ჰქონდა, თუ ფეხ და-ფეხ

ბოშა დედაბერი მისდევდა. დედაბერი ფეხშიშველა იყო, ამიტომ ერთი ბეწვა ხმაურობა, ერთი ბეწვა შრიალი რა არი, არ ისმოდა, ხელში ჯოხი ეჭირა, ზედ კი არ ეყრდობოდა: ალბად ეშინოდა, ჯოხის ხმაზე არ შემნიშნოს გაქცეულმა კაცმაო.

სტოიანმა გაიარა რამდენიმე ქუჩა და ბოლგარელთა უბანს მიატანა. ეგონა, აქ არავინ მიყურებსო და ჰაჯი ქრისტოს ალაყაფის კარებთან გაჩერდა. იმედი ჰქონდა, ამ სახლში უშიშარ თავშესაფარს იპოვიდა, მით უფრო, რომ იქ დარჩენა დიდ ხანს არ უნდოდა. მისთვის აუცილებლად საჭირო იყო რაიმე ღონისძიებით დუნაიში გასულიყო. აბა თუ კი ჰაჯი ქრისტოსთან მივიდოდა, ხელცარიელი როგორ დაბრუნდებოდა! დიდი იმედი ჰქონდა აგრედვე ქრისტოს ცოლისა და ილენკასი, მეტადრე ილენკასი, რომელიც ახალს აზრებს ადვილად ითვისებდა და რომლის გული სამშობლოს სიყვარულით იყო სავსე. ამგვარად, იმედოვნებდა — გულ-მხურვალედ მომეკიდებიან და დახმარებას აღმომიჩენენ, თუ არა-და, მოყვრულოდ მაინც დამიხვდებიანო.

რადგან ჯერ კარგად ადრე იყო, ალაყაფის კარები დაკეტილი დაუხვდა. სტოიანმა დააკაკუნა, ცოტა დაუცადა და უნდოდა ხელახლა დაეკაკუნებინა, რომ ამ დროს ფეხის ხმა მოესმა და შიგნიდან რაზას გადასწიეს. კარები გაიღო.

— ბატონი ადღეგრძელა ღმერთმა,—მხიარულად მიესალმა მეჯინიბე და კარები ისევ მიხურა.

— ხომ კარგად არიან?—ჰკითხა სტოიანმა.

— მადლობა უფალსა, ყველანი მშვიდობით მბრძანდებიან.

— აღა ადგა?

— ამდგარი იქნება.

რადგან ბოლგარელთ ჩვეულებად არა ჰქონდათ, როცა ვისმეს იმათი ნახვა უნდოდა, მოეხსენებინათ, ამიტომ სტოიანი პირდაპირ პირველ სართულისაკენ წავიდა და თავის წინანდელ ოთახს მიაშურა. ფიქრობდა, ჯერ აქ დავისვენებო. იმედიცა ჰქონდა—არავინ დამიშლისო, რადგან როცა მიდიოდა,

ქრისტოს დროებით დაეთხოვა და არა სრულიად. ამიტომ, როცა ოთახში შევიდა, განგებ ხმაურობა დაიწყო ოდნავ,—ვითომ გაიგეთ, მოვედიო.

„თუ ჰაჯი ქრისტომ გაიღვიძა კიდეცა,—ჰფიქრობდა ახალგაზდა კაცი,—ჯერ მაინც ისევ ლოგინში იწვებაო, მე კი იმის ნახვა ძალიან მეჩქარება.“ სტოიანმა სიარული დაიწყო, რამდენჯერმე ჩაახველა... და, ბოლოს, ჰაჯი ქრისტოს ცოლმა გაიგო,—სტოიანი მოსულაო. კარი შემოაღო, შემოიჭყიტა, დაიკივლა და გაიქცა. იმ წამსვე ჰაჯი ქრისტოც შემოიჭრა,—ეტყობოდა ახალი ამდგარი იყო, ხალათში გახვეულიყო და საჩქაროზე შემოვარდა. სახეზე ბრაზი და შიში ეხატებოდა.

— შე უბედურის დღის გაჩენილო! აქ რა გინდა?—დაიყვირა ჰაჯი ქრისტომ.

სტოიანი აირია.

— აქ რა გინდოდა, რა?—ეკითხებოდა გააფთრებული სახლიპატრონი.

— მოვედი... მივდივარ...—ბუტბუტებდა ახალგაზდა კაცი.

— მართლა ოსმალო მოჰკალი?

— დიაღ, მოვკალი.

— კაცი მოჰკალი და კიდევ აქ მოსვლასა ჰბედავ? არა, ძმაო, სიცოცხლე შენ თუ მოგძულებია, თორემ მე თავის გაწირვა ფიქრადაც არა მაქვს... არა!... მე... მე...—ქრისტო გაფითრდა და აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა:—ახლავ ჟანდარმებს დავუძახებ და დაგაჭერინებ.

სტოიანმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ შემოიჭრა ქრისტოს ცოლი და კარის ზღურბლზე ყვირილი დაიწყო:

— შე უბედურო! შე უბედურო! როგორც ღვიძლი შვილი, ისე შეგივრდომეთ და შენ კი...

— ჟანდარმებს უნდა დავაჭერინო! ჟანდარმებსა!—გააწყვეტინა სიტყვა ჰაჯი ქრისტომა:—ჟანდარმებსა! ახლავე წავალ და დავუძახებ...—და კარებისაკენ გაემართა.

— ვერა, ვერ წახვალ.—შესძახა ქალმა ისეთის რიხით, რომ ჰაჯი ქრისტო შეჩერდა და გაოცებით დააშტერა თვალები.

— არა, მამილო, ვერ წახვალ!—გაიმეორა ილენკამა:—მაგისთანა სისაძაგლეს არ მოიქმედებ.

— რომ არ წავიდე, ხომ დავიღუპე მაგის წყალობით,—უპასუხა სახლიპატრონმა.—თუ გაიგეს, რომ ჩემს სახლში შემოვუშვი, სახრჩობელას ვერ ავსცდები.

— მერე იმათ ვინ ეტყვის, რო სტოიანი აქ იყო?—ჰკითხა ახალგაზდა ქალმა.

— ვინ დაგინახა, როცა შემოხვედი?—ჰკითხა დიასახლისმა.

— სტეფანეს გარდა არავის ვუნახივარ,—უპასუხა სტოიანმა.

— სტეფანე არავის ეტყვის,—სთქვა ილენკამა.

— რა კი აგრეა, ახლავე წავიდეს!—დაიძახა ჰაჯი ქრისტომ:—ახლავე, წუთსავე წავიდეს.—წადი!... გაგვეცალე... დაივიწყე, რომ ჩემთან შემოხვედი... გასწი!...

სტოიანი დარწმუნდა, ამ სახლში დარჩენა არ შეიძლებაო. საჭირო იყო ჩქარა წასულიყო, სანამ ქუჩები ჯერ ისევ ცარიელი იყო. ხმის ამოუღებლად გაშორდა იქაურობას.

— მშვიდობით იყავი!—მოაძახა ილენკამ.

ილენკას სიტყვები გულში ჩასწვდა.

— მშვიდობით იყავი!—განიმეორეს ილენკას მშობლებმაც თვისის ქალის სიტყვები.

სტოიანმა კიბეზე ჩაირბინა, ალაყაფის კარებიდან მარჯვნივ გადუხვია და ისე წავიდა, რომ ერთხელ უკან ალარ მოუხედნია. ორმოც და ათს ნაბიჯზე ისევ ის ბებერი ბოშა დედაკაცი მოსდევდა.

ისევ საფთხეში ჩავარდა. ახლა მხოლოდ ორი სახლი ეგულებოდა: მოკრას სახლი და სტანკოს ბინა. სტანკოს ბინა უფრო მოხერხებულიაო—იფიქრა—ჯერ ერთი იმიტომ, რომ ახლოს არის, და მეორედ ჩუმი, გაფრთხილებული სტანკო ყველას სანდო კაცად მიაჩნიაო. სტოიანს ქუჩაში არავინ შეხვედრია. მივიდა სკოლაში, და იმის ბედზე კარი ღია დახვდა; შევიდა პირველს ოთახში და სტანკოც წინ იქ დახვდა.

— თითქმის გელოდი,—უთხრა მასწავლებელმა მისალმების შემდეგ.

— მინდა დავიმალო სადმე.

— ვიცი, ვიცი... ოსმალები დაგეძებენ ყველგან; სამის დღის წინად ჰაჯი ქრისტოს სახლი გაუჩხრიკეს და ჩვენება ჩამოართვეს. პეტრეც აქ არ არის, თორემ რუმინიაში გადაგიყვანდა... საღამომდე ჩემთან დარჩი, მანამდე კიდევ რასმე მოვიფიქრებთ... წავიდეთ.

მასწავლებელმა სტოიანი ხულაში წაიყვანა, და, ყოველ შემთხვევისათვის, საიდუმლო კარი უჩვენა და უთხრა, თუ გაგიჭირდეს, აქედან გადი და დაიმალეო.

— ეს გასასვლელი ოსმალებმა არ იციან... იქიდან იცი სად გახვალ?... მოკრას ბაღში... ჩუმად იჯექ, მე კი მოკრასთან წავალ და ამბავს მივუტან. თუ ვინიცობაა, ამასთან დაგჭირდა დამალვა, ალაყაფის კარებთან ეზოში კი ნუ შეხვალ,— ღობეზე გადახტი. პირდაპირ ბაღში.

სტანკომ სტოიანს კიდევ რაღაცები უთხრა და წავიდა; სტოიანი კი ხულაში დარჩა დასაძინებლად.

ბოშა დედაკაცი სახლ წინ იდგა დიდ ხანს—უცდიდა, ბოლოს, თავი დაანება იქაურობას და პირდაპირ კონაკისაკენ გასწია.

XII

განათლებულს ქვეყანებში გაუნათლებელ ქვეყნების ზოგიერთი უზნეო ჩვეულება არის ხოლმე დარჩენილი. ამგვარ ჩვეულებად უნდა ჩაითვალოს ჯილდოს აღთქმა დამნაშავის აღმოჩენისა ან დაჭერისათვის. ამგვარ შემთხვევაში სასყიდელს ადგილი სრულიად არ უნდა ჰქონდეს. და რა კი უამსასყიდლოდ საქმე არა რიგდება, ეტყობა, მთავრობასა და საზოგადოებას შორის უთანხმოებასა აქვს ფეხი მოკიდებული. როცა ინგლისელებს ირლანდიელთ წინააღმდეგ სამოსამართლო საქმე აქვთ დაწყებული, ამ ჩვეულებას მიჰმართავენ ხოლმე და ამგვარად

ჰბაძავენ ოსმალოების მმართველთა, რომლებთაც დაქირავებული ჰყავთ არამც თუ ქვეყნის ჯაშუშები და ოფიციალური ენატანიები, არამედ კერძო მაბეზღარებსაც კი აქეზებენ. როცა სტოიანმა ალა მოჰკლა და თვითონაც თავს უშველა, რუშჩუკის ვალიმ დაფითა და ნაღარით, საყოველთაოდ, გამოაცხადა, ვინც კრივენაში მილიაზიმის და ტყეში აღის მკვლელ სტოიან კრივენოვს ცოცხალს დაიჭერს და ან მისს ბინას მთავრობას ასწავლის, საჩუქრად ათას ყურუშს მიიღებსო. ეს ამბავი მთელს მხარეს მოეფინა, და ბოშამ კიდეც გამოჩხრიკა სტოიანი.

ბოშა დედაკაცი სტოიანს არ იცნობდა, მაგრამ მიხვდა, რომ როცა ის მექანეს წინ დათვურად თამაშობდა, ზედვე ეტყობოდა—გლეხურ ტანისამოსის ტარებას ჩვეული არ იყო. უბრალო ხალხს, განსაკუთრებით იმათ, ვინც იძულებულნი არიან ლუკმა-პური სხვა-და-სხვა გაიძვერობით მოიპოვონ, მოსაზრების ნიჭი ძალიან უვითარდებათ ხოლმე. ბოშა დედაკაცმა გაიგო თუ არა—მილიაზმი მოჰკლესო, მაშინადვე შეეცადა კარგად გაეთვალისწინებინა გლეხურად ჩაცმულ კაცის თვალების და მთელის სახის მეტყველება, ასე რომ, როცა შეიტყო მკვლელის პოვნისათვის ჯილდო არის დანიშნულიო, ამ კაცის სახე მთლად კარკვევით წარმოუდგა. დილას კასრიდან გამოხტარ ახალგაზდა კაცის სახის ნახვაზე ბოშა-დედაკაცი სახტად დარჩა და უკან დაედევნა. ჯერ იყო, ჰაჯი ქრისტოს სახლის წინ უცადა, მერე—სკოლის წინ; ბოლოს გადასწყვიტა, უთუოდ აქ დარჩებაო, და პირდაპირ კონაკში წავიდა. ფაშას ჯერ ისევ ეძინა; გარედ კი, ის-ის იყო, მოძრაობა იწყებოდა. ძირს, სადაც პოლიციის კანცელარიის გვერდით ჟანდარმების გაუპტაკახტა იყო, ზაფთიები ყავასა სვამდნენ და ნარგილეს ეწევოდნენ. ბოშა-დედაკაცმა ამათ მიჰმართა.

— რა გინდა?—ჰკითხა ერთმა ჟანდარმა.

— ფაშასთან საქმე მაქვს.

— ფაშასა სძინავს.

— სძინავს?—ჰკითხა ბოშამ და მაშინადვე მღერით განაგრძო:—ეი, ჯანემ, ადე გაიქე, გაიქე ჩქარა და ფაშა გააღვი-

ძე... გაიღვიძოს, ლოგინიდან წამოხტეს და მომისმინოს, რაც სათქმელი მაქვს.

— ხა... ხა... ხა!... გადიხარხარეს ზაფთიებმა.

— გაეშურე, ჯანემ!— ეუბნებოდა ბოშა.—ნარგილეს მოწევას მერეც მოასწრებ.

— არ იტყვი, რა გინდა ფაშასაგან?

— ყურში ისეთს სიტყუას ჩავჩურჩულებ, მსგავსი სიტყვა ცის ქვეშ ვერავინ უთხრას.

— რა არის ისეთი, რომ შენ იცი და ჩვენ კი არა?

— ისეთია, ჩემო კარგო, რომ ერთ კალთა ფულს მომცემს.

— ვაი თუ ყურუშიც არ მოგცეს!

— თქვენ ისე გგონიათ... ათასსაც არ დაიშურებს.

— ბიჭოს?—გაიკვირვა ზაფთიამ.

— მართალი სთქვი, სტოიანი კრივენოვი ხომ არ დაგიჭერია?

— ის მე ვიცი, თვითონ ფაშას მინდა ვუთხრა,—უპასუხა ბოშამ, ცოტა არ იყოს, გულნატკენად, საიდუმლო გამიგესო.

— ფაშას ნახვა საჭირო არ არის... მოდი, ჩვენ გვაჩვენე... სად არის?

— ეჰო, მერე ათასი ყურუში ვინ უნდა მომცეს!

— გეტყობა, ჯერ ათასი ყურუში გინდა ჩაგითვალონ?— შენიშნა ზაფთიმ.—ჯერ გვიჩვენე, ან გვითხარი, სად არის, ისე რომ დაჭერა შეგვეძლოს.

ბოშამ თვითონაც არ იცოდა, რა ექმნა.

— ყველაფერს ვეტყვი... ფაშა ეფენდის.

— არა უშავს-რა, აღასაც ეტყვი... უთხრა ერთმა ზაფთიმ.—და თუ არ გითქვამს, შენ თვითონ შემოგვეხვეწები— მათქმევინეთო.

ზავთი ადგა, შევიდა კანტორაში; ისევ ჩქარა გამოვიდა და თავის ალაგას დაჯდა.

დედაკაცი თავ-ჩაღუნული იდგა. ამ დროს ჩასუქებული, ხარისხოვანი კაცი გამოვიდა და სიარულში თან მუნდირის ღი-

ლებს იკრავდა. წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა და მაშინადვე ოცი რჩეული ბიჭი, თესაკებითა და რევოლვერებით შეიარაღებულები, რაზმად დაეწყვენ. რაზმი რომ მოემზადა, ხარისხოვანმა კაცმა სერთუკი შეიკრა, ხელში იარაღი აიღო და ბოშას ბძანების კილოთი მიჰმართა:—გაგვიძეღ!

— კარგი, ჯანემ...—უპასუხა ბოშამ ტირილით.—მაგრამ, ერთი ეს მითხარით, ფაშა რატომ ვერა ვნახე?

— მერეც მოასწრობ იმის ნახვას, ახლა კი წავიდეთ.

დედაკაცმა ჩაახველა, წელში მოიკაკვა და გრძელის ჯოხის ბჯენით რაზმს წინ გაუძღვა; უკან აღა მისდევდა. ბოშა არა ჩქარობდა, ხშირად შეჩერდებოდა კიდეცა, თითქო გზა კარგად არ იცისო; სულ ახველებდა, ოხრავდა. ბოლოს, ვითომ გზა გაიკვლია, ფეხს აუჩქარა და გაჩერდა.

— აი აქ არის...—უთხრა და ერთი საცოდავი სახლი ანიშნა.

— აქა?...—ჰკითხა აღამ.—ეს ხომ სკოლაა.—მერე გაკვირვებით ზაფთიებს დააშტერდა.

— სტანკო ხომ არაფერშია შენიშნული?

— აქამდე არაფერშია...—უპასუხა ერთმა ზაფთიმ.

— მაშ, როგორა ვქმნათ?—განმეორებით იკითხა აღამ.

— ის მაინც რაჯაა.

— მერე ისეთი ჩუმი და უწყინარი კაცი!...

— სულ ასეთები არიან.

— ნამდვილად იცი, რომ სტოიანი კრიევნოვი აქაა?—ჰკითხა აღამ ბოშა დედაკაცს.

— ჩემის თვალითა ვნახე,—აქ შემოვიდა. ჰაჯი ქრისტოს სახლიდან უკანვე გამოვიდა, აქედან კი აღარ გამოსულა.

— ჰაჯი ქრისტოსთან იყო?

— ჯერ პირველად ჰაჯი ქრისტოსას იყო, იქიდან აქ მოვიდა.

— რაკი აგრეა, შევიდეთ,—უთხრა აღამ ზაფთიებს და სკოლის კარები შეაღო.

აღისა და ზაფხიების შემოსვლაზე კლასში ახლად დაწყებული სწავლება შეგირდებისა შესწყვიტეს. ბავშვები მიწაზე იყვნენ გამწკრივებული, ხელში ასპიდის დაფები ეჭირათ, სტანკო კი საკლასო დაფაზე ცარცითა სწერდა და მარცვლებით ხმამაღლა ბავშვებს უკითხავდა. ორისავე სქესის ბავშვები თვითეულ ასოს სახელს იმეორებდნენ, და, ამგვარად, კლასში მწყობრი ხმაურობა იყო. სტანკომ სიტყვა „ბებია“-ს წერა დაიწყო.

— ბან-ან-ბა, ბან-ენ-ბე...—სთქვა სტანკომ.

— ბა, ბე...—განიმეორეს ბავშვებმა და უცბად შეჩერდნენ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვები ყველანი ერთად აღას დააცქერდნენ. აღამ, შემოსვლისათანავე, ბავშვებს შეჰხედა, მერე მიუბრუნდა სტანკოს და მკაცრის ხმით დაიძახა:

— ეი, კომიტეტის წევრო, როგორც დამალე სტოიან კრივენოვი, ისე გამოაჩინე!

სტანკოს გონება არ დაუკარგავს. მივიდა მეორე ოთახში გასასვლელ კარებთან, შეაღო და დაუძახა:

— სტოიან, თავს უშველე!

მერე კარი ისევ შემოხურა და დამშვიდებული იქვე გაჩერდა.

— გააღე ეს კარი!—უთხრა აღამ.

— დაიცა, ჯანემ...—უპასუხა სტანკომ ხელის წინ გაშვერითა.—დაიცა ცოტა.

აღა გაკვირვებული დარჩა, სტანკოს დამშვიდებულ სახეს რომ უყურებდა, და გაჩერდა; მაგრამ ისევ მალე მოიკრიბა გონება და ერთი ნაბიჯი გადასდგა წინ.

— დაიცა!—უმეორებდა სტანკო ისეთის კილოთი, თითქო აქ არაფერი ამბავიაო.

— რადა?—ჰკითხა აღამ.

— იმ კაცს ნუ შეაწუხებ... მთელი ღამე არა სძინებია.

— რასა ჰბოდავ?..—მოუთმენლად შეუტია აღამ და ერთი ნაბიჯი კიდევ წასდგა წინა. აღა ისევ შესდგა და ზაფხიებს ანიშნა—კარები გააღეთო.

— ცოტა მოითმინეთ!—ეხვეწებოდა სტანკო.

— არ გვეტყვი, რისთვის მოვითმინოთ?—ხელახლა ჰკითხა აღამ.

— მე თქვენ გეუბნებით: დაიცადეთ, თქვენთვისვე იქმნება უკეთესი,—აიხირა გულ-დამშვიდებულმა სტანკომ; ეტყობოდა, მისი სურვილი იყო, რაც შეიძლება მეტს ხანს შეეჩერებინა ჟანდარმები.

— რად იქმნება უკეთესი?—ჰკითხა გაბრაზებულმა აღამ.

— ტყუილად თავებს გაიფუჭებთ, ამ კომიტაჯს შვიდზედ მეტი რევოლვერი აქვს.

ზაფთიები ერთბაშად შეჩერდნენ.

— არ დამითვლია,—განაგრძო სტანკომ,—მაგრამ დაივინახე ერთი აქ ჰქონდა, მეორე აქ, მესამე კიდევ აქ...—და თითს ქამარში იყრიდა, ვითომ სტოიანს აქა ჰქონდა რევოლვერები გაკეთებულიო. ოსმალები თვალებში შეჰყურებდნენ, სმენადგადაქცეულები, ადგილიდან არავინ იძვროდა; სტანკო კი მაინც თავისას არ იშლიდა:—აქ მეოთხე, აქ მეხუთე, აქ მეექვსე, აქ მეშვიდე, აქ მეცხრე, აქ...

— ტსსსს... დურ!—დაუყვირა აღამ.

— ცოტა მომითმინე, აღა ეფენდიმ! დავთვალო! აქ ერთი აქ მეორე, აქ მესამე...

— გასწით!—შესძახა აღამ ზაფთიებს.

მაგრამ ზაფთიები არა სჩქარობდნენ; ყველამ სათითაოდ ბუდიდან რევოლვერი ამოიღო და სინჯვა დაუწყო.

გასინჯეს რევოლვერები, თესაკები ქარქაშებიდან ამოიღეს; წინ მდგარმა მარჯვენა ხელში რევოლვერი დაიჭირა, ხოლო მარცხენაში თესაკი, მაგრამ მერე თესაკი მარჯვენაში დაიჭირა, რევოლვერი—მარცხენაში და სხვებს წინ გაუძღვა. სტანკომ იმდენი უხერხა, ერთის წუთით ისიც შეაჩერა.

— კომიტაჯს შენ ვერ დაიჭერ,—მოგკლავს.—უთხრა სტანკომ ჟანდარმს.

ზაფთია გაჩერდა, მაგრამ მხოლოდ ერთის წუთით. მერე თამამად კართან მივიდა, სტანკო მოაშორა, გააღო კარი და

მეორე ოთახში შევიდა. აქ ბუხართან დედა-კაცი იჯდა, ზურგი შემოსულებისაკენ ჰქონდა შემოქცეული და ხუთი ბავშვი, ერთად შეჭუჭკულები, ზედ ეკვროდნენ. დედაკაცს არ მიუხედნია, ოთახში კი ზაფთიები თითო-თითოდ შემოდიოდნენ, სანამ ოთახი მთლად არ გაავსეს. ჟანდარმები აქეთ-იქით იხედებოდნენ, ყველაფერს აკვირდებოდნენ. ერთმა ზავთიამ საკუჭნაოში გასასვლელს კარს მოჰკრა თვალი, გააღო და ზღურბლს გადააბიჯა. უკან დაედევნენ მეორე, მესამე, მეხუთე და ასე დანარჩენები.

ეზოში გასასვლელი კარი ღია იყო; გარშემო ყველაფერს ათვალიერებდნენ და სულ წინ მიდიოდნენ, რეოვოლვერები და თესაკები ხელში მაგრადა ჰქონდათ ჩაბღუჯული; ეზოში იპოვეს: გადმოპირქვავებული გეჯა, რამდენიმე დამტვრეული ქილა, ცოცხი და ერთს ალაგას შეჭუჩებული ნაგავი. ერთმა ზაფთიამ გეჯა გადმოაბრუნა, მაგრამ სტოიანი მის ქვეშ არ აღმოჩნდა. ჟანდარმებმა ეზოს ქვითკირის გალავანი დაათვალიერეს. გალავანი დაძველებული გამოდგა და რამდენსამე ალაგას ჩამოქცეულა კიდეცა. გალავანს იქით მოსჩანდა, ერთის მხრით, ბაღი, მეორეს მხრით მეზობლის სახლი, მესამე მხარეს—ეზო. ზაფთიებმა უცქირეს, ათვალიერეს, იფიქრეს და, ბოლოს, ერთი მათგანი აღასთან წავიდა მოსახსენებლად.

აღამ, რომელმაც თავისთვის რამდენიმე კაცი დაიტოვა, მოისმინა მოხსენება, ბრძანება გასცა სტანკოზე თვალ-ყური დაეჭირათ, თვითონ გარედ გავიდა, გასინჯა ყველაფერი, ხელი გაიქნია და ბრძანება გასცა, მოშორდით აქაურობასაო.

— აი ეს წუწკი ესა,—სთქვა და სტანკოზე ანიშნა,—მეჰკარით და ციხეში ჩასვით.

ბრძანება მაშინადვე აასრულეს.

გათოკილი სტანკო ჟანდარმებმა სკოლიდან გამოიყვანეს. ბოშა დედაბერი, რომელიც ამასობაში ქუჩაში იცდიდა, მაშინადვე აღასთან მივიდა.

— აღა ეფენდიმ,—დაიწყო ბოშამ:—აქ ხომ მე მოგიყვანეთ?

— მერე რა გინდა?

— საჩუქარი მერგება, სამსახური გაგიწიეთ.

— სტოიანი კრივენოვი ვერ დავიჭირეთ.

— რა ვუყოთ, იმის მაგიერად ხომ სხვა დაიჭირეთ.

— ათასი ყურუში მეორისთვის როდია დანიშნული.

— მაშ, რამდენია?

— არაფერი.

— მე საცოდავმა კი ამდენი ვიარე, ამდენ ალაგას მიგიყვანეთ, ფეხები სულ დაოსებული მაქვს... იმის ფიქრში-ღა ვიყავ, თქვენთვის დახმარება აღმომეჩინა. ვაი ჩემს დღეს!...— სტიროდა დედაბერი.—რომ არავინ დაგეჭირათ, კიდევ ჰო... თუ ერთი არა, მეორე ხომ არის. შეგიძლიანთ რაც გინდათ ის უყოთ, გინდ ჩამოარჩოთ, აწამოთ, ლურსმებითა ჩხვლიტოთ. თუ ერთისათვის ათას ყურუშს იძლევით, მეორე ასად მაინც უნდა ღირდეს.

აღამ გააფურთხა.

— შეიძლება ასი ძალიან ბევრი იყოს?—დაუმატა ბოშამ. ორმოც და ათი მაინც მომეცით, თუ ორმოც და ათი არა, ათი მაინც, ათი თუ არა, ხუთი იყოს, თუ ხუთიც არ გემეტებათ... მაშ რამდენს მიბოძებთ?

აღამ ხმა არ გასცა. მოვიდნენ კონაკში. სტანკო სატუსაღოში წაიყვანეს; აღა პოლიციის კანტორაში შევიდა, სადაც ახლად მოსული არისტარხი-ბეჯ დახვდა,—ტახტზედ ჩამჯდარიყო და რაღაც ქაღალდებსა ჰფურცლავდა.

არისტარხი-ბეჯ საქმის გამოსაძიებლად იყო გამოგზავნილი, მაგრამ ჯერ თვითონაც არ იცოდა, რა ექმნა. აღა გვერდთ მოუჯდა და ყველაფერი უამბო.

— აა!... გაეხარდა გამომძიებელს.—სად არი ი ბოშა?

— გარედ დარჩა.

— უნდა დავუძახოთ.

აღის ბრძანებით ბოშა დედაბერი მაშინადვე შემოიყვანეს.

— კომიტაჯი სად ან როდის შეგხვდა?—ჰკითხა პირველად გამომძიებელმა.

— კასრიდან გამოძვრა,—უპასუხა დედაბერმა.

— რომელ კასრიდან?

ბოშამ ყველაფერი უამბო და ბოლოს საჩუქარი ითხოვა.

— **ბაქალიმ** (ვნახოთ),—უპასუხა არისტარხი-ბეჯმ.

— ხუთ ყურუშსა თხოულობს,—უთხრა აღამ.

— ვნახოთ,—განიმეორა გამომძიებელმა.

— თუ ერთი ვერ გაჩვენეთ, მეორესთან ხომ მიგიყვანეთ.

— ბაქალიმ , მანამდე კი წადი.

— რას ამბობ, ჯანემ, ხელ-ცარიელს მისტუმრებ?

ბეჯმ ჯიბიდან ქისა ამოიღო და ბოშას ყურუში მისცა. ბებერმა არ იცოდა, როგორ გადაეხადნა მადლობა ასეთ სიუხვისათვის...

— ჰა, თუ რამ ნახო, შემდეგშიაც შეგვატყობინე ხოლმე.

დედაბერი წავიდა.

— კრივენელი მექანჯე ხომ არ მოგიყვანიათ?— იკითხა არისტარხი-ბეჯმ.

— დღეს დილით მოიყვანეს.

— ჰაჯი ქრისტოც უნდა დავიჭიროთ.

— მეტი არავინაა დასაჭერი?

— მერე ვნახავთ.

— კარგი იქნება ერთბაშად ბევრს მოვუყრიდეთ თავს, მერე ზოგიერთის განთავისუფლებაც შეიძლებოდა.

— მართალია, აი ახლა კომიტეტის ძებნას შევუდგებით; მგონი ბევრი საეჭვო მოხვდეს ბადეში.

— ვინ საეჭვონი?—ჰკითხა აღამ.

— აი ვინა: ვინც ქვეშ-ქვეშ იყურებიან, ენა ებმით, ფერი მისდით, წითლდებიან, ბევრს ლაპარაკობენ, და ისინიცა, ვინც ჩუმად არიან, ვინც...—ბეჯმ სათქმელი სიტყვა ვერ მოიყვანა. აღა მიეშველა:

— იმ ნაირები, რომელთაც ფული აქვსთ.

— ჰო... მაშ... ისეთებიც საშიშონი არიან.

— აფსუს, რომ პეტრეს შარს ვერ მოვსდებთ.

— რა ვქმნათ!

— ნეტავი რად მიანიჭეს ისეთი უპირატესობა, რომ კაცი ხელს ვერ ახლებს?

— პოლიტიკაა,—უპასუხა არისტარხი-ბეჯმ, ქალალდების კითხვაში გართულმა.

ნახევარმა საათმა გაიარა.

— კრივენელი მექანჯი აქ შემოიყვანონ,—სთქვა არისტარხი-ბეჯმ.

ალამ ბრძანება გასცა. ჩქარა ბოკილების ჩხარა-ჩხური გაისმა და კანტორაში პეტო შემოიყვანეს. სახეზე არც სასოწარკვეთილება ეტყობოდა, არც შიში. გვერდით ჟანდარმი მოჰყვებოდა. არისტარხი-ბეჯმ ანიშნა და პეტოც ოთახის შუაგულ ალაგას გაჩერდა.

— სახელად რა გქვიან?

— რა მქვიან-და—პეტო; ყველა ამ სახელს მეძახის.

— მამა-შენს რალა ერქვა?

— ეგ რა საჭიროა? მამა-ჩემი, ოც და ათი წელიწადი მეტია, რაც შავს სამარეშია.

— კარგი-და, უსახელო ხომ არ იყო?—უთხრა კვლავ არისტარხი-ბეჯმ, არისტარხი-ბეჯს გვერდით ქალთიბჯი უჯდა და პეტოს ნათქვამსა სწერდა.

— თუ მაინცა და მაინც გინდა გიცოდ, დასამალი არა მაქვს-რა. მამა-ჩემს კირ-გიცას ეძახდნენ.

— სად დაიბადა?

— არ ვიცი. ის კი ვიცი, აქაური არ იყო, ცოლი კი აქ შეირთო და მექანეც ააშენა.

— ცინცარი იყო, არა?

— ცინცარი იყო. მაშ... ეგ ხომ სამარცხვინო საქმე არ არის.

— ეგ სამარცხვინო არ არის; მაგრამ ის არის სამარცხვინო—შენ ცინცარი ხარ და ბოლგარელ რაჯასთან კი საქმეს იჭერ, ხალხის ამჯანყებელთან.

— საქმე სხვასთან არავისთან დამიჭერია, მე მხოლოდ ჩემი ესნაფი ვიცი, მეტი არაფერი.

— საქმეც იმაშია, რომ ესნაფს გარდა სხვა საქმეშიაც ერევი; შენმა შვილმა აფიცერი მოჰკლა, როცა ის თავისს თანამდებობას ასრულებდა.

— ვიცი, აფიცერი მოჰკლეს, მაგრამ არც მისს მკვლელს ვიცნობ, და არც ის ვიცი, რისთვის მოჰკლეს.

— შენმა შვილმა, სტოიანმა, მოჰკლა.

— ის რომ მოჰკლეს, იმ დღეს ჩემი შვილი თვალითაც არ მინახავს.

— სულ ერთია, წინადღითა ჰხედავდი.

— არც წინანდღით მინახავს.

— მაშ გროჟდანის ქოხში საიდან გაჩნდა?

— მითხარი საიდან გაჩნდა, და მაშინ მეც მეცოდინება.

— არა, შენ უნდა მითხრა.

— მე მხოლოდ ერთს მოგახსენებთ: არ ვიცი.

— გირჩევნია მიკიბ-მოკიბვას თავი დაანებო და სწორედა სთქვა.

— უმჯობესია შენ აიღო ხელი მიკიბ-მოკიბვაზე.

— შენი შვილი უკანასკნელად როდისა ჰნახე?

— ექვსი თვეა მას აქეთ,—ვიდდინში მიემგზავრებოდა.

— იქ რა უნდოდა?

— არ მიკითხავს. ჩემი სტოიანი სავაჭრო საქმეში იყო, და ვაჭრობაში არა ჰკითხავენ ხოლმე—სად მიდიხარო.

— თუ არ იტყვი-და, გროჟდანს პირის-პირ დაგიყენებ და იმას ვათქმევინებ, რომ შენი შვილი დილით მისულა იმასთან და მილიაზიმი მოუკლავს.

— თუ იმაზე მივარდა, ექვსი ასკერი პირში დაუდგება იმავე გროჟდანს და ეტყვიან, რომ, მათს გარდა, მთელი დღე მექჯანეში არავინ შემოსულა. გროჟდანი ქრისტეანე ერთია და იმის მოპირდაპირე მუსლემანები ექვსი... ვისს ნათქვამს უფრო დაეჯერება?

— საქმე როგორღაც არეულ-დარეულია,—სთქვა არისტარხი-ბეჯმ,—მაგრამ თავს მოვუნახავ როგორმე.

— მოუნახე, ჯანემ, მოუნახე,—უთხრა პეტომ.—მაშინ, შეიძლება, ისიც აღმოჩნდეს, რომ ვინმე სალახანას ეთქვას— პეტოს შვილი ეარო.

— ტსსს...—დაიყვირა ბეჟმ.—ტყუილად ნუ მიჰქარავ: თვალებს ვერ ამიხვევ.

სრულებითაც არ მივქარავ.

— მე და შენ კიდევ მოვილაპარაკებთ.

— მოვილაპარაკებთ და მოვილაპარაკოთ, მეც მინდა.

მექანჯი სატუსაღოში წაიყვანეს და მის მაგივრად ჰაჯი-ქრისტო შემოიყვანეს. ორსავე ტუსაღებს სულ სხვა-და-სხვა ნაირად ეჭირათ თავი, რამდენადაც პირველი დამშვიდებული და გამბედავი იყო, იმდენად შიში და წუხილი მეორეს ეტყობოდა. ფეხებზე ხუნდები არ ჰქონდა, სატუსაღოშიაც სულ ორის საათის მეტი არა მჯდარა, მაგრამ მაინც რომ შეგეხედნათ, თითქო გამხდარაო, იტყოდით. შემოვიდა, გაჩერდა და მწარედ ამოიოხრა. არისტარხი-ბეჟმ ჩვეულებრივ გამოკითხვა დაუწყო. რა გქვიან სახელად, სად და როდის დაიბადე, რა ხელობისა ხარ და სხვ. ჰაჯი-ქრისტო ტირილის კილოზედ აძლევდა პასუხს, რაიცა სრულებით არ უხდებოდა იმისთანა პატივცემულს, მდიდარს გვამს; ერთთავად კვნესოდა და ტირილსაც ბევრი არა უკლდა-რა. სამწუხაროდ ისა ჰქონდა—ე რა ხათაბალას გადავეკიდეო.

— სტოიან კრივენოვი შენთან მსახურობდა?

— დიაღ, მსახურობდა... რაღაც ჭირად ავიყვანე, ნეტავ, ვიცოდე მაინც, რას დავეხარბე იმისასა?

— რა შეგიძლია იმაზედა სთქვა?

— რაი-და, ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი და ტანი, მუხლმოდრეკითაც რომ მთხოვოს, მაინც ალარ დავიყენებ ჩემთან.

— აკი მადლობელი იყავ მისი?

— ვინ მოგახსენათ, ბატონო!...

— რა შეგიძლია დააბრალო?

— რა შემიძლია დავაბრალო?—ყველაფერი. თუ არ ისა, მაშ ვისი ბრალია ყველა ეს უბედურება.

— დღეს დილით სახლში რაღად შეუშვი?

ამ მოულოდნელ კითხვის გაგონება საბრალო ჰაჯი-ქრისტოს თავზე მეხივით დაეცა: დიაღ, ამ სიტყვებმა ღონე წაართვა, მუხლები მოუკვეთა, მაგრამ, ამასთან, მხნეობა და ვაჟკაცობაც მისცა.

— მერე როდის შემოვუშვი ჩემს სახლში? ცეცხლშიაც დავმწვარვარ, წყალსაც დავუხჩივარ, მიწასაც პირი უქმნია და შიგ ჩავუტანივარ, თუ ის მე სახლში შემომეშვას. ეს თვალებიც დამბრმავებია, თუ მენახოს!

— მაშ არ გინახავს?

— არა, არ მინახავს.

— მაშ კარგი, იმასაც გავიგებთ, — შენიშნა არისტარხიბეჯმ, და ბრალდებელის გამჭრიახის თვალით შეჰხედა. — მე კი გეტყვი, რომ ჰნახევი და ჰმალავ. ამაზე კიდევ მოვილაპარაკებთ; იცოდე კი, შენი საქმე კარგად არ წავა, თუ ეს საქმე ჩვენ თვითონ, უშენოდ, გავათავეთ. იფიქრე, გირჩევნია, დრო არ დაჰკარგო.

ბეჯ აღას მიუბრუნდა და უბრძანა ჰაჯი-ქრისტოსათვის ხუნდი გაეყარათ და სატუსაღოში წაეყვანათ. — მის სანახავად არავინ შეუშვათ, — დაუმატა ბეჯმა. ჰაჯი კვნესოდა, ჰფიცავდა — უდანაშაულო ვარო, ოხრავდა, მაგრამ მაინც წაიყვანეს.

ამის ადგილი სტანკომ დაიჭირა; ამას კი სახეზე გულდინჯობა და მორჩილება ეხატებოდა.

— რა გქვიან?

სტანკომ, რაცა ჰკითხეს, ყველაფერზედ გაბედული და დალაგებული პასუხი მისცა; და ამ ნაირისავე კილოთი უპასუხა მაშინაც, როცა უფრო სხვანაირ საგნების შესახებ დაუწყეს გამოკითხვა.

— შენ სტოიანსა ჰმალავდი?

— არა, — უპასუხა სტანკომ.

— სტყუი!

— მე მხოლოდ ჩემს თავს ვიცავ, ეფენდიმ.

— ამ ნაირად შენ თავს ვერ დაიცავ, — ყველაფერი ვიცი.

— თუ კი ყველაფერი იცი, რაღას მეკითხები?

— იმიტომა გკითხავ, რომ შენი სიკეთე მინდა. თუ ყველაფერს გულ-ახდით იტყვი, რაც სასჯელი ავაზაკის დაფარვისათვის უნდა გადაგხდეს, შეგიმსუბუქდება, ამიტომ რომ სიმართლის მთქმელს ჯილდო ერგება.

— რა სიმართლე უნდა გითხრა?—ჰკითხა სტანკომ დაცინვით.

— მინდა, სთქვა, სტოიანი სად წავიდა შენის სახლიდან?

— რომელი სტოიანი?

— სტოიან კრივენოვი; შენ კარგად იცნობ.

— მართალია, ვიცნობ, მაგრამ სად არის, ის კი არ ვიცი.

— შენს სახლში რო იყო დამალული?

— არა.

— შენ არ იყავი, კარებში რო გასძახე: „სტოიანოვო“,— ზაფთიებს გაუგონიათ.

— სტოიანი ჩემს უფროსს შვილსა ჰქვიან.

— მაშ, შენ ამბობ, რომ სტოიან კრივენოვი შენთან არა ყოფილა?

— არა, არა ყოფილა.

სტანკომ ოსტატური ჩვენება მისცა. როცა არისტარხიბეჯ ეკითხებოდა—სტოიანს შენს სახლში შენა ჰმალავდიო, ის ეუბნებოდა „არაო“, იმიტომ რომ სტოიანი თვითონ იმალებოდა იმასთან. სხვანაირად რომ ეკითხნა, ე. ი. რომ ეკითხნათ: სტოიანი შენთან იმალებოდა თუ არაო, „არასვე“ უპასუხებდა, ამიტომ რომ სტოიანს ისა ჰმალავდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, სტანკოს სავალდებულოდ არ მიაჩნდა სიმართლე ეთქვა იმ მთავრობისათვის, რომელსაც მოქმედების საფუძვლად სიცრუე და უსამართლობა მიაჩნდა.

აიძულეს ეპასუხნა რამე—ისიც პასუხს აძლევდა, მაგრამ სიმართლის თქმას შეუძლებელ საქმეთა სთვლიდა, რადგან იცოდა მისს გულ-ახდილობას სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა. იცოდა მისი სიკოცხლე ბეწვზედ ეკიდა; ისიც იცოდა, სასჯელს

შეუმსუბუქებდნენ. მაგრამ რა თავში იხლიდა იმისთანა შემსუბუქებას, რომლისათვისაც მისს პატრიოტულს ზნეობას შებღალვა უნდა მოჰყოლოდა. დიაღ, გარემოებათა წყალობით, ორგვარმა ზნეობამ დაისადგურა ბოლგარელის ბუნებაში. ეს ორგვარი ზნეობა ერთმანერთს შორის იშვიათად ეთანხმებოდა ერთმანერთს. აი ასეთი ყოფა დაჰბადა ოსმალთა ბატონობამ.

— მაშ ამტკიცებ, სტოიანი შენ არ დაგიმალავს?—უთხრა ხელახლა აროსტარხი-ბეჯმ.

— არა,—გადაწყვეტით უპასუხა მასწავლებელმა.

ამ გადაწყვეტილმა კილომ გამომძიებელი ეჭვში შეიყვანა. ვინ იცის, ეგებ ბოშამ იცრუვაო? შეიძლება კასრის ამბავი მოგონილიც იყოსო? ბოშა დედაბერის სიტყვებს სიმართლის ფერი ეცლებოდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ორივე ბრალდებული უარზე იდგნენ. საჭირო იყო ამოდენა ჩვენებაში ერთი მაინც ცოტაოდნად სიმართლის მინაგვარი ჩვენება ჰქონოდა ხელში.

სტანკოს შემდეგ გროჟდანი შემოიყვანეს. გამომძიებელი უზრდელად ექცეოდა. გლეხმა, როგორც სისტოვოში, ისე აქაც არაფერი დაჰმალა და ყველაფერი უმეტ-ნაკლებოდ და გულ-ახდითა სთქვა. მაგრამ არისტარხი-ბეჯმ საჭიროდ დაინახა ბრალდებულის ჩვენება ცოტაოდნად შეეცვალა და ოქმში ისე ჩაეწერა.

— ჯარის-კაცთა საჭმელი შენს ცოლს უნდა მოეხარშა?— ჰკითხა გამომძიებელმა.

— დიაღ,—უპასუხა გლეხმა.

— თქვენი რიგი იყო, არა?

— დიაღ, ჩვენი რიგი იყო.

— ამიტომ მილიაზიმიც თქვენთან მოვიდა, არა?

— რა მოგახსენო, ამისთვის მოვიდა თუ არა?

— რიგი ხომ თქვენი იყო?

— კი, ბატონო.

— თუ კი იცით, რომ რიგი თქვენი იყო, ისიც გეცოდინება, მილიაზიმი შენთან რისთვის მოვიდა. ამას ყველა მიხვდება, ხომ აგერა?

— მართალსა ბრძანებთ.

— მაშასადამე, მილიაზიმი სამსახურისა გამო მოსულა შენთან, განა?

— დიაღ.

ეს ჩვენება ქალთიბჩიმ ოქმში ჩასწერა.

— შენ ბატკანს ატყავებდი?

გროჟდანი ყველაფერზე ჰო-ს ეუბნებოდა.

— შენის ქოხის კარებიდან რა მანძილზედა სდგას ის ბოძი, რომელზედაც დაკლული ბატკანი გეკიდა.

— ათი ნაბიჯი იქმნება.

— მაშ, უეჭველია, გაიგონებდი, მილიაზიმს რომ ჰკლავდნენ.

— არა, არ გამიგონია.

— როგორ? იქ იყავი და არ გაგიგონია?— შეუტია ბეჯმ.

— გა... გა... გავიგონე,— უპასუხა შეშინებულმა გლეხმა.

— მაშასადამე, შენ და მკვლელს წინდაწინ მოგილაპარაკნიათ?

— არა, არა, არა...

— როგორ თუ არა?—შეუტია ისევ გამომძიებელმა:— სტოიანს შენ არ ელაპარაკებოდი ბოლგარეთისა და ოსმალეთის ამბავსა?... ტანისამოსის უკან შენ არ დაჰმალე?

— დიაღ,—გაუბედავად აძლევდა პასუხს გლეხი.

— თუ კი ასე იყო, როგორ-ღა ჰბედავს და უარს ამბობ— მოლაპარაკება არა გვქონიაო! გამოტყდი!—მრისხანედ შესძახა გამომძიებელმა:—ხომ გქონდათ მოლაპარაკება?

— გვ... გვ... გვქონდა.

— ესეც კარგია, რომ მართალს მაინც ამბობ. ავიღებთ ჩვენც და ჩავწერთ, რომ შენ შენის ნება-ყოფლობით გამოსტყდი.

აი, არისტარხი-ბეჯ ამ ნაირად ჰკრეფდა მასალას მომავალ სასამართლო საქმისათვის და იყენებდა რუშჩუკის ეჯალეთის განათლებულ ვალის დარიგებას, რომ საქმე ევროპულს წეს-ზე გამოეძია. დიაღ, ოსმალეთი ამ დროს განათლებაში სდგამდა ფეხსა.

თ. სახოკია

(შემდეგი იქნება)

რ ძ მ

IV *)

ბ) სხვა-და-სხვა საშუალებანი, რომელთაც ჰხმარობენ ნაღების მოსაგრძვებლად.

2) **ლეფელდის და ლენტშის ცენტრიფუგი.** ეს ცენტრიფუგი, როგორც სურათიდანა სჩანს (სურათი 34), ისე რთული არ არის, როგორც ლავალის სეპარატორი და ამასთან ძალიან კარგადაც მუშაობს. ამ ცენტრიფუგში სატრიალებელი ღერძი (1), რომელზედაც დამაგრებულია ქვაბი, ერთი ბელოტი, ქვეითი ბოლოთი ჩამდგარია ერთ მაღალ კონუსში (2), რომელიც თავის მხრით ქვაბის პერანგის ძირშია დამაგრებული და დამყარებული თითონ ცენტრიფუგის საფუძველზე. ამ ღერძის მეორე ბოლო, ზევითი ბოლო ქვაბს ზევით ამოდის და გადის პერანგის ხუფზე დამაგრებულ ორკაპში (3). ამ ღერძს ამ ორკაპის ქვეშ ჩამოცმული აქვს კონიკური ცილინდრი (4), რომლის შემწეობითაც ამ ცენტრიფუგს გადაეცემა სატრიალებელი ძალა, თითონ ქვაბი აქ მთლად დახურულია და ორის მილის შემწეობით (5) არის შეერთებული ამის ხუფზე დამაგრებულ თასის ძირთან (სურათზე მარტო ერთი მილი სჩანს). აი როგორ ჰმოქმედობს ეს ცენტრიფუგი:

ჯერ დაატრიალებენ ქვაბს და, როცა მისი ტრიალი აიწევს წუთში 6000—6500 შემოტრიალებამდე, მოუშვებენ აუზი-

*) «მოამბე» № VI.

დან რძის გამოსაშვებ ონკანს (სურათზე არც აუზი და არც მისი მილი ონკანით ნაჩვენები არ არის) და აქედან რძე ჩადის ჯერ ქვაბის ხუფზე დამაგრებულ თასში და აქედან შესაერთებელი მილების შემწეობით ჩადის თითონ ქვაბში (რძის გზა ნაჩვენებია ისრებით) და აქ ნაწილდება ნაღებად (6—6) და ნაღებ-მოხდილ რძედ (7—7). ამას შემდეგ ჩამოსული რძე, რასაკვირველია, ჯერ გაივსებს ჭურჭელს და შემდეგ ნაღებსაც და



სურათი 34.

ლეფედის და ლენტშის ცენტრიფუგი.

ნაღებ-მოხდილ რძესაც ჭურჭლიდან გარედ გამოიყვანს, რადგანაც თითონ მოგროვდება ამ ორთა შუა, რომ შემდეგ თითონაც განაწილდეს და ასე ბოლომდე. ნაღებ-მოხდილი რძე შედის ერთ მოხრილ მილში, რომლის ქვეითი ბოლოც ქვაბის გვერდებზე ახლო არის (8) და აქედან (ქვაბიდან) ამოდის ქვა-

ბის ხუფზე მის პერანგის ხუფ ქვეშ და აქედან გადაესხმება ამ ქვაბის ირგვლივ მყოფ ღარში (9—9) და აქედანაც გარედ გამოსასვლელ მილში (10), რომ რამ ჭურჭელში ჩავიდეს. რაც ნაღებს შეეხება, რომელიც, რასაკვირველია, ქვაბის შუაგულისკენ იქნება მოკრეფილი (სურათზე ნაღები ნაჩვენებია გეზის ხაზებით, გაუნაწილებელი რძე—სწორის ხაზებით და ნაღებმოხდილი წერტილებით), ამ ქვაბიდან გამოდის იმის ძირში მყოფი ნახვრეტით (11) და პერანგის ძირში გროვდება და აქედანაც ცალკე მილის შემწეობით (12) გარედ გამოვა რამ ჭურჭელში ჩასასვლელად.—ქვაბის ტრიალის შეჩერების შემდეგ ჭურჭელი მალე დაცარიელდება, რადგანაც შიგ დარჩენილი ცოტაოდენი ნაღები ნაღებ-მოხდილ რძით იმავე ჭურჭელში ჩავა, სადაც ნაღები გროვდებოდა (ეს ცოტაოდენი ქვაბში დარჩენილი ნაღებ-მოხდილ რძის ნაღებთან შერევა დიდად არ შესცვლის მის შედგენილებას).—ღერძის თავზე დამაგრებულია ბურღივით ამოჭრილი ღერი და მის ახლო ღერძის ტრიალის სიჩქარის მაჩვენებელი (13).

ნაღებისა და ნაღებ-მოხდილი რძის ურთიერთი რაოდენობა აქ გადასწყდება შემდეგის ხერხით: ამ მანქანას ნაღებ-მოხდილ რძის გამოსასვლელ მილისთვის სამი სხვა-და-სხვა სიგანის მასრა აქვს, რომელთა სანათურიც უდრის $1^1/_2$, 2 და $2^1/_2$ მილიმეტრს. თუ პირველ მასრას გაუკეთებთ ნაღებ-მოხდილ რძის გამოსასვლელ მილს, მაშინ ნაღების რაოდენობა იქნება 20%; თუ მეორეს—მაშინ 15% და თუ მესამეს—10%.

რამდენადაც მასრა განიერია, იმდენად ნაღები ცოტა იქნება და, პირ-იქით, რამდენადაც ეს მასრა ვიწროა, იმდენად ბევრი და, მაშასადამე, თხელი ნაღები გამოვა.—თუ საჭიროა მუშაობის შემდეგ ჭურჭელი გაირეცხოს, ქვაბის პერანგის ხუფის ბურღებს (14—14) მოადუნებენ, პერანგის ხუფს ახდიან და მაშინ ქვაბი ადვილად ამოიღება პერანგიდან და გაირეცხება.

ამ ცენტრიფუგსაც აქვს თავისი რძის სათბობი ჭურჭელი და რეგულატორი და კარგადაც არის მოწყობილი, მაგრამ

მათ აღწერას და სურათს აქ აღარ მოვიყვანთ, რადგან საჭიროდ არა ვრაცხთ.

ამ ცენტრიფუგს სხვა-და-სხვა ტანისას აკეთებენ და სხვა და სხვა ფასისას.

№ 0 საათში 400 ლიტრ რძეს შეამუშავებს, ღირს 500 მარკი (225 მ.)
№ I — 600 — — — — 750 — (340—)
№ II — 800 — — — —1000 — (450—)

ამას გარდა ყოველის ტანის ცენტრიფუგის მოწყობილება და ჭურჭელი ღირს 185 მარკი (84 მანეთი).

ბევრის სწავლულისაგანა და ბევრ ოჯახობაში იყო გამოცდილი პირველი ცენტრიფუგი (№ 0) და აღმოჩნდა, რომ იმის მუშაობა ისე სრული და წმინდა არის, რომ რძეში მარტო $0,_1\%$ ერბო რჩება, მაშასადამე, ნაღებში გადადის თითქმის $97,_5\%$ ერბო. აქედან ცხადია, რომ ამ მხრით ეს ცენტრიფუგი, თუ არა სჯობია ლავალის ცენტრიფუგს, არაფერში არ ჩამოუვარდება.

ხელით სატრიალებელი ცენტრიფუგა „გიქტორია“. ეს ცენტრიფუგი ინგლისური მანქანაა და შესდგება დიდი სარძევე აუზისაგან (1), რომელიც ცენტრიფუგის პერანგზე არის დამაგრებული (სურ. 35) და საიდანაც რძე ჩამოდის პატარა აუზში (2) მოტივტივე საცობლით. თუმცა აქ რძის გამოსასვლელ მილს ონკანიცა აქვს, როგორც სურათზეა დახატული, მაგრამ ეს ონკანი მთელ მუშაობის დროს მოშვებული არის. აქ ნაჩვენები მოტივტივე საცობელი ისევე ჰმოქმედობს, როგორც ეს წინად იყო ნათქვამი, ესე იგი, თუ სარძევე აუზიდან ბევრი რძე წამოვიდა, მაშინ ეს მოტივტივე საცობელი ზევით აიწევს და მილს შეავიწროებს და ამით შეამცირებს რძის მომდინარეობას; თუ, პირ-იქით, რძე ცოტა ჩამოდის, მაშინ ძირს დაიწევს და რძის გამოსასვლელ მილს გააგანიერებს და რძე მაშინ ბლომად გამოვა. მაშ, რეგულატორივით ჰმოქმედობს.

პატარა აუზი დამაგრებულია ქვაბის პერანგის ხუფზე და ძირში პატარა ძაბრი აქვს (3) გაკეთებული; ამ ძაბრიდან გა-

მოსული რძე ჩადის ქვაბის ყელზედ დამაგრებულ ბადიაში (4),



სურათი 35.

ხელით სამუშავებელი ცენტრიფუგა „ვიქტორია.“

რომელსაც გვერდები ერთ რიგად გახვრეტილი აქვს; ამ ნახვრეტებიდან გამოსული რძე ჩადის ქვაბში (5), რომელსაც კონი-

კური ფორმა აქვს. ამ ფორმის გამო რძე ძირამდინ ჩადის ძალიან წყნარად და ამ ჩასვლის დროს უკვე ნაწილდება ნაღებად და ნაღებ-მოხდილ რძედ; ამისათვის ახლად ჩამოსული რძე აღარ ერევა ნაღებში. მაშასადამე, ამ ქვაბის კონიკურ ფორმას აქ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ლავალის ცენტრიფუგის ძირში მყოფ თასს. შემდეგ ჩამოსული რძე, ჩამოსვლის დაგვარად, ნაღებს ზევით ასწევს და ესეც ორი სანაღებო მილით (6—6) (მილები მიკრულია ქვაბში მყოფ ორ ძგიდეებზე) ავა ქვაბის გარეშემო მყოფ საზოგადო ღარში და ცალკე მილიდან (7) გამოვა. რაც შეეხება ნაღებ-მოხდილ რძეს, ეს გადის ქვაბის ძირში დატანებულ ნახვრეტებიდან (8—8) ქვაბის პერანგის ძირში, საიდანაც გარედ გამოვა აქვე გაკეთებული მილის (9) შემწეობით.

ქვაბი დატრიალდება ღერძზე გაკეთებულ კონიკურ ხრახნილ ბორბლისა და ამის პირდაპირ დამაგრებული უფრო დიდ ბორბლის შემწეობით. ამ ცენტრიფუგით მუშაობა ასე იწყება: ჯერ ნელ-ნელა დაატრიალებენ დიდ ბორბლის ღერძის ტარს და სამ-ოთხს წუთს შემდეგ თან-და-თან აჩქარებენ, ასე რომ წუთში 40—45 შემოტრიალდეს. შემდეგ რძეს ჩაუშვებენ ცენტრიფუგში. საჭიროა, რომ რძის გამოშვების წინად ეს აუზი მაღლა აიწიოს მის ღერძის რამდენჯერმე შემოტრიალებით. დიდის ბორბალის 40 თუ 45 შემოტრიალებით ქვაბი ძალიან ჩქარა დატრიალდება, არა ნაკლებ 7000 თითო წუთში.

ამ სეპერატორს რამდენისამე ტანისას ამზადებენ:

№ 1 საათში 60 ლიტრ რძეს შეამუშავებს და ღირს 100 მან.
№ 2 — 90 — — — — — 125 —
№ 3 — 120 — — — — — 155 —

არის იმისთანაც, რომელიც 240 ლიტრს ამუშავებს (№ 5) და რომელიც ღირს 240 მანეთი.

ყველა, ვისაც კი ეს ცენტრიფუგი უხმარია, ძალიან კმაყოფილია და ძალიან აქებს. იმას გარდა, რომ ამით შემუშავებულ რძეს თითქმის მთელი ერბო ეცლება (ნაღებ-მოხდილ რძეში რჩება მხოლოდ $0{,}_{12}\%$ ერბო), ამასთან ადვილი სამუ-

შავებელიც არის. თუმცა ამ ცენტრიფუგს არა აქვს სხვა-და-სხვა სიგანის მასრები ნაღებ-მოხდილ რძის გამოსასვლელად, მაგრამ მაინც ძალიან ადვილია საჭირო და სასურველ ურთიერთის რაოდენობით განაწილება ნაღებად და ნაღებ-მოხდილ რძედ. მაგალითად, თუ სასურველია სქელი ნაღები, ანუ ცოტა ნაღები, მაშინ სარძევე აუზი ძირს უნდა ჩამოსწიონ და თუ, პირიქით, სასურველია ბევრი და თხელი ნაღები, მაშინ ამ აუზს ზევით ასწევენ. სარძევე აუზის აწევ-დაწევას ის შედეგი აქვს, რომ როცა აუზი მაღლა აწეულია, მაშინ ქვაბში ბევრი რძე ჩადის და ამით ნაღების და ნაღებ-მოხდილ რძის ურთიერთი რაოდენობა იცვლება—ნაღებს უფრო ბევრს მოიხდის; როცა აუზი დაბლა სდგას, მაშინ, ცენტრიფუგში ცოტა რძე ჩადის და ამის გამო ნაღებიც ცოტა და სქელი გამოვა (ამის მაგალითი ჩვენ ვნახეთ ლაეალის სეპარატორის აწერის დროს). ეს კია საგულისხმებელი, რომ, როცა საჭიროა სქელის ნაღებს მომზადება, მაშინ ეს ცენტრიფუგი ერთსა და იმავე ხანში იმოდენა რძეს ვეღარ გაანაწილებს, როგორც მაშინ, როცა თხელი ნაღები მზადდება.

ჩვენის აზრით, ეს ცენტრიფუგი ძალიან გამოსადეგი უნდა იყოს ჩვენის საოჯახო სარძევეებისათვის, მეტადრე იმ ოჯახობაში, ვისაც ბევრი ძროხები არა ჰყავს და, მაშასადამე, რძეც ბევრი არა აქვს.

ჩვენ აქამდინ ცენტრიფუგების შედგენილებასა და მათს მუშაობაზე გვქონდა ლაპარაკი; ახლა საჭიროა სხვა გარემოება განვიხილოთ, ესე იგი ის სხვა-და-სხვა საზოგადო ვითარება, რომელთა შორისაც ნაღები კარგად გროვდება და სცილდება და ამის შემდეგ საჭიროა ეს ცენტრიფუგები ერთმანეთსაც შევუდაროთ და ვნახოთ, რომელი მათგანი უფრო კარგია.

როგორც წინადაცა ვსთქვით, ცენტრიფუგებში ნაღების მოგროვებაზე და, მაშასადამე, რძის განაწილებაზე სამ გარემოებასა აქვს დიდი გავლენა: 1) რძის ტემპერატურას; 2) ერთსა და იმავე დროს ქვაბში ჩასხმულ რძის რაოდენობას და 3) ქვა-

ბის ტრიალს, ესე იგი ამ ქვაბის შემობრუნების რიცხვს რომელსამე დროს განმავლობაში, სახელდობრ წუთში.

1) **ტემპერატურის ზედგავლენა რძის განაწილებაზე ცენტრიფუგებში.** როგორც უკვე არა ერთხელ გვითქვამს, რამდენადაც რძე თხელია, ესე იგი რამდენადაც მისი სიმჭირხნე შემცირებულია, იმდენად ადვილად და ჩქარა ეცლება ამ რძეს მისი ერბოს წვეთები და ნაღებად გროვდება. რადგანაც რძის სიმჭირხნე დიდად დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ესე იგი დიდად იცვლება მისის ზედმოქმედებით და გაცივებით რძე უფრო სქელდება და გათბობით კი თხელდება, ამისათვის რამდენადაც ცენტრიფუგში ჩანადენს რძეს მაღალი ტემპერატურა ექნება, იმდენად თხელი იქნება და, მაშასადამე, იმდენად ადვილად გამოეცლება ერბო, იმდენად ადვილად მოგროვდება ნაღები. მაშ, ვისაც სურს, რომ ცენტრიფუგმა კარგად იმოქმედოს, ვისაც სურს, რომ რძეს ნაღები კარგად და სრულად გამოსცილდეს, ცენტრიფუგში ჩანადენი რძე უნდა გაათბოს. ამ მხრით ყურადღების ღირსია ფლეიშმანის გამოკვლევა სხვადა-სხვა ცენტრიფუგების მოქმედებაზე. ამ გამოკვლევით ფლეიშმანმა რამდენიმე საზოგადო კანონი დაამყარა, რომლითაც ცხადად სჩანს ამ ფაქტორის, ესე იგი ტემპერატურის ზედგავლენა. აი ფლეიშმანის გამოკვლევის შედეგი:

რძის რაოდენობა.	ერბოს რაოდენობა ნაღებ-მოხდილ რძეში.	ნაღების მოგროვების სისრულე:
40°	0,24 %	94,1
35°	0,26 —	93,6
30°	0,30 —	92,6
25°	0,35 —	91,4
20°	0,44 —	89,1
15°	0,62 —	84,7
10°	0,80 —	80,6
5°	1,03 —	74,6

აქედან ცხადია, რომ რამდენადაც დაბალია ცენტრიფუგში ჩასულ რძის ტემპერატურა, იმდენად ბევრი ერბო რჩება ნაღებ-

მოხდილ რძეში. ამას გარდა, აქ ისიც არის ყურადღების ღირსი, რომ დაბალ ტემპერატურაზე. სხვა-და-სხვა გრადუსზე უფრო დიდი და შესამჩნევი განსხვავებაა ნაღებ-მოხდილ რძის ერბოს რაოდენობაში, ვიდრე მაღალ ტემპერატურზე. ავიღოთ, მაგალითად, თხუთმეტ-თხუთმეტის გრადუსის განსხვავება მაღალ და დაბალ ტემპერატურაზე ზევით მოყვანილი გამოკვლევიდან და მათი შედარება გვიჩვენებს, რომ 25°-დან 10°-დინ რძეში დარჩენილ ერბოს რაოდენობაში შემდეგი განსხვავება იქნება; $0,_{80}-0,_{35}=0,_{45}\%$ და მაღალ ტემპერატურაზე კი ამავე გრადუსებ შორის (40°—25°) იქნება: $0,_{35}-0,_{24}=0,_{11}\%$.

ამის გამო, თუ ცენტრიფუგში ნაღებ-მოსახდელ რძეს 25—30°-ზე დაბალი ტემპერატურა აქვს, მაშინ ამ ცენტრიფუგის მოქმედება ძალიან შესუსტდება და მაღლა ტემპერატურაზე კი, ესე იგი თუ რძე 30°-ზე თბილია, მაშინ ნაღებ-მოხდილ რძეში ერბოს რაოდენობა ცოტათი განსხვავდება. აქედან ცხადია, რომ ნაღებ-მოსახდელ რძეს უნდა ჰქონდეს 25—30°; ამაზე მაღალი ტემპერატურა, იმას გარდა, რომ ბევრ განსხვავებას ალარ ამჩნევს ერბოს რაოდენობას, იმითიც არის მოსარიდებელი, რომ მაღალ ტემპერატურაზე მომზადებულ ნაღებიდან ერბო კარგი თვისებისა არ გამოდის, ადვილი შესანახი და ნაზი არომატისა არ არის.

რაც თვითონ რძის გათბობას შეეხება, ამ მხრით საგულისხმებელია შემდეგი: მაღალმა ტემპერატურამ რძეზე დიდ ხანს არას დროს არ უნდა იმოქმედოს; უამისოდ ეს ტემპერატურა ცუდად იმოქმედებს ერბოს თვისებაზე. საჭიროა, რომ აუზში რძე ცივი იყოს და აქედან სათბობ ჭურჭელში ძალიან ცოტას ხნით უნდა გაიაროს. ყველას კი ის უფრო ემჯობინება, როცა რძე მოწველის უმალვე, მაშასადამე, თბილივე ჩადის ცენტრიფუგში, რაც, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ არის მოსახერხებელი, როცა რძის ქარხანა ძალიან ახლოა ძროხების საწველ ადგილზე.

რადგანაც მაღალ ტემპერატურას შესამჩნევი ცუდი გავლენა აქვს ამ ტემპერატურაზე მოგროვილ ნაღებიდან მომზა-

დებულ ერბოზე, მაშ იქნება შესაძლებელი იყოს ამის აცილება? უეჭველია, რომ რძის გათბობა ძალიან ცუდად ჰმოქმედობს ერბოსა და ნაღების თვისებაზე და ამასთან ჩვენ ხომ ისიც ვიცით, რომ ნაღების მოგროვებაზე დროს დიდი გავლენა აქვს,—რამდენადაც ბევრის ხნით არის შენახული რძე, იმდენად ბევრი ნაღები გროვდება. მაშ, იმის მაგივრად, რომ ცენტრიფუგში ჩასასვლელი რძე გათბეს, იქნება შესაძლებელი იყოს რძე უფრო დიდის ხნით შევამუშაოთ ცენტრიფუგში და ამით ავიცილოთ მაღალ ტემპერატურის ცუდი გავლენა? ჩვენ თუ მოვინდომებთ ტემპერატურის მაგივრად დროთი (ხანით) ვისარგებლოთ, თუ მოვინდომებთ ცივი, გაუმთბარი რძე იმ ზომამდისვე გავანაწილოთ, როგორც გამთბარი ნაწილდება, მაშინ იძულებულნი ვიქნებით ცენტრიფუგის მუშაობა შევამციროთ; შემცირება იმით გამოიხატება, რომ ამ გარემოებაში ცენტრიფუგში უფრო ნაკლები რძე უნდა ჩადიოდეს ერთსა და იმავე დროს; მაგალითად, როცა რომელსამე ცენტრიფუგში მაღალ ტემპერატურაზე საათში 400 ლიტრი რძე ჩადის და სრულიად ნაწილდება ნაღებად და ნაღებ-მოხდილ რძედ, მაშინ დაბალ ტემპერატურაზე იმავე ხარისხზე გასანაწილებლად იმავე დროში 260 ლიტრი რძის მეტი არ ჩაისხმება; მაშასადამე, ცენტრიფუგის მუშაობა მცირდება 35%-ით.

აქედან ცხადია, რომ ვისაც სურს რძეს ჩქარა მოჰხადოს ნაღები, ის რძის გაუთბობელად ვერ იმუშავებს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გაუმთბარ რძის შემუშავება სასარგებლო არ არის, ამ შემუშავებას ძალიან დიდი დრო უნდება და, თუ საჭიროა იმოდენივე რძის შემუშავება, მაშინ საჭიროა, სადაც ორი ცენტრიფუგი კმაროდა, სამმა იმუშაოს; ამით დიდი ხარჯი დაედება ამ მუშაობას. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ? ამ შემთხვევაში შესაძლებელი მხოლოდ ის არის, რომ გამთბარი რძიდან მომზადებული ნაღები და ნაღებ-მოხდილი რძე ცენტრიფუგიდან გამოსვლის უმალვე კარგად გაცივდეს; მაშინ ისე აღარ დაემჩნევა მაღალ ტემპერატურის ცუდი ზედგავლენა. ამასაც, რასაკვირველია, ხარჯი მოსდევს, აქ საჭიროა ცივი წყა-

ლი და ან ყინული. თუ ცივი წყალი და ყინული ადვილი საშოვარი არ არის, მაშინ კი ნება-უნებლიედ უნდა შევამციროთ ცენტრიფუგის მუშაობა, ცივი რძე გავანაწილოთ. ერთის სიტყვით, როცა რძე მაღალ ტემპერატურაზე არის განაწილებული, მაშინ ეს ნაწილები უნდა უეჭველად და დიდის სიჩქარით და სისწრაფით გაცივდეს, უამისოდ მოსალოდნელია რძისა და ნაღების დამჟავება, ესე იგი ნაღები და ერბო გამძლე არ იქნება, მალე გაფუჭდება და წახდება. პირ-იქით, თუ ამგვარი გაცივება შესაძლებელი არ არის, მაშინ რძე უეჭველად დაბალ ტემპერატურაზე უნდა განაწილდეს და ამ შემთხვევაში ხომ, რა საკვირველია, ცენტრიფუგის მუშაობა შემცირდება არა ნაკლებ 35%-ისა.

ამ ორთა შუა გარემოებაში იმას ნუ დავივიწყებთ, რომ ყველაზე პირველად სახეში უნდა ვიქონიოთ არა ჩქარი განაწილება რძისა, არამედ უმეტესად ისა, რომ გაკეთებული ნაღები და ერბო კარგის თვისებისა ოყოს; ეს უკანასკნელი ყველაზე უპირველესი მოთხოვნილებაა რძის მრეწველობაში; რამდენადაც ერბო და ნაღები კარგი და ნაზი თვისებისა იქნება, იმდენად დიდი ფასი ექნება.

2) რძის რაოდენობის გავლენა. რამდენადაც ერთსა და იმავე დროს განმავლობაში ბევრი რძე უნდა გაანაწილოს ცენტრიფუგმა, იმდენად შესუსტებული იქნება მისი ცენტრიფუგელ ძალის მოქმედება რძის ყოველ ნაწილზე და ამის გამო იმდენად უფრო სუსტი იქნება რძის განაწილება, ე. ი. ნაღების მოგროვება. ამ მხრითაც საინტერესოა ფლეიშმანის გამოკვლევა, რომლითაც ცხადად ჩანს ზემოდ ნათქვამი გარემოება, ე. ი. რამდენადაც ერთსა და იმავე დროს ბევრმა რძემ გაიარა ცენტრიფუგში, იმდენად ბევრი ერბო რჩება ნაღებ-მოხდილ რძეში. მაგალითად, თუ ცენტრიფუგი გაკეთებულია 400 კილო რძის შესამუშავებლად თითო საათში და ამის მაგივრად გადის მხოლოდ 350 კილო რძე ანუ 10%-თ ნაკლები, მაშინ აქედან გამოსულ ნაღებ-მოხდილ რძეში შედარებით 10%-ით იქნება შემცირებული შიგ დარჩენილი ერბო, ასე რომ

თუ 400 კილო რძის გატარების დროს რჩებოდა 0,35% ერბო, ეხლა დარჩება 0,31%. აი ფლეიშმანის გამოკვლევის სქემა ამ საგნის შესახებ:

წარმოვიდგინოთ, ცენტრიფუგი ისეა გაკეთებული, რომ შეუძლიან შემუშავება 100 კილო რძისა თითო საათში და ისე, რომ ნაღებ-მოხდილ რძეში რჩება 0,30% ერბო და ნაღების მოკრეფის სისრულე უდრის 92,6%; მაშინ თუ ამ ცენტრიფუგში გავატარეთ:

140	კილო	საათში,	დარჩება	0,90%	ერბო და	ნაღ.	მოკრეფ.	სისრ.	იქნება	77,8%.
130	—	—	—	0,69	—	—	—	—	—	—	82,9
120	—	—	—	0,48	—	—	—	—	—	—	87,3
110	—	—	—	0,38	—	—	—	—	—	—	90,6
100	—	—	—	0,30	—	—	—	—	—	—	92,6
90	—	—	—	0,27	—	—	—	—	—	—	93,3
80	—	—	—	0,24	—	—	—	—	—	—	94,1
70	—	—	—	0,21	—	—	—	—	—	—	94,8
60	—	—	—	0,19	—	—	—	—	—	—	95,3

როგორც ვხედავთ, თუ ნორმაზე ცოტა რძემ გაიარა ცენტრიფუგში ერთსა და იმავე დროს, მაშინ ნაღებ-მოხდილ რძეში მცირდება ერბოს რაოდენობა და, პირ-იქით, რამდენადაც მატულობს ცენტრიფუგში გატარებულ რძის რაოდენობა, იმდენად მატულობს აგრედვე ერბოს რაოდენობაც დარჩენილ ნაღებ-მოხდილ რძეში. მაგრამ ამავე სქემიდან ამასაც ვხედავთ, რომ თუ ცენტრიფუგში ნორმაზე ცოტა რძე ჩადის, მაშინ ძალიან არ მცირდება ერბოს რაოდენობა ნაღებ-მოხდილ რძეში. მაგალითად, როცა ცენტრიფუგში ჩადის მარტო 60% ნორმისა, მაშინ ნაღებ-მოხდილ რძეში ერბოს რაოდენობა მცირდება მხოლოდ 0,11% (0,30—0,19=0,11); თუ, პირ-იქით, ცენტრიფუგში ნორმაზე გადამატებული რძე ჩადის და, სახელდობრ, 40% გადამეტებული, მაშ 140 კილო რძე, მაშინ ერბოს რაოდენობა ნაღებ-მოხდილ რძეში ძალიან მატულობს და ადის 0,60%-დინ (0,99—0,30=0,60). აქედან ცხადია, რომ როგორც ცენტრიფუგში გატარებულ რძის შემცირება, ისე გადაჭარბება ნორმაზე სასარგებლო არ არის, ანუ სწორედ ვსთქვათ, ცოტა სარგებლობას იძლევა. ცენტრიფუგში გატარებულ რძის

რაოდენობის შემცირებიდან მოპოვებული სარგებლობა რომ იმ დაკარგულ დროს შევუდაროთ, რომელიც დანარჩენ რძის განაწილებას დასჭირდება, ცხადი იქნება ამ შემცირების უსარგებლობა. რაც შეეხება ცენტრიფუგში გატარებულ რძის მომატებას, ეს ცხადად საზარალოა, რადგანაც ნაღებ-მოხდილ რძეში ბევრი ერბო რჩება. ამის გამო თითქმის ყოველ ცენტრიფუგს აქვს თავისი რეგულატორი თვისის მოტივტივე საცობლით, რომელიც ათანასწორებს ცენტრიფუგში გატარებულ რძის რაოდენობას მთელ მუშაობის დროს.

3) ქვაბის ტრიალის ზედგავლენა. როგორ უკვე ვიცით, რამდენადაც ჩქარა ტრიალებს ცენტრიფუგში რძის გასანაწილებელი ქვაბი, იმდენად დიდია ის ცენტრლტოლვის ძალა, რომელიც რძეს ანაწილებს. აქედან ცხადია, რომ რამდენადაც უფრო ჩქარა იტრიალებს (იბზრიალებს) ცენტრიფუგის ქვაბი, იმდენად ცოტა ერბო დარჩება ნაღებ-მოხდილ რძეში. მაშ ცხადია, რომ ჩქარი ტრიალი უფრო სასარგებლოა ნაღებ-მოსაგროვებლად. ეს ცხადია, მაგრამ ყოველი ცენტრიფუგი ერთგვარ ტრიალისათვის არის მოწყობილი და, თუ მისი ტრიალი დანიშნულ სიჩქარეს გადაემატა, მოსალოდნელია სხვა-და-სხვა უბედურება: ცენტრიფუგი შეიძლება გატყდეს და თვისის ნამტვრევებით მუშებს აწყინოს რამე და ამასთან რძეც ხომ დაიღვრება და გაფუჭდება. თუ ცენტრიფუგის ტრიალი შემცირდა, მაშინ სხვა არის მოსალოდნელი—მისის მოქმედების ღირსება დაიწევს, შემცირდება და, მაშასადამე, ერთსა და იმავე რძის განაწილებას უფრო ბევრი დრო დასჭირდება.

ამ გარემოებით არის გამოწვეული, რომ ყოველ ცენტრიფუგს აქვს მოძრაობის სიჩქარის შესამოწმებელი ამრიცხველი (Compteur); ეს ამრიცხველი, როგორც წინადაცა ვსთქვით, აღვილად შეგვატყობინებს, ნორმალურია თუ არა ცენტრიფუგის ტრიალი.

—

მეტი არ იქნება აქ ორიოდე სიტყვით გავარჩიოთ ცენტრიფუგის ხმარების სარგებლობა; თუ ამ ცენტრიფუგის მუ-

შაობას შევუდარებთ სხვა ნაღებ-მოსახდელ საშუალებათა, უეჭველად დავრწმუნდებით, რომ ცენტრიფუგით მუშაობა ყოველის მხრით სასარგებლო და სასურველია; განსაკუთრებითი უპირატესობა ცენტრიფუგებისა სჩანს შემდეგიდან:

1) პირველი უპირატესობა ის არის, რომ ცენტრიფუგით მუშაობის დროს რძის დამჟავების შიში აღარ არის, რადგანაც ძალიან ცოტა დრო უნდება ნაღების მოხდას. ამისგამო ნაღებიც და ნაღებ-მოხდილი რძეც შემდეგ კიდევ დიდ ხანს შეინახება საღად და უვნებლად და ამით ადვილდება იმათი გადაკეთება სხვა მასალებად, ერბოდ, ყველად და სხვანი. აქედან ის სარგებლობაც არის, რომ მათგან მომზადებული მასალა კარგის ღირსებისა გამოვა და, მაშასადამე, კარგი ფასიც ექნება.— მართლა-და, არც ერთ საშუალებით არ შეიძლება ისე ჩქარა ნაღების მოგროვება და მოკრეფა, როგორც ცენტრიფუგებით მუშაობის საშუალებითა. სხვა საშუალებით მუშაობის დროს თითქმის სრულიად შეუძლებელია მტკნარ, დაუმჟავებელ ნაღებით ერბოს მომზადება და ცენტრიფუგები კი ამას შესაძლებელად ჰხდის, რაიცა დიდ ფასსა სდებს ამგვარად მოსამზადებელ ერბოს (კარაქს). ჩვენში მგონია ბევრმა არ იცის მტკნარ ნაღებით მომზადებულ კარაქის გემო და ამისათვის ძნელია მისი დაფასება, მაგრამ დიდრონ ქალაქებში კი, განსაკუთრებით ევროპაში ამას დიდ ფასსა სდებენ. ყველამ იცის, რომ ჩვენებური კარაქი, თუ ორ-სამ დღეს გასძლებს დაუმძაღებლად და დაუმწარებლად და ისიც მხოლოდ ცივ ადგილას, ესეც იშვიათია, უეჭველად დამარილება და გადადნობა დასჭირდება. მტკნარის ნაღებით მომზადებული კარაქი კი თითქმის თვეობით სძლებს დაუმძაღებლად და ამასთან შესანიშნავი ნაზი და სუნნელოვანი, არომატული გემო აქვს. ამისგამო ცენტრიფუგით მუშაობა, მტკნარის ნაღების ამგვარად გადაკეთება ძლიერ სასურველია და სასარგებლოც და ეს ხომ სრულიად შეუძლებელია სხვა საშუალებით მუშაობის დროს (გარდა შვარცის საშუალებისა), მეტადრე ზაფხულში, როცა ჰაერი ძალიან გამთბარია. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ნაღებს სხვა დანიშნუ-

ლებაცა აქვს,—ნაღები გადაუკეთებლადაც კარგი საჭმელია და სხვა ნაირადაც არის გამოსაყენებელი სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად. რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, სრულიად ცხადია, რომ როგორც ნაღები, ისე ნაღებ-მოხდილი რძეც უფრო დიდ ხანს შეინახება, თუ რძე ცენტრიფუგით არის შემუშავებული და ამისგამო მათი გამოყენებაც სხვა-და-სხვა გვარად უფრო შესაძლებელი იქნება. ნაღებ-მოხდილი რძე ან საკვებავად და საზრდოდ მოიხმარება, ან ყველად გადაკეთდება (ბაკშტეინი) და სხვანი. და თუ რძე დამჟავდა ნაღების მოგროვების დროს (რაც ყოველთვის მოსალოდნელია, როცა ნაღები თავისთავად იკრიფება), ნაღების მოხდის წინად, მაშინ ეს რძე არაფრისათვის გამოსადეგი არ არის, გარდა მჟავე ყველისა, როგორც დომხალი და სხვანი.

აქ ერთი შენიშვნა არის საჭირო: ვისაც სურს, რომ ცენტრიფუგით შემუშავებული რძით მომზადებული ნაღები და ნაღებ-მოხდილი რძე, ერბო და ყველი კარგის თვისებისა იყოს და კარგი შესანახავი, მაშინ, როგორც ვსთქვით, ამ ცენტრიფუგით მუშაობის დროს საჭიროა ერთი უმთავრესი და უპირველესი პირობა: როგორც მომზადებული ნაღები, ისე ნაღებ-მოხდილი რძე ცენტრიფუგიდან გამოსვლის უმალვე უეჭველად და მიუცილებლად კარგად უნდა გაცივდეს; უამისოდ ყოველივე ზემორე ნათქვამი მოსახერხებელი აღარ იქნება. მართლა-და, თუ ცენტრიფუგიდან გამოსული ნაღები და ნაღებ-მოხდილი რძე დარჩა იმავე ტემპერატურით, რომელიც საჭირო იყო მუშაობის დროს, მაშინ ერთიცა და მეორეც უეჭველად დამჟავდება ძალიან ცოტა ხნის განმავლობაში და ეს დამჟავება, რასაკვირველია, სარგებლობის მაგივრად, დიდს ზარალს მოუტანს ოჯახობას, რადგანაც მათი გაყიდვა თუ გადაკეთება შესაძლებელი აღარ იქნება; და თუ მაინც და მაინც გადაკეთდა ან ერბოდ და ან ყველად, მაშინ არც ერთს და არც მეორეს სასურველი გემო აღარ ექნება და აღარც კარგი და დიდი ხნით შესანახავი იქნება.—მაშ, საჭიროა ცენტრიფუგიდან გამოსულ ნაღებისა და ნაღებ-მოხდილ რძის სწრა-

ფი გაცივება 10°-დინ და, თუ შესაძლებელია, უფრო დაბალ ტემპერატურამდინაც. რამდენადაც ნაღებს დაბალი ტემპერატურა ექნება, იმდენად უფრო ადვილი და დიდი ხნით იქნება შესანახავი როგორც თითონ, ისე მისგან მომზადებული ერბო.

2) მეორე უპირატესობა ცენტრიფუგით მუშაობისა ის არის, რომ აქ სრულიად აცილებულია ყველა ის გარემოება, რომლებიც ასე თუ ისე უშლიან ხელს ნაღების მოგროვებას და მოხდას მაშინ, როცა ნაღები თავისთავად გროვდება, მაშასადამე, ყველა წინად ნაჩვენების საშუალებით. ჩვენ ხომ უკვე გვახსოვს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაღების მოგროვებასა და მის თვისებაზე ჰაერის ტემპერატურას, განსაკუთრებით ზაფხულში ჰოლშტინიურ საშუალებით მუშაობის დროს; ასეთი მაღალი ტემპერატურა ძალიან უშლის რძის შემუშავებას, რადგანაც ერბოს გამოსავალს ამცირებს და ამასთან თითონ ნაღებმოხდილ რძესაც უვარგისად ხდის, მაშასადამე, შემოსავალსაც ძალიან ასუსტებს და ათახსირებს. ამასთან ესეც ხომ ხშირია, რომ ნაღები ძალიან ძნელად გროვდება, თუ მეტადრე რძე შენახულია დაბალ ტემპერატურაზე (როგორც ეს შევნიშნეთ შვარცის საშუალების აწერის დროს); ცენტრიფუგით მუშაობის დროს კი ეს მოვლენა სრულებით შეუძლებელია; ცენტრიფუგის ძალა ისეთი ძლიერი და შემძლე არის, რომ რაც უნდა დაბალი ტემპერატურა იყოს, ნაღები მაინც მოგროვდება.

ამასთან ისიც მოვიგონოთ, რომ ნაღების თავისთავად მოგროვებაზედ დიდი გავლენა აქვთ აგრედვე ხაჭოს მდგომარეობას რძეში და ერბოს ბურთების სიდიდეს ანუ სიპატარავეს. ხომ ვიცით, რომ თუ რძე სქელია და ან ერბოს ბურთები წვრილმანია, მაშინ ნაღები ძალიან ძნელად იკრიფება თავისთავად. ცენტრიფუგით მუშაობით დროს კი, რაც უნდა სქელი იყოს რძე და ამასთან რაც უნდა წვრილმანი იყოს ერბოს ბურთები, ეს გარემოებანი არავითარ გავლენას არ იქონიებს ნაღების მოგროვებაზე.

ამას ისიც მივუმატოთ, რომ ჩვეულებრივ გარემოებაში ნაღების მოსაგროვებლად რძე მოწველის უმალვე უნდა ჩაის-

ხას ნაღებ-მოსაკრეფ ჭურჭელში და წყნარად, შეურხეველად შეინახოს; უამისოდ ნაღები თავისთავად კარგად არ მოგროვდება. თუ რძე გადატანილია ერთის ადგილიდან მეორე ადგილას, ან შენჯღრეულია და ან რამდენისამე ხნით შენახული— ამისთანა რძე, სანაღბო ჭურჭელში ჩასხმული, თავისთავად ნაღებს კარგად არ იგროვებს. ეს გარემოებანი ცენტრიფუგზე სრულიად არ ჰმოქმედობს; ცენტრიფუგში ყოველგვარ რძეს კარგად მოეხდება ნაღები, ოღონდ ეს რძე დამჟავებული არ იყოს. ამ გარემოებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს რძის მრეწველობაში და მეტადრე მაშინ, როცა საზოგადო, სასოფლო ანუ საერო ქარხანა არის გამართული; ყოველთვის შესაძლებელია სხვა-და-სხვა სახლობიდან და სხვა-და-სხვა სოფლებიდან რძის მოტანა ქარხანაში და დაუყოვნებლივ და დაუზარალებლად შემუშავება ცენტრიფუგის შემწეობით.

3) ცენტრიფუგის ხმარების ერთი უპირატესობა ისიც არის, რომ მისის ხმარებით ადვილად შესაძლებელია სხვა-და-სხვა ხარისხამდე ნაღების მოხდა; თუ საჭიროა, ან თითქმის მთელი ერბო გამოეცლება რძეს და ან ნახევარი და ან უფრო ცოტა და უფრო მეტი. ამგვარი ხარისხეული ნაღების მოხდა გადაჭრილ და საჭირო რაოდენობით მხოლოდ ცენტრიფუგით მუშაობის დროს შეიძლება. ხშირად საჭიროა, რომ ნაღებ-მოხდილ რძეში ერბო ბლომად დარჩეს, რომ ამ რძიდან ყველის მომზადებაც შეიძლებოდეს; ყოველგვარ ყველს სხვა-და-სხვა ერბოს რაოდენობა უნდა და, მაშასადამე, სხვა-და-სხვა ყველის მოსამზადებლად რძეს სხვა-და-სხვა ხარისხზე უნდა მოეხადოს ნაღები, რომ რძეში იმოდენი ერბო დარჩეს, რამდენიც საჭიროა რომელისამე გვარის ყველისათვის. როცა რძეს ნაღები თავის-თავად უგროვდება, მაშინ ძნელია ამგვარი ხარისხეული ნაღების მოხდა; ამ გარემოებაში დროს განმავლობით სარგებლობენ, მაგრამ როგორც უკვე ვიცით, ყოველი რძიდან ერთსა და იმავე დროს განმავლობაში ერბოს ერთგვარი რაოდენობა არ ამოდის, რაც, რასაკვირველია, დამოკიდებულია თვითონ რძის თვისებაზედ. მაშ, მხოლოდ ცენტრიფუგების შემწეობით არის შესაძლებელი

მტკიცედ გადაწყვეტილის რაოდენობით მოეხადოს რძეს მისი ნაღები.

4) ცენტრიფუგის მნიშვნელობა უფრო შესამჩნევია მაშინ, როცა საჭიროა რძიდან მთლად ერბოს ამოღება, მთლად ნაღების მოხდა. როგორც წინად მოყვანილ მაგალითებიდან ვნახეთ, ცენტრიფუგით განაწილებულ რძეში ერბო თითქმის ალარა რჩება და ნაღებში გადასული ერბოს რაოდენობა ხშირად უდრის 98—99%-ს, რაც სხვა საშუალებით არას დროს შესაძლებელი არ არის; ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ცენტრიფუგით გამოცლილ ნაღებში 20—15% მეტი ერბოა, ვიდრე სხვა საშუალებით მოხდილ ნაღებში.

როგორც ვხედავთ, ცენტრიფუგის ხმარება ყოველის მხრით სარჩევი და სასარგებლოა, რძის შემოსავალი უფრო მატულობს და განსაკუთრებით მაშინ, როცა რძე დანიშნულია ერბოს მოსამზადებლად.

რადგანაც ორთქლით სამუშაებელ ცენტრიფუგებს დიდი ფასი აქვსთ, ამისათვის, რასაკვირველია, ყველას არ შეუძლიან მათი მოპოვება; ფასის გარდა აქ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზიც არის. ამგვარ ცენტრიფუგისთვის ოჯახობაში ბევრი რძე უნდა იყოს შესამუშავებელი, არა ნაკლებ 50—60 ძროხისა, რაც, რასაკვირველია, ხშირი არ არის. აქედან ცხადია, რომ ამისთანა ცენტრიფუგების მოპოვება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც დიდი შეძლება აქვს და ამასთან ბევრი ძროხებიცა ჰყავს და ან მთელ საზოგადოებას, თუ საზოგადო სარძევე ქარხანა არის გამართული. და რადგანაც ცენტრიფუგებით მუშაობა ბევრის მხრით სასურველია, აქედან წარმოსდგება საზოგადო, სასოფლო სარძევე ქარხნების დაფუძნების საჭიროება. როცა მთელი სოფელი და ხან მთელი საზოგადოება რამდენისამე ახლო-მახლო სოფლისა ერთ სარძევე ქარხანას ააშენებს და ხანულობას გაჰმართავს, მაშინ ამ ცენტრიფუგის მოპოვება არა თუ ერთისა, არამედ რამდენისამეც შესაძლებელიც და სასარგებლოც იქნება; სასარგებლო—რადგანაც, აქ გამეორება საჭირო ალარ არის, ცენტრიფუგით შემუშავებული რძეც და რძისგან

გადაკეთებული მასალებიც ფრიად კარგის თვისებისა გამოდის. რაც შეეხება ხელით სამუშავებელ ცენტრიფუგებს, ამათი მნიშვნელობაც დიდია, განსაკუთრებით იქ, სადაც რომელსამე ოჯახობას რაიმე გარემოების გამო არ შეუძლიან ხანგრძლობაში მონაწილეობა მიიღოს და ან სადაც ეს დაწყობილება მოსახერხებელი არ არის. ამ შემთხვევაში ყველა ოჯახობას ადვილად შეუძლიან რომელიმე ხელით სამუშავებელი ცენტრიფუგი მოიპოვოს, მათი ფასი 100—125 მანეთს არ გადასცილდება და ამ ფულს თითქმის პირველ წელიწადშივე ამოიღებს ხარჯის და ჯაფის შემოკლებით და გადაკეთებულ მასალის სიკეთითა და ფასით.

მრეწველობაში ცენტრიფუგის შემოღების წყალობით რძის წარმოებამ სრულიად დაჰკარგა თავისი ძველი სახე; ძველად ერბოს მომზადება მხოლოდ ხელობა იყო და კარგი ერბოს მომზადება ყველას არ შეეძლო, ეს ბევრ გარემოებაზე იყო დამოკიდებული და სხვათა შორის ხერხსა და ცოდნაზედაც. ეხლა რძის წარმოება ქარხანებში გადავიდა და მრეწველობის სახე მიიღო. ეხლა თითო ოჯახობას ცალკე ძნელად შეუძლიან ქარხანაში მუშაობას ხელი შეჰმართოს ანუ კონკურენცია დაუწყოს და ამის გამო ყოველი სახლობა იძულებული გახდა ერთმანეთს შეუერთდეს, საზოგადო სახანძლო სარძევე ქარხანა დაარსოს და საზოგადო მუშაობით ფეხი მოიმაგროს. ეს არის მიზეზი, რომ ამ უკანასკნელ ხანს ევროპაში თან-და-თან მრავლდება სოფლებშიაცა და ქალაქებშიაც საზოგადო ხანძლობა საზოგადო ქარხნითა. ამ სახით, რძის წარმოება და გადაკეთება უმჯობესდება და ამასთან უმჯობესდება თვითონ მომზადებულ მასალის ღირსება და ფასიც კარგი ედება.

გ) ნაღები და ნაღებ-მოხდილი რძე

ნაღების ღირსება და შედგენილება, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა იქნება იმის დაგვარად, თუ როგორ იყო მომზადებუ-

ლი ეს ნაღები; ესევე დამოკიდებული იქნება აგრეთვე თითონ რძის თვისებასა და ნაღების მოგროვების სისრულეზე. რამდენადაც რძეს ნაღები ბევრი აქვს მოხდილი, იმდენად ამ ნაღებში ცოტა იქნება ერბოს რაოდენობა და, პირ-იქით, რამდენადაც ცოტა ნაღებია მოხდილი, იმდენად ეს ნაღები სქელი და სუქანი იქნება, ე. ი. ბევრი ერბო ექნება. რასაკვირველია, ნაღების სისქეზე ბევრ სხვა გარემოებასაცა აქვს გავლენა, მეტადრე თუ ნაღები თავისთავად არის მოგროვილი რძის შენახვით; ამ გარემოებაში ნაღები მოგროვების ხანში ჰკარგავს წყალს, შრება და ამის გამო სქელდება. ყოველ იმ გარემოებაში, როცა ნაღები მაღალ და საშუალო ტემპერატურაზე გროვდება, ეს ნაღები ბევრ წყალს ჰკარგავს დაშრობით და სქელდება; დაბალ ტემპერატურაზე მოგროვილი ნაღები ცოტა წყალს იშრობს და ამის გამო ისე სქელა აღარ იქნება. ამას სხვა გარემოებაც ემატება—თითონ ნაღებ-მოსახდელ რძის პირის სივრცე: ის ნაღები უფრო სქელი იქნება, რომელიც ფართო და დაბალ ჭურჭელში მოგროვდა, ვიდრე ის, რომელიც მაღალ და ვიწრო ჭურჭელში. ეს ადვილი შესაგნებია, რადგანაც პირველ შემთხვევაში უფრო ბევრი წყალი აორთქლდება, ნაღები უფრო ბევრ წყალს დაიშრობს და, რასაკვირველია, გასქელდება; მეორე შემთხვევაში კი ნაღების წყალი ნაკლებად დაშრება და ნაღები უფრო თხელი იქნება.

ამის გამო, ამ სხვა-და-სხვა მიზეზისა და გარემოების ზედგავლენით ნაღებში ერბოს რაოდენობა სხვა-და-სხვა იქნება; ზოგ ნაღებში ერბოს რაოდენობა 15%-ია, ზოგში 30%, თუმცა იშვიათი არ არის იმისთანა შემთხვევაც, როცა ერბოს რაოდენობა ნაღებში 10%-დინ არის ჩამოსული და ან 60—70%-დინ აწეული.—ამგვარის სხვა-და-სხვა შედგენილების გამო წყალის რაოდენობაც სხვა-და-სხვა იქნება, თუმცა კი უფრო ხშირად 60—80%-ს უდრის. რაც შეეხება სხვა სხეულების რაოდენობას ნაღებში, მათ შორის ხაჭოს რაოდენობა დაახლოვებით ისეთივეა, როგორიც იმ რძეში იყო, რომელსაც ნაღები აქვს მოხდილი; შაქარი და მარილოვანი სხეულები კი

უფრო მომატებულია, ასე რომ ნაღების შრატს უფრო ბევრი შაქარი და მარილი ექნება, ვიდრე თითონ რძის შრატსა.

ნაღების შედგენილების დაგვარად მისი სიმჭირხნეც სხვა-და-სხვა იქნება, თუმცა კი ერთგვარ მიჯნებს არ გადასცილდება; ეს მიჯნები ამ რიცხვებით გამოიხატება: 0,9469—1,028; საზოგადოდ კი და უფრო ხშირად ეს სიმჭირხნე უდრის 1,010.

რაც შეეხება ნაღების მოგროვების სისრულეს ამ მხრით, თუ ნაღების მოგროვება თავისთავად სწარმოებს, ნაღებში გადადის მხოლოდ 75—80% რძის ერბო და დანარჩენი 20—25% ნაღებ-მოხდილ რძეში რჩება. ამასთან თუ ნაღები მოგროვდა დაბალ ტემპერატურაზე, მაშინ ცოტა მეტი ერბო გადადის ნაღებში და მისი რაოდენობა აიწევს 83—84%-დინ. ცენტრიფუგით მუშაობის დროს კი ერბოს რაოდენობა ბევრად გადამეტებულია, არა ნაკლებ 90%-სა და ხშირად უფრო მეტიც და ადის 98%-დინ, ასე რომ ნაღებ-მოხდილ რძეში რჩება მხოლოდ 1—2%. მაგალითებრ, თუ ნაღებ-მოსახდელ რძეს 4,5% ერბო ჰქონდა, მაშინ ნაღებ-მოხდილ რძეში დარჩება 0,1—0,05%. ამაზე მეტი ერბოს ამოცლა ჯერჯერობით შესაძლებელი არ არის, ასე რომ ნაღებ-მოხდილი რძე არასდროს უერბოვო არ არის, ცოტაოდენი კიდევ რჩება შიგ.

ნაღების ღირსება ყველაზე პირველად დამოკიდებულია რძის თვისებაზე; რაც შეეხება სხვა-და-სხვა გარემოებას, რომელსაც ამ ნაღების ღირსებაზე აქვს გავლენა, ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი და ვნახეთ, რომ ამ მხრით ტემპერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს მეტადრე მაშინ, როცა ნაღები თავისთავად გროვდება. რამდენადაც დაბალია ტემპერატურა ამ ნაღების მოგროვების დროს, იმდენად ნაღები თხელია, იმდენად ბევრი წყალი ურევია და ამის გამო იმდენად დიდი ტანი აქვს ამ ნაღებს, იმდენად ბევრია. პირ-იქით, რამდენადაც ტემპერატურა მაღალია, იმდენად ნაღები სქელია და, მაშასადამე, პატარა ტანისა, უფრო ცოტა. თუ ამ ნაღების მოგროვების დროს ტემპერატურა ძალიან მაღალია, მაშინ ნაღები ისე სქელდება, რომ საღეჭი ხდება, ცომივით სქელდება. ესეც ხომ

ვიცით, რომ ერთსა და იმავე ტემპერატურაზე ნაღები იმდენად უფრო სქელი იქნება, რამდენადაც რძის პირის სივრცე დიდია ანუ რამდენადაც ნაღებ-მოხდილი ჭურჭელი ფართო და დაბალია. როგორც წინადაცა ვსთქვით, იმის მიზეზი წყალის დაშრობა არის; ნაღების გასქელების მიზეზი რომ მართლა წყალის დაშრობა არის, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ ნაღების ზედა პირი ყოველთვის უფრო სქელია, ვიდრე ქვედა პირი.

ნაღების სისქეზე ასეთივე გავლენა აქვს ნაღების მოგროვების ხანსაც; რამდენადაც ბევრი დრო გადის ნაღების მოგროვებაში, იმდენად ეს ნაღები სქელი იქნება (თუ, რასაკვირველია, სხვა გარემოებანი ერთგვარნი არიან), რადგანაც დიდ ხანში უფრო ბევრი წყალი მოშორდება ამ ნაღებს დაშრობით.—რასაკვირველია, აქ თითონ ნაღებ-მოსაგროვებელ ჭურჭლის ფორმას და სხვა გარემოებასაცა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მათზე ლაპარაკს საჭიროდ აღარა ვრაცხთ,რადგანაც წინადაც ბევრი ვილაპარაკეთ.

ამ სხვა-და-სხვა გაერემოების გამო, ცხადია, ნაღების შედგენილება ყოველთვის ერთგვარი არ იქნება და მის შედგენილებაზე ყოველ გარემოებას ექნება თავისი გავლენა.

თუ წარმოვიდგენთ, რომ ორის რძიდან, რომელთაც ერთგვარი შედგენილება ჰქონდათ, ნაღები ისე მოგროვდა, რომ ერთის რძის ნაღებში გადავიდა 90% ერბო და მეორეში 80% და ამასთან ნაღების მოგროვების დროს ყოველმა რძემ დაშრობით დაიკლო $1^1/_2$% წყალი, რომელიც ნაღებს უნდა მიეწეროს, მაშინ ნაღების და ნაღებ-მოხდილ რძის შედგენილება ასე გამოიხატება:

	როცა ნაღებში 90% ერბო ავიდა.		როცა ნაღებში 80% ერბო ავიდა.	
	ნაღებში.	ნაღებ-მოხდილ რძეში.	ნაღებში.	ნაღებ-მოხდილ რძეში.
წყალი	68,90 %	90,50 %	71,24 %	90,09 %
ერბო	21,10 —	0,40 —	18,76 —	0,81 —
ხაჭო	4,28 —	3,90 —	4,28 —	3,90 —
შაქარი	4,96 —	4,50 —	4,96 —	4,50 —
მარილი	0,76 —	0,70 —	0,76 —	0,70 —
	100,00	100,00	100,00	100,00

როგორც ვხედავთ, ნაღები განირჩევა ნაღებ-მოხდელ რძიდან განსაკუთრებით იმითი, რომ ნაღებში ერბოს რაოდენობას უმატნია და წყალს კი უკლია; ამ ნაღებში წყალის ადგილი ერბოს დაუჭერია.

რძიდან მოხდილი ნაღები სამგვარად მოიხმარება: 1) ერბოს მოსამზადებლად; 2) რძისათვის მისამატებლად, როცა საჭიროა ზოგიერთ სუქან ყველის მომზადება და 3) სახლობაში სახმარებლად ან გასაყიდად.

პირველ ორ დანიშნულებას ჩვენ შემდეგ გავარჩევთ; შემდეგ ვრცლად გვექნება ლაპარაკი, როცა ერბოსა და ყველის მომზადებას ავწერთ; ახლა კი შინ მოხმარებასა და გაყიდვაზე ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

რადგანაც ამ უკანასკნელ დროში ცენტრიფუგების ხმარების წყალობით ადვილია კარგისა, მტკნარისა და, მაშასადამე, დიდ ხანს შესანახავის ნაღების მომზადება და აგრეთისავე მყიდველებისათვის მიწოდება, ამიტომ ნაღების ფასმაც იმატა, ასე რომ ნაღების გაყიდვა უფრო სასარგებლო აღმოჩნდა, ვიდრე ამ ნაღებით მომზადებული ერბოსი და ან თვითონ რძისა. მაშ, რძის ნაღებად გადაქცევა და ამგვარად გასაღება უფრო სასარგებლოა, რადგანაც ნაღები უფრო ძვირად იყიდება. ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ საჭიროა იმისთანა ნაღები მომზადდეს, რომელშიაც რძის მთელი ერბოა ამოსული და რადგანაც თითონ ნაღების ტანი და დამოკიდებულია რძის ერბოს რაოდენობაზე, ამისათვის საჭიროა ისიც ვიცოდეთ, თუ ამა და იმ შედგენილების რძეს რამდენი ნაღები უნდა მოვხადოთ, რომ ამ ნაღებს სასურველი შედგენილება ჰქონდეს. ერთის სიტყვით, მყიდველისათვისაც და გამყიდველისთვისაც საჭიროა ცოდნა იმისი, თუ რამდენია ერბო გასაყიდ ნაღებში. ამ საჭიროებისათვის ფიტმა შეადგინა ერთგვარი სქემა, რომლიდანაც ცხადად სჩანს, როგორც ერბოს რაოდენობა ნაღებში, ისე ისიც, თუ რამდენი ნაღები უნდა გამოეცალოს რძეს, რომ იქიდან მთელი ერბო ამოვიდეს და ამა თუ იმ შედგენილების ნაღები იყოს. ამ სქემაში პირველი ვერტიკალური რიგი ციფრებისა უჩვენებს ერბოს რაოდენობას ნაღებ-მოსახდელ რძეში 3—5%-დინ; ზემოთი ჰორიზონტალური რიგი უჩვენებს ერბოს რაოდენობას ნაღებში და სხვა ჰორიზონტალურივე რიგები უჩვენებს ნაღების იმ რაოდენობას, რომელიც უნდა გამოეცალოს რძეს; მაგალითად, თუ 3,4% ერბოიანი რძე გვაქვს და გვინდა, რომ ნაღებში 20% ერბო იყოს, მაშინ მოხდილ ნაღების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 15,8%.

ერბოს რაოდენობა ნაღებში.																							
14	16	18	20	22	24	26	28	30	32	34	36	38	40	42	44	46	48	50	52	54	56	58	
რძეს მოსახდელ ნაღების რაოდენობა.																							
3,0	19,7	17,2	15,2	13,7	12,5	11,4	10,5	9,8	9,1	8,5	8,0	7,6	7,2	6,8	6,5	6,2	5,9	5,7	5,4	5,2	5,0	4,8	4,7
3,1	20,4	17,8	15,8	14,2	12,9	11,8	10,9	10,1	9,4	8,8	8,3	7,8	7,4	7,1	6,7	6,4	6,1	5,9	5,6	5,4	5,2	5,0	4,9
3,2	21,1	18,5	16,4	14,7	13,4	12,3	11,3	10,5	9,8	9,2	8,6	8,1	7,7	7,3	7,0	6,6	6,3	6,1	5,8	5,6	5,4	5,2	5,0
3,3	21,9	19,1	16,9	15,2	13,8	12,7	11,7	10,8	10,1	9,5	8,9	8,4	7,9	7,6	7,2	6,9	6,6	6,3	6,0	5,8	5,6	5,4	5,2
3,4	22,6	19,8	17,5	15,8	14,3	13,1	12,1	11,2	10,4	9,8	9,2	8,7	8,2	7,8	7,4	7,1	6,8	6,5	6,2	6,0	5,8	5,6	5,4
3,5	23,4	20,4	18,1	16,3	14,7	13,5	12,5	11,6	10,8	10,1	9,5	9,0	8,5	8,1	7,7	7,3	7,0	6,7	6,4	6,2	6,0	5,8	5,6
3,6	24,1	21,0	18,7	16,8	15,2	13,9	12,8	11,9	11,1	10,4	9,8	9,3	8,8	8,3	7,9	7,5	7,2	6,9	6,6	6,4	6,1	5,9	5,7
3,7	24,8	21,7	19,2	17,3	15,7	14,3	13,2	12,3	11,4	10,7	10,1	9,5	9,0	8,6	8,1	7,8	7,4	7,1	6,8	6,6	6,3	6,1	5,9
3,8	25,6	22,3	19,8	17,8	16,1	14,8	13,6	12,6	11,8	11,0	10,4	9,8	9,3	8,8	8,4	8,0	7,7	7,3	7,0	6,8	6,5	6,3	6,1
3,9	26,3	22,9	20,3	18,3	16,6	15,2	14,0	13,0	12,1	11,3	10,7	10,1	9,6	9,0	8,6	8,2	7,9	7,5	7,2	7,0	6,7	6,5	6,2
4,0	27,0	23,6	20,9	18,8	17,0	15,6	14,4	13,4	12,5	11,7	11,0	10,4	9,8	9,3	8,9	8,5	8,1	7,8	7,4	7,2	6,9	6,6	6,4
4,1	27,6	24,2	21,5	19,3	17,5	16,0	14,8	13,7	12,8	12,0	11,3	10,6	10,1	9,6	9,1	8,7	8,3	8,0	7,6	7,3	7,1	6,8	6,6
4,2	28,4	24,8	22,1	19,8	18,0	16,5	15,2	14,1	13,1	12,3	11,6	10,9	10,3	9,8	9,4	8,9	8,5	8,2	7,8	7,5	7,3	7,0	6,8
4,3	29,2	25,5	22,6	20,3	18,4	16,9	15,5	14,4	13,5	12,6	11,9	11,2	10,6	10,1	9,6	9,2	8,8	8,4	8,0	7,7	7,4	7,2	6,9
4,4	29,9	26,1	23,2	20,8	18,9	17,9	15,9	14,8	13,8	12,9	12,2	11,5	10,8	10,3	9,8	9,4	9,0	8,6	8,2	7,9	7,6	7,4	7,1
4,5	30,6	26,7	23,7	21,3	19,4	17,8	16,3	15,1	14,1	13,3	12,5	11,8	11,1	10,6	10,1	9,6	9,2	8,2	8,5	8,1	7,8	7,5	7,3
4,6	31,4	27,4	24,3	21,9	19,8	18,1	16,7	15,5	14,5	13,6	12,8	12,1	11,4	10,8	10,3	9,8	9,4	9,0	8,7	8,3	8,0	7,7	7,4
4,7	32,1	28,0	24,9	22,4	20,2	18,6	17,1	15,9	14,8	13,9	13,1	12,3	11,7	11,1	10,5	10,1	9,6	9,2	8,9	8,5	8,2	7,9	7,6
4,8	32,9	28,7	25,4	22,9	20,9	19,0	17,5	16,3	15,1	14,2	13,4	12,6	11,9	11,3	10,8	10,3	9,8	9,4	9,1	8,7	8,4	8,1	7,8
4,9	33,6	29,3	26,0	23,4	21,2	19,4	17,9	16,6	15,5	14,5	13,6	12,9	12,2	11,6	11,0	10,5	10,1	9,7	9,3	8,9	8,6	8,3	8,0
5,0	37,9	29,9	26,6	23,9	21,7	19,8	18,3	17,0	15,8	14,8	13,9	13,2	12,4	11,9	11,3	10,8	10,3	9,9	9,5	9,3	9,0	8,4	8,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სქემიდან ცხადად სჩანს, რომელ რძეს რამდენი ნაღები უნდა მოჰხადონ, რომ გადაწყვეტილ ერბოს რაოდენობა ჰქონდეს ამ ნაღებს. მაგალითებრ, თუ უნდათ, რომ შეიტყონ, რამდენი ნაღები უნდა მოეხადოს 4% ერბოიან რძეს, რათა ამ ნაღებს 20% ერბო ჰქონდეს, მაშინ ჯერ პირველ ვერტიკალურ რიგში უნდა ვიპოვოთ 4 და შემდეგ პირველ ჰორიზონტალურ რიგში—20 და აქედან ჩამოვიდეთ ვერტიკალურივე რიგით ძირს იმ ჰორიზონტალურ რიგამდინ, რომელსაც თავში 4 უზის—აქ ვნახავთ 18,8 და ეს იქნება მოსახდელ ნაღების რაოდენობა.

ჩვენ წინად ვთქვით, რძის გაყიდვა ისე სჯობია, რომ ამას ნაღები გამოსცილდეს და რძის მაგივრად ნაღები გაიყიდოსო; ახლა საჭიროა ვიცოდეთ, რა ფასად უნდა გაიყიდოს ეს ნაღები, რომ გამყიდველი ზარალში არ იყოს. ჩვენში რძის ვაჭრობაში ყოველ რძეს ერთგვარი ფასი აქვს, თუმცა კი იმისთანა რძეს უფრო ეტანებიან, რომელიც უფრო სუქანია და გემრიელი; ევროპაში ბევრ ადგილას და განსაკუთრებით ქარხნებში რძე იყიდება მის ერბოს რაოდენობის დაგვარად; რამდენადაც რძეში ბევრია ერბო, იმდენად ამ რძეს უფრო კარგი ფასი აქვს. მაშ, კარგი იქნება, რომ ნაღებიც მის ერბოს რაოდენობაზე ფასდებოდეს; მაგალითებრ, თუ 4% ერბოიანი რძე ლიტრი ვთქვათ 6 კაპეიკი ღირს, აქედან მოხდილი 20% ერბოიანი ნაღების ლიტრი 32 კაპეიკად უნდა იყიდებოდეს, რადგანაც თითო ლიტრი ნაღები აქ მოხდილი აქვს 5,32 ლიტრ რძეს. ამ ანგარიშით გაყიდული ნაღები მთელის რძის ფასს ამოიღებს და ნაღებ-მოხდილი რძე მოგებად დარჩება; ნაღებ-მოხდილი რძე აქ ის სასყიდელია, რაც ნაღების მოხდას ხარჯი და დრო უნდება; ესეც რომ არ იყოს, ნაღები ხომ უფრო შეძლებულ და მდიდარ ოჯახობის სახმარია სხვა-და-სხვა პირის ჩასაგემრიელებელ საჭმელების და სასმელების მოსამზადებლად და ამის გამო ცოტა რძეზე ძვირად გაყიდვა ცოდვა არ იქნება. მაინცა და მაინც, თუ საჭიროა დარჩენილ ნაღებ-მოხდილი რძის ფასის სახეში მიღებაც და თითო ლიტრს თითო კაპეიკად დავაფასებთ, მაშინ ამ ფასიდან უნდა გამოირიცხოს $4\frac{1}{4}$ კაპეიკი (რადგანაც საშუა-

ლოდ $4^1/_4$ ლიტრი ნაღებ-მოხდილი რძე რჩება ნაღების გამოცლის შემდეგ) და მაშინ თითო ლიტრი ნაღების ფასი დაიწევს $27^3/_4$ კაპეიკამდინ ანუ თითო გირვანქა $11,_{25}$ კაპეიკათ.

რაც ნაღებ-მოხდილ რძეს შეეხება, მისი შედგენილება ჩვენ უკვე განვმარტეთ ნაღების შედგენილებასთან ერთად; როგორც ვნახეთ, იმაში კიდევ არის დარჩენილი ცოტაოდენი ერბო, რომლის რაოდენობაც, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება ნაღების მოკრეფის სისრულეზე; ხან მხოლოდ $0,_1\%$ ერბო რჩება და ხან ეს რაოდენობა ადის $0,_8\%$-დინ. ამისგამო მისი სიმჭირხნეც სხვათა შორის ამ ერბოს რაოდენობაზედაც იქნება დამოკიდებული, თუმცა კი, როგორც უკვე ვიცით, ნაღებ-მოხდილ რძეს ყოველთვის უფრო დიდი სიმჭირხნე აქვს, ვიდრე ნაღებ-მოუხდელს და, მაშასადამე, ნაღების სიმჭირხნეზედაც ხომ უფრო გადამეტებული იქნება. თუმცა აქ გადაწყვეტით ვერა ითქმის-რა, რადგანაც ერბოს რაოდენობას გარდა, ნაღებ-მოხდილ რძის სიმჭირხნე აგრედვე დამოკიდებულია თვითონ რძის სიმჭირხნეზე; ამის მიუხედველად მრავალი გამოკვლევა გვაუწყებს, რომ ნაღებ-მოხდილ რძის სიმჭირხნე 15^0-ზე $1,_{023}$-ზე დაბლა არ ჩამოდის და არც $1,_{037}$ მაღლა ადის.

ნაღებ-მოხდილ რძის გამოყენება სხვა-და-სხვა გვარად შეიძლება: ან ზოგიერთ ეგრედ-წოდებულ მჭლე ყველს (fromage maigre) მოამზადებენ, ან საჭმელად თითონვე მოიხმარებენ და ან გაჰყიდიან და ან ხბორების საკვებად იხმარებენ; ყველის მომზადებაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი და ახლი კი ორიოდე სიტყვით გავარჩევთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ რძეს, როგორც საჭმელს და ან ხბორების საკვებავს.

ცენტრიფუგების შემოღების შემდეგ ევროპაში და მეტადრე გერმანიაში დიდი ყურადღება მიაქციეს ნაღებ-მოხდილ რძეს და სცნეს, რომ, მისის დაბალის ფასის შედარებით, ეს რძე კარგი და სასარგებლო საჭმელია შეუძლებელი ხალხისთვის. მართლაც-და, ეს რძე და მისი ფასი რომ ხორცსა და მის ფასს შევუდაროთ, ცხადად ვნახავთ, რომ ერთისა და იმავე ფასით ნაყიდ ნაღებ-მოხდილ რძეში უფრო

ბევრი სასარგებლო ნივთიერება იქნება, ვიდრე ამავე ფასით ნაყიდ ხორცში. მაგ. თუ გირვანქა ხორცის ფასი 8 კაპეიკია, მაშინ ერთი კილო (1000 გრამი) ღირებება 19,$_5$ კაპეიკი. თუ ამ ხორცს ძვლებს გამოვაცლით, ამ 1000 გრამი ხორცის ფასი აიწევს 26 კაპეიკამდინ. ამას გარდა, რადგანაც საზოგადოდ ხორცში 72% წყალია, 21% აზოტური ნივთიერება და 5% ქონი და, მაშასადამე, 1000 გრამში იქნება 720 გრამი წყალი, 210 გრამი აზოტური ნივთიერება და 50 გრამი ქონი; აქედან ცხადია, რომ 210 გრამი აზოტური ნივთიერება ხორცში ჯდება არა ნაკლებ 26 კაპეიკისა და თუ ეს 210 გრამი აზოტური ნივთიერება ღირს 26 კაპეიკი, მაშინ 1000 გრამი ღირებება 122,$_{85}$ კაპეიკი.

ახლა ვნახოთ, რა დაჯდება ამოდენივე აზოტური ნივთიერება ნაღებ-მოხდილ რძეში: თითო ლიტრ ნაღებ-მოხდილ რძეში არის 40 გრამი აზოტური ნივთიერება და მაშ 1000 გრამი—25 ლიტრ ნაღებ-მოხდილ რძეში იქნება და რადგანაც თითო ლიტრი ნაღებ-მოხდილი რძე ჩვენ დავაფასეთ თითო კაპეიკად, ცხადია, რომ 1000 გრამი რძის აზოტური ნივთიერება ღირებება 25 კაპეიკი, მაშ თითქმის ხუთჯერ იაფად დაჯდება. თუ რძეს უფრო ძვირად დავაფასებთ, მაგ. ლიტრს 2 კაპეიკად, მაშინაც კი 2$^1/_2$ ჯერ იაფად დაჯდება. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ამ რძეს თითქმის იმოდენივე შაქარი აქვს, რასაც, რასაკვირველია, თავისი ფასი აქვს და ამის გამო უფრო მაღლა იდგება თვისის ღირსებით იმავე ფასის ხორცზე.

თუ ნაღებ-მოხდილი რძე პირდაპირ სახმარებლად სასურველი არ არის, მაშინ შეიძლება ამ რძით ცომი მოიზილოს და პური გამოცხვეს. ასეთი პურის ჭამა კარგი მოსახერხებელია, რადგანაც გემრიელი და ნოყიერია. მრავალმა სწავლულმა გამოიკვლია ეს საგანი და ყველამ სცნო, რომ ამ გვარად მომზადებული და გამომცხვარი პური ძალიან კარგი მოსანელებელია და, მაშასადამე, სასარგებლოც.*)

*) ამას გარდა, ნაღებ-მოხდილი რძით ამზადებენ სხვა-და-სხვა გვარ სასმელს, როგორც კეფირი, შამპანიური, გასქელებული და სხვანი; ამათზე შემდეგ ცალკე მოვილაპარაკებთ.

ამას გარდა ნაღებ-მოხდილ რძის მოხმარება აგრედვე შესაძლებელია და სარჩევიც სხვა-და-სხვა ცხოველების საკვებავად: ხბორებისა, ძროხებისა, ღორებისა, ფრინველებისა და სხვანი და, მაშასადამე, ამ მხრითაც სარგებლობის მოტანა შეუძლიან. მრავალმა სხვა-და-სხვა სწავლულის გამოცდილებამ დაგვმტკიცა, რომ ნაღებ-მოხდილ რძით ნაკვები ხბორები უფრო მალე იზდებიან, უფრო ბევრ ხორცს ისხამენ და უფრო მალე სუქდებიან, და ამის გამო კარგი ფასიც ედებათ. მოვიყვან მხოლოდ რამდენსამე მაგალითს, საიდანაც ცხადად დავინახავთ ამ რძის ღირსებასა და ფასს.

1855 წელს ბ-ნმა შტეხერმა გამოჰკვება 7 ხბო ნაღებ-მოხდილ რძით და აღმოჩდნდა, რომ თითო კილო ხბოს ხორცის მომატებაზე დაიხარჯა 16 კილო ნაღებ-მოხდილი რძე და გაყიდულის ხორციდან აღმოჩნდა, რომ თითო ლიტრმა რძემ ამოიგო 1,$^{3}/_{4}$ კაპეიკი. უფრო ცხადია ჰოლმის (Holm) გამოკვლევა კოპენჰაგენში მრავალ ხბორებზე, რომლებიც ნაკვები იყვნენ ნაღებ-მოხდილ რძით და ცოტაოდენი სელის წეწონით; ამ გამოცდილებით აღმოჩნდა, რომ ხბორებმა მოიმატეს მთელის კვების დროს 441 გირვანქა და დახარჯული იყო 2082 ლიტრი ნაღებ-მოხდილი რძე და 281 გირვანქა წეწონი; ნამატი 441 გირ. ხბოს ხორცი გაყიდულ იქმნა 220,$_{50}$ ფრანკად; თუ აქედან გამოვრიცხავთ წეწონის ფასს 41,$_{25}$ ფრ., 2082 ლიტრი რძის წილად დარჩება 179,$_{25}$ ფრანკი, საიდანაც თითო ლიტრი რძის ფასი დადგება 0,0833 ფრანკი ანუ 8,$_{32}$ სანტიმი (2,$^{1}/_{4}$ კაპეიკი).

კიდევ ბევრია სხვა მაგალითები, რომლებიც ცხადად ამტკიცებს, თუ რა ღირსება აქვს ამ რძეს, როგორც კარგს საკვებავს სხვა-და-სხვა ცხოველებისათვის, მაგრამ, რაც აქ მოვიყვანეთ, ესეც სრულიად საკმარისია.

გ. ჰეტრაიშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიულეთი 1804 წელსა

ისტორიული ამბავი

V

ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რა ცეცხლსა და ნავთში ჩავარდა მაშინდელი ქართველობა კაპიტან-ისპრავნიკების წყალობით. მათს უკანონო და ბოროტს მოქმედებას მეტის-მეტად ხელს უწყობდა იმდროინდელი გარემოება და ვითარება. კნორრინგისა და კავალენსკის მიერ შემოღებულმა უცნაურმა ფორმალურმა სასამართლოს წესმა და რიგმა ისეთი საშინელი იარაღი მისცა ხელში კაპიტან-ისპრავნიკებს ხალხის დასაჩაგრავად და თავიანთ ჯიბის გასავსებლად, რომ ამაზე უარესს ვერც ერთი აზიის დესპოტი ველარას მოიგონებდა. მართალია, მაზრებში სამართალი სამაზრო მოსამართლეთა ჰქონდათ მიჩენილი, მაგრამ ეს მხოლოდ კანონით იყო ასე.[1]) ნამდვილად კი

---

[1]) რომ არავინ გვისაყვედუროს, ვითომც განზრახ ვაზვიადებთ მაშინდელ მოხელეთა ბოროტ-მოქმედებას, მოვიყვანთ აქ გ. ჯანშიევის წერილის ერთს ნაწყვეტს, რომელიც შეეხება მოხელეობის მოქმედებას 60 წლებში. „კავკასია დამღუპველ ქვეყნად ითვლებოდა მარტო იმათთვის კი არა, ვინც ნამდვილად ეთხოვებოდა სიცოცხლესა მთიულებთან ბრძოლაში, არამედ იმ ახალგაზდა მოღვაწეთათვისაც, რომელნიც ჯერ ზნეობრივ არ იყვნენ გამაგრებულნი და რომელთაც ნელ-ნელა ჩაისვლევდა ხოლმე და ჰხრწნიდა ნამუსის გამყიდველი მოხელეობა. გარნა თუ სტარიცკისათვის აგრე რიგად ძნელი არ იყო ამ ბინძურ გარემოებათა შორის დაეცვა სისპეტაკე, სამაგიეროდ მისთვის ძალიან ძნელი იყო, ვითარცა მსაჯულისათვის, დაცვა სიმართლისა და კანონის ინტერესებისა. თუ რეფორ-

მოსამართლეობდნენ პოლიციის გამგე კაპიტან-ისპრავნიკები. მომჩივან-მოპასუხე ამ მოხელეებს გზას ვერ აუქცევდა, რადგან მსაჯულის განაჩენი მხოლოდ ამათ მოჰყვანდათ აღსრულებაში და აი სწორედ აქ იწყებოდა მათის ბოროტ-მოქმედების და მოქრთამეობის ფართო ასპარეზი. ამას გარდა სოფლის უბირს კაცს ეხლაც ვერ გაურჩევია, რა არის პოლიცია და მართლ-მსაჯულება, სად იწყება პოლიციის გამგეობა და სადა თავდება მისი უფლება, რა საქმე ექვემდებარება მსაჯულს და რა არა. მაშინ, იმ აწეწილ, გაურკვეველ და შფოთიანს დროს ყველა ამის გარკვევა და განსაზღვრა საძნელოც იყო და თითქმის მოუხერხებელიც. ამისათვის მომჩივან-მოპასუხე კაპიტან-ისპრავნიკს უფრო ეტანებოდა, ვიდრე მოსამართლეს და ისინიც უარს არ ამბობდნენ და საჩივრის განხილვას სიამოვნებით კისრულობდნენ.

როცა კი გაჭირვებული მომჩივანი რის ვაი-ვაგლახით სამართლის კარს მიადგებოდა, არც მაშინ იყო ბედის მადლიერი. კანონის და ფორმალურის წეს-რიგის მცოდნე ვექილს ვერ იშოვიდა; ვერ იშოვიდა აგრედვე რუსულის მცოდნე თარჯი-

---

მათა უწინარეს თვით შუაგულ რუსეთში ადმინისტრაცია უცერემონიოდ ხელს ურევდა სასამართლო საქმეებში, თუ იქაც ფულსა და ნათესავობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში უნდა ყოფილიყო მართლ-მსაჯულების საქმე კავკასიაში, საცა ყოველ მოხელეს, ვითარცა ვითომ „განმანათლებელს“ თავი ისე მოჰქონდა, რომ **თვით მე ვარ ერთად-ერთი განსჯარტიელებს კანონისა და სამართლისა, მსჯავრისა და მოწყალებისა გაუნათლებელ ხალხთათვისაო.** მოქმედება ამ გარემოებათა შორის იმისთანა კაცისა, როგორიც იყო სტარიცკი, კაცი უანგარო, განათლებული, კაცთ-მოყვარე, ცოტათი მაინც აკვეცავდა ფრთას „რუსულის სამართალის“ გაჭიანურებულ დავი-დარაბის სისასტიკეს, იმ სამართალისა, რომელსაც ერთნაირად უფრთხოდა და ისე ერიდებოდა, როგორც ცეცხლს, ბრალიანიცა და უბრალოცა“. ეგორ პავლეს ძე სტარიცკი კარგა ხანს მსახურებდა კავკასიაში, მხურვალე მონაწილეობა მიიღო გლეხების განთავისუფლებაში და სასამართლო რეფორმის შემოღებაში ჩვენში 1868 წელსა. სტარიცკი პირველი თავმჯდომარე იყო ტფილისის სასამართლო პალატისა. იხ. Рус. Вѣд. 1895 წ. № 140.

მანსა. რიგიანი და მცოდნე ვექილის და თარჯიმანის მაგიერ ჭიანჭველასავით ფუსფუსებდნენ სასამართლოს წინაშე სამსახურიდან დათხოვნილნი ლოთობისა და უზნეო ქცევისათვის მოხელენი. ამ ვაჟბატონებს უვარდებოდათ ხელში გულ-უბრყვილო მომჩივანი და, რა თქმა უნდა, ხარჯი ბევრი მიდიოდა მათ დასაკმაყოფილებლად, დრო ბევრი იკარგებოდა, საქმე უარესად იწეწებოდა, დავიდარაბას ბოლო არ ეღებოდა და საქმე არა თავდებოდა. რადგან ასეთი სამართალი უსამართლობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამართლიანობას, ამისათვის მთავარ-მართებელი თ. ციციშვილი დიდათა ცდილობდა, მალე მოჰღებოდა ბოლო ასეთს უკანონობას და მის მიერ გამოწვეულ ხალხის დრტვინვასა და გოდებასა. უთარჯიმანობა, რასაკვირველია, არც შემდეგ მოხერხდებოდა, რადგან მსაჯულებად თითქმის სულ რუსნი იყვნენ, რომელნიც სრულებით არა ცდილობდნენ შეეთვისებინათ ქართული ენა. ფორმალურ სამართლის მოსპობის შემდეგ მსაჯული მოვალე იყო მიეღო ქართულად დაწერილი არზა. რას აქნევდა უცხო ენაზე დაწერილს თხოვნას მოსამართლე, ვიდრე თარჯიმანი არ გადათარგმნიდა რუსულად. ამის გამო სამართლის ბედი სრულიად თარჯიმანის ხელში ჩავარდა და ვინც მეტს ქრთამს გაიღებდა, საქმესაც ის მოიგებდა. თ. პავლე დიმიტრის ძემ კარგად იცოდა, რაოდენ საზარალო და მავნებელი იყო ხალხისათვის და რა ღვარძლი დაითესებოდა უვარგისთა თარჯიმანთა წყალობით, მაგრამ საქმეს ვერაფრით ვერა ჰშველოდა, რადგან რუსულ ენის მცოდნენი ძალიან ცოტანი მოიპოვებოდნენ მაშინდელ დროს. კიდეც რომ გამოჩენილიყო რუსულის ხეირიანად მცოდნე, ძნელად თუ ვინმე იკისრებდა ამ თანამდებობას, ისე მცირე სასყიდელი იყო დანიშნული თვიურად ამ მოხელეთათვის. ამის გამო მთავარმართებელი ერთს თავის უქვეშევრდომილესს მოხსენებაში ამბობს, დიდის მწუხარებით, რომ რიგიან თარჯიმანების სიმცირემ მართლმსაჯულების საქმე სრულიად აწეწ-დაწეწა, რადგან მოსამართლესა და მომჩივანს ერთმანეთისათვის ვერა შეუსმენიათ-რაო.[2])

[2]) იხ. Акты т. II, გვ. 46—47, 53.

ზემოდაცა ვსთქვით და ეხლაც გავიმეორებთ, რომ რუსების მოსვლამდე საქართველოში სამართლის წესი და რიგი მეტის-მეტად უბრალო და მარტივი იყო. სამართლის წარმოებას არც აგრე რიგად დიდი ხარჯი და ბორჯი უნდებოდა და არც ბევრი დრო. მომჩივანი საჩივრით პირდაპირ მიჰმართავდა მეფისაგან განწესებულს ადგილობრივს მსაჯულს, პირადად მოახსენებდა თავისს გაჭირვებას და სამართალს მოსთხოვდა. არც არზის წერა იყო საჭირო, არც ვექილი და თარჯიმანი და არც მაინც-და-მაინც კანონების ცოდნა, რადგან მსაჯული უფრო ჩვეულებითა და ადათით ხელმძღვანელობდა, ვიდრე ვახტანგ მეფის კანონებითა. მსაჯული გზირის შემწეობით დაიბარებდა მოპასუხეს, პირისპირ ალაპარაკებდა ორთავეს, თუ საჭირო იყო, გამოჰკითხავდა საქმის ვითარებას მოწმეთა ან ადგილობრივ თვითონვე დაათვალიერებდა სადავო მამულს, თუ დავა მამულს შეეხებოდა და მოარჩა და გათავდა. ამგვარად საჩივარი ხშირად ერთს დღესა თავდებოდა და იმ წამსვე დაიწერებოდა მცირე ბარათი, რომელშიაც მოკლედ მოიხსენიებდნენ საჩივრის გარემოებას. იქვე იწერებოდა მოპასუხის პასუხი, ჩვენება მოწმეთა და მსჯავრი თვით მსაჯულისა. უკეთუ ერთ-ერთი კმაყოფილი არ დარჩებოდა მსაჯულის განაჩენით, შეეძლო თვით მეფისათვის მიემართნა. სიმართლის საბუთად წარადგენდა ბარათს და სთხოვდა მეფეს დაკმაყოფილებას. ხშირად მეფე თავისს მსჯავრს იმ მცირე ბარათზევე მოაქცევდა, ან არა-და ბძანებას მისცემდა მოურავს, საქმე გამოიძიე და მომჩივანი დააკმაყოფილეო[3]). სასყიდელიც მსაჯულისა მცირე იყო და ბევრჯელ მომჩივანი ძღვენითაც იოლად წავიდოდა.

ასეთი უბრალო და მარტივი იყო საქართველოში მართლმსაჯულების წესი და რიგი. ხალხს ეყურებოდა და ესმოდა

---

[3]) იხ. „Законы Царя Вахтанга VI". დ. ზ. ბაქრაძის რედაქტორობით დაბეჭდილი, მუხ. 3, 4 და 205. ქართულ სიტყვების მაგიერ—მსაჯული, მოსამართლე—მეფე როსტომ-ხანის (1634—1658) დროიდან შემოღებულ იქმნა—მდივანი, მდივან-ბეგი. გამომძიებელს დარქმევია იასაული. (შენიშვნები დ. ბაქრაძისა მესამე და ორას ხუთი მუხლისა).

სამართლის ავი და კარგი, ყველას შეეძლო ვექილისა და თარჯიმანის დაუხმარებლივ მიემართა მსაჯულისათვის და თვითონვე ეწარმოვებინა საქმე, არა თუ მაზრის სასამართლოში, არამედ თვით მეფესთანაც. ადვილად მისახვედრია და წარმოსადგენი, თუ რა შორი-შორს იქნებოდა ერთმანეთზე ძველი, მარტივი სამართალი და საქართველოს პირველი გამგებლების მიერ შემოღებული მახინჯი სასამართლოს წესი და რიგი („судъ по формѣ“). საზოგადოდ ცნობილია, რომ, როდესაც კანონი ვერა კანონობს, მსაჯული ვერა მსაჯულობს, მაშინ სამოქალაქო წესი და რიგი უსათუოდ შეილახება, სიმართლის მაგიერ დამყარდება უფლება ძლიერისა და მართალი ის იქნება, ვისაც მუშტი და მკლავი უჭრის, ან ვისაც ჯიბე სქელი აქვს. ფორმალური სამართლის ბატონობის დროს, რაიცა უსამართლობასა და კანონის უქონლობას უდრიდა, სოფლად სრულიად გაბატონდნენ კაპიტან-ისპრავნიკები და ღირსეულად გამოიყენეს თავიანთი უფლებანი. მთავარ-მართებელი თ. ციციშვილი ჰფიქრობდა, რომ კაპიტან-ისპრავნიკები ღირსეულნი, ნამუსიანი და განათლებულნი მოხელენი რომ იყვნენ, ხალხს აღარ შეაწუხებენ, ქრთამის აღებას არ იკადრებენ და ამისათვის ეხვეწებოდა, თითქმის ემუდარებოდა ამპერატორ ალექსანდრე პირველს, რიგიანი და ნასწავლი მოხელენი გამომიგზავნე, თორემ ეხლანდელებმა ქვეყანა აამტუტესო. რასაკვირველია, ღირსეული და განვითარებული მოხელე უფრო სასურველი იქნებოდა და შეიძლება ბოროტ-მოქმედებაც შემცირებულიყო, როგორცა ჰფიქრობდა და იმედოვნებდა თ. ციციშვილი, მაგრამ მარტო ეს ვერ უშველიდა საქმესა. ახალმა მთავრობამ ისეთი წესი და რიგი შემოიღო მართვა-გამგეობისა, ისეთი შეუფერებელი წესი მართლ-მსაჯულებისა დაამკვიდრა პირველადვე საქართველოში, რომ ბოროტად მოხმარება უფლებისა აუცილებელი იყო. მაშინდელი ვითარება და გარემოება ხელს უწყობდა საბოროტმოქმედოდ რიგიანს მოხელესაც და უვარგისს ხომ ფრთებს ასხამდა და წინ ფართო მოედანს უშლიდა საავკაცოდ. ჩვენ აქ ბევრს არ გამოვეკიდებით, დავასახელებთ მხოლოდ მთის კაპი-

ტან-ისპრავნიკთა რამდენსამე ბოროტ-მოქმედებას და გვგონია, რომ საკმარისად დასურათდება მათი საზოგადო აღვირ-ახსნილი მოღვაწეობა.

ანანურის კაპიტან-ისპრავნიკის სამაგალითო საქციელი სოფ. ჟამურს ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ. ამიტომ ამ გარემოებას აქ აღარ გავიმეორებთ და ვიტყვით მხოლოდ, რომ ის კაპიტან-ისპრავნიკი ნიჩბების ცემით მოჰკლეს მოთმინებიდან გამოსულმა ოსებმა.[4])

უფრო მომეტებული გაჭირვება ადგათ, ვიდრე ოსებს, ქართველ ტომის მთიულებს. თავისი გაჭირვება და შევიწროება მთიულებმა წერილობით მოახსენეს თ. ერისთავს, რომელიც გამოსაძიებლად იყო გაგზავნილი მთაში. მთიულთა ამორჩეულნი კაცნი სთხოვენ გამომძიებელს თ. ერისთავს, ჩვენი გაჭირვება აუწყე მთავარ-მართებელს, მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლიან, სიკვდილი და გაწყვეტა გვირჩევნია, ვიდრე ასეთ მდგომარეობაში ყოფნაო. ტექსტი ამ საჩივარისა ქართულად არის დაბეჭდილი აქტებში და ჩვენც სრულიად და შეუცვლელად მოვიყვანთ აქა, რადგან მეტის-მეტად საყურადღებოა და ვერა ვბედავთ მის შემოკლებას. ეს საჩივარი სავსებით ასურათებს მთაში მომხდარ აღელვების მიზეზსა[5]).

---

[4]) Акты, II, გვ. 305 და Закавк. გვ. 360. ოსებმა არზა მიართვეს თ. ერისთავსა 27 მარტსა 1804 წელსა. ამავე გაზაფხულს დაიწყო მღელვარება მთაში.

[5]) იხ. Акты, II, გვ. 311. სათაური ამ საჩივარისა რუსულად ასეთია: Причины бунта Мтіулетинцевъ. დუბროვინი ასე უწოდებს ამ დოკუმენტს: Объяснительная просьба Тіулетинцевъ. Зак. გვ. 529—530. კაპიტან-ისპრავნიკების წრეს-გადასულმა ბოროტ-მოქმედებამ დიდად შეაწუხა თ. ციციშვილი, ამისათვის მთავარ-მართებელმა დაავალა თ. ვოლკონსკის, საქართველოს გამგებელს, გამოეძიებინა მათი მოქმედება და ბოროტ-მოქმედნი სასტიკად და შეუბრალებლივ დაესაჯა. „თვით-ნებობა სათემო პოლიციისა, ამბობს ნ. დუბროვინი, მოუფიქრებელი და ერის ზნისა და ხასიათის შეუფერებელი განკარგულება იყო მიზეზი, რომ საქართველოს მორჩილი მთის ხალხი და თვით საქართველოც სრულიად აღელდა და ამბოხება მოჰხდაო". Закавк. გვ. 360.

1) კაცისაგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავსწმინდეთ.

2) ჩვენგან გაკეთებულ ამავ გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს; ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაგათხეველი ჯაუნარის ძე.

3) მოვიდა თოვლი და აღმოიცსო ჩვენგან გაკეთებული გზა; ასეთს დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს; წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთემ ხლმის ცემით მიგვყარა, წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭყლიტა.

4) მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენიანი ყაზახი, ამათ უნდებოდათ დღეში სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი. ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5) ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ქირა; ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი,—ესეც მოვითმინეთ.

6) ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ.

7) გვიბძანეს და ოთხი საკირე დავსწვით, ერთი ზაქათკარს, მეორე ბურდულის კარს, მესამე ნადიმაძის კარს და მეოთხე ამირიძის კარზე.

8) თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს ერთობით ჯარში უნდა წახვიდეთო,[6]) და იქიდან გავიგონეთ, წინ ჩვენ უნდა წაეყვანეთ, ჩვენთან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენს უკან სალდათი და შეწყვდეულნი ცემით რუსეთს უნდა გადავერეკენით. დედაკაცნი და

[6]) ერევანს ლაშქრობისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც წვრილნი შინ დარჩებიან, ხიდების საკეთებლად კირი იმათ უნდა გაზიდვინოთო,—ესეები იმათგან გავიგონეთ.

9) დაგვიდეს ფიცი შვიდის წლის სითარხნე, არც ერთი წელი დაგვაცალეს: წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვა საც დებულებისა მაგიერად სულ თეთრი გამოგვართვეს ოთის წლისა. რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსად ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატანინეს თეთრი და წაიღეს. გამოგვართვეს ცხვარზე ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი, ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთ ლიტრა ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

10) ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰკითხეს.

11) ბრძანება იყო, რომელნიც ყაზახნი ადგილ-ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთის ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ, ქერსა და თივას უფასოდ გვართმევენ და ცხენსაც უქირაოდ და კურიელიც ჩვენის ცხენით დაჰყვანდათ.

ჩვენ ამ ზემოხსენებულის მწუხარებისაგან, რომელნიც ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ძლეველის ჯარის საქართველოში განძლიერებას ღმერთსა ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ. ჩვენ ძალს არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვეველინა-რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ,—მარტო მთიულეთში ცემით ოც და სამი კაცი მოკვდარა სხვას გარდა.

თქვენს ბრწყინვალებას ვსთხოვთ, რადგან ჩვენის საქმის შესატყობლად საქართველოს მმართებელისაგან წარმოგზავნილი ბრძანდებით, ეს ჩვენი წერილი მათსვე ბრწყინვალებას წარუდგინოთ.

ერთობით მთიულთაგან წარმოგზავნილნი მოციქულნი, რომელთაც ერთობის პირით ეს წერილი მოგვცეს, სახელით არიან ესენი: ბურდული მღვდელი ათანასე, ნაზღაიძის სახელო ბერი, ბურდულის სახელო ბუჩუქური ფადიაური, ნაზღაიძე დათუნა, ციხის-თავის შვილი გიორგი, ბენიაძე გამახარე.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ეს შესანიშნავი დოკუმენტი სავსებით გვიხატავს, რა გაჭირვებასა და შევიწროებაში ჩავარდნილა მთიულეთი, რა უსამართლობასა და უკანონობას იტანდა ლაღი მთის შვილი. ძნელი მოსათმენი იყო თავისუფლების მოყვარულ მთიულისთვის ასეთი შელახვა და შებღალვა იმის ადამიანობისა, ღირსებისა და თავ-მოყვარეობისა. თვით წმინდანად და ღმერთად აღიარებული მეფე ერეკლე მოწიწებით და თავაზიანობით ეკიდებოდა ამ ბუნების შვილთა,[7]) განთქმულთ გულადობით, მხნეობით, ვაჟკაცობით; და აი ეს ხალხი, არ გასულა სულ რვა-ცხრა წელიწადი მას შემდეგ, რაც მეფე ერეკლე გადაიცვალა, და ისეთ ყოფაში ჩავარდა, რომ მათრახის ცემით ზურგსა და გვერდებს უჭრელებდნენ. მერე ვინ? უბრალო ჯარის კაცი, სალდათი და ყაზახი! როგორ უნდა აეტანა თავმოყვარე მთიულს, თავიდან ფეხამდე იარაღში ჩამჯდარს, რომ თვალ-წინ დედაკაცებს მარხილში აბამდნენ და მათრახით ერეკებოდნენ! საქართველოს მეფენი მხოლოდ ერთადერთ ხარჯსა სთხოვდნენ მთასა, ჯარით დახმარებას, როცა სამშობლოს მტერი შემოესევოდა. ასეთი ბეგარა საპატიო იყო მთიულისათვის და მთიულიც დაუზარებლივ მიდიოდა, როცა კი მეფე მიიწვევდა საომრად. საპატიო ვალდებულების მაგიერ კაპიტან-ისპრავნიკები გზებს აწმენდინებდნენ, საკირეს აწვევინებდნენ და ფოშტის ცხენებივით ბარგსა და ქალალდებს აზიდვინებდნენ კავკავიდან დუშეთამდე. მთის მოხელეთ ესეც არ აკმარეს, შეუძლებელი ხარჯი დაადეს ღარიბ მთიულსა. საცოდავ მთიულთ საქმე ისე გაუჭირდათ, რომ იძულებულნი გაჰხდნენ ეკლესიები და სალო-

[7]) იხ. Очерки по Исторіи грузинской словесности, А. С- Хаханова, стр. 353.

ცავები გაეძარცვათ, ხატები გაეფცქვნათ, ვერცხლი აეძროთ და ეს მამა-პაპეული განძი გაეღოთ უზომო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასეთი უდიერობა მოხელეთა სწორედ ღვთის წყრომად ეჩვენათ მთიულებსა, გული ბოღმა-სიბოროტით აევსოთ და გუშინდელი მეგობრები და მოკეთენი ჟამივით შეიძულეს.

ჰირივით სძულს საზოგადოდ მთის ხალხს ყოველ გვარი ტყუილი და უპირულობა, სიტყვის გატეხა და მუხთლობა. გულს ლახვარივით მოხვდათ ამ ბუნების შვილთ, რომ დაჰპირდნენ, შვიდს წელს გაგათარხნებთო და ამის მაგიერ ერთს წელიწადსაც არ აპატივეს გარდასახადი; არამც თუ არ აპატიეს, ორის წლისა ერთად გადაახდევინეს. ეხლა რომ არაა მთაში ფული, მაშინ ნასახიც არ იქნებოდა და ფულის საშოვნელად, მეტი რა ჯანი ჰქონდათ, ხატ-ეკლესიები შებღალეს და ამგვარად დიდად შეურაცხჰყვეს თავიანთი რელიგიური რწმენა და სასოება.

ამ მოულოდნელის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით მთიულს გული მოუვიდა, გაბოროტდა და პირ-გამეხებული იძახოდა: თუ მალე ბოლო არ მოეღება ასეთს შეუფერებელ მდგომარეობას, სახლ-კარს ცეცხლს წავუკიდებ, შიგ ცოლ-შვილს შევყრი, გადავბუგავ და მეც შიგ ჩავინთქებიო. ასეც არის. მწარე ბედის წინაშე ქედს იხრის მხოლოდ სუსტი და უძლური, სულით ღონიერი კი მხოლოდ მაშინ დაჰმორჩილდება თავის უბედურებას, როცა იღონებს ყოველნაირს ღონისძიებას და ხერხს თავის დასახსნელად. მართალია, მთიულნი მთავარ-მართებელსა სწერდნენ, ძალას არ ვიქადითო, მაგრამ, ცხადია, რომ უსათუოდ იარაღს მიჰმართავდნენ, რაკი შემთხვევა ნებას მისცემდა და ხელს შეუწყობდა.

ასეთი იყო მთიულეთის მდგომარეობა 1804 წლის გაზაფხულზედ. საკმარისი იყო სრულიად უბრალო და უმნიშვნელო მიზეზი, რომ ელექტრონით გაჟღენთილს ცას დაექუხნა, დაეგრიალნა და შხაპუნა წვიმა წამოსულიყო. მოსალოდნელი შემთხვევაც მალე გაჩნდა. ერევნიდან უნუგეშო და სამწუხარო

ამბავი მოვიდა, მთავარ-მართებელი თ. ციციშვილი ველარ დაბრუნდება, სპარსელებმა ჯარი სულ მთლად გაუწყვიტეს და ქართველობა, რაც კი მთავარ-მართებელს ახლდა სალაშქროდ, ტყვედ წაიყვანესო. ამ დროს ტფილისსა და ერევანს შუა მდებარე თათრის დისტანციები, სპარსეთის მთავრობის და ბატონიშვილ ალექსანდრეს ჩაგონებით, აჯანყდნენ და სრულიად შესწყვიტეს მისვლა-მოსვლა ტფილისიდან ერევნამდე. საქართველოში ამ დროს ყველა დარწმუნებული იყო, თვით რუსის მთავრობაც, რომ თ. ციციშვილი ცოცხალი ველარ დაბრუნდება ერევნიდანაო და აი სწორედ რუსეთის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობით ისარგებლა მთამ და იარაღი აისხა რუსთა მართვა-გამგეობის წინააღმდეგ.

VI

ჯარში გასვლა და ამხედრება, სახლ-კარისა და ცოლ-შვილის დატოვება უნუგეშოდ მძიმე ტვირთი ყოფილა ყოველს დროსა და ჟამსა და ასეთსავე მძიმე ტვირთად დარჩება მომავალშიაც. ერთი-ათად ძნელი ასატანია ეს ტვირთი, როცა კაცმა არ იცის, რისთვის ისხამს იარაღსა, ვის უნდა ებრძოლოს, ვის უნდა შეაკლას თავი და შეაქციოს სისხლი. მამულის მოყვარე მხოლოდ მაშინ არა ყოყმანობს, როცა მტერი კარს მოადგება, ან შორიდან მუქარას უთვლის, მოვალ და პირქვე დაგამხობ, გაგლეწავ და სახლ-კარს გადაგიწვავო. მთავარ-მართებელმა თ. ციციშვილმა მთიულთაგან ჯარი მოითხოვა, ერევანს მივდივარ ლაშკრად და თან უნდა წაგიყვანოთო. რასაკვირველია, ერევნის გაგონება მთიულს არ ეუცხოვებოდა, ვინ იცის, მის მამა-პაპას რამდენჯერ გაულაშქრნია ამ ქალაქისაკენ, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო და ეხლა სულ სხვა. წინად სახელოვან ერეკლე მეფეს მისდევდა საომრად დაუძინებელ მტრის წინააღმდეგ, ეხლა კი, ვინ იცის, ვინ იქნებოდა მისი წინამძღოლი და მეთაური. მეფე ერეკლეს უარს ვინ გაუბედავდა, საომრად ვერ წამოვალო, ეს ხომ თავის-მოჭრა და აუტანელი

სირცხვილი იქნებოდა! ან რას იტყოდა, რას იფიქრებდა გმირი მეფე, ჩემმა ერთგულმა მთამაც მიმტყუნა და მხარს აღარ მიჭერსო.

ეჭვი არ არის, ასე ჰფიქრობდა მთა, როცა შეესმა ხმა, ერევნის ლაშქრობისთვის ჯარი უნდა მოაგროვონო. მართლაც, ეს ხმა და მითქმა-მოთქმა მალე გამართლდა. ანანურის მაზრის მარშალი, თავადი თორნიკე ერისთავი, მთავარ-მართებელის ბრძანებით, 1804 წლის მაისის დამდეგს, შეუდგა ჯარის მოგროვებას. ანანურში მოჰკრიფა თ. თორნიკემ ცხენოსანი და ქვეითი ჯარი და დაბანაკდა კაიშაურში. ერისთავს განძრახვა ჰქონდა, კიდევ შეეგროვებინა ლაშქარი ხევში. კაიშაურში თ. თორნიკეს ცუდი ამბები მოუვიდა, ხევი უარზეა, ჯარის-კაცებს არ იძლევა და მუქარასაც უთვლის რუსებსაო. ერისთავი ამ ამბის გამო დიდად შესწუხდა და შეშფოთდა, მიხვდა რის ნიშანიც იყო ეს უარი და მაშინადვე მოციქული აფრინა, დანამდვილებით გამიგე, რა ამბავია ხევში და მოხევენი რას აპირობენო. მოციქულმა ვერაფერი შეიტყო, ხელ-ცარიელა დაბრუნდა, თვითონაც ძლივს ცოცხალი გადარჩა ამძვინვარებულს მოხევეებსა.

აღარავითარი ეჭვი აღარ იყო, რომ მთა შეირყა, აჯანყდა, ურჩობა დაიწყო. საშინელი დრო იყო ეს დრო თ. ციციშვილისთვის. პავლე დიმიტრისძე უკვე ერევნის გზაზედ იდგა და ერთადერთი საშუალება-ღა დარჩა ამბოხების ჩასაქრობლად იქვე დასაწყისში—სასტიკი ბრძანება, ნუ დაინდობთ მეამბოხეთა, ოღონდ მალე გათავდეს ეგ უდროვო-დროს გაჩენილი დაბრკოლებაო, რომელსაც შეეძლო სულ ერთიანად და მოულოდნელად მოეცარა მისთვის ხელი, ხელი, გაწვდენილი სრულიად საქართველოს დამშვიდებისა და დაპყრობისათვის კავკასიონის მთიდან მოკიდებული მდინარე არეზამდე და შავი ზღვიდან კასპიის ზღვის კიდემდე.

აღელვებულ მთის დამშვიდება და დაწყნარება მთავარმართებელმა მიანდო ერისთავიანთ. ამ ძლიერ გვარეულობას დიდი ხმა და რიხი ჰქონდა ხევსა და ოსეთში. სწორედ ეს იყო მიზე-

ზი, რომ მთავარ-მართებელმა ერისთვიანთ ჩააბარა საძნელო საქმე მთიულეთის 'დაწყნარება-დამშვიდებისა. მომეტებული ნაწილი რუსის მხედრობისა სალაშქროდ იყო გაწვეული, ასე რომ ერისთვიანი იძულებულნი შეიქმნენ ებრძოლათ აჯანყებულთა წინააღმდეგ თავიანთის საკუთარის ძალით, ყმებით, მოსამსახურეებით და წვრილ-ფეხა აზნაურშვილობით. ამგვარად, ძალაუნებურად, ეს ომი შინაურ ძმა-მის მკვლელ ომად გადაიქცა.

ქსნისა და არაგვის ერისთავებმა დიდი ერთგულება აღმოუჩინეს რუსებსა პირველშივე, მათის შემოსვლისათანავე საქართველოში. საბუთიცაჰქონდა ამ გვარეულობას ასეთის საქციელისათვის. მეთვრამეტე საუკუნეში მეტის-მეტად გული დასწვა და დაუთუთქა ერისთვიანთ ბაგრატიონთ გვარმა, ერეკლემ მიწასთან გაასწორა თითქმის და აბა რა ჭკუაში მოსასვლელი იყო, არ ესარგებლათ შემთხვევით და არა ცდილიყვნენ დაებრუნებინათ დაკარგული გაელენა და დიდება. საქართველოს ტახტის მემკვიდრე, გენერალ-ლეიტენანტი ბატონიშვილი დავითი, განდევნილი საქართველოდან თ. ციციშვილის მიერ, ოდეს დაბინავდა სამუდამოდ პეტერბურგსა და დარწმუნდა, რომ საქართველოს ტახტს ველარ დავიბრუნებო, შეეცადა, მე ხომ ველარას მოვეწევი და ჩემს მტრებსაც ხეირს არ დავაყრიო. ამის გამო უმაღლესს მთავრობას წერილი მიართვა, თუ გინდათ საქართველო დაწყნარდეს, ესა და ეს მოუსვენარი გვამი იქიდან აქ, რუსეთს გადმოასახლეთო. დაბეზღებულთა სიაში სხვათა შორის პოდპოლკოვნიკი შანშე და მაიორი მირმანოზ ერისთავნი იყვნენ მოხსენებულნი. ეს საყურადღებო სია შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა თ. ადამ ჩარტორიისკიმ თ. ციციშვილს გამოუგზავნა, თვალ-ყური ადევნე სიაში მოხსენებულთაო. ამას შემდეგ თვით შინაგან საქმეთა მინისტრმა გრაფმა კოჩუბეიმ შემოუთვალა თ. ციციშვილს, თქვენი აზრი შეგვატყობინე ბატონიშვილ დავითის მიერ წარმოდგენილ დაბეზღებულთა სიის შესახებაო. მთავარ-მართებელმა ბევრის შესახება სთქვა, რომ საშიშნი არიანო, ზოგიერთს არავითარის ვნებისა და ზარალის მოტანა არ შეუძლიანო და ერისთავნი კი ასე მოი-

ხსენა: „ერისთვიანი იმდენადვე ერთგულნი არიან, რამდენადაც მე შემიძლიან თავი მოვიწონო ჩემის ერთგულებითა. ან კი რა მოსაფიქრებელია, სწერს უქვეშევრდომილესობით იმპერატორს ალექსანდრეს თ. ციციშვილი, რომ ერისთვიანთ გულში ღალატმა დაიბუდოს, როდესაც თქვენის იმპერატორებითის წყალობით დაუბრუნდათ 4,000 კომლი გლეხი და მამული, რომელიც მეფეებმა ჩამოართვეს. წარმოსადგენადაც ძნელია, რომ ერისთვიანი ასე უმადურნი აღმოჩნდნენ. ერისთვიანი ერთადერთი გვარია, რომელსაც ისევე ვენდობი, როგორც რუსებსა; მათი გადასახლება რუსეთში საენებელი იქნება საქართველოსთვის, რადგან მთელი ქართლი ამ გვარეულობას ნდობით უყურებს და რუსების ერთგული არისო“.[8])

მთავარ-მართებელმა სასტიკი ბრძანება უბოძა ერისთვიანთ მეამბოხეთა დასამშვიდებლად: „მახვილით აჰკაფეთ, ლუკმა-ლუკმა ასჩეხეთ და აჰკუწეთ მეამბოხენი; ნუ დაინდობთ, ნუცა შეიბრალებთ მაგ ავაზაკთა და ბარბაროსთა. სახლ-კარი გადაბუგეთ ცეცხლითა, ბრძოლის დროს განსდევნეთ ყოველივე აზრი შებრალებისა და შეწყალებისა.“ [9]) მოხსენებულ თორნიკეს გარდა მთაში მოქმედებდა ელიზბარ ერისთავი, შანშე და მიხეილი. სულ ოთხი წელიწადი არ იყო გასული, რაც რუსები დაბინავდნენ საქართველოში და დასახელებულ თავადიშვილებს უკვე ნაბოძები ჰქონდათ მაიორობისა და პოდპოლკოვნიკობის ხარისხი. დიდად მიჩნეულნი რუსების მიერ, დაჯილდოვებულნი ჩინებითა და ორდენებითა და აღჭურვილნი საშინელის ბრძანებით, ერისთვიანი ერთგულად შეუდგნენ მთის დამშვიდებას. მაგრამ პირველშივე ერისთვიანთ ძალიან გაუჭირდათ საქმე. რუსის მხედრობა ცოტა ჰყავდათ და საკუთარი ყმანი ქსნისა და არაგვის ხეობიდან ჯეროვანს მხნეობას არ

---

[8]) იხ. Акты т. II, გვ. 178. ერისთვიანთ ყმა და მამული მეფე ერეკლემ ჩამოართვა, რადგან სურდა დაემხო ძლიერი ფეოდალობა და გაეძლიერებინა მიმჭრალი და მისუსტებული უფლება მეფობისა.

[9]) იხ. Д—на, Закавк. გვ. 359. ეს ბრძანება აქტებში ვერ ვიპოვეთ.

იჩენდნენ მთიულებთან ბრძოლაში და ბევრი მათგანი უკან გარბოდა. ამისათვის ერისთვიანი მთიდან წამ-და-უწუმ სწერენ საქართველოს გამგებელს თ. ვოლკონსკის, ჩვენი ყმანი სანდონი არ არიან და რუსის ჯარები მოგვაშველეთო, მაგრამ თითქმის ყოველთვის თხოვნა აუსრულებელი რჩებოდა, რადგან თავისუფალი მხედრობა თ. ციციშვილმა წაასხა ერევანს.

შანშე ერისთავი გაჩერდა კაიშაურში, თან ახლდა 612 კაცი ქსნის ჯარისა, ელიზბარი კი დაბანაკდა კობში. ორთავ ძმებს ჰყავდათ საკუთარ ყმებს გარდა ერთი როტა რუსის ჯარისა მაიორ მელლას უფროსობით. ამ როტას ჰქონდა ერთი მძიმე ზარბაზანი, რომლის თრევა ღრე-კლდეებზე საშინლად აბრკოლებდა მხედართ-მთავრებს და, ვგონებთ, სარგებლობის მაგიერ, ზარალი უფრო ბევრი მოჰქონდა. შანშე და ელიზბარმა კაიშაურიდანა და კობიდან მოლაპარაკება დაუწყეს აჯანყებულ მთიულებს, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ, ეგებ როგორმე მშვიდობით და სისხლის დაუღვრელად გავათავოთ საქმეო. ელიზბარ ერისთავმა ორს თიბათვეს მოხევეებს გაუგზავნა არაგვის აზნაურშვილნი ფარემუზ ჭილაშვილი და ბეჟან კობიაშვილი და დაავალა, შეიტყეთ, თვითონ ჰბედავენ მთიულნი აჯანყებას, თუ ვინმე აბრიყვებს და აგულიანებსო; ან როგორ ჰბედავენ რუსეთის წინააღმდეგობას, როდესაც თვით საფრანგეთი და ხვანთქარი ქედს იხრის რუსეთის იმპერატორის ძლიერების წინაშე და ურჩობასა და წინააღმდეგობას ვერ ჰბედავენო. ამასთანავე თავადმა ელიზბარმა ისიც შეუთვალა მეამბოხეთ, თუ მალე არ დაწყნარდებით, სულ დედა-ბუდიან გაგჟლეტაეთ და აგაოხრებთო. ამ ჟამად აჯანყებულებმა საჭიროდ აღარ დაინახეს დაეფარათ მიზეზი ამბოხებისა და პირდაპირ შემოუთვალეს თ. ერისთავს, რუსებმა მეტის-მეტად შეგვაწუხეს, უზომოდ გაგვბეგრეს და მათ შეწუხებას ველარ ვითმენთო. ამისათვის გადაესწყვიტეთ, აღარც ერთი რუსი აღარ გავატაროთ საქართველოში. საშველად მოვიწვიეთ თუში, ფშავი და ხევსურნი და გავგზავნეთ მოცი-

ქულნი ოსეთსა და იმერეთში ბატონიშვილ იულონ და ფარნაოზთანაო.[10])

დიპლომატური მოლაპარაკება ერისთვიანთთანა ხელს არ უშლიდა მოხევეებს სამხედრო სამზადისსაც შესდგომოდნენ. უპირველესი ყურადღება, რასაკვირველია, მეამბოხეთ საქართველოს სამხედრო გზას მიაქციეს და მცირეს ხანს ეს დიდის შრომით და ამაგით გაკეთებული გზა სულ მთლად გააფუჭეს. ანანურიდან დაყოლებული კაიშაურამდე, რაც ხიდები იყო, დააქციეს, თვით გზა გაავსეს უშველებელ ხეებით და ფიჩხით ჩახერგეს, ვიწრო ალაგები ქვითა და კლდის ნატეხებით ამოყორეს, ასე რომ ამ გზით რუსის მხედრობას სრულებით აღარ შეეძლო მისვლა-მოსვლა. მალე მეამბოხეთ მოეშველნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი და დღე-დღეზე ელოდნენ აგრედვე ოსებს და იმერეთიდან მოწვეულ ბატონიშვილებს, რომელთაც წინამძღოლობა და მხედართ-მთავრობა უნდა ეტვირთნათ. ვიდრე ბატონიშვილები გაჩნდებოდნენ ბრძოლის ველზედ, აჯანყებულთ წინამძღოლობას უწევდნენ ლევან ნაზღაიძე და სამუკა. როგორცა სჩანს თ. ერისთავის რაპორტიდან, მეამბოხეთ წმინდა გიორგის ხატზე დაიფიცეს, სულ ერთიანად გავწყდეთ, ოღონდ კი რუსეთის ბატონობას ბოლო მოეღოსო. ერთის სიტყვით, მთა სავსებით შეირყა, აღელდა და საშინელის ომისთვის ემზადებოდა. არ უღალატა რუსებს მხოლოდ ყაზბეგის ბატონმა მაიორმა გაბრიელ ყაზბეგმა. მებატონეს ერთგულობდა სამასი ხელქვეითი და მხოლოდ ეს მცირე რაზმი უწევდა მომხრეობას რუსებს აჯანყების ცეცხლით მოდებულ მთაში.

მეამბოხეთ შეჰკრეს, როგორც კავკავის გზა, აგრედვე ტფილისისა და არავის უშვებდნენ მთისაკენ არც კავკავიდან და არც ტფილისიდან. რუსის მხედრობის უფროსებს თავად ერისთვიანთ საშინლად გაუძნელდათ ამის გამო ამბების მიწოდება ტფილისსა საქართველოს გამგებელთან. რაპორტები და მოხსენებანი იგზავნებოდა რუსის ყაზახთა და სომხების ხელით; მო-

[10]) იხ. Акты, II, გვ. 306—307; Закавказье Дубровина, გვ. 359.

მეტებულ ნაწილად ეს კურიერები ღამ-ღამობით მოგზაურობდნენ, რომ მეამბოხეთ ხელში არ ჩავარდნოდათ უფროსებისაგან მიცემული ქაღალდები, მაგრამ მეამბოხეთა ყარაულები იჭერდნენ იმათა და ჰხოცავდნენ. სულ მცირე ხნის განმავლობაში მოხევეებმა გაბაწრეს რამდენიმე ყაზახი და ორი სომეხი რაპორტებით და უწყალოდ სიცოცხლეს გამოასალმეს.

პირველი შებრძოლება მეამბოხეთა და რუსთა შორის მოჰხდა კაიშაურთან. აქ განწესებული იყო ყაზახთა პოსტი საქართველოს სამხედრო გზის ყურის საგდებლად. ამ პოსტზე სულ ჩვიდმეტი ყაზახი იყო დაბინავებული. მოხევენი დაეცნენ პოსტსა და სულ ერთიანად დაანგრიეს და მილეწ-მოლეწეს იქაურობა. ჩვიდმეტ კაცში გადარჩა მხოლოდ ცოცხალი ორი ყაზახი, ვლასი ბორისოვი და საბა ნეხლებაევი. საცოდავს ბორისოვს მხოლოდ პერანგი-ღა შერჩენოდა ტანზე და ნეხლებაევისთვის ეს მცირე სამოსელიც შემოეფხრიწათ. პერანგის ამარად დარჩენილი ბორისოვი და დედის ამარა ნეხლებაევი, გულ-გახეთქილნი, დაკაწრულ-დასისხლიანებულნი ღადა-ღუდა გზებზედ სიარულით, შუაღამისას მოცვინდნენ დუშეთს და უამბეს კაპიტან-ისპრავნიკს კაიშაურის პოსტის აკლების ამბავი. რაც კაიშაურის პოსტში მეამბოხეთ სურსათი და ტყვია-წამალი იპოვნეს, ერთიერთმანეთში გაიყვეს [11]).

საქართველოს გამგებელი, გენერალ-ლეიტენანტი თ. ვოლკონსკი, ეტყობა, კარგი ხანს ვერ მიხვდა და ვერ შეიგნო მთაში მომხდარი არეულობის მნიშვნელობა. ალბად თ. ვოლკონსკი ჰფიქრობდა, რომ მთელი თემი კი არ ეურჩება რუსეთის მართვა-გამგეობას, არამედ რამდენიმე თავზე ხელაღებული უაჩალი და ავაზაკი, რომელთაც მხოლოდ მგზავრების ძარცვა-გლეჯა ათამამებს, და სხვა არაფერიო. მით უმეტესად საფიქრებელია ესა, რომ მაშინდელ შფოთიან და მოუსვენარ დროს უაჩალობა და თულობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და თვით კაიშაურის პოსტში დაბანაკებულ ყაზახების ამოჟლეტა აგრე

[11]) იხ. Акты, II, გვ. 308—309.

რიგად არ იყო გასაკვირველი. თუ არ ესეთი მოსაზრება, ძნელია მიხვდეს კაცი, რა იყო მიზეზი თ. ვოლკონსკის ყოყმანისა და ზოზინისა. მთავარ-მართებელმა თ. ციციშვილმა საქართველოს გამგებელს სული და გული აქ დაუტოვა, ფთხილად იყავი, მტერს ყური უგდეო და თ. ვოლკონსკი ენერგიულად მოქმედების მაგიერ, შევიწროებულ ერისთვიანთ არავითარ ნამდვილ შემწეობას არ უჩენდა[12]). ბოლოს თ. ვოლკონსკიმ გაჰგზავნა სურგუნოვი[13]) და დაავალა, გასწმინდე და გაასუფთავე მეამბოხეთა მიერ გაფუჭებული საქართველოს სამხედრო გზაო. სურგუნოვს თან გაატანა ერთი როტა რუსის ჯარისა და 300 კაცი დუშელები. მაგრამ მეამბოხეთ გზა შეუკრეს და საშუალება არ მისცეს გაგზავნილებს ასულიყვნენ ანანურამდე. ამ სახით, რუსეთისა და საქართველოს შემაერთებელი სამხედრო გზა დარჩა გაოხრებულ-გაფუჭებული და კავკავიდან მაშველი ჯარი ფეხსაც ვერ გადმოსდგამდა საქართველოში.

ერისთვიანი დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. ამბოხება თანდათან ვრცელდებოდა და გაძლიერებულ მტრის შესაკავებლად კი საშუალება მცირე ჰქონდათ. ეტყობა, რაპორტს რაპორტზე უგზავნიდნენ თ. ვალკონსკის, ჯარი, სურსათი და ტყვია-წამალი მოგვაშველეო, ტფილისიდან კი სანუგეშო ამბავი არა მოდიოდა-რა. ქვემოდ სხოლიოში მოყვანილი საკუთარის ხელით დაწერილი რაპორტი თ. ერისთვისა ცხადადა ჰმოწმობს, რა დიდს შევიწროებასა და შეწუხებაში ჩავარდნენ რუსის მხედ-

---

[12]) თ. ციციშვილმა სამხედრო კაცი განგებ მოიწვია საქართველოს გამგებელად, რომ როცა თვითონ საქართველოში არ იქნებოდა, გამგებელს სამოქალაქო საქმეთა გარდა სამხედრო საქმეების გამგეობაც შესძლებოდა. იხ. Зткавк. გვ. 360.

[13]) ვოლკონსკის მიერ გაგზავნილი მიკირტუმ სურგუნოვი იყო ტფილისის ნაცვალი, ანუ პოლიცმეისტერი. ამ სურგუნოვმა, როგორც ჰმოწმობს დუბროვინი, ხელი ფაფახში გაჰყო და ამგვარად წაართვა დედოფალ მარიამს ხანჯალი, რომლითაც, ვითომ, დედოფალმა გაჰგმირა გენერალი ლაზარევი. თ. ციციშვილს სძაგდა სურგუნოვი და სამართალშიც მისცა, რადგან და ჰბრალდა სოდომისა და გომორის ცოდვა. ნაცვლობა სურგუნოვს მეფე გიორგი XIII-მ უბოძა. იხ. Закавк. Д—на, გვ. 87, 498; Акты, II, გვ. 43.

რობა და მისი უფროსნი ხევში. ეს საკუთარის ხელით დაწერილი რაპორტი იმდენად საყურადღებოდ და საინტერესოდ მიგვაჩნია, რომ არ შეგვიძლიან თითო-ოროლა ალაგი მაინც არ მოვიყვანოთ აქა. ამ რაპორტიდან ადვილად დაინახავს მკითხველი, რამდენად იცოდნენ რუსული ახლად გამოჩეკილმა პოდპოლკოვნიკებმა, თუმცა, ღვთის წინაშე, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ სწორედ საკვირველია, ან კი აგრე როგორ შეისწავლეს უცხო ენა ერისთვიანთ სამის წლის განმავლობაში.[14])

ამბოხება-აჯანყებისა და შფოთის მოედანი თანდა-თან ფართოვდებოდა. თიბათვის დამდეგს ბრძოლის ველზე გამოვიდნენ მთელის ოთხის ხეობის მკვიდრნი: ჩარტალისა, გუდამაყრისა, ხანდოსი და მთიულეთისა. შეთოფ-იარაღებულნი მეამბოხენი არა ჰმალავდნენ, რისთვის აისხეს იარაღი. საცა კი შემთხვევა ეძლეოდათ, პირდაპირ გაიძახოდნენ, აღარ გვინდა რუსების ბატონობა, მაგათ იმედი არ გავვიმართლეს, შვება-ლხენის მაგიერ რუსებმა ულმერთო ცემა-ტყეპით, უზომო ხარჯითა და ბეგრით სული ამოგვართვესო. ანანურის კამენდანტს მაიორ პოკატაევს მეამბოხეთ მოციქული გაუ-

---

[14]) Петь расъ репортавалъ къ вашему сятѣлству, два репортъ мтиулски народ которій бунтуитъ ани поймали, а три репорты прашли чрезъ ксани, а отъ вашего сятѣлства никакой резалуця неимею, и ожидаю кажди денъ; Мтиульскій народ собиравшій, пришли въ коби около тисячь человекъ, изъ Трусо народ осетинци сединилисъ около сто человекъ, и также хателисъ чтобы хевски народ къ себе собиратъ однако нихто не согласились хто сутъ подъвластъ Манора Казибегова, а какъ видали ани что хевски народъ не соединилисъ назадь ушли но изъ коби брали казоній правянти и железа и свица, и пополамъ раздилилисъ мтиулски народъ, и трусоскій народъ, осмеюсъ долажить вашему сятелству ето дѣло не пустоя, имѣютъ учителы въ имеретій послалисъ человекъ къ царевичамъ, и убили нѣсколико казаки и два Арменини, и перой расъ према послалъ я куриелы ани поимали, и взали образъ светаго георгя и присягъ приняли чтобь не будемъ російски подданъ говаритъ.

Изъ лавдикавки писмо палучил манор казибеговъ отъ генералъ маіора несветова что он воисками прибили въ лавдикавкѣ, и спрашуитъ объ дороги, за дариела не одной мостъ нетъ; ваши сятѣлство, ешчо прибавте две рота, не расердите на меня что ещо воиска просилъ теперь Арагвски люди для меня негадица... какъ будитъ отъ вашего сятѣлства ордеръ, я такъ буду зделать. Акты II, стр. 308.

გზავნეს და შეუთვალეს, მცხოვრებლებს გამოუცხადე, რაც შეიძლება მალე გაიხიზნენ, ჩვენ არც მაგათ და არც მათს ქონებას ხელს არ ვახლებთ, მარტო რუსობასთანა გვაქვს საქმე და მაგათ ვებრძვითო. მთაში მომწყვდეულ თ. ელიზბარ ერისთავს ესევე შეუთვალეს აჯანყებულთა მოციქულის პირითა: შენ საცა გინდა, იქით გაგიშვებთ უვნებლად, მხოლოდ თუ რუსის ჯარი გეყოლება თანა, სულ ერთიანად ამოგწყვეტავთო.[15])

მეამბოხენი გარს შემოერტყნენ დუშეთსა, ანანურსა, კობსა, ლარსსა, კაიშაურსა, სტეფან-წმინდას და ლომისასა. მათი რიცხვი ოთხი ათას კაცზე ნაკლები არ იქნებოდა ამ დროსა, თუმცა ჯერ-ჯერობით თუშ-ფშავ-ხევსურთა მონაწილეობა არ მიეღოთ ბრძოლაში. შეშინებული საქართველოს გამგებელი თ. ვოლკონსკი მისაშველებელ რუსის ჯარებსა ჰგზავნიდა, რამდენიც კი შეეძლო, ყველა საშიშო და საფრთხე ალაგას. რადგან ქსნის ხეობიდან ხევს მიმავალი გზა გააფუჭეს მთიულთა და საფიქრებელიც იყო, რომ თაგაურელები და თრუსოს თემის ოსები საერისთაოს ოსებს მოიწვევდნენ საბრძოლველად, ამიტომ თ. ვოლკონსკიმ უბრძანა ერისთავიანთ, ქსანს გაუფრთხილდით, რომ აღელვების ცეცხლის ალი თვით ქართლს არ მოედოსო. გამგებელმა გენერალ-მაიორი ტალიზინი გაისტუმრა მთისაკენ ერთი ბატალიონი ჯარით და თვითონაც დააპირა წასვლა ანანურსა. არც ვოლკონსკი და არც მაზრა-მაზრად გაბნეული რუსის მხედრობა არ მოელოდა, თუ ასე გამწვავდებოდა საქმე. ამის გამო ჯარი სრულიად მოუმზადებელი იყო ბრძოლისათვის, ტყვია-წამალი საკმარისი არა ჰქონდა და სურსათი ხომ პირველ ხანშივე შემოაკლდათ. ლარსის ციხეში დაბანაკებულნი ჯარის-კაცნი შიმშილით იხოცებოდნენ. ლარსის კომანდის უფროსი შჩიგოლევი ვედრებითა სთხოვს და ემუდარება რუსების ერთგულს გაბრიელ ყაზიბეგს, მცირედი რამ საჭმელი მოგვაწოდე, თორემ იძულებულნი ვიქნებით, შიმშილით ილაჯ გაწყეტილთ, ციხეს თავი დავანებოთ და წავიდეთ იქით, საითაც ამ გაჭირვებაში მოსახერხებელი იქნებაო.

[15]) ibidem. II, გვ. 308—309.

თ. ვოლკონსკი იმედს მაინც არა ჰკარგავდა, ეგებ როგორმე აჯანყებული მთიულეთი ტკბილის მოქცევით დავამშვიდოო. ამისათვის გაჰგზავნა მთაში თ. რევაზ ერისთავი, გიორგი ამილახვარი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი და კავთისხევის მონასტრის არხიმანდრიტი დოსითეოსი. მოციქულებმა თან წაიღეს კათოლიკოსის წერილი. უფროსი მღვდელ-მთავარი საქართველოს ეკლესიისა ემუდარებოდა მეამბოხეთ, თავს ნუ იღუპავთ, დაწყნარდით და დაჰმორჩილდით რუსეთსაო. თვისის მხრით თ. ვოლკონსკი ჰპირდებოდა, თქვენს საჩივარს დაწვრილებით გამოვიძიებ, ყოველს თქვენს სიმართლეს შევიტყობ და, თუ მართლა გზის გასაწმენდად გადადებული სასყიდელი არ მიგიღიათ, დაგაკმაყოფილებთო. მოციქულებმა ბევრი ვერა გააწყესრა მთაში, მხოლოდ ეს კი მოახერხეს, რომ თან ჩამოიყვანეს ტფილისს სამი ამორჩეული მთიული. ამათაც ვოლკონსკიმ პირადად გამოუცხადა, ოღონდ ნუ ჰშფოთავთ, დაწყნარდით და დღეიდან აღარავითარ შეწუხებას აღარ მოგაყენებთ, არ გამოვიყვანთ აგრედვე თქვენგანს სალდათადაო (რეკრუტი). მთიულები დაჰპირდნენ საქართველოს გამგებელს, ვეცდებით შევასრულოთ თქვენი თხოვნა და დავამშვიდოთ აღელვებული მოძმენიო. მიუხედავად ასეთის დაპირებისა, ვოლკონსკიმ მაინც საჭიროდ დაინახა კიდევ ერთი გენერალი, სახელდობრ სარდალი ორბელიანი, გაეგზავნა ბრძოლის ველზედ[16]).

თიბათვის ნახევრამდე რუსებსა და მეამბოხეთა შორის მხოლოდ მცირე შებრძოლება და კინკლაობა მოხდა რამდენჯერმე. ხშირად საათობით ერთიერთმანეთს პირისპირ უცქეროდნენ, მაგრამ თოფის სროლას ვერა ჰბედავდნენ. მომეტებულ ნაწილად მტრები ერთმანეთსა ჰზვერავდნენ და თვალყურს ადევნებდნენ. ასეთი იყო მაგალითებრ შებრძოლება ადოს მინდორზე, ჯვარის მთის ახლოს, ათს თიბათვესა. აქ იყო გამაგრებული თ. თორნიკე ერისთავი, თან ახლდა ერთი როტა რუსის ჯარისა და ქსნის ხეობის ქართველობა. მეამბოხენი

[16]) ibid. II, გვ. 315—316.

უცბად თავს დაესხნენ ერისთავს და უცბადვე შესწყვიტეს ბრძოლა. სიკვდილით არავინ დაჰკლებია ერისთავსა, დაეჭრა მხოლოდ ორი ქართველი. რუსის ჯარის-კაცებმა რამდენიმე სიმაგრე წაართვეს მეამბოხეთ, მაგრამ, რადგან თავი არა ჰქონდათ ეს სიმაგრეები სამუდამოდ დაეჭირათ, მალე მიატოვეს და სოფელ კაიშაურისაკენ გაეშურნენ. მეამბოხეთ რუსებისაგან დატოვებული სიმაგრენი ხელმეორედ დაიჭირეს და გაამაგრეს. თორმეტ თიბათვეს სამთავე ძმანი თორნიკე, შანშე და ელიზბარი ლომისის მთასთან შეიყარნენ. დილა-ადრიან აჯანყებულნი დაესხნენ თავსა და თითქმის ექვსი საათი გასტანა თოფის სროლამა. ზარალი მებრძოლთა შესამჩნევი იყო. რუსებს მოუკლეს სამი სალდათი და შვიდიც დასჭრეს; დაიჭრა აგრეთვე ორი აზნაურშვილი და ერთი გლეხი. მეამბოხეთა ზარალი გაცილებით დიდი იყო. სულ დაეჭრათ და დაეხოცათ 40 კაცი. ამ ბრძოლაშივე მოიკლა აჯანყების ერთი მეთაურთაგანი მხნე და მამაცი ბურდული. ბურდული, არამც თუ მარტო ხევს აქეზებდა რუსების წინააღმდეგ და მეთაურობდა აჯანყებულთ, არამედ ხშირად დაიარებოდა თაგაურში და იქაც ოსობას ასისიანებდა და აგულიანებდა საომრად.

ადრის მინდორზე ბრძოლის შემდეგ მაიორი მელლა და ერისთვიანი ქსნის ხეობისაკენ გაბრუნდნენ. უსურსათობამ საშინლად შეაწუხა გამობრუნებული მხედრობა. გზა-გზა მეამბოხენი მოსვენებას არ აძლევდნენ და 14 თიბათვეს ხელ-ახლა მოუხდათ ბრძოლა ლომისასთან. ბრძოლამ ოთხ საათზე მეტს გასტანა, მხნედ მიჰქონდათ იერიში მეამბოხეთ, მაგრამ რუსობა და ქართლელები მაინც ვერ განაბნიეს ლომისიდან. ამ ბრძოლაში რუსებს მოუკლეს ერთი უნტერ-ოფიცერი, ორი სალდათი და ექვსიც დასჭრეს [17])

მოსვენებას მეამბოხენი არც გენერალ ტალიზინის რაზმს აძლევდნენ. სიონაც კი გაიწევდა გენერალი, მთიულნი წინ გადაეღობებოდნენ და უბრძოლველად ერთის ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდა ტალიზინის მხედრობა. თ. ვოლკონსკიმ უბრძა-

[17]) Акты, II, გვ. 315, 317.

ნა ტალიზინს, ლმობიერებას ნუ გამოეკიდები და იარაღით დაიმორჩილე თავგასულნი მთიულნიო. ამისათვის ტალიზინი უბრალო მოლაპარაკებაში დროს არა ჰკარგავდა და პირდაპირ საქმეს შეუდგა. შეიტყო თუ არა, რომ აჯანყებულთ სოფელ ციხის ძირთან ყარაულები დაუყენებიათო, მაშინვე იქითკენ გაემართა თვისის მხედრობით. განზრახვა ჰქონდა, ბანაკი ამ სოფელში დაეცა და აქედან ემოქმედნა მეამბოხეთა წინააღმდეგ. მართალია, ჯარი მაინც-და-მაინც ბლომად არც ამ გენერალსა ჰყავდა, სულ 90 გრენადერი, 50 მუშკეტერი, 46 ყაზახი თავიანთ კომანდირ ტარასოვით და 60 ქართველი, მაგრამ დიდს უპირატესობას ამ მცირე რაზმს აძლევდა ორი ზარბაზანი. აჯანყებულთ, რა თქმა უნდა, ზარბაზნები არა ჰქონდათ და ამის გამო საშინელი ზარალი ეძლეოდათ, თუ კი როგორმე მეამბოხენი ზარბაზნების მოქმედების წრეში მოჰყვებოდნენ ხოლმე. რასაც ერთი გლახა ზარბაზანი ნავნევს აძლევდა მეამბოხეთ, იმდენს მთელი ბატალიონი ვერ აკლებდა.

თიბათვის 11 ტალიზინი მიუახლოვდა ციხის ძირს ნაშუადღევის 2 საათსა. ბრძოლა მაშინვე გაიმართა და არ შეწყვეტილა თოფების სროლა საღამოს ცხრა საათამდე. ერთს სიმაგრეს რომ დაჰკარგავდნენ მეამბოხენი, მეორეში გადადიოდნენ და იქიდან იწყებდნენ გაჯიუტებულ თოფის სროლას. უხერხულად და აჩქარებით გაკეთებულ სიმაგრეებს ტალიზინის ზარბაზნები ჩიტის ბუდესავით არღვევდა. ეს გარემოება დიდად უწყობდა ხელს ტალიზინის ჯარსა და აადვილებდა მთიულთა დამარცხებას. საღამოს, კარგმა ხშირმა ბინდმა რომ დაჰკრა, მთიულებმა დაიხიეს გოდარეთისკენ, მთის ძირას. ტალიზინმა აქაც შეუტია მეამბოხეთ და უკუ აქცია. ციხის ძირთან მებრძოლ მთიულთა რიცხვი ათასამდე იყო. თერთმეტ თიბათვის ბრძოლაში დიდად დაზარალდნენ მეამბოხენი, რაც საიმედო სიმაგრენი და სანგლები ჰქონდათ, სულ ერთიანად დაუქციეს რუსებმა და ძალა-უნებურად მეამბოხეთ დღეის შემდეგ პირდაპირ უნდა ებრძოლათ რუსებთან, ვიდრე ქედს არ მოიხრიდნენ. თორმეტმა თიბათკემ მშვიდობით ჩაირა, მხოლოდ

მეორე დღეს გენერალი ხელ-ახლა შეებრძოლა მთიულთ და დამარცხებული მთიულნი გაემართნენ ჭარტალის ხეობისკენ, მაგრამ მიატანეს თუ არა ხეობის პირსა, წინ გადაეღობა ახალის ჯარით შტაბს-კაპიტანი კიტკევიჩი, რომელიც ტალიზინთან მოდიოდა შესაერთებლად. ორ ცეცხლ შუა ჩავარდნას რომ იტყვიან, სწორედ ის დაემართათ მთიულთ. უკან ტალიზინი იყო დაბანაკებული, წინ კიდევ კიტკევიჩი გადაეღობა ახალ დასვენებულ ჯარითა. გზას როგორც იქნებოდა გაიკვლევდნენ მეამბოხენი, ხეობა მეტის-მეტი ვიწრო რომ არ ყოფილიყო. სწორედ უგუნურებას ეგვანებოდა წინ წასვლა, რადგან საკმარისი იყო რამდენიმე მეომარი გადაჭრობებოდათ შუაში და სულ-ერთიანად ამოჟლეტავდნენ ლტოლვილთა. რაკი ასეთს ცეცხლში ჩაცვივდნენ მთიულნი, ისევ უკან დაბრუნება არჩიეს და ხელმეორედ შეუტიეს ტალიზინის ჯარსა. ბრძოლამ ორ საათს გასტანა და ბოლოს მთიულნი ძლეულ იქმნენ. რაკი მეამბოხეთ ველარ შესძლეს წინააღმდეგობა ორივ მხრივ მომდგარ მტრისა, უგზო-უკვლოდ და უწეს რიგოდ დაიფანტნენ. გენერალმა ტალიზინმა ლტოლვილთ გამოუყენა თ. პეტრე ორბელიანი, რომელმაც შეასრულა, რაც კიტკევიჩმა და ტალიზინმა დააკლო მეამბოხეთ. თ. ორბელიანმა არც ერთი სიმაგრე აღარ დასტოვა დაუქცეველი და სრულიად გაჰფანტა მეამბოხეთა რაზმები. ამით დასრულდა 13 და 14 თიბათვეს შებრძოლება.

გენერალ ტალიზინის მოხსენებაში (რელიაცია) არ არის ცნობანი იმისი, რამდენი კაცი მოჰკლეს, ან დასჭრეს მეამბოხეთა შორის. სამი დღე განუწყვეტელი ბრძოლა და თავს-დასხმა არ შეწყვეტილა და რადგან მთიულნი, ტალიზინის სიტყვით, დიდად დაჰმარცხდნენ, უეჭველია, სიკვდილითაც ბევრი ვაჟკაცი გამოეთხოვებოდა წუთი-სოფელსა. თვით რუსებს მაგდენი ზარალი არა მოსვლიათ რა, სულ მოუკვდათ 4 ჯარისკაცი და დაიჭრა 17. დაჭრილთა შორის ერია ყაზახთა უფროსი ტარასოვი და პოდპორუჩიკი მარკოვი. ამ სამი დღის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წარჩინებულმა თავადიშვილებმა: გენერალ-მაიორმა თ. ორბელიანმა, ზურაბ ორბე-

ლიანმა და თ. იოსებ მელიქიშვილმა. გენერალი ტალიზინი ქებადიდებით იხსენიებს თ. თეიმურაზ მუხრან-ბატონს, ლუარსაბ სუმბათაშვილს, თ. იოსებ შემისოვს (?) და აზნაურს ყაფარ ხანდამოვს. ესენიო, ამბობს ტალიზინი, მსროლელთა რაზმით გულადად შეუტევდნენ მთაზე გამაგრებულ მეამბოხეთ და მუსრს ავლებდნენ ხოლმეო. აზნაურშვილნი შაბური შაბურიშვილი, ჯორაშვილი, ფარამან ათანასი ბერძნიშვილი და დანარჩენი ქართველობა ისე იქცეოდნენ ომის დროს, როგორც წესი და რიგი მოითხოვდაო, მაშასადამე, მხნედ და მამაცურად, თორემ ტალიზინი ასეთს ლექსს არ იხმარებდა. მაგრამ ყველაზე მეტი მხნეობა, ვაჟკაცობა და გმირობა ამ ბრძოლაში გამოუჩენია ქართველთა შორის თ. პეტრე ორბელიანს. ტალიზინის სიტყვით, თ. პეტრე მეხივით ეცემოდა მეამბოხეთ და მუსრს აელებდა, სანგლები და სიმაგრენი მრავალი წაართვა და დაუნგრია. სახელი მოიხვეჭეს ქართველებთან ერთად აგრედვე ბევრმა რუსის აფიცრებმაც. თხუთმეტ თიბათვეს არის დაწერილი ეს მოხსენება ანანურსა, მაშასადამე, ბრძოლის გათავების მეორე დღესვე. იმედი მაქვსო, სწერს დასასრულ გენერალი ტალიზინი თ. ვოლკონსკის, დაუჯდომებელს არც ერთს არ დასტოვებთ, რათა შემდეგისთვის უფრო მხნედ და ერთგულად აასრულონ მეომართა თავიანთი მოვალეობაო.[18]).

ქართლისა და რუსეთის მხედრობის ბრძოლა მთიულებთან 10—15 თიბათვეს ჩვენ ისე ავწერეთ, როგორც ნაამბობია აქტებში, გენერალი ტალიზინის და ერისკაცთა რაპორტებში. ამათ რომ დაუჯეროს ადამიანმა, ისე ეგონება, რუსებმა და ქართლელებმა მთიულ მეამბოხეთ სულ ზურგზე ბოლი აადინესო. მართალია, მთიულნი კარგად ვერ იყვნენ შეიარაღებულნი, ზოგს, თვით დუბროვინის სიტყვით, თოფიც არა ჰქონდა, და ამისათვის ადვილი საფიქრებელია, რომ მეამბოხენი კეტებით ბევრს ვერას გახდებოდნენ ხმლითა და თოფით შეიარაღებულ ჯარის-კაცებთან, მაგრამ ნამდვილად კი საქმე ისე არ იყო, როგორც ერისთვიანი, და გენერალი ტალიზინი მოახსენებ-

[18]) ibid. II, გვ. 316.

დნენ თ. ციციშვილს და ვოლკონსკისა. ეს იქიდანა სჩანს, რომ მაიორ მელლამ, რაკი ვერ შესძლო ბრძოლა და ვერ გაუმკლავდა მეამბოხეთ, ზარბაზნებს თავი ანება და ქსნისაკენ გამოიქცა. „თქვენი სამარცხვინო უკან დახევაო, სწერდა მთავარ-მართებელი მაიორ მელლას, არ დარჩება ისე, რომ ჯეროვანად არ დაისაჯოსო“ [19]). სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს ტალიზინის მოხსენებაც. თუ ტალიზინმა აგრე შეაწუხა მეამბოხენი და ცხვრებივით გაჰფანტ-გამოჰფანტა, მაშ რაღად დაიხევდა უკან თ. ვოლკონსკისთან ერთად, რომელიც მხოლოდ ანანურამდე ავიდა ერთი ბატალიონი ჯარით და შემდეგ ტფილისს დაბრუნდა? ოთხი-ხუთის დღის ბრძოლამ მთიულებთან დაარწმუნა მთავრობა, რომ ხუმრობა შეუძლებელია და დიდ სამზადისსაც შეუდგა ამბოხების ჩასაქრობად, რაიცა ქვემოდ იქმნება მოთხრობილი. აქ მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვათ, რომ საზოგადოდ ოფიციალურ ქაღალდების ნაამბობი ხშირად სიმართლეს არის მოკლებული და დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ჭეშმარიტებას მიაგნო, განსაკუთრებით თვისთა გამარჯვებათა გაზვიადება უყვართ სამხედრო წოდების კაცთა. მცირე რამეს ისეთის კილოთი მოახსენებენ უმაღლეს მთავრობას, კაცს ეგონება, მტერი სულ აუკლიათ და ჯარის მიმატებას რიღასთვის თხოულობდნენ, ვეღარ მიხვედრილხარ. დუბროვინის თხზულება „ამიერ-კავკასია“ მართლა საუცხოვოდ არის დაწერილი. მამულის მოყვარე რუსს სული გაუნათლდება და გული სიამოვნებით დაუტკბება ამ წიგნის კითხვის დროს, ისე ნათლად არის აღწერილი მოქმედება და ქველობა რუსეთის მხედრობისა ჩვენს ქვეყანაში, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ მრავალი ამბავი, აქ მოთხრობილი, ჭეშმარიტებას არის დაშორებული და ამისათვის სრულიად სანდო არ არის, თუ სხვა ცნობით არ იქმნა ჯეროვანად შემოწმებული. აი რა აზრი წარმოსთქვა ამ წიგნის შესახებ უცნობმა რეცენზენტმა: „ვურჩევთ ყოველ გა-

[19]) Закавк. Д—на, გვ. 367.

ნათლებულ კაცს წაიკითხოს საფუძვლიანად დაწერილი თხზულება დუბროვინისა; წიგნი სავსეა უმაღლესის ინტერესითა და თვალ-წინ გეშლება საუცხოვო სურათი კავკასიაში რუსთა მოქმედებისა. მკითხველს სასიამოვნოდ დარჩება ეს ბრწყინვალე სურათი რუსების მოღვაწეობისა და ძალა-უნებურად გაიტაცებს ოფიციალურ მოხსენებათა მოთხრობის კილო. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რა მშვენიერი და კარგი იყო აგრედვე ოფიციალური მოხსენებანი თითქმის გუშინ გათავებულ ყირიმის ომის შესახებ, მაშინ აგრე ადვილად ვეღარ ვენდობით „Закавказье“-ს ავტორის მოთხრობას. რა თქმა უნდა, ავტორი კარგად მოქცეულა, რომ თავისს თხზულებაში ბევრი მასალა შეუგროვებია რუსების მოქმედებისა იმიერ-კავკასიაში, მაგრამ უნდა ვუსაყვედუროთ, რომ საგანი განუხილავს მხოლოდ ცალ კერძობით და კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გაუტარებია შეკრებილი მასალა“.[20])

ასე მოიხსენია დუბროვინი თავისმა თანამემამულემ და ჩვენ ხომ უფრო ნაკლები საბუთი გვაქვს მეტის ნდობით მოვეპყრათ მის მიერ მოთხრობილ ამბებსა.

ს. ფრანცევი

---

[20]) იხ. Отечественныя записки, 1867 г. Май.—Современ. хроника, стр. 12.

მესამე საქმე

გულიელმო ფერეროსი [1])

ეხლანდელ საზოგადოების თავისებური ფორმა დიდი ცვლილება და კრიზისი მოელის; ამის წინამორბედი ნიშნები იმდენად მრავალია, რომ კარგი დაკვირვებული მეთვალყურე უოველ დღე ახალს საბუთს ჭვრეტდეს. მოდით ერთი ჩვენც მივუოთ ხელი ექიმობას, და დავეხმაროთ იმ სატკივრის სენის გამოკვლევას, რომელიც ღრღნის დღევანდელს ჩვენს საზოგადოებას; გავიცნოთ ახალი ფორმა ქორწინების გარეშე ცხოვრებისა (celibat), ანუ, უკეთ ვსთქვათ, უმეულდეობისა, რომელსაც თუმცა სარწმუნოება არა აქვს საფუძვლად, მაინც იმ ზომამდე კი გაუდგამს ფესვი, რომ ღამის, შუა საუკუნეთა ბერ-მონაზონობას დაემზგავსოს.

უოველ განათლებულ ქვეყანაში ქალმა და კაცმა კარგად იცის განმარტდილებით, რაგორ ძნელდება დღითი-დღე კანონიერად დაკვშირება ერთმანეთს შორის. ურიცხვი დაბრკოლებანი, განსაკუთრებით ეკონომიური სასიათისა, ელობება ამ საქმეს წინ და მრავალნი, რომელთაც სამუდამოდ დაუკარგავთ იმედი ოდესმე ამ დაბრკოლებათა დაძლევისა, ემორჩილებიან თავიანთ სვედრს და სელს იღებენ ქორწინებაზედ. ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს დიდძალი სალხი ორისავე სქესისა, რომელიც ცალად დარჩენილა და ეწევა ბუნების შეუფერებელს ცხოვრებას, დიდს გავლენას იქონიებს მთელს საზოგადოებაზე, და უქმრად დარჩენილი ქალი უფრო მეტად შესცვლის დღევანდელ ცხოვრების სახეს, ვიდრე უცოლოდ დარჩენილი კაცი.

---

[1]) იხ. Revue des Revues, 1895, № 1.

მართლაც, უცოლო მამა-კაცი, თუმცა ზოგიერთს განსაკუთრებულს ფსიხოლოგიურ თვისებას ითვისებს, მაინც ისე ძლიერ და ღრმად არ იცვლება მისი ბუნება, რადგან უბიწო ცხოვრებას არ ადგია. ხშირად ეტანება იმისთანა მოგეკლუტე მანდილოსანს, რომელიც ოჯრას იღებს ალერსის სამაგიეროდ, ან არა და—ჭლახავს თვისის მოყვასისა და მეგობრის ოჯახს. ამ სახით ასეთი მამა-კაცი მაინცა და მაინც არ გადადის ბუნებრივს კანონს და ემორჩილება უმთავრესს წესს ფიზიოლოგიისას. ქალის სქმე კი სულ სხვაა: იმ ოთხაში, რა ოთხშიაც იმყოფება ქალი დღეს, უქმრობა ავალებს თითქმის ყოველთვის უბიწო ცხოვრებას ადგეს და ეს უკანასკნელი გარემოება სრულიად უსახრობს დედად გახდომის ღონეს, ესე იგი იმნაირ ბუნებრივ სქმეს, რომლისათვისაც არის შექმნილი ქალი მთელის თვისის გრძნობითა და ბუნებითა. ამ ნაირი ვითარება სქმისა ძირიანად შეარყევს, რასაკვირველია, ქალის სულიერს მდგომარეობას, და რიცხვით მრავალი უქმრო ქალი შესამჩნევ გავლენას იქონიებს, რასაკვირველია, მთელს საზოგადოებაზედ.

ევროპის ქვეყნებ შორის, განსაკუთრებით ეხლანდელს ინგლისში, შეიძლება ამ სიუურადღებო მოვლენის შესწავლა. ინგლისში რიცხვი გაუთხოვარის ქალებისა—სპინსტერებისა, (Spinsters) როგორც უწოდებენ იმათ—მრავალია, განსაკუთრებით მდიდარის და შუათანა შეძლების ბურჟუაზიის ოჯახებში. ოვენის სახლობაში ერთი მაინც არის ამნაირი ქალი, სან და სან ორიცა და სამიცა, რადგან შეუძლებელია, რომ ოჯახმა მოახერხოს ერთს ქალზე მეტი გაათხოვოს, რაცა რამდენიმე ქალი იმყოფება იმ ოჯახში. მთელი კრებული ამნაირად სან-გადასულ გაუთხოვარ ქალებისა საშიშარი რაზმია, ძლიერი და სიუურადღებო, საზოგადობრივი წოდებაა, რომლის გავლენა ცხოვრებაზედ ოვენელსავე ეშვის გარეშეა.

მიზეზი ამნაირის ოთხისა მრავალია და რთული: უმთავრესი მიზეზი უეჭველად ის არის, რომ დედა-კაცთა რიცხვი ალემატება მამა-კაცთა რიცხვს, რადგან მამა-კაცნი მრავლად მიდიან და ესახლებიან სხვა ქვეყნებში. უმაწვილ-კაცობა მილტონის კალთანიებში (ახალშენებში) და ოვენელი კაცი, გარედ გასული, იმასვე დროს საქმროდ არის, ასე რომ კაცი სტოვებს თავის ქვეყანას და ქალი კი რჩება ოჯახ-

ში ბევრად ნაკლების იმედით საზედოს მოძებნის საქმეში. ამას გარდა, ის მამა-კაცნიც, რომელნიც სამშობლოში რჩებიან, დღითი-დღე ნაკლებს სურვილს იჩენენ ცოლშვილობის მოკიდებისას.

რატომ? შუათანა შეძლების ბურჟუას ოჯახში ამის მიზეზი ის არის, რომ თან და თან ძნელდება ცხოვრება: ცოლის შერთვა ძვირად ჯდება, ოჯახი მძიმე ტვირთი შეიქმნა იმ საზოგადოებაში, სადაც ყოველ წოდებას თავისნი საკუთარნი ჩვეულებანი დასჩემდა მდიდრულად ცხოვრებისა; ცოლის შერთვას აყოვნებენ იმ დრომდის, სანამ მამა-კაცი წელს არ გაიმაგრებს და იმ მდგომარეობამდე არ მიაღწევს, რომ მდიდრულად აცხოვროს ცოლ-შვილი, და ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ეს დრო ძლიერ გვიან დგება — ისე გვიან, რომ ხანი გადის და კაცს უკვე იმედი ეკარგება ცოლშვილის მოკიდებისა. რაც შეეხება შეძლებულ წოდებას, იქაც შემჩნეულია ეს სიძულვილი ცოლქმრობისა, მაგრამ არ ვიცი კი რა არის ამის მიზეზი. ეკონომიურს მიზეზს არ უნდა ჰქონდეს აქ დიდი ადგილი, რადგან ამ წოდებაში ქორწინებას შეუძლია შეაერთოს ორი გული და მასთან ორის ადამიანის შეძლებაცა. მაშ რად არის, რომ ასე იშვიათად შეუღლდებიან ხოლმე მდიდრები? ძნელია გადაჭრილი პასუხი სთქვას ამაზედ კაცმა, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ინგლისის მაღალ წოდებაში თან და თან უფრო ხშირდება ერთგვარი ცოლქმრობა, რომელსაც სრულიადაც არა აქვს საფუძვლად ბიოლოგიური ანუ ფსიხოლოგიური მოთხოვნილება, არამედ საზოგადობრივი, უკეთ ვსთქვათ, წოდებრივი, მაგალითად, 50 წლის მდიდარი კაცი, საზოგადოებაში გამოჩენილი თვისის მდგომარეობით, უზრუნველის ცხოვრების პატრონი ირთავს მდიდარს ქალს 40 ანუ 45 წლისას, ხან და ხან იმნაირსავე ბებერს, როგორიც თვითონ არის, სახლდება ლონდონის რომელსამე არისტოკრატულს უბანში, საოცარის სიმდიდრით ამკობს სახლს და იწყებს ხელ-გაშლილ ცხოვრებას, მისის სახლის კარი ღიაა საზოგადოებისათვის. ასეთნი ცოლ-ქმარნი იკრებენ გარშემო თვისის წრის ხალხს და ამ წრეში თვით არიან მეუფენი. მე ვსთქვი, რომ ეს ცოლქმრობა წოდებრივია და არა ფიზიოლოგიური ანუ ფსიხოლოგიური-მეთქი, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ამნაირ ცოლქმარ შორის რაიმე სქესებრივი მიმზიდვე-

ლობა არსებობდეს; ამისთანა ცოლ-ქმარი შთამომავალს არა სტოვებს; ცოლ-ქმრობა მისთვის მხოლოდ საღსარია, უფრო ბრწყინვალე ალაგი დაიჭიროს საზოგადოებაში; ეს არ არის ბუნებრივი ცოლ-ქმრობა, არამედ განგებ არის მოხერხებული სულ სხვა აზრითა. ფრანგებსა, ანუ იტალიელებს დიდად უკვირთ და ეუცხოვებათ, ამნაირ ცოლ-ქმრობას რომ უყურებენ; ამ ხალხს ჯერ კიდევ საუცხოვო რომანტულის აზრებითა აქვსთ სავსე თავი სიყვარულის შესახებ.

მაგრამ რა მიზეზიც უნდა იყოს ამ გარემოებისა, ეგ სულ ერთია. საქმე ის არის, რომ ინგლისში ერთობ დიდია რიცხვი გაუთხოვარ ქალებისა და მათი საზოგადობრივი გავლენა შესანიშნავია; გაბედვით ვიტყვი, რომ შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა ინგლისი უამათოდ. მაშ, შევუდგეთ ამ გავლენის გამოკვლევასა და შესწავლას.

* * *

ერთი რამ ფრიად საყურადღებო გარემოება ემჩნევა ამ საუკუნეში ინგლისის ცხოვრებას,—სახელდობრ, გარემოება, რომ დედაკაცნი მიესივნენ მამა-კაცთა მოქმედების ასპარეზს და ეცილებიან იმ ნაირ საქმეებში, რომელიც დასაბამითვე კაცის საქმედ ითვლებოდა. მაგალითებრ, ხელოვნებაში, მეცნიერებაში და სხვა ქალი სულ წინ-წინ მიდის და აფართოვებს თვისსა სამოქმედო საასპარეზოს, თვისს სამფლობელოს; ეს სამფლობელო წინად იყო მხოლოდ საქმე შვენებისა და ლაზათისა, და ამ სამფლობელოში ცივილიზაციის დასაწყისიდანვე ქალი ხელ-უხლებელი მეფე იყო. ეს წარმატება ინგლისელის ქალისა პირდაპირ დამოკიდებულია გაუთხოვარ ქალთა სიმრავლეზედ. ერთხელ ლონდონში კამათი დაიწყეს იმ აზრების შესახებ, რომელნიც წარმოვსთქვით ლომბროზომა და მე ქალებზე და მათ გონებრივ განსხვავებაზე კაცებთან შედარებით; ჩვენის აზრების დასარღვევად მაგალითად დაასახელეს ინგლისელი ქალნი, რომელნიც თავიანთი მრავალ-გვარის ნაწარმოებნამოქმედარით არ ჩამოუვარდებიან კაცებს. რადგან დიდ ხანს იყო ბაასი, მე მოკლედ მოვჭერი სიტყვა. «ვთქვათ ეგ მართალია-მეთქი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარნა ინგლისის ქალნი ხომ ქალნი არ არიან,—იგინი მესამე სქესის წარმომადგენელნი არიან-მეთქი». მაშინ ასე მეგონა, უბრალო სახუმარო სიტყვა წამომცდა-მეთქი, ერთი იმ სიტყვათაგანი, რომელსაც ხელს წაავლებენ ხოლმე გაჭირებაში იმ იმედით, რომ, იქნება, ამით მაინც თავი გავიტანოთო; მაგრამ შემდეგ, როცა ჩავუფიქრდი და როდესაც გავიცანი საკმაოდ მრავალი ინგლისელი ქალიშვილი, დავრწმუნდი, რომ ეს სიტყვა სალაზღანდარო სიტყვა აღარ არის-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ეგ სიტყვა ჰხატავს დიდს-მნიშვნელოვანს ფიზიოლოგიურსა და ფსიხოლოგიურს ჭეშმარიტებას. მდგომარეობა გაუთხოვარის ქალისა, დათრგუნვა სიყვარულისა და დედობრივის მოწოდების გრძნობისა უთუოდ სცვლის და ასახიჩრებს ქალის ბუნებას ზოგიერთის მხრით, რადგან ის ქალი, რომელიც არც დედა არის და არც ცოლი, არ არის სრული ქალი. სამაგიეროდ ეს დახშობა-დათრგუნვა კანონიერის მოთხოვნილებისა აძლიერებს გარდამეტებით ქალის ბუნების სხვა თვისებათა და შესაძლებელ საქმედ ჰქმნის მათს განვითარებას, რაიცა ადვილად გამოისყიდის დანარჩენ ნაკლულევანებას. შთამომავლობის წარმოშობაში ქალსაცა და კაცსაც დიდი ხარჯი მოსდით სულიერი და ფიზიოლოგიური; განსაკუთრებით ქალს მოსდის დიდი და აუარებელი ხარჯი. მან უნდა შექმნას (former) ახალი არსება თავისის საკუთარის ხორცსისხლითა, ასაზრდოვოს, მფარველობა გაუწიოს პირველ ხანებში და ათას ნაირად იწვას და იდაგოს მისთვის ყოველს წამს. ახლა მოაშორეთ ქალს თავიდან ეს ხარჯი ფიზიოლოგიური და ფსიხიური—მაშინ მთელი ეს თანხა ძალ-ღონისა რჩება თვისის ბუნების გასაძლიერებლად; მართალია, ამ შემთხვევაში ქალი აღარ სტკბება იმ ფიზიოლოგიურის უკვდავებითა, რომელსაც ამბობს ვეისმანი, შთამომავლობითი ძაფი სწყდება მისთვის სამუდამოდ, გარნა სამაგიეროდ სიყვარულისა და დედობრივის გრძნობის დახშობა ათავისუფლებს ყოველ ზემოხსენებულ ხარჯისაგან და უსაკუთრებს მთელს მის ძალ-ღონეს. ბ-ნი გიო ამბობს, რომ ეხლახან მოულოდნელი დამცველი მოევლინა უბიწოდ მცხოვრების მიმდევართა მოძღვრებასა და ჩვეულებასა და თვით მონაზონებრივს ცხოვრებასაცაო,—ეს დამცველი არის რენანიო, თუმცა ეს მეცნიერი ამ საქმეს სულ სხვა თვალთა-ხედვის ისრით უყუ-

რებს, კიდრე ქრისტეანობას. რომა რენანი აქებს და ადიდებს უბიწო ცხოვრებას, აქებს და ადიდებს უბრალო თვიზიოლოგიურის მოსაზრებით; ამ შემთხვევაში ეს მეცნიერი თვიქრობს, რომ ამ ნაირი ცხოვრება გონების ძალას უმატებს ადამიანს და ტვინის შემძლებლობას აღფრთოვანებას აძლევს. იმასა ჰგონია, რომ გონების განვითარება და ნაყოფიერი სიყვარული ერთმანეთის სულის შემშლელია; იმის აზრით, ნამდვილი ბრძენი უნდა ცდილობდეს, რომ შემოიკრიბოს მთელი ძალ-ღონე თვისის ტვინისა და უუკარდეს მხოლოდ განყენებული აზრები; ამ ნაირი გადანაცვლება ყოველის ცხოველის ძალ-ღონისა დაამტკიცებს ადამიანს იმ შესანიშნავს ორმაგსა და ორ-ბუნება უკვიდს (fleurs doubles), რომლის სიმშვენიერე დაფუძნებულია მის უნაყოფობაზედ *). ამ მოსაზრებას რენანისას წინ დაუყენეს მეორე მოსაზრება: შეიძლებაო, ამბობენ, ეს მოსაზრება მართალი იყოს მამაკაცისათვის, მაგრამ დედაკაცის შესახებ კი არ არის მართალიო. სიყვარული, რომელიც აძაბუნებს მამაკაცის გონებას, აღფრთოვანებს ქალისასაო, და, როგორც ამბობენ სადღაც თავიანთ თხზულებაში ძმანი გონკურნი,—ქალწულის გონებას თავის დღეში არ დაუბადნია შესანიშნავი რამ ქმნილებაო. ესლა კამათობას არ გავაბამ ამ საგანზედ: ოუნდა მართალიც იყოს ის აზრი, გითომ ქალწულება სულს უშლიდეს ქალს შესანიშნავი რამ ნაწარმოები შეჰქმნას გონებისა, სამაგიეროდ იგი ქალწულება სულს უწუობს ცხოვრებისათვის ჭიდილში. ყველა ის ახალგაზდა ქალი, რომელიც შუათხნა შეძლების ბურუჯას ოჯახიდან არის, უქმრად დარჩენილა და დღიურის ლუკმის შოვნასა ცდილობს, სრულიადაც არ არის მოკვდე დანტესებური «სიკმრთო კომედია» დასწერას ან შექსპირისებური «ჰამლეტი»; საკმაოა ამისთანა ქალებმა იცოდნენ კარგად რაიმე სულობა, რომ ადვილად იშოვნონ ადგილი და შრომისათვის სასყიდელიც კარგი მიიღონ. აი სწორედ აქ შველის ქალს ქალწულობა; ყოველ ნაირ სულობაში ისეთივე დასულოგნებულია, როგორც მამა კაცი და ხშირად—უკეთაც არის დასულოგნებული; ქალს არ აწუსებს არც ქმარი, არც ოჯახი, არც შვილი; თვა-

*) L'irréligion de l'avenir. Paris 1889 p. 257.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობს მხოლოდ, როგორც ირჩინოს თავი შრომით; ყოველივე მისი ძალ-ღონე საფიზიკო, თუ საპსიხიკო ჰხმარდება ამ ერთად-ერთ საქმესა და საზრუნველს. ამ შემთხვევაში ქალს ხელს არ უცარავს არც მშობიარობისაგან დაუძლურებული ჯანი, არც ვნებათა ღელვის ქარ-ტეხილი და არც მოუსვენარი მზრუნველობა ოჯახისათვის. ის, რაც ამის გამო აკლდება კაცობრიობას, როგორც ტომს,—აძლიერებს ქალის შემოქმედების ძალას. გარდა ამისა, რადგან ეხლანდელი ცხოვრება შეუბრალებელი ბრძოლაა, გაუთხოვარი ქალი იმდენს მედგრობასა და სიმტკიცეს იჩენს ამ ბრძოლაში, რამდენის გამოჩენასაც ყველა მამ-აკაცი ვერ შესძლებს. ამის მიზეზი ის არის, რომ დედობას, დედად ყოფნას არ გაულმობიერებია მისი გრძნობა-გონება და ეგოიზმს—ამ ბუნებრივ გრძნობას ადამიანისას—მომეტებულად გაუდგამს მის არსებაში ფესვი, რადგან საუკეთესო ალტრუისტული დანიშნულება ადამიანისა, ესე იგი მშობლიური გრძნობა ხელს არ უშლიდა და არ ასუსტებდა.

თუ ასეთი გასათხოვარი ქალები ამნაირს უნარს იჩენენ ცხოვრებაში, ეს იმის მიზეზია, რომ პსიხიურად ნამდვილი ქალნი აღარ არიან, არამედ მესამე სქესისანი, შუათანა სქესისანი, რადგან ქალის უმთავრესი დანიშნულება თავიდან მოუშორებიათ და ამის გამო ქალური ხასიათი ძლიერ შესცვლიათ. მართალია, ცოტა შორი-შორს კი მოგვივა სიტყვა, მაგრამ შეგვიძლიან ასეთი გასათხოვარი ქალები მუშა ფუტკარს შევადაროთ; ეს უკანასკნელიც უფრო საზრიანნია, მუშაკი, მამაცი და წარჩინებული, ვიდრე მამალი ფუტკარი; იმიტომ რომ მუშა ფუტკარი ნამდვილი დედალი ფუტკარი აღარ არის, ფიზიოლოგიური დედობა მოსპობილი აქვს; მისი წარჩინება დამყარებულია მის უნაყოფობაზედ. ესევე ადამიანის ჯიშშიაც; ის ქალები, რომლებიც არც ცოლები არიან და არც დედები, იძენენ თავიანთის უნაყოფობით უპირატესობას ნამდვილ ქალებსა და მამაკაცებზედ; ცხოვრებისათვის ბრძოლაში მრავალ-გვარის ძალით და ღონით არიან აღჭურვილნი; შეიძლება ეს ძალ-ღონე მათი წვრილმანი იყოს, მაგრამ იმდენად შეკავშირებულ-შედუღებულია ერთმანეთში, იმდენად დაყურსული, რომ დიდად გამარჯვებულნი გამოდიან მათი პატრონები ცხოვრების ომში. დაეკითხეთ, თუ გნებავთ, ყოველს ინგ-

ლისელს კაშარს ანუ მრეწველს, რომელთაც დაქორაგებული ჰყვათ Spinsters (ქმარ-შვილობაზედ სულ-დებული); თითქმის უველანი გეტუვიან, რომ გასათხოვარ ქალებისა უფრო მადლიერნი არიან, ვიდრე მამა-კაცებისა; მაშ ეს მესამე სქესი თვისის უნაყოფობის მოსებით საშიშარს ტილობას გაუწევს მამა-კაცებსაცა და დედა-კაცებსაცა და, მაშასადამე, დაჭბადავს დიდს მიზეზს სოციალურ ცხოვრების არეც-დარეკისას. თან ესეც საანგარიშებელია, რომ გამწარებულ ბრძოლის დროს—ვისაც ნაკლები მოთხოვნილება აქვს დასაკმაყოფილებელი, ის უფრო წარჩინებული და გამარჯვებულია. წარმოიდგინეთ რომელიმე ადამიანი, რომელსაც უწველად შეუძლიან გაძლება, განა ეს გარემოება უმნიშვნელო იარაღი აქნებოდა ბრძოლის დროს? ამნაირივე იარაღი აქვთ იმ გაუთხოვრად დარჩენილ ქალებს, რომელთაც მეორე დიდი მოთხვნილება აკმაიანისა თავიდან აუცილებიათ.

*
* *

თუ ინგლისის სახოლტიკო საქმეთა შორის დიდი ადგილი უჭირავს ქალთა საქმეს, ამისი მიზეზი უმთავრესად გაუთხოვარი ქალებია. უველამ იცის, რომ ინგლისის ორივე დიდს სახოლტიკო დასს (ტორებს და ვიგებს) თავ-თავის რაზმები ჰყვათ ამორძლებისა: ტორებს — Primrose League, ვიგებს — Women's Liberal Federation; მათი საქმიანობა, განსაკუთრებით არჩევნების დროს, თვალსაჩინოა და მათი გაკვლა ორივე დასის მეთაურობისაგან ფასდაუდებულია. ეს გარემოება ერთის მხრით უთუოდ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ ინგლისელი ქალი საზოგადოდ უფრო განათლებულია და ამიტომ უფრო ეტანება სახოლტიკო საქმეებს, ვიდრე ევროპის სხვა სახელმწიფოთა ქალები; მაგრამ დასაჯერებელია განა, რომ ეს ქალების ასოციაციები (ამხანაგობანი) ისე რიცხვ-მრავალი, ძლიერი და საქმიანი იქნებოდა, უგეთეგ უოველი ანუ თითქმის უოველი ინგლისელი ქალი ახერხებდეს ქმარ-შვილობის მოკიდებასა, შვილების უოლასა, მათ აღზრდისათვის ზრუნვასა და ოჯახის მართვასა? ეჭვი არ არის, რომ ქალების ამ ორივე ასოციაციაში გათოკილი ქალებიც ურევიან, რომლებსაც არა იშვიათად ძლიერ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენილი ალაგი უკავიათ, მაგრამ სამძიმო საქმე ანუ ვალდებულება, რომელსაც მეტი დრო სჭირია, შრომა და თავის დადება, თითქმის ყოველთვის, ქალიშვილსა აქვს მინდობილი. ასეა მოწყობილი საქმე Women's Liberal Federation'ში, რომელიც დაახლოვებით გავიცანით, მაგრამ ეჭვი არა მაქვს, რომ Primrose League'შიაც ასე უნდა იყოს, და ადვილი ასახსნელიც არის ეს: მდიდარი გაუთხოვარი ქალები, რომელნიც იძულებულნი არ არიან ლუკმა-პურისათვის იშრომონ და რომელთაც ოჯახის დარდი გულზედ არ აწევთ ლოდივით, განგებ ეძებენ რაიმე საქმეს, განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც საქმიანობა სულიერს მოთხოვნილებას შეადგენს ხალხისას. ამ ძებნაში თვითეული მათგანი თავის სურვილს და მიდრეკილებას მისდევს, და რადგან ზოგი სარწმუნოებას ეტანება, ზოგი ხელოვნებას და ზოგი კიდევ — ლიტერატურას, არიან იმისთანანიც, რომელნიც პოლიტიკის მორევში შესცურვენ ხოლმე. როგორც ვსთქვით — გაუთხოვარი ქალი არ არის ნამდვილი ქალი, არამედ — რაღაც შუათანა სქესის არსებაა. იგი ფიზიკურადაც და ხასიათითაც ჰკარგავს ზოგიერთ თვისებას ქალისასა და ითვისებს მამაკაცურს ზნეს, ჰბაძავს მამაკაცს. აბა რომელი საგანი იქნება პოლიტიკასავით ცხოველ-მყოფელი საქმიანობა მამა-კაცისათვის ამ დროში? და ზოგიერთ გაუთხოვარ ქალებსაც გაგიჟებით უყვართ კიდევაც, როგორც მამა-კაცებს, მიტინგები (საპოლიტიკო საგნისათვის თავ-მოყრილი შეკრებილება), არჩევნები, წარმოთქმა სიტყვათა კრებაზედ და საპოლიტიკო სჯა-კამათი. ასეთი ქალები მით უფრო ძლიერნი არიან დღეს-დღეისობით ამ ასპარეზზედ, რომ პირადად არავითარი ანგარება არ უძღვით წინა, რადგან ჯერ-ჯერობით არ აქვსთ მინიჭებული საარჩევნო უფლება; მაშასადამე, პოლიტიკაში ერევიან მხოლოდ იმისთვის, რომ ჭკუა-გონებას საზრდო და ვარჯიში მოუპოვონ და სხვა არავითარი იდუმალი აზრი არა აქვთ. ასეთი ქალები ამ საქმეში გულ-წრფელად ჰმოქმედობენ და თავ-გამოდებულის გატაცებით იღწვიან და სრულიად კმაყოფილნი არიან იმით, რომ მათი ჭკუა-გონება, უსაქმობაში დახავსებული, სასიამოვნო და საინტერესო საქმიანობასა და ვარჯიშს ეძლევა. მაგრამ ამ მდგომარეობაში არ დარჩება დიდ ხანს საქმე. თუ თავდაპირველად ქალებს აკმაყოფილებდა ამა თუ იმ დასის სასარ-

გებლოდ მოქმედება მორჩილებითა და ყოვლად უანგაროდ, დღეს მათთვის ეს აღარ კმარა; ეხლა თავიანთთვისაც დაიწყეს საპოლიტიკო უფლების თხოვნა. გაიმარჯვებენ თუ არა? ვფიქრობ, რომ უნდა გაიმარჯვონ, რადგან მდიდარ ქალიშვილების გვერდით, რომელთათვის პოლიტიკა მხოლოდ ჯიბრის საქმეა, არიან მშრომელი გასათხოვარი, ქმარ-შვილობის გულიდან ამომღებნი ქალნიცა. ამათაც ისევე აქვთ დასაცველი თავისი საკუთარი ინტერესები, როგორც მამაკაცს. ამ ქალებმა მამა-კაცებივით კარგად იციან ცხოვრების ყოველი ასავალ-დასავალი და ვერ მიმხვდარან, რატომ ჩვენ კი არ გვამლევენ ღონისძიებას დავიცვათ ჩვენი ინტერესებიო; მით უმნტეს, რომ არა გვყავს არც ქმარი, არც ძმა და ან სხვა ვინმე, რომელთაც შეეძლოთ იტვირთონ ჩვენ მაგიერ ამ ჩვენის საქმის გაძღოლაო. ყოველივე ძველად მოგონილი საბუთები, წარმოთქმული ქალების საპოლიტიკო უფლებათა გავრცელების საწინააღმდეგოდ თავის-თავად ირღვევა დღეს; და რადგან ამ საკამათო საგანში Spinster'ების მხრით სანუკარისა და ჭკუაში მოსასვლელის ინტერესების ხმა ისმის, ამიტომაც ქალთა უფლების საქმე მარჯვედ მიდის წინ და გამარჯვების დღეც ახლოვდება. როგორც ჰხედავს მკითხველი, ეს ფრთა-შესხმული ღაღადისი ქალთა უფლების მოსაპოვებლად იმაზედ კი არ არის დამყარებული, რომ ვითომ ქალები ფიქრობდნენ, უთუოდ დავიცვათ და არ შევაბღალვინოთ მამა-კაცთ განყენებულის სამართლიანობის დედა აზრიო; იგი ღაღადისი მჭიდროდ არის შეკავშირებული იმ საქალებო დიდ კრიზისთან, რომელიც ინგლისში მრავალს ქალს იძულებულს ჰყოფს ხელი აღოს ქმარ-შვილობაზედ. შესაძლოა სთქვას კაცმა, რომ ეს კრიზისი ქალთა ცხოვრებაში ერთი უაღრესი კრიზისია, რომელიც კი გამოუვლია ამ სქესს მთელს თვისს ისტორიულს ცხოვრებაში და სწორედ ეს კრიზისი შესცვლის დიდად შესამჩნევად მის ყოფა-მდგომარეობასაც.

*
* *

აქამდე იმაზე გვქონდა საუბარი, თუ რა ცვლილებას ჰქმნის ასე რიცხვ მრავალი გასათხოვარი ქალი მდედრთა სქესის წარმომადგენელთა შორის; ეხლა კი დროა შევუდგეთ იმის გამოკვლევას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რა გავლენა აქვს ამავე გარემოებას მთელს საზოგადოებაზედ: სიყვარულისა და დედობრივის გრძნობის დახშვა უმღვრევს ქალს აზრსა და გრძნობას და უცვლის ხასიათს. აი სწორედ ამ გზა-დაბნეულს და შეცვლილს მგრძნობელობას გაუთხოვარის ქალისას აქვს დიდი გავლენა საზოგადოებაზედ. ერთი საკვირველი ზნე ინგლისის საზოგადოებისა, რომელსაც ძლიერ ემჩნევა ზნეობრივი გავლენა Spinster'ებისა, არის პირუტყვის თაყვანის-ცემა. უნდა იცოდეთ რა ყოფაშია ძაღლი და კატა ინგლისელთა შეძლებულს ოჯახში! ინგლისი პირუტყვთა სამეფოა; ძაღლს, კატას, ცხენს და მაიმუნს გასაოცარს მფარველობას უწევს როგორც კანონი და ჩვეულება ქვეყნისა, ისე მთელი რაზმი კაცთა თუ ქალთა, რომელთა მოთავედ თვით დედოფალი ვიქტორია ითვლება. ვინ იქნება ისეთი კადნიერი და გაბედავს ხელი დააკაროს ამისთანა პირუტყვს! აღკრძალულია აგრედვე, რომ ასეთის პირუტყვის გვამი გასჭრას მეცნიერმა, ფიზიოლოგოსმა, რომელიც პირუტყვ ცხოველის შინაგან აგებულებაში ადამიანის ჯანმრთელობის საიდუმლოს ეძებს. ფიზიოლოგოს-ვივისექტორებს (რომელნიც ცოცხალს პირუტყვს სჭრიან ბუნების გამოსაკვლევად) ძლიერ ცუდის თვალით უყურებენ ინგლისში, სწორედ იმავე თვალით, როგორც უყურებდნენ შუა საუკუნოებში ალქიმიკოსებს. ვინ იცის, რა ვაი-ვაგლახი უნდა გამოიაროს ამნაირმა სწავლულმა, რომ ნებართვა მიიღოს პირუტყვთა ჭრისა თვისის სამეცნიერო გამოკვლევისათვის და მაშინაც, როდესაც ნებართვას მიიღებს, ათას ნაირად სდევნის და შეურაცხჰყოფს პირუტყვმოყვარული საზოგადოება. იმდენად ძლიერია იმ საზოგადოებაში ასეთი უკუღმართობა, რომ არ დაიზარებს ერთის ქეციანის ძაღლის გადასარჩენად უშვერის სიტყვით გაჰლანძღოს საუკეთესო წარმომადგენელნი მეცნიერებისა. აი მაგალითიც: ერთხელ ჩემის თვალით ვნახე ქუჩებზე აკრული ურიცხვი აფიშები, რომელშიაც დიდი სახელი პასტერისა საშინლად იყო გმობილი და შეურაცხ-ყოფილი იმიტომ, რომ ჩელზში ცოფის ასაცრელ ინსტიტუტს აშენებდნენ. ძაღლებისათვის ხომ ინგლისი თავისუფლების სამოთხეა! ვინ გაჰბედავს, რომ ზუჩი ამოსდოს ძაღლს! თუ ინგლისის ქალთა ქუჩაში გაფრთხილებათ არა ხართ და რომელსამე პირუტყვს ჯოხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარტყით, იქვე გაჩნდება ან პოლიციელი, ან პირუტყვის მოყვარულ საზოგადოების რომელიმე წევრი და მაშინვე აცნობებს, ვისიც რიგია: გადაგახდევინებენ ჯარიმას 10—20 შილინგს, და შემდეგ სასამართლოშიც მიგცემენ. ერთის სიტყვით, ბევრად უფრო სანატრელია ძაღლის ანუ კატის ბედი ინგლისში, ვიდრე ღარიბის კაცისა: შინაურის პირუტყვის სოციალური მდგომარეობა ბევრით სჯობია საბრალო და ღარიბ მუშის მდგომარეობას.

ასეთი ახირებული, ჭირვეული ლმობიერება იმნაირის დარბაისელის ხალხისა, როგორნიც არიან ინგლისელნი, აიხსნება მხოლოდ Spinster'ების გავლენით. გაუთხოვარს ქალს საზოგადოდ მეტად უყვარს პირუტყვი, რადგან მისის ალერსით ცოტაოდნად მაინც იკლავს შვილიერების სურვილს; ძაღლი ანუ კატა, განსაკუთრებით ძაღლი, რომელიც ყოველი ქვეყნის ქალისათვის საყვარელი პირუტყვია, შვილის მაგიერობას უწევს Spinster'ს, რადგან ქალს არ შეუძლიან არ შეიყვაროს ვინმე და მფარველობა არ გაუწიოს სუსტს არსებას. იგივეა შემჩნეული ნადირ ხალხშიაც: ტასმანიაში, მაგალითებრ, სადაც შვილის კვლა სოციალური ჩვეულება იყო, ქალები იმითი ჰნუგეშობდნენ და იქარვებდნენ სევდას, რომ ფინიებს ზრდიდნენ. როცა ხან-გადასული გაუთხოვარი ქალი დაღონებულია, აქაო და ჩემმა ძაღლმა დილით პური არა სჭამაო, ან-და როცა კაცსა ჰგზავნის ბეითალთან, მიშველე, ჩემმა კატამ მოიწყინაო, ორსავე შემთხვევაში ისეთი ქალი ემორჩილება თავისს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას. ურიგო სოციალურ წეს-წყობილებას შეუძლიან გაასუკუღმართოს ქალის სქესობრივი ბუნება, მაგრამ სავალდებულო მოთხოვნილება ამ ბუნებისა მაინც იგივე რჩება, რაც უნდა უარ-ყოფილ, გადასხვაფერებულ და ხასიათ-შეცვლილი იყოს. ამიტომ ქალი ცდილობს, ყოველ დაბრკოლებათა გარეშე, მიიღოს კმაყოფილება პირდაპირისა თუ მრუდის გზითა. შეგიძლიანთ დასთურგნოთ ქალის ყოველივე, განსაკუთრებული თვისება, რომელიც კი თქვენი ნებაა, მაგრამ დედობრივ გრძნობას კი ვერ მოსპობთ: დედობრიული გრძნობა იჩენს თავს ამა თუ იმ სახით, დადებულისა თუ სასაცილო გარეგნობით: თუ მზრუნველობის საგნად ადამიანი, შთამომავალი, იგი გრძნობა განსაცვიფრებელის თავ-განწირულებით ისტუ-

ბა, ხოლო თუ ამ მზრუნველობის საგნად კატები და ძაღლებია, სასა-ცილო, უკუღმართ გარეგნობას ითვისებს. მაშ წარმოვიდგინოთ ახ-ლა, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში ურიცხვი გასათხოვარი ქალია, ქორწინების გარეშე დარჩენილი; ადვილად მიხვდებით, რომ ამნაირ საზოგადოებაში პირუტყვის თაყვანის-ცემა უნდა დაარსდეს; ყო-ველთვის, როცა კი ამოიღებენ ხმას პირუტყვის სასარგებლოდ, პირველ რაზმში ამისთანა ქალებს დაინახავთ; რანაირ მხნედ ჰმოქმე-დობენ მერე? აქ მუჯლუგუნსა ჰკვრენ გულ-გრილთა და წინ ფეხს ადგმევინებენ, იქ ქალ-და-ძალ ათანხმებენ ფარისეველთა და სკეპ-ტიკთა, რომ იმათაც შემწეობა აღმოუჩინონ; ამხნევებენ და აგულია-ნებენ გრძნობა-განელებულთა და მშიშარა სანტიმენტალისტებს; ყო-ველს წამს თავიანთის სიტყვით, მაგალითითა და საქციელით ჰნერ-გვენ საზოგადოებაში აზრს პირუტყვის პატივის-ცემისა და სიყვა-რულისასა. ინგლისში მაინც ადვილი იყო ამ საგანში გამარჯვება, რადგან ინგლისელები, როგორც გერმანულის ტომის ხალხი, ბუნე-ბით იდეალური და კეთილ-შობილური ხასიათის ხალხია და გულს-ჩამწვდენ ქადაგების მოყვარული. რასაკვირველია, ეს იდეალის ტრფია-ლი და კეთილშობილება ხშირად გაჰქრება ხოლმე ცხოვრებისათვის გაცხარებულ ბრძოლაში და მხეცობას და ეგოიზმს უთმობს ალაგს, მაგრამ ხან და ხან კიდევ ჩნდება ამ ხალხის გულის სიღრმეში მი-სის ხასიათის ძირითადი თვისებანი ან შელლის მშვენიერ სასიმ-ღერო სახით ან საზოგადოების ახირებულ გატაცების მზგავსად; ამისთანა სანტიმენტალურს მიმართულებას მხოლოდ ინგლისში შე-ხვდება კაცი. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისი აფრიკა-ში ჰჟლეტს ველურს ხალხს და შინ კი მფარველობას უწევს ძაღ-ლებს. მეორე ზნეობრივი საკვირველება ინგლისელებისა არის საო-ცარი მორცხობა. ეს მოვლენაც Spinster'ების გავლენით თუ აიხს-ნება; სხვაფრივ გაუგებარი და ძნელად გამოსარკვევია.

ცნობილია, რომ სქესობრივი მორცხვობა არც ერთს საზოგა-დოებაში არ არის ისე გაზვიადებული, როგორც ინგლისელ საზო-გადოებაში. ყოველივე, თუნდ გადაკვრით ნათქვამი სიტყვა შესახებ შთამომავლობის განგრძობისა, აღკრძალულია მწერლობასა და საუ-ბარში; სულ უმანკო სიტყვა «სიტიტვლე» და «ტიტველი» მთელს აურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურს ასტეხს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ჩვეულება მორცხვობისა ძლიერ უშლის ხელს ხან და ხან მეცნიერთაც კი, როცა აუცილებელია მათთვის ზოგიერთი ამგვარ საგნების განსჯა. მაგალითებრ, ჰერბერტ სპენსერი ბოდიშს იხდის მკითხველებთან, როდესაც თავისს სოციოლოგიაში წინა დაცვეთასა ლაპარაკობს. პირველი გამომცემელი ზოლას თხზულებისა ინგლისში დევნილ და დასჯილ იქმნა, როგორც შემბღალველი საზოგადოების ზნეობისა; არმან სილვესტრის და კატულ მანდესის მოთხრობებს არ დაჰბეჭდავენ არც ერთს ინგლისურ ჟურნალში. ერთის სიტყვით, ვისაც კი გაუცვნია ინგლისელები, იმან კარგად იცის, რომ ძნელია ლაპარაკის ჩამოგდება ზოგიერთს საგანზედ იმ შემთხვევაშიაც, როცა ქალი არც კი იმყოფება ამ ლაპარაკის დროს. უეჭველია, ფრიად რთული ფსიხოლოგიური და სოციალური მიზეზი აქვს ამ მორცხვობასა და კდემა-მოსილებას; პურიტანულს ცხოვრებას, მაგალითებრ, თვისი წილი გავლენა ქონებოდა ამაში, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ თუ ეს ზნე-ჩვეულება აქამდე დარჩა შეუცვლელი, როგორც თითქმის სასაცილო სოციალური კანონი, ამის მიზეზი უმთავრესად Spinster'ების გავლენაა. ხნიერ გასათხოვარ ქალის ახლო ყოფნა უფრო შემავიწროებელია თავისუფლად მოსაუბრესათვის, ვიდრე ახალგაზდა ქალიშვილისა, იმიტომ რომ ამ უკანასკნელს არაფერი გაეგება, ხოლო ასეთი ფიქრი შეუძლებელია მაშინ, როცა მოსაუბრის წინაშე სდგას ხანში შესული დარბაისელი 50 წლის გასათხოვარი ქალი. ორს ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლიან თავისუფლად ლაპარაკი სიყვარულზე, როცა ან ორივეს ესმის, რა არის სიყვარული, ან ორნივე უმეცარნი არიან. შეუღლებულთ ან ახალგაზდა ქალიშვილებს სრულიად არა რცხვენიანთ ერთმანეთისა, ან თუ რცხვენიანთ, ძალიან მცირედა რცხვენიანთ. მაგრამ როცა ერთმა იცის, რა არის სიყვარული და მეორემ არა, მაშინ უთუოდ შერცხვებათ, მოერიდებათ ერთმანეთისა. ამას გარდა, საზოგადო ფიზიოლოგიური კანონის ძალით, ადამიანს ისე მოაქვს თავი, თითქო სძაგდეს ის, რაც მიუწდომელია მისთვის; იმ კაცს, რომელიც დაჩრდილულია, ესე იგი რომელსაც საზოგადოება არ იცნობს,—სძაგს სახელი და დიდება; ღატაკი კი ამბობს,—რას ვაქ-

ნებ როტშილდის მილიონებსაო; აგრედვე გასათხოვარი ქალი, რომელსაც არ უგემნია სიყვარული, ინსტინქტურის ზიზღით ეკიდება და ეწინააღმდეგება იმ წიგნებს, აზრებს, სიტყვებს და ზნეს, რომელიც დიდს ადგილს უთმობს სიყვარულს ცხოვრებაში. უეჭველია, ეს გავლენა არ დამკვიდრდებოდა, რომ ცოტანი ყოფილიყვნენ ქორწინების გარეშე დარჩენილი ქალები; მაგრამ როცა მათი რიცხვი დიდია და როცა ეს გავლენა საბაბს წარსულში ჰპოულობს, ჭირვეული (maladive) მორცხვობა (pruderie) Spinster'ებისა ადვილად იკიდებს ფეხს და მტკიცე სოციალურ კანონად იდება.

*
* *

ჯერ-ჯერობით ჩვენ გავარკვიეთ და გავითვალისწინეთ მხოლოდ სარჩული საგნის, მისი უკეთური თვისება, ის თვისება შეუღვლილებას ამცდარ ქალისა (Spinster'ისა), რომელიც აუკეთურებს, ბუნების წინააღმდეგს და უმზგავსს ფერსა სდებს საზოგადოების გრძნობას, გონებასა და ჩვეულებას; ახლა კარგი პირიც გავუსინჯოთ ამ საგანს და ვნახოთ, თუ რა სამსახურს უწევს საზოგადოებას გაუთხოვარი ქალი, რომელიც საზოგადოებამვე გამოასალმა ცხოვრების საუკეთესო და სანეტარო სიტკბოებ-სიამესა.

ყველას გაეგონება, რომ ინგლისი შესანიშნავია იმ ქვეყანათა შორის, სადაც სამადლო და სამოწყალო დაწესებულებანი ძლიერ გავრცელებულია. სწორედ დაუჯერებელია მათი სამრავლე, სიდიდე, შესანიშნავი მოწყობილება (ორგანიზაცია) და მათი სიმრავლე, სიმდიდრე. მით უფრო გასაოცარია ეს გარემოება, რომ ინგლისში სამოწყალო საქმეებს იმდენად ხელს არ უწყობს სარწმუნოება, რამდენადაც საფრანგეთსა ანუ იტალიაში. ანგლიკანურ ეკლესიას არ მოეძევება ისეთი რამ დაწესებულება, როგორიც არის კათოლიკეთა ეკლესიისაგან შექმნილი სამონასტრო მოწყალება-განკითხვისა. ხოლო რაც შეეხება დისიდენტების ეკლესიას, ეს ხომ ისე ძლიერი და გავრცელებული არ არის ინგლისში, რომ შეიძლოს ამსიდიდე საქმე მოაწყოს და გაუძღვეს.

თუ მაინცა და მაინც მოწყალების საქმემ ასე ძლიერ გაშალა ფრთა ინგლისში, ამის მიზეზი მაღალის წოდების, ხან-გადასული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასათხოვარი ქალები არიან. ყველა ამნაირ დაწესებულებაში საქმის სულის ჩამდგმელი და ფეხზედ დამყენებელი უთუოდ გაუთხოვარი ქალია, ახალგაზდა და ხნიერი; ხშირად მათ მიერ არის მოაზრებულიცა და განხორციელებულიც ასეთი თუ ისეთი სამადლო დაწესებულება; თითქმის ყოველთვის ამისთანანი განაგებენ მის საქმეს, აგროვებენ ფულს, შრომობენ მამაკაცთა მაგიერ, რომელთა სახელებია გამოჭიმული მხოლოდ ამა თუ იმ სამართველო საბჭოში; საქმით კი ისინი ბევრს არაფერს არგიან ზემოხსენებულისთანა დაწესებულებას, რადგან საკუთარი საზრუნავიც ბევრი აქვთ. გაუთხოვარი ქალებივე იღებენ მონაწილეობას ყოველნაირ საქმეში, რომლის აზრი და დანიშნულებაც ის არის, რომ განკარგებულ იქმნას ყოფა-მდგომარეობა საზოგადოების ამა თუ იმ უიღბლო და ბედისაგან დაჩაგრულ წოდებისა და ადამიანთა კრებულისა; იღებენ მონაწილეობას და სწორედ მოციქულებრივის გულ-მხურვალეობით იღწვიან. ვსთქვათ, მაგალითად, ატყდა ლაპარაკი, რომ ახალშენებში უნდა მოსპობილ იქმნას მონებაო, ან ვსთქვათ, გიჟებისა და სულით-ავადმყოფთათვის განკარგებული იქმნას სახლიო, მაშინვე ამხედრდება ჯვაროსანთა რაზმი გაუთხოვარ დედა-კაცთა ამ პატიოსანის საქმის გასაკეთებლად და ეკვეთება მთელის თვისას გულწრფელის სიცხოველით და დაუღალავის მხნეობით; თან ბედნიერად ჩასთვლის თავს, თუ სიცოცხლე შესწირა დაჩაგრულთა საქმეს; ხან და ხან მოხდება ხოლმე, რომ დონკიხოტობის საქმეს სჩადიან, ხან და ხან კი ნამდვილს წმინდანებს ემსგავსებიან, მაგრამ ყოველთვის ღირსნი არიან თანაგრძნობისა, პატივისა და თაყვანის-ცემისა. ეს გარემოება გვაიძულებს ერთი ახირებული აზრი დავასკვნათ, მაგალითებრ, ის აზრი, რომ ჩვენს დროში ჩნდება, სარწმუნოების მოძღვრების დაუხმარებლად, ქვრივთა, ანუ შეუუღლებელთა და ქორწინების გარეშე დარჩენილთა ფილანტროპული კრებული (le celibat philanthropique), რომელიც წინად მხოლოდ ქრისტიანობის თვისება და უფლება იყო. ინგლისი სავსეა მონოზნებით, რომელთაც არავითარი აღთქმა არ დაუდვიათ და სცხოვრობენ შიგ საზოგადოების შუაგულ, მაგრამ მაინც ასრულებენ იმავე პსიხოლოგიურ და სოციალურ მოვალეობას, როგორსაც ასრულებენ «დანი შემწე-მფარველის მარიამისა» („soeurs de

Marie auxiliatrices") ანუ «უნცროსნი დანი ღარიბთანი» (les petites soeurs des pauvres).

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში. ეხლანდელს საზოგადოებას ესჯერობა რიცხვთ-მრავალი რაზმი სნეულთა და გაჭირვებულთა მომკლელებისა, რომლებმაც უნდა აღმოუჩინონ თვისი შემწეობა «ცხოვრებისათვის ჭიდილში» დაჭრილთა და მაშვრალთა. ბევრი რამ ითქვა ამ ბოლოს დროს მოწყალების გაღებასა და მის მნიშვნელობაზედ; დაამტკიცეს კიდეც, საზოგადოდ, რომ იგი გერ არის რიგიანად წარმართული და ხშირად სამაღლო საქმითა და მოწყალებითა სელს უწყობენ დასუსტებულსა და ძაბუნ არსებათა გაძრავლებას; ოკეელიგე ესე ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბევრს არას ამტკიცებს, რადგან მოწყალება, რაც გინდ უგუნურად იყოს მოხმარებული, ეხლანდელს დროში ორგანიული საჭიროებაა; დღევანდელი საზოგადოება მუდამდეე ერთობ დიდს მსხვერპლსა თხოულობს, მრავალს ადამიანს ასახიჩრებს, აუბედურებს და შეუძლებელია ყურადღება არ მიექცეს ამდენ სახიჩართა და დაშავებულ-დაჩაგრულთა. რომ მოსპოთ ერთბაშად მოწყალება, ჯიში კაცთა ნათესავისა შეიძლება გაუმჯობესდეს, გარნა საზოგადოება იმ ეპოქაში, რა ეპოქაშიაც დღეს არის, დასუსტდება, რადგან ყველა ეს გაჭირვებულნი, უსაშველოდ დატოვებულნი, ადრე თუ გვიან, დასმხობდნენ თვით საზოგადოებას. მაშ, საზოგადოებას ეჭირვება სნეულ-ძაბუნთა მომკლელნი; აი ამ მოვალეობის შესასრულებლად ადამიანის ხელთ არის დიდი ძალა — სიბრალულის გრძნობა ქალისა, მისი ბუნების მოთხოვნილება, რომ შემწეობა და მფარველობა აღმოუჩინოს სუსტს არსებას; ეს გრძნობა იგივე დედობრივი გრძნობაა, მხოლოდ გზა-შეცვლილი. როცა ქალი თვით არის დედა, შვილები აკმაყოფილებენ მის მოთხოვნილებას სუსტისადმი მფარველობის გაწევისას; ქალი უნდა უშვილო იყოს და მაშინ მოეძებნება იგი მფარველ ანგელოზად ბედშავს სადღს და ის გრძნობა სიბრალულისა, რომელიც შვილისათვის გერ დაუსრულებია, დიდის უხვებით მიეფინება უფრო რიცხვ-მრავალ სუსტ ქმნილებათა. თუ საჭიროა დახმარება დედა-კაცისა, უნდა აღმოიფხვრას მის ბუნებაში გრძნობა დედობისა და სიყვარულისა და გაძლიერდეს გრძნობა სიბრალულისა

ტანჯულთათვის; და აი ამ გარემოებათა შორის შეიქმნება ქალი სოციალურ ავადმყოფობით დავრდომილის მომგვლელი; ეს ძნელი საქმეა, და ამ საქმეს ზოგიერთ ქვეყნებში ახერხებდა კათოლიკეთა ეკლესია. შეიძლება ისიც კი ვსთქვათ, რომ ეს არის ერთი უდიდესი საქმე, რომელიც მოუვლინა ქრისტეანობამ ქვეყნიერებას; მან დაიხვია სელზედ მრავალის ქალწულის სამისტიკო სულის კვეთება, სიღარიბე, გატრუებულის სიყვარულის სიმწარე, მაჭმართა ყოველივე ესე კეთილს საქმეს და ამ ნაირად იშოვა ღონისძიება შეედგინა მთელი რაზმი მონაზონთა, რომელთაც უარჰყვეს სიყვარული, დედობრიობა და დაუსხდნენ თავით მოსავლელად სულთ-მობრძავ კაცობრიობას. ამ სახით ქრისტეანობამ შესძინა ქვეყანას ჩინებული დაწესებულება კეთილ-მყოფელთა ქალწულთა, რომელთა მსგავსიც იშვიათი იყუნენ ძველს ბერძენ-ლათინთა ქვეყნებში; კათოლიკეთა ეკლესიამ,რომელმაც უკეთ საქრისტიანო ეკლესიაზე მეტად მიაქცია ყურადღება ამ დაწესებულების აღორძინებას, განამტკიცა ამით თვისი საკუთარი ზნეობრივი ძალ-ღონე, თუმცა ბევრჯერ და ხშირად დამარცხებული სახლობიკო და სამეცნიერო ასპარეზზედ.

ინგლისში სულ სხვა ნაირად არის საქმე; ძალის დატანება საჭირო არ არის: სარწმუნოების სახელით მოწოდება და სასტიკი წვრთნა მეტია. თვალსტრაბული კრებული უნებურ ქვრივთა თავის-თავად არსდება და ძლიერდება, არც აღთქმაა საჭირო ქალწულობისა, არც მონასტრული ცხოვრება; უამისოდაც თვით ძალა გარემოებათა უგზვრის სურვილს სათნოებით სავსე ინგლისელს Spinsters'ს დედობის სიტკბოებას გემოვნებისასა. სახოგადოება არ აძლევს ამას ნებას ეს სიამე იგემოს და ადამიანიც იმდენად სუსტია სახოგადოების ბირის-ბირ, რომ მისგან წარმომდგარს დაბრკოლებას ვერ გადაჭლიხავს; ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, თვით სისუსტე ადამიანისა უფრო ნამდვილი ღონეა აღკრძალვისა, ვიდრე მუქარა ან დაბირება ამა თუ იმ სიუნჯეთ. რადგან ბირველი ხელშემწყობი გარემოება სახოგადოებრივის შებრალებისა და მოწყალებისა, ე. ი. დედობრიობის მოსპობა თვის-თავად გაჩნდა სახოგადოებაში, ამის გამო ამ ქალწულებს (ვესტალები), თვის ნებით გამოანაზღაურებულთ, შეუძლიანთ დარჩნენ სახოგადოებაში, არ დაიშვ-

ტიმრონ თავი მონასტერში, მიიღონ მონაწილეობა ადამიანთა საქმეებში და არ დაიხშონ ყურნი ქვეყნის ყღრიამულისათვის: იგინი წმინდად შეინახვენ თავს, რადგან არ შეუძლიანთ ასე არ მოიქცნენ, და შეადგენენ საერო (laique), თავისუფალს ბერ-მონაზნობას, რომლის მაგალითი, როგორც ვფიქრობ, ჯერ არ ყოფილა არსად ისტორიაში. ფილანტროპული (კაცთ-მოყვარეობითის გრძნობით გამსჭვალული) უნებური ქვრივობა ჩნდება ინგლისის საზოგადოებაში ისე, რომ არც ზნეობრივი მალდატანება სჭირია, არც დესპოტური წეს-წყობილება, და ამიტომ არც იჭყლიტება ვინმე ულმობელ რკინის საქაჯავში,—ჩნდება ეს ქვრივობა იმ ნაირ ბრძოლის ველზედ, რომელიც სავსეა დახოცილებითა და დაჭრილებითა და შესანიშნავის მხნეობით ასრულებს თავისს მოვალეობას, ასრულებს ისე, როგორც შეჰფერის თავისუფალს, თავის-თავად, ნება-ყოფლობით შემდგარს ორგანიზაციას, ორგანიზაციას თავის ნებით და გაურკვეველის სურვილით შედუღებულს.

აქ არ შეიძლება არ გაოცდეს კაცი, როცა დაუკვირდება ერთს შესანიშნავს გარემოებას საზოგადოების ცხოვრებისას: ხშირად საზოგადოება, მისდა შეუმჩნევლად, გამოიყენებს ხოლმე საკუთარს სნეულებას თავის სასიკეთოდ. ცხოვრების წყაროდ ჰქმნის იმ ნაწილს თვისის სხეულისას, რომელიც დაჭირიანებულია. უეჭველია, რომ ამოდენა მანდილოსანთა გაუთხოვრად დარჩენა უაღრესი პატოლოგიური (სნება-შეპყრობილი) მოვლენაა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის საზოგადოებამ სასიკეთოდ გამოიყენა ეს სნეულება თვისის აგებულებისა: შეჰქმნა თავისუფალი ორგანიზაცია მოწყალებისა, სამადლო საქმის ქმნისა, რომელიც სხვა, გარეშე აზრით არ ჰხელმძღვანელობს და ამიტომ არის ფრიად შესანიშნავი.

კ. ბ—მე

ქართველთ მეფეთა ტიტული, კურთხევა და რეგალიები

ჩვენთა მეფეთა სრული ტიტული ნაყოფია ჯერ იმ ფიქრისა, რომ ვითომ საქართველოს სამეფო გვარი იყო შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა და მერე ბიზანტია-სპარსეთის გავლენისა. აი ამიტომაც ჩვენთა მეფეთაგან ხელმოწერილ ნაშთებში მეფენი მოხსენებულნი არიან კუროპალატად და «მეფეთა მეფედ», როგორც სპარსეთში ირანის მფლობელს უწოდებდნენ შაჰინ-შაჰს. მესამე საყურადღებო გარემოება მეფის ტიტულში არის სიტყვა «პატრონი», რომელიც უდრის მნიშვნელობით მფარველს, მცველს. პატრონი შემდეგ შეიცვალა ბატონად [1]) და აქედან წარმოსდგა სიტყვა «ბატონიშვილი», «ბატონის რძალი». «პატრონი» ქართულს ენაში შემოღებული უნდა იყოს ლათინურ ენიდან და ვგონებთ მცირე აზიით უნდა მოსულიყოს ჯვაროსანთა ლაშქრობის დროს, როცა ქართველნი და დასავლეთის ფეოდალნი ერთმანეთს შეხვდნენ სირიაში იერუსალიმის ასაღებად. ამ დროსვე ეკუთვნის, მაგალ., სომხურს ენაში დამკვიდრებული სიტყვა *Պարում* (პარუმ). ეს სიტყვა წარმომდგარია სიტყვიდან «ბარონ» და ჰნიშნავს ბატონს. დედოფალიც როგორც მეფე იწოდებოდა პატრონად და დედოფალთ დედოფლად. აი ნიმუშად, თუ გნებავთ, დასაწყისი წილკნის გუჯრისა:

«ჩვენ ღვთივ აღმატებულმან, ღვთივ დამყარებულმან იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრატიანმან ძემან ცხებულის საქართველოს მეფის თეიმურაზისამან და კახეთის არაგვის მპყრობელ მქონებელმან ერეკლემ, თანამეცხედრემან ჩვენმან ქრისტეს მოყვარემან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანნამ»... პატრონად იწოდებო-

[1]) ნახე ჩემი „გუჯრები“, ქუთაისი, 1891, გვ. 129, 137, 145.

დნენ აგრეთვე გურიელი, დადიანი და შემდეგ საერთოდ ყმების ბატონები. [2]) მაგრამ მარტო ბატონს მეფეს ეკუთვნოდა ტიტული «ცხებული», «გვირგვინოსანი» და «იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრატოანი».[3]) ცხებული მეფე, როგორც რუსეთში миропомазанный“, საქართველოში გავრცელდა ურიასტანის ხელმწიფეთა და ბიზანტიის იმპერატორთა ბაძვით. ეს ტიტული უფრო გაზვიადებულია ბაგრატის გუჯარში: „სკიპტრა პორფირის და გვირგვინის მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფობისამან, რანთა, კახთა და სომეხთა განგემ და ყოველისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა ორისავე ტახტისა... მეფეთა მეფემან დიდმან ბაგრატ»[4]) (ჩემი «გუჯრები», 126). ჩვენს გვირგვინოსანს და ღვთივ აღმატებულს უდრის ფრანკთა coronatus და divina dispensante gratia, სკიპტრას კი S c e p t e r (accipe sceptrum regiae potestatis insigne). გვირგვინი და სკიპტრა სამეფო რეგალიებია. კაროლინგების დროს პირველად აღინიშნება მირონცხება მეფეთა; ეს ჩვეულება ურიასტანში იქმნა პირველად შემოღებული: საულმა მირონ სცხო დავით და აკურთხა მეფედ. არც დასავლეთ ევროპაში და არც საქართველოში გამეფება არ იყო აუცილებლად დამოკიდებული საეკლესიო მირონცხებისა და დაგვირგვინების აქტზედ. ჩვენთა მეფეთა შორის ბევრი არ იყო დაგვირგვინებულ-მირონცხებული, თუმცა ეს გარემოება არ აბრკოლებდა მეფედ წოდებულიყო და ასულიყო ტახტზედ. საქართველოში ისეთი მაგალითიც ბევრჯელ ყოფილა, მეფეს სიცოცხლეშივე დაუგვირ-

---

[2]) ჩვენი ბატონი უდრის რუსეთში осподарь, государь-ს სიტყვიდან оспода, господа, რომელიც აღნიშნავს ცალკე ოჯახს თავის ავლა-დიდებით. აქედან осподарь, государь, ნიშნავს უფლებით აღჭურვილს კაცს—ოჯახის უფროსს, რომელსაც ემორჩილებიან სახლის წევრნი. შეადარე Романовичъ-Славатинскій— Рус. госуд. право I, 139.

[3]) ჩემი „გუჯრები“ გვ. 30, „გვირგვინოსანი მეფე პატრონი როსტომ“; გვ. 99 „ცხებული მეფე“ თეიმურაზ; შეადარე ჩემი „Двор. акты“ (М., 1893) стр. 12, Ираклій сынъ помазннаго царя Теймураза. ნახე აქვე გვ. 15 (коронованный) გვ. 19, 39 და სხვ.; „გუჯრები“ გვ. 108.

[4]) შეადარე ტიტული ფრანკთა მეფისა: Serenissimus augustus a Deo c o r o n a t u s magnus imperator... qui et per misericordiam Dei rex Francorum et Langobardorum. Ludwig I, B r u n n e r. Deutsche Rechtsgeschirhte, II, 14.

გვინებია თვისი მემკვიდრე, რათა ამ გზით მოესპო მოსალოდნელი შფოთი და უსიამოვნება სამეფოში თვისის გარდაცვალების შემდეგ. თამარ მეფე გიორგიმ აკურთხა და დასვა «მეფად» 1171 წ. „ფიცითა და აღთქმითა სამეფოისათა“.[5]) ფიცი უძველესადვე აუცილებელი საჭიროება იყო მეფეთა წინაშე ერთგულების დასამტკიცებლად. თვით მეფე გიორგი ახლად დაგვირგვინებულს თამარს ფიცით აღუთქვამს ერთგულებას.

«ქართლის ცხოვრებაში» საყურადღებო აღწერილებაა ამ ცერემონიისა: «განზრახვითა და გამორჩევითა მისითა (მამისა) და უფროსღა განგებითა ზენისა მის ყოველთა შარავანდედთა მინიჭებითა, შვილი მათი თამარ ნათელი და ბრწყინვალებაჲ თუალთა მათთა და გვირგვინი და მანიაკი ყოველთა მეფეთა და კელმწიფეთა: მეფე ჰყო თანადგომითა პატრიარქთა და ყოველთა ეპისკოპოსთათა, დიდებულთა იმერთა და ამერთა, ვაზირთა, სპასპეტთა და სპასალართათა და დასვა მარჯუენით თვისსა მეფე და დედოფალი შემკული და შემოსილი პირადპირადად ფესვედითა ოქროვანითა, ბისონითა და ზეზითა, რომელსა ჰხადა მთად ღვთისად და დაადგა თავსა მისსა გვირგვინი ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა და სამარაგდოთა მიერ და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა და თვით მეფემან, მფიცებელმან ერთგულობისა და ერთსულობისა მისისათვის, შეჰვედრა იგი ღმერთსა».[6])

დაგვირგვინების შესახებ «ქარ. ცხ.» მეორე ადგილას გადმოგვცემს, რომ «შესხმასა და გალობასა შინა, ვინათგან ლიხთ-იმერთაგან იყო დადგმად გვირგვინისა თავსა სამეფოსა, აწჳეს მონაზონი, მადლით შემოსილი, მთავარ-ეპისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირის მე მიღებად გვირგვინისა, და, სრულყვეს რა კურთხევაჲ, დალოცეს მაშინ კახაბერ გვირიგეს მე, ერისთავი რაჭისა და თაკვერისა და სრულ ჰყვეს მოკელეთა სვანთა და დიდებულთა კარდანის მეთა საღარის მეთა და ამანელის მეთა მოღებად და დადებად [7]) კრმლისა. ამას შე-

---

[5]) ვახუშტი—ისტორია, 196.

[6]) ქართ.-ცხოვ. I, 274.

[7]) ქართ.-ცხოვ. I, 278. თამარ მეფის ტახტზედ ასვლის შესახებ ნახე Варданъ, Исторія (пер. Эмина) გვ. 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ჰკრეს სპილენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზეიმი ქალაქსა შინა, სიხარული და მხიარულება, შუება და გამოსვენება და იმედი უიმედო ქმნილთა და თაყვანის სცეს, დალოცეს სპათა შვიდთავე სამეფოსათა და დაიპყრო თვითეულმან თვისი ადგილი».

მეფის კურთხევის ამბავს დაწვრილებით მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი. მის დროს ეკურთხა მეფედ თეიმურაზი მცხეთაში და აი სწორედ ამ კურთხევის გარემოებას აღგვიწერს პაპუნა. ამ კურთხევას დაესწრო პატარა კახი ერეკლე, ძე მისი, ანნა დედოფალი, დიდებულნი და წარჩინებულნი სამღვდელონი. ამ აღწერილობაში ჩვენთვის საინტერესოა ის ადგილი, სადაც მოხსენებულია, რა სამეფო ნიშნება იხმარებოდა ძველს საქართველოში მეფის კურთხევის დროს. ეკლესიაში მეფე მიიყვანეს აღსავლის კარის ქვემო ალაგას. გარეშემო ესხნენ იქ მყოფნი ეპისკოპოსნი. აქ პატრიარქმა მეფეს ჯერ ჰკითხა სარწმუნოება და შემდეგ თვით წაიკითხა აღთქმის ეპისტოლე. ეკლესიის შუაგულ იყო გამართული დიდი ტახტი, რომელზედაც იდგა ორი სელი. როდესაც პატრიარქმა დაასრულა აღთქმის ეპისტოლეს კითხვა, მაშინვე მეფე ავიდა ტახტზედ და ერთ სელზედ დაბძანდა. გვერდით პატრიარქი მოუჯდა. მეფე შეჰმოსეს მარტივის ბისონით, შემდეგ სარდალმა ქაიხოსრომ და მუხრან-ბატონმა მიიყვანეს იგი აღსავლის კართან. აქ მიეგებნენ მთავარ-ეპისკოპოზნი და ალავერდელი, რომელთაც შეიყვანეს საკურთხეველად და სცხეს საცხებელი ჯვარის სახედ, შუბლზედ, ბეჭზედ და გულზედ. რა გაათავეს ყველა ეს, ბისონზედ ჩააცვეს დიადიმა, წამოასხეს პორფირი, სამეფო გვირგვინი დაადგეს, სკიპტრა მისცეს მარჯვენა ხელში და მარცხენაში კი ჰქონდა ქვეყნის სფეროჲ. როცა გათავდა ამის წირვა, ცხებული მეფე დაბძანდა სამეფო ტახტზედ და ამის სპასალარმა ქაიხოსრო ორბელიანმა მიართვა ხმალი, რომელიც დალოცვის უმალ შემოარტყეს მეფეს.[8])

---

[8]) ქ ა რ თ.-ც ხ ო ვ. II, 382—386. შეადარე წერილი ალ. გარსევანიშვილისა „ივერია“ 1888, № 59. საინტერესო ცნობანი თურქთა დაგვირგვინების შესახებ ნახე Древній обрядъ коронованія у тюркскихъ народовъ, Н. Засѣдателева. (Изв. археол., ист. и этногр. при Казанск. унив., т. XII, вып. 4).

ოთხი დროშა იღებდა მონაწილეობას ამ ცერემონიაში. თუ შევადარებთ გუჯრებსა და სიგელებში მოხსენებულს ჩვენთა მეფეთა ტიტულს ოამარისა და თეიმურაზის კურთხევის აღწერილობას—ამ ორის მაგალითით შეიძლება დავმყოფილდეს კაცი—მაშინ თვალსაჩინოდ გავითვალისწინებთ საქართველოში ტახტზედ ასვლის ისტორიას. მეფის ტახტზედ ასვლას ამტკიცებდა მისი დაგვირგვინება და მირონცხება. უველგან ახალის მეფის ტახტზედ ასვლა სადღესასწაულო ცერემონიით სწარმოებდა. ამ ცერემონიას ჰქონდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა, როგორც ურიასტანში, აგრედვე სპარძნეთში, დასავლეთ ევროპაში და რუსეთშიაც. დედოფლის დაგვირგვინება რუსეთში შემოღებულ იქმნა პეტრე პირველის დროს; ჩვენში თამარ-დედოფალი დაგვირგვინებულ იქმნა, როგორც მეფე და არა როგორც მეუღლე მეფისა. დასავირგვინებლად არ იყო არც ჩვენში და არც სხვაგან გადწუეტილ-ადნიშნული წელიწადობა სამეფო კაცისა. ადგილად, სადაც მეფის კურთხევა სწარმოებდა, მხოლოდ დროთა განმავლობით, გახდა მცხეთა, როგორც სპერანგეთში რეიმსი, პრუსიაში—კენისბერგი, პოლონიაში—კრაკოვი, რუსეთში—მოსკოვი. კურთხევის დროს პირველი იყო კათალიკოზი, რომელსაც თან ახლდა უმაღლესი სამღვდელოება. კურთხევა და მირონცხება იმის ნიშანი იყო, რომ მეფე არის ქვეყნიური მოსდგილე უფლისა და მისი თანამდებობა ღვთიური ჩამომავლობისაა. ამ აქტით მტკიცდება კავშირი მეფესა და ერს შორის, ქვეყნის გამგებელი ეკლესის დამბადებელის მადლით აღეწურვებოდა და თვისთა ქვეშევრდომთა ბატონად ისახებოდა, რ.საც ჰმოწმობდა ტახტი, გვირგვინი, პორფირა, სკიპტრა და ქვეყნის სფერო. სახელმწიფო რეგალები, სხვათა შორის, აღნიშნულია საქართველოს გერბზედაც.

პეტრაიარქი,[9]) ვიდრე აკურთხებდა მეფეს, ითქმევინებდა სიმბოლოს სარწმუნოებისას; ამით მეფეს უნდა ელიარებინა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიის შვილი ყოფილ. შემდეგ სწარმოებდა დაგვირგინება. რუსეთში თვით მეფე იღებს ხელში სკიპტრას და ქვეყნის

[9]) Романовичъ-Славатинскій—Система рус. госуд. права I, 125 (Кіевъ 1886).

სფერას, თვით იდგამს გვირგვინს და ამით აღნიშნავს თვით-მპყრობელობას.[10] ჩვენში მეფეს აძლევენ ხელში სკიპტრას და სფერას, წამოასხამენ ბორგირს, დაადგამენ გვირგვინს. ასეთი მოქმედება ჩვენის მეფისა გვიხატავს მას შემოზღუდულს უფლებას. დიდებულთა მონაწილეობა დაგვირგვინების დროს და მათი დასმარება სკიპტრა-სფერას მოლებაში ახასიათებს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას. ამგვარად რელიგია და პოლიტიკა ერთად არის ჩაქსოვილი მეფის კურთხევა-დაგვირგვინების ცერემონიაში.

წყარო, საიდანაც მომდინარეობდა მეფის უფლება, დაცულია თვით ტიტულში; იგი იწყება სიტყვებით: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა“ [11] ანუ „ჩვენ ღვთივ გვირგინოსანმან.[12] ეს ტიტული ეძრის ევროპელთა Dei gratiae, par la grace de Dieu, Von gottes Gnaden, bythe grace of God. დასავლეთ ევროპაში ნახმარობს მესამის წახმეით იტალიამ, ბოლგარიამ და სხვ. შემოიღეს ტიტული par la grace de Dieu et la volonté du peuple, ესე იგი: «მადლითა ღვთისათა და სურვილითა ერისათა»... მეფე, როგორც ღვთისგან ნაგურთხი, მსგავსად კათოლიკოსისა, ხელშეუხებელი იყო. ამიტომ მეფე კონსტანტი თვის კანონებში არ აწესებს სასჯელს მეფისა და პატრიარქის შეურაცხყოფისათვის, თუმცა ადიარებს მათის სიწმიდეს (Sacro-Sanctus რომში) არ მოსჩანს ჩვენს რჯულდებაში. კონსტანტი პირდაპირ ამბობს: «მეფისა და კათოლიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერია, ორისავე სწორი არის; ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა, კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცისაგანცა სწორე აქვსთ».[13] მართლაც,

---

[10]) მეფეს წინად აკურთხებდა ეპისკოპოსი, შემდეგ კათალიკოზობის დადეგისა—კათალიკოზი; ბაგრატიონთა დროს გვირგვინს „დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთაისის ტახტისათვის“. ვახუშტის ისტორია გვ. 11.

[11]) ნახე ჩემი «გუჯრები» გვ. 2. „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ დედოფალმან პატრონმან მარიამ“... შეადარე ჩემი „Двор. акты“ გვ. 18, Волею и помощью Божьей мы коронованный.

[12]) იქვე გვ. 30. „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ“.

[13]) ვახტანგის კანონები § 25.

კათალიკოზიც თავის ტიტულში ჭსმარობს აგრედვე სიტყვებს: «ნებითა და შეწევნითა ღვთისათა»...

ჩვენთა მეფეთა რეგალიები ანუ სიმბოლიური კუთვნილება მათის დირსებისა იყო: 1, გვირგვინი—სიმბოლო დიდებისა; 2, სკიპტრა—სიმბოლო მართლმსაჯულებისა, სიბრძნისა და მადლისა (ხირვანდელი მისი სახე მწყემსის კვერთხია); 3, ქვეყნის სფერო—სიმბოლო ქვეყნის ხურობისა (ბურთი დედამიწის სახით—globus—ჯერ რომში იხმარებოდა და იქიდან გავრცელდა ევროპაში); 4, ტახტი სიმბოლო სულმწიფეების ღვთიურის ჩამომავლობისა, რადგანაც უფალი განაგებს ქვეყანას ზეციურის ტახტიდან; 5, ხორციო და ბისონი კლესიის მსახურთა მსგავსად მითვისებული მეფისაგან; 6, სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო ხმალი. ხირველი მოხსენებულია თეიმურაზ მეფის კურთხევის დროს, მეორე თამარ მეფისა და სხვა მეფეთა დაგვირგვინების აღწერაში. შავთელი ასე ასწერს თამარის რეგალიებს:

კვერთხი მეფეთა დიდ ხელმწიფეთა თვით გაქვს გებალით სხვამც რადეკვეთოს,
ჯაჭვ საჭურველნი, ძნელ სასურველნი, მით სარკინოზნი მყის დაეკვეთოს.
სრმალი ლესული, მაზედ მხნე სული, ბარბაროსთ მსრველად, მყის წარგემართოს.
მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი, რისხვით მათზედა რომ მოგემარ-
შესამოსელი, შესამკობელნი, გმოსიან ტანსა, ოქრო ნემსულნი, [თოს.
გვირგვინ სკიპტრანი, ბისონ მიტრანი, ძოწეულითა თანა შექსულნი.
გაქვსღა ხორციო თა, შთაცმა პოდირთა, სამარაგდონი ერთგან ექსულნი.
დიადიმითა, დიადიმითა, ზეგარდამო გაქვს წმიდად ექსულნი. [14])

«ტახტ-გვირგვინ-სკიპტრა-ხორციო»—სახელმწიფო რეგალიებად ცნობილია აგრედვე რუსუდანიანსა [15]) და გეფხის-ტყაოსანში: «დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა. მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა (ტაეში 14).

ჩვენი მეფეების წყალობის გუჯრები და სახელმწიფო განკარგულებანი იწყება სიტყვებით: «ნებითა და შეწევნითა ღვთისათა»...[16])

[14]) «თამარ მეფის შესხმა», აბდულ მესია შავთელისა, სტ. 37 და 38.

[15]) „რუსუდანიანი“, ხელნაწერი წერა-კითხვის საზოგ. გვ. 116.

[16]) ჩემი «გუჯრები», სიონისა 1666 წ. გვ. 3, შეადარე გვ. 2 და ჩემი Двор. акты გვ. 10.

ანუ» სახელითა სახიერისა არსებისა დაუსაბამოს მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა და შეუმდგომლობითა ყოვლად უბიწოისა წმიდისა სიონთა მღვთისმშობლისათა»17) .. ეს დასაწყისი—«შეწევნითა ღვთისათა» ,ანუ, როგორც რუსულად ითარგმნება, 18) „волей и помощію Божіей мы Богомъ вознесенный, Богомъ утвержденный и Богомъ коронованный“ აღნიშნავს სამეფო უფლების წყაროს, ღვთისგან დაწესებულს უფლებას, ზეცის ქვეყნიურ მოადგილეს. ამგვარი აზრი დამკვიდრდა ბიზანტიაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ და იქიდან შეითვისა ყველა მართლ-მადიდებელმა მეპატრონე-მფლობელმა. აი, მაგალითად, აქამდის დარჩენილი ტიტული ეთიოპიის მფლობელისა: Благовѣрный царь эфіопскій Менеликъ II, изъ колѣна Іуды, великому царю царей Эфіопіи, царствующему Волею Божіей“. «მეფეთა მეფედ» წოდება პატარა ეთიოპიის ქრისტიანე პატრონისა, რასაკვირველია, გაზვიადებულია; მაგრამ აქაც წყაროდ უფლებისა მიღებულია ღვთაებრივი ჩამომავლობა.

გარდა წყაროსი ჩვენთა მეფეთა ტიტულში აღნიშნულია დიდა აზრი სამეფო წესდებისა. თამარ მეფეს აბდულ-მესია შავთელის პოემის სათაურში ეწოდება თვით-მპყრობელთ: «პოემა ანუ შვენიერ-სიტყვაობითითა ხელოვნებითა შეწყობილნი სტიხნი საქებრად სახელოვანისა და ძლევით განთქმულისა ხელმწიფისა თამარ პირველისა გიორგი მეფისა ბაგრატოვანისა ასულისა სრულიად ზემოჲსა და ქვემოჲსა ივერიისა და სხვათა თვით-მპყრობელისა და მრავალთა მტერთა მძლეველისა ქმნილი გელათის მონასტრისა შინა და შინითვე მორთმეული აბდულ მესია შავთელისაგან პირველ ყოვლისა მდივნად დიდს სახსოვარისა მის მეფისა და შემდგომად მონაზონობის მიღებისა მას მონასტრისა შინა იოანნედ წოდებულისა». თვით-მპყრობელი წარმოადგენს ქართულად ნათარგმნს ტერმინს αὐτοκράτωρ, რუსულად самодержецъ. ეს დამატება ქართულს ტიტულში შეგვხვდა მხოლოდ ამ პოემის დასაწყისს და თუ იგი ეკუთვნის ჩვენი დროის გადამწერს, მაშინ საეჭვოდ მიგვაჩნია 19).

17) ib. стр. 5 Двор. акты, 38.

18) ადრესი პეტერბურგის გეოგრაფიულ საზოგადოებისა ნეგუსის მიმართ. მენელიკი აქ მოხსენებულია იუდის ჩამომავლად, რადგანაც დამფუძნებელი მისი დინასტიისა ტრადიციით აღიარებულია შვილად სოლომონისა და სავის დედოფლისა. შეადარე ჩვენი—იესეან-დავითიანი, სოლომონიან-პანკრატონი...

19) კატალოგი დ. ჩუბინაშვილის ხელნაწერებისა № 79.

ტიტულშიგე დაცულია კვალი მესამე გარემოებისაცა, რომელსაც აქვს სატერიტორიო მნიშვნელობა: აქ აღნიშნულია სამზღვრები სამეფლობელო მამულისა, რომელიც ეკუთვნის მეფეს. კიწარის წმ. სამების გუჯარი მაგალითია ამ სატერიტორიო სამზღვრების აღნიშვნისა: «ჩვენ ირაკლი მეორემან მეფემან ქართლისა, კახეთისა და ყოვლისა საქართველოჲსამან»... ქართველ-კახეთის შეერთების შემდეგ მეფის ტიტულში თუ არა, სამეფო განკარგულებაში მაინც მკვიდრდება ახალი ტერმინი, რომელსაც ჩვსმარობს ბატონიშვილი გიორგი: «ჩვენ ორსავე საქართველოს უფლისწული» [20]) კამტკიცებთ... სანდასან შესამოკლებლად მოხსენებულია მხოლოდ ქართველ-კახეთი ირაკლის ტიტულში და შემდეგ დამატებულია სიტყვა და სხვათა, რომელიც რუსულად ითარგმნება „и прочихъ“ და უდრის რუსულს წიანდ „иныхъ“ და ასლა „и прочая и прочая и прочая“.

ამგვარად ჩვენთა მეფეთა ტიტულში მოთავსებულია ტრადიციული აზრი მათის ჩამომავლობისა იესიან-დავითიან-სოლომონიანის თესლისაგან, აღნიშნულია წყარო სადანაც მომდინარეობს მეფის უფლება და განმარტებულია სამზღვრები მათის სამეფლობელოსი. მაგრამ ვიდრე ეს ტიტული განმტკიცდებოდა, ჩვენი მეფენი იწოდებოდნენ სხვა-და-სხვა დროს მთავრებად, ერისთავთ ერისთავებად, მამფლებად, ქორეპისკოპოზებად. «ქართლის ცხოვრება» აშოტის შვილის გვარამის დროიდან (883) ტაო-კლარჯეთის მფლობელთ უწოდებს მამფლებად, როგორც კახეთის მფლობელთ—ქორეპისკოპოზებად. ლექსი მამფალი უდრის შემდეგის საუკუნოების მთავარს და იხმარება მხოლოდ მე-X საუკუნის განვლამდე, როდესაც მამფლები ერთმპყრობელობის დაარსების გამო საქართველოში განქრნენ.[21]) ამაგე ლექსს ჩვსმარობს, როდესაც ტაო-კლარჯეთის მპყრობელთ შეეხება მეათე საუკუნეში ბიზანტიის მწერალი კონსტანტინე პორფიროგენე; ესე-

[20]) ჩემი გუჯრები 367. შეადარე ზემორე ხსენებული ბაგრატის გუჯარი და რუსულად დაბეჭდილი ტიტული ირაკლი მეორესი: М. Б. мы... помазаннаго царя Теймураза сынъ, царь Карталинскій, Кахетинскій и обладатель Эриванскій, бамбакскій и Казахъ-борчалинскій Ираклій II... (Двор. акты 42.)

[21]) Бакрадзе—Статьи по исторіи и древностямъ Грузіи, стр. 27 (СПБ. 1887). სვანურ კრებულში ავტორი წმ. აბოს ცხოვრებისა მამფალად უწოდებს ეპისკოპოსთ მტბევარს, იოანნესა და კათალ. სამოელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე სიტყვაა მოხსენებული აგრედვე ამ დროისათვის მეტერთმეტე საუკუნის მემატიანე სტეფანოს ასორელის ნაწერებში და სხვა-და-სხვა ქართულ მანუსკრიპტებსა და გუჯრებში. საკვირველია, რომ ლექსი მაძიებელი ტაო-კლარჯეთის საზღვრებს თითქმის არ გასცილებია და ამასთანავე მე-XI საუკუნიდან არც მატიანებში და არც სხვა ძველს მწერლობაში აღარ აღმოაჩნდება.

სახელწოდება ქორიკოზი,[22]) რომელიც კასეთის მეფობელთ ეგუთვნის, ისმარება მე VIII საუკუნიდან ვიდრე მე-XI საუკუნემდე, რადესაც ბაგრატ IV-მ კასეთის მთავრობა გააუქმა. ვიდრე ქორიკოზს დაირქმევდნენ კასეთის მეფობელნი ხშირადვე გრიგოლის დროს (787—827), იგინი იწოდებოდნენ ჯვარშერის საეკდესიმდის ერისთავთ ერისთავებად, რომლის მსგავსებად შემდეგ მეფენი, განდიდებულნი ძალით, სან კი მხოლოდ ტრადიციულად, განდნენ მეფეთა მეფედ. ტაო-კლარჯეთშიც იმ დროს, როცა უფროსი მეფობელი მამფალად იწოდებოდა, მცირობელნი დასარჩენ საუფლისწულო მამულებისა ისხენებიან ერისთავთ ერისთავებად: მაგალითად, ადარნასე (†898), დავით, გურგენ, სუმბატ და სხვანი. გარდა ამ აღგილობრივის ტიტულისა სხვა-და-სხვა დროს ჩვენი მეფენი იღებდნენ უცხო ერის მიერ მინიჭებულ წოდებას. ბიზანტიის იმპერატორები აჯილდოებდნენ საქართველოს მეფობელთ კურაპალატის, ნობილისიმის და სევასტის სარისხით. ბაგრატ მეოთხე (1028—82) ამ სამივე ტიტულის მატარებელი იყო. შვილმა ამ ბაგრატისამ გიორგი II მიიღო ტიტული ბიზანტიის კეისარისა. ბირველად კურაპალატობა მიიღო გვარამმა (575—600) ჯილდად იმ შემწეობისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა იუსტინე მეორეს, ბიზანტიის იმპერატორს სპარსეთის მეფე ხოსრო ანუშირვანთან ბრძოლაში. ამის შვილიშვილი დაინიშნა ანტიპატრიკად კეისრის მიერ; ბირველი პატრიკი იყო ასო (ანუ ასონი), თუმცა იმას მხოლოდ «ქარ.-ცხოვრება» უწოდებს პატრიკად, ვახუშტი კი ისხენიებს მთავრად; [23]) სუმბატ მამფალი წოდებულიყო

[22]) ქორიკოზი —ქ ა რ თ.-ც ხ ო ვ. (ქორეპისკოპოზი) I, 189, 192, 195, 197, 202, 210, 241.

[23]) ქ ა რ თ.-ც ხ ო ვ. I, 27. ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, 35; იბერიის მთავრებში პატრიკად ცნობილია ა შ ო ტ კისკასი, ძმა ადარნასე მეფისა.

ანტიპატად (анѳипатъ), როგორც იხსენიებს კონსტანტინე ბორფიროგენი. როგორც ბიზანტიის მწერლები ჭმობენ, ჩვენს მეფეებს ძალევდა კიდევ ორი ტიტული—მაგისტროსი [24]) და გესტარხი; ზოგიერთს მკვლეველს ჰგონიათ, რომ ეს უკანასკნელი წოდება სომხურის ანუ ქართულის ჩამოშავლობისაო, რადგანაც ამ სახელით იხსენიებდნენ ხშირად ჯვრის წინამძღვრებს სომხეთში ანუ საქართველოში. [25]) იერარქიულად რომ გავსინჯოთ, აღმოჩნდება, რომ უმაღლესი უცხო ტიტული ორის კესარისა, შემდეგ სევასტის, ნობელისიმისა, კურაპალატისა, მაგისტრისა, გესტარხისა და ანტევახტისა. ბიზანტიის იმპერიაში მე-XI საუკუნიდან ზემოხსენებული სხვა-და-სხვა წოდება ისეთი სორისხია, რომელიც ებოძებოდათ სასახლესთან დაახლოებულებს. ბირველად ეს სორისხი მიეთვისებოდათ მხოლოდ ბიზანტიაში დამკვიდრებულ მოხელეთა, შემდეგ კი უცხო ქვეყნის მეფეებს და გამოჩენილ მოდვაწეებსაც ურიგდებოდათ. საქართველოში, მაგალითად, კურაპალატობა ებოძათ ორმც თუ მეფეებს: დავითს, გიორგის და ბაგრატს, ორმელ «თავადს ლაბორტისა», [26]) როგორც ჭმობენ ბიზანტიის მწერლები. ტიტული კეისარი „caesar“, საიდანაც წარმოსდგა სიტყვა „царь“, სებასტი (სევასტი), ნობელისიმი და კურაპალატი უდრის ესპანდელს ტიტულს—უმაღლესობას (высочество), იმ განსხვავებით გი, რომ ამ ჩვენის დროის ტიტულს ბიზანტიაში ოთხი სორისხი ჰქონდა, რომელთა შორის კურაპალატობა იყო უმდაბლესი საფეხური. [27]) მაგისტროსი ძველთა რომაელთა სორისხია; იგი ადნიშნავდა საერო ანუ სამოქალაქო მოხელეობას: magister equitum, magister peditum, magister officiorum

---

[24]) ისტორია კედრინისა, II, 503. მაგისტროსად იყო დიმიტრი, ძე გიორგისი (1125—1154).

[25]) ამ აზრისაა სენმარტენი. Memoires sur l' Armenie II 202—3, რომელსაც მოჰყავს ჩამჩიანის სიტყვები.

[26]) ნახე Brosset—Chronique arménienne, 55 le couropalate Liparit possedait enpleine proprieté lepays den haut.

[27]) Скабалановичъ—Византійское государство и церковь въ XI в. Спб. 1884, გვ. 152.

(კანცლერი), magister larum (praepositi Sacri cubiculi). აგრეთვე სევასტი (σεβαστός) წარმოადგენს თარგმანს რომაელთა იმპერატორის ოქტავიანის ტიტულისას augustus (საღვთო, ღირსი თაყვანისცემისა). ნობელისიმი ბერძნულად ἰλλύστριος, ლათინურად nobilissimus იყო ტიტული, რომელიც ეძლეოდა ბატონიშვილებს (принцы крови).[28]) და კუროპალატობა კი მხოლოდ გვირგვინოსან მეფეთა საკუთრებას შეადგენდა და ივერიის დინასტიაში ეს ღირსება იყო მემკვიდრეობითი (შეადარე საპატიო მარშალი გრაფი შამპანისა და პალატინი რეინისა). გვარამ კუროპალატის მე სტეფანოსი ვერ ჰბედავს მეფედ წოდებას ბერძენთა და სპარსთა შიშით და იწოდება მთავრად, როგორც ჰმოწმობენ წარწერანი ჩვენამდის მოღწეულის ფულისა. 29) შემდეგ მთავრებად იწოდებოდნენ ჩამომავალნი დიდის თავადებისა. ასე ჰმოწმობს ბატონიშვილი ვახუშტი[30]). გარდა მთავრის ტიტულისა, ისეთნი, ვინც მეფის მაგივრად ინიშნებოდნენ, იწოდებოდნენ მმართველად: მეფე გიორგი შაჰნავაზის სპარსეთში მყოფობის დროს, ვახტანგ-კანონმდებელი აღიარებული იყო მეფის მაგიერად ანუ ინიშნებოდნენ გამგებლად, როგორც ამბობს «ქართლის ცხოვრება».

მარზპანის, პატიახშის და ათაბეგის მნიშვნელობაზედ გვექნება ბაასი თავად-აზნაურთა წოდების ისტორიის განხილვის დროს. ახლა კი ორიოდე სიტყვა იმ ტიტულზედაც, რომელიც ეძლეოდათ ჩვენს მეფეებს სპარსეთისაგან. იგინი იღებდნენ ღირსებას ხანისა, შაჰისა, მდივანბეგისა, სარდარ-სპასალარისა და ბეგლარებისას; როგორც ხელქვეითი შაჰისა, ჩვენი მეფენი იწოდებოდნენ ვალიებად. ვახტანგ მეხუთე წოდებული იყო შაჰნავაზად, ლევანი, მამა ვახტანგ

---

[28]) რუსეთში „Царская высокость" შემოდის პეტრე დიდის დროს благородство-ს მაგივრად ბატონიშვილებისთვის, რადგანაც კეთილშობილობით დაიწყეს მოხსენება აზნაურების (шляхтичи). Куплевскій—Рус. госуд. право, I, 178 (Харьковъ, 1894).

[29]) Баратаевъ—Нумизматическіе факты გვ. 10, 70, 71. შეადარე ბერძენთა მოწმობა ἄρχων. Lebeau, XI, 134.

[30]) ვახუშტი—ისტორია, გვ. 13 (გამოცემა ბაქრაძისა) შეადარე Баратаевъ ор. сб. 73—6.

მეექვსესი—შაჰყულიხანად, მდივანბეგად; გიორგი—ერანელთა სპადარ სპასალარად და ამილბარ-სპასპეტად, როსტომ მეფე—როსტომ ხანად, სვიმონ მეფე—სვიმონ ხანად. [31]) ნაზარ ალიხანს ანუ ერეკლე პირველს შაჰი სულტან ჰუსეინი უწოდებს ვალიად. აგრეთვე მეფე დავით და თეიმურაზი ვალიებად იწოდებიან (ვალი გენერალ-გუბერნატორის უდრის). ჩვენთა მეფეთა სპარსეთის შაჰის ვალიებად გადაქცევა იმ დროს ეკუთვნის, როდესაც, ვახტანგის სიტყვით, მეფენი ქართლისა «ყამთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ» და «ხელმწიფის ყეენის» [32]) ნება დართვით ადიოდნენ ტახტზედ. რუსეთთან შეერთების დროს საქართველოში უკანასკნელად ინიშნება ცოტას ხნით ბატონიშვილი დავით მმართველად, მაგრამ გენერალი კნორრინგი ცდილობს რაც შეიძლება მალე მოსპოს მისი გავლენა და გამგეობას აწესებს 8 ქართლ-კახეთის მდივანბეგებისაგან გენერალ ლაზარევის თავმჯდომარეობით[33]). ამ გამგეობაში წევრნი სამეფო სახლისანი არავითარს მონაწილეობას არ იღებენ. ამით თავდება საქართველოს მეფეთა ტიტულის ისტორია.

P. S. «წერა-კითხვის საზოგადოებაში» ვნახეთ ერთი პატარა ხელთნაწერი, სადაც მოყვანილია «წესი და განგება მეფეთა კურთხევისა». მოვიყვანთ რამდენსამე ადგილს ამ ხელნაწერიდან.

«ეკკლესიაში შესვლის დროს მეფეს წინ მიუძღვის ჯვარის მტვირთველი, ამირსპასალარი ხმალშემორტყმული მარჯვენით ჰყვებოდეს და სამეფო ხმალი ორთავე ხელთა ზედა ეტვირთოს; ამილახორი და მოლარეთ უხუცესი ხმალშემორტყმულივე ამირსპასალარის კერძო ვიდოდენ. ჭყონდიდელი და ათაბაგი მარცხენით მეფისა ვიდოდენ, ეზოთ-უხუცესი მეფეს უკანა უდგეს. ეკკლესიასთან

[31]) Пурцеладзе—Груз. грам. 88; ნახე ნაზარ ალი ხან. ჩემი Двор. акты 17.

[32]) ვახტანგის კანონები § 2.

[33]) Бутковъ—Матеріалы для исторіи Кавказа, II, 474.

მეფეს მიეგებებიან შემოსილი სამღვდელოება და კათოლიკოზი ეტყვის: «კურთხეულ ხარს მოსვლა თქვენი და დამკიდრება მეფეთა მეფედ სამეფოსა ამისა თქვენისა». კათოლიკოზი მოჰკიდებს მეფეს სულს მარჯვნივ და დაუყენებს ეკლესიაში სამეფო ადგილსა.

«მღვდელ-მთავარმან მოიღოს ნელსაცხებელი და თავსა და მხართა სცხოს ხუთჯერ და თქვას სამგზის: ცხებაის ნელსაცხებელი ღუთივ გვირგვინოსანსა მეფესა ჩვენსა. შემოსონ სამოსელ, შარტყან სარტყელნი და ხმალი, მოიღოს კათოლიკოზმან ბორთეირი და გვირგვინი და დაადგას თავზედ. (ამ ცერემონიის დროს იკითხება დანიშნული ფსალმუნები)... რა ყამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეპისკოპოზნი ამ წესითა დასხდნენ: კათოლიკოზი ქართლისა დაჯდეს მარჯვნივ და ჭყონდიდელი მარცხნივ ტახტსა ზედა ნატითა და ბალიშითა».

ა. ხახანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციის ცხოვრება

კახეთი

კახურისა და ქიზიყურ ვენახების ავადმყოფობა და იქაურივე წლევანდელი ქიაობა.

განვლილი ზამთარ-გაზაფხული და დასაწყისი ზაფხულისა მეტად საგულისხმოა: ჯერ იყო და ზამთარმა ისე გაიარა, რომ არც ერთს ღამეს ზამთრის შესაფერი სიცივე არა ყოფილა. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ მეტად უთოვლო ზამთარი იყო. კვლავაც ყოფილა თოვლ-ნაკლები ზამთარი, მაგრამ არავის ახსოვს წარსულ ზამთრისთანა უთოვლობა. სითბომ და უთოვლობამ ხის ნეკერი ადრე გამოიწვია, გამოახოხორიკა. ჯერ ზამთარი არ გასულიყო, ზოგიერთმა ხეებმა ყვავილიც დაგვანახვეს. მარტის 28-დე თამამად შეიძლებოდა მსუბუქის ტანისამოსით სიარული. ასე იყო მთლად კახეთში, როგორც მაღლობ, მთა-გორიან ადგილებში, ისე ბარში. ცივ-გომბორის მთა მთელს თავის სიგრძეზედ ყველა ამაღლებულ წვეროსებითურთ მოტიტვლებული იყო და არსად არ მოსჩანდა თოვლის ნაგლეჯიც კი. მთელს ზამთარში სამჯერ გაათეთრა თოვლმა მთები და მინდვრები, მაგრამ ერთის მხრივ თოვლის სიმცირისა გამო და მეორეს მხრივ ზამთარში დამყარებული სითბოს გამო, სწრაფად იღებდა თოვლსა, მალე შრებოდა ნათოვლი დედამიწა. ამ დროს, არა თუ ბარად, ცივ-გომბორის მთაზედაც გაჩაღებული გაზაფხული გვგონებოდათ. 28, 29, 30 და 31 მარტს ითოვა მთებზედ. 29 და 30 მარტს ბარადაც მოვიდა თოვლი. ბარად თოვას წინ უძღოდა და შეუდგებოდა ცივი ჩრდილოეთის ქარი; დაიჭირა ყინვა და, რასაც კი სული ედგა, რაც ზამთრის სითბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა და გაზაფხულის სულმა გამოიტყუა, სულ ერიათნ გაანადგურა. ყველაფერი ამ ცივის ქარისაგან გაშავდა. თოვას მოჰყვა თოვლ-ჭყაპი; ამას წვიმა და მთელი აპრილი ისე გავიდა, ხუთი-ექვსის დღის გარდა მზე არ დაუნახავს კახეთსა. მარტში გამზადებული და გატანილი გუთნები აპრილში გამოუშვეს, რადგანაც სასტიკი სიცივე ვერც კაცმა აიტანა და საქონელს ხომ აბა სად შეეძლო გომურიდან თავი გამოეყო. აპრილში გასაკეთებელი საქმე დარჩა გაუკეთებელი, როგორც მინდორზედ, აგრეთვე ვენახში. ბუნებამ თავისი არ დაიშალა, თუმცა ათი-თორმეტის დღით დაიგვიანა, მაგრამ მაინც გააღვიძა და ამოძრავა მაცოცხლებელი და მასაზრდოებელი სისველე მცენარეებში და ამნაირად ყველას დაგვიანებული გარნა თავისი შესაფერი ზრდა მიეცა. ხოლო რაც იზრდებოდა, რაც გამოდიოდა ყვავილად, თუ ყლორტად შეუბრალებელ ყინვებისაგან იქავე ბოლო ედებოდა. თვალ-საჩინოდ ყინვამ ბოლო მოუღო ხეხილს და ადრეულს მწვანილეულობას, ანუ ბოსტნეულობას, აგრეთვე პირველ ოთხს ფოთოლს ჯეჯილისას. სხვაზედ გადაწყვეტილის თქმა არ შეიძლებოდა. ვაზს თვალად კარგა და სასიამოვნოდ გამოჰქონდა საყურძნე მტევანი. ზამთარში გამხმარი ვაზიც მცირე აღმოჩნდა. დადგა მაისი და თითქო პირველ ორს დღეს სითბოთი გვანუგეშა. სამიდან კი ისევ წვიმები დაიწყო. ბარად წვიმებს მთაში მოჰყვა თოვლი და გაჩნდა სასტიკი ცივი ნიავი. მაისის პირველს ნახევარში სიცივე ღამ-ღამობით ხანდისხან კიდეც ჰყინავდა. განუწყვეტელმა წვიმებმა ჯეჯილსა და ბალახს ზრდა მოუმატა. ჯეჯილი ჩვეულობრივზედ მაღალი გაიზარდა. ვენახებში ბალახმაც მალე გადალახა წლევანდელი ნაწვენი ვაზი. თოხი დროზედ ვერ შეიტანეს ვენახში, «ტალახობსო». ღამ-ღამობით ბალახისაგან შენახული სისველე-სინოტივე სწყენდა, ბალახში მოყოლილს ვაზებსა. ამ ვაზებს გაუცრუვდათ სამამულო და სანაყოფო კვირტები. ამ გარემოებამ არ დააღონა მევენახენი, რადგანაც დანარჩენმა ვაზებმა საკმარისად გამოიტანეს საყურძნე მტევანი. მაისში რამდენჯერმე მოვიდა სეტყვა და ზოგიერთი სოფელი ძალიან დასეტყვა. გამართულსა და შემუშავებულს ვენახზედ პატრონი მგლოვიარედ დასვა. დაისეტყვა: ზემო ხოდაშენი, ნაწილი რუისპირისა, კურდღელაური, მაქრიანი, ენისე-

ლი, სახუე, შიდდა, შაშიახი და ურიათუბანის ნაწილი. მაისშიგე უანამ თავთავი ამოიტანა, დაორსულდა, სოდო შეიგვიანა კი ათის დღითა. დადგა ივნისი. ამ თვემაც წვიმისაგან გერ გაგვათავისუფლა. სეტყვამაც მოიგონა კახეთის დანარჩენი გენახება. რაგორც შეეფერებოდა მომატებულს საითხას, სეტყვაც უფრო მსხვილი მოვიდა, უფრო ძლიერი ქარიც დაჰყვა და, რაც სეტყვას გადარჩებოდა უენებლად, იმას ქარი ათუჩებდა. კიდევ კარგი, რომ ეს მედგარი და დაუნდობელი მოვლენა მცირე ადგილს სდა, თორემ, შენი მტერი, გაანადგურებდა კახეთს. მაინც საკმაოდ დიდი ზარალი მოიტანა. კისისხეგის გენახები ორის წლით შეიწირა; ამავე სოფლის ყანები მთლად შთანთქა. წინანდალი სანახევროდ აიდო და ამ ნახევრიდან ბატრონებს არაფერი დაუტოვა; ქვემო სოდაშნის ქვეითა გენახებს აქა-იქ სასტიკად გადაუჭირა მთრახი და ამით დააბოლოკა თვისი გულის წურომა. გვეგონა, ახლა კი ღმერთმა მოგვხედა და ჩვენი ნაკრებელი ტოდვანი წინაშე სამშობლოსი და წინაშე მომმისა გვპატიკო. მაგრამ მოგვსტუქდით. თურმე მართლ-მსჯულება მოითხოვდა, რომ გუნდი უბედურებათა არ შეწუვეტილიეო კახეთზედა, რადგანაც მისთა შვილთა დანაშაულობა სატზე ხელის ბოტინით კი არ გამოისყიდება, არამედ სიფრთხილითა, სამართლითა და ცხოვნელმოფიქრებითა. ეს წინაპართაგან ნაანდერძევი თვისებანი, აწ დავიწუებულნი, თუ არ დაიბრუნეს კახელებმა, მალე გამოეთხოვებიან თვითან ღამაზ ქვეყანას.

ამ გულსაკლავ სუმრობას თავი დავანებოთ და არა ნაკლებ გულსაკლავ მოვლენას მიუბრუნდეთ. ზემო-კახეთის, ანუ თელავის მაზრის ალმოსავლეთ ნაწილში, ალაზანს გამოღმა, ბირველად იჩინა თავი ამ მოვლენამ. მტევანი, რომელსაც დაიუვადა, ჯერ შეწითლდა, რაგორც ტენდლად არუყლული, შემდეგ ეს სიწითლე გამუქდა და იწყო მარცვლმა ჭკნობა. ზოგი მტევანი მთლად დაჭკნა, ზოგს კი რამდენიმე გუთხსალი შერჩა სალი და დანარჩენი დაჭკნა. ამ მოვლენამ ახლა ალაზან გადმაც იჩინა თავი და უკვირდის გენახებსაც ასეგე თურმე მოუვიდა. ალაზან-გადმა ახაშენში (თელავის მაზრის მოსამზღვრე სოფელია) მეზვრეებმა ველი აიღეს გაკეთებულსა და მთლად შემუშავებულს გენახებზედ. აქ ისე ძლიერ წაახდინა ამ

მოგზაურმა გვანახვა, რომ მეზვრეებმა ამას იქით ზვრების ყურის გდება დაკვრგულ დროდ მიიჩნიეს და გაანებეს თავი. ჯერ მომეტებულ სიგრცეზედ ვაზი ყვავილშია და არ ვიცით, რა მოსავლის შემდეგისათვის.

გლეხმე ამ მოგზაურს „წერწაქა“ უწოდა. ამ სახელით ცნობილია ერთიანი ავადმყოფობა მცენარისა; ეს ავადმყოფობა მომეტებულად ნესვ-ყურძენის ბაღებს ეწევა ხოლმე და ისიც იმ დროს, როცა კაცს ყოველგვარი შემუშავება ბაღისა გაუთავებია, თავის შრომის ნაყოფს-და ელის. უხარიან, რომ ბაღს სავმოდ უსხია, ნაყოფი ერთობ ზრდასა და სიმწიფეში შედის. ამ დროს ნესვისა და ყურძნის მცენარის ფოთოლს ზეითა ბინა უწითდება, ეს სიწითლე თან-და-თან მუქდება, ბოლოს შავდება, როგორც შავ სადებავ გადასხმული და ნაყოფი იწყებს ჭკნობასა, ე. ი. კანი, რომელიც ახმობამდე მკვრივი იყო, რბილდება, შემდეგ თვით მცენარის ღეროები ჭკნება და ამ ნაირად ბაღი სრულიად იდუშება. ბატრონი ამ ავადმყოფობის გამო სრულიად გერას გამორჩება, უნდა დაიკრიფოს გულ-სული და დაანებოს თავი. ეი, ამ ავადმყოფობას ჰქვიან „წერწაქა“ და ამ სახელით მოსთლა ხალხმა ასალი ავადმყოფობა ვაზისა.

ჩემის აზრით, ზემორე ხსენებული ავადმყოფობა ვაზისა წარმოსდგა გაზაფხულის ყანჩებისაგან. თუმცა მას შემდეგ კარგა ხანია გასულა, მაგრამ რადგანაც გაზაფხულის წვიმები იყო, ცვლილება თუმცა ჰქონდა, არ ეტყობოდა. მართალია, ყვავილიც გამოიტანა, მაგრამ ეს ყვავილის გამოტანა უკანასკნელი აღმოხდომა იყო სასიკვდილოდ გამზადებულისა. რასაკვირველია, შეიძლება მეც შემცდარი ვიყო, ხოლო ის კი უტყუარია, რომ გაზაფხულის სიცივემ ცვლილება მისცა მცენარის ფოთლებსაც კი, თვინიერ იმისა, რომ ხეხილის ნაყოფიც მოსწოო. ფოთოლი მცენარისა გამწვრდა, გამკვრივდა. მწკრიალს სინოხრე, სიხავე, სიბრტყე დაეკარგა, შეიქმნა ისეთივე მკვრივი, როგორიც ზაფხულის გასულს არის ხოლმე. ასევე მოუვიდა ფურცლის ფოთოლსაც. მაისში ფურცლის ფოთოლი ჩვილი არის ხოლმე. წყლს კი მაისში ისეთი იყო ამ სასარგებლო მცენარის ფოთოლი, როგორიც უნდა ყოფილიყო აგვისტოში.

რასაკვირველია, ვაზის ფოთოლი კი არ მაგრდება მარტო, როგორც სხვა მცენარისა, არამედ ჯერ იხმუნჭება. მერე აქა-იქ წითელი ხალები აჩნდება, მომეტებულად ნაპირისკენ, ეს ხალები იზრდება და გადის ნაპირის კუწუპებში, ზოგი გაზრდილი ხალი შუაში რჩება.

ვაზის ფოთლის ავადმყოფობა შეიძლება ავხსნათ ობითა (მილდიუ), რომლითაც კარგა ხანია ავად არის კახეთის ვენახები და რომელსაც სწამლობენ შაბ-იამანით, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა წარსულ წლებში ამ ავადმყოფობის მსვლელობას, დავრწმუნდებით, რომ, ობს (მილდიუს) გარდა, ფოთოლზედ სხვა რაიმეც ჰმოქმედობს და ამ სხვა რაიმედ გაზაფხულის სიცივე უნდა ჩაითვალოს. თქმა არ უნდა, გამოცდილებასთან სამეურნეო ცოდნაც რომ გვქონდეს, თავის დროზედ შევატყობდით ვაზის ფოთოლსაც და ნაყოფსაც ცვლილებას და შესაფერს ღონეს მივმართავდით ამ გამანადგურებელ სენის წინააღმდეგ. ახლა კი, არა თუ სხვა ავადმყოფობისაგან, არამედ ობისაგანაც თავის დროზედ ვერ დავიხსენით ვაზი, ე. ი. პირველი წამლობა მაისის დამდეგს, ყვავილობამდის უნდა, მაგრამ ჯერ ერთი წვიმამ არ მოგვცა საშუალება წამლობისა და მეორეც, მომეტებული ნაწილი მემამულეთა ერთხელ სწამლობდა წარსულს წლებში, ისიც, როცა დაიყვავილებდა მტევანი. ერთხელ წამლობა აქნობამდის ვაზს უხდებოდა, თითქო მეტს წამლობას არა თხოულობდა. განსაკუთრებით უკანასკნელს სამ წელიწადს. ამისი მიზეზი, როგორცა სჩანს, გვალვა ყოფილა, რომელიც ხსენებულ წლებში სწორედ მაისიდან იწყებოდა. რაკი წელს მთელი მაისი გამუდმებით წვიმდა, ეტყობა ამ გარემოებამ ძალიან ხელი შეუწყო ობს, მალე გააძლიერა ეს მტერი ფოთლისა და, რადგანაც სიცივისაგანაც დაზიანებული იყო, დაზიანებული ფოთოლი ადვილად დაიმორჩილა. უფრო ქვემოთი ფოთლები უფუჭდება ვაზსა, სწორედ ის ფოთლები, რომელიც ვაზის ნაყოფს ახლოა. ზევითა ფოთლები სალი არის და ამასთან მრავალიც, რადგანაც წვიმებმა ვაზს ფოთოლი გაუმრავლა. თუ აქამდე ვაზს მარტო ერთხელ ჰფურჩნიდნენ, წელს ორჯელ მოუნდება ფურჩნა, თუკი ვისმე ვაზის ავადმყოფობამ შეარჩინა სურვილი ფურჩნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ამ სტრიქონებს ვსწერდი, ქვემო ქიზიყისაკენ მომიხდა გამგზავრება. გადავდე წერილის დათავება, მინდოდა შემევსო ქიზიყის ვენახთა შესახების ცნობანით. სიღნაღის მაზრა ველისციხით და ახაშნით იწყება. ველისციხეში უფრო მეტის სიძლიერით უმოქმედნია ამ ვაზის ავადმყოფობას და ერთი მხარე ვენახებისა კი ჯერჯერობით გადარჩენილია, მაგრამ ძალიან მცირე ნაწილი. გურჯაანის ვენახებიც ესევეა გაფუჭებული, აგრედვე ჩუმლაყისა. ვაჟინში ვნახე ნაწამლი ვენახი თავ. ვანო ჯორჯაძესი, მეგონა, ვენახის კარგად ყოფნა შაბ-იამანით წამლობის შედეგი არის-მეთქი. იქავე იმ ვენახიდან აღმოსავლეთით სხვა ვენახები ვნახე იმაზე უკეთესს მდგომარეობაში და არც ერთი არ იყო ნაწამლი. კოლაგისა და ბაკურციხის ვენახებიც ნაკლებად არის დაზიანებული. კარდენახის ვენახები უფრო ნაკლებად იყო დაზიანებული. კაცს ეგონებოდა, კარდენახიდან აღმოსავლეთით მდებარე ვენახები უფრო ნაკლებად იქმნება დაზიანებულიო, მაგრამ ეს მოსაზრება გააბათილა ანაგის ვენახებმა, რომელიც ძალიან დაზარალებულია. აქ დიმ. მირიანაშვილს უწამლია, აგრედვე იმის ძმებს და წამალს ავადმყოფობა ძალიან შეუყენებია. ვაქირისა, საქობოსი, მაშნაარისა, ასანურისა, ბოდბისხევისა და ჯუგაანისა ერთნაირად არის დაზიანებული. წავედი ხირსაზედ, სადაც ვენახები აქვთ ქვემო ქიზიყის რამდენსამე სოფელს და სიღნაღის სომხებსა, მეგონა, ხირსაზედ, როგორც უფრო ფიცხს ადგილას, ვენახები ნაკლებად იქმნებოდა დაზიანებული, მაგრამ, ეტყობა, ადგილის სიფიცხესაც ვერა უქმნია-რა ამ მედგარ სენისათვის. აქაც ისევეა დაზიანებული, როგორც ქვემო ქიზიყის კარის ვენახები. ამასთან ყველაზედ მომეტებულად საფერავი არის დაზიანებული. საფერავს, როგორც ყველაზე ნაზს ვაზს, უფრო ნაკლებად აუტანია გაზაფხულის სიცივე და ამიტომ მისი ზრდა თითქო შეჩერებულაო; უნაყოფობის გარდა, რქაც ნაკლებად გაზრდია; რაც გაზრდია, ისიც წლიოკი, მჭლე და ფოთოლიც უფერული და პატარა გამოუტანია. ასევე ამბობენ ქუმბათზედ. ყოველ ამას თუ არ დავუმატეთ, რომ წარსულს წლებში ქვემო ქიზიყს ობი (მილდიუ) სრულებით ვერ ჰმოქმედებდა, ჩვენი საუბარი სრული არ იქმნება. არც სწამლობდნენ ვენახებს შაბიამანით ქიზიყელები, მაშინ როდესაც თელავის მაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში, მცირე ნაწილს გარდა, ვენახები ყოველ წლივ შაბიამნით წამლობაში იყო. თქმა არ უნდა, რომ წვიმებისა და სინოტივის გამო ობი გავრცელდა, ანუ ობის სოკო მარდად გამრავლდა და მარდად გადაედო ყველა ვენახს, მაგრამ ისიც უტყუარია, რომ მარტო ობით ავადმყოფობა სრულებით სხვა ნაირად იმოქმედებდა ვაზის ნაყოფზედ. ობიანის ვაზის მტევნების ზრდა მძიმე-მძიმედ მიდიოდა, თუმცა ყვავილიდან ისრიმი სრულად გამოდიოდა, მარცვალი არ იზრდებოდა საკმაოდ, არც ივსებოდა და არცა მწიფდებოდა ჩვეულებრივად, რაც უნდა დიდი ხანი შეგვენახათ დაუკრეფავი, მაინც არა მწიფდებოდა, როგორც რიგი იყო. ახლა კი სულ სხვა სურათსა ვხედავთ. დაყვავილების დროსვე მარცვლები სცვივა, ზოგი ყვავილთან ერთად და ზოგიც ყვავილის გადაწმენდის შემდეგ, ჯერ ჭკნება, მერე სცვივა. აქედან ცხადად სჩანს, რომ მარტო ობი არ არის მიზეზი ამ მოვლენისა. ფილოქსერის მოქმედება ვაზზედ არავინ აგვიწერა, თუმცა ფილოქსერით თითქმის მთელი იმერეთი და ზემო-ქართლი მოდებულია. არ ვიცით, როგორ ჰმოქმედობს იგი ჩვენს ქვეყანაში ვაზის ფოთოლსა და ნაყოფზედ; ამასთან უკანასკნელ წლებში აქ, კახეთსა და ქიზიყში საფილოქსერო დასი მუშაობდა, არავითარი ნიშანი ფილოქსერისა არ აღმოუჩენია და იმედი გვაქვს ეს ავადმყოფობა ფილოქსერისაგან არ არის წარმომდგარი. მაშ, გარდა ობისა, რომელსაც არ შეიძლება მივაწეროთ ეს ავადმყოფობა სავსებით, რა იქმნება გაზაფხულის სიცივის მეტი? სამწუხაროა, რომ კახეთ-ქიზიყს არ მოეპოება დღემდე არც ერთი მცოდნე სამეურნეო მეცნიერებისა, ისეთი მცოდნე, რომელსაც შეეძლოს დაბეჯითებით ახსნა ამ მოვლენისა. ამას შემდეგ კიდევ არიან მეცნიერნი ჩვენში, რომელნიც კლასიკურ განათლებას მაღლა აყენებენ სამეურნეო განათლებაზედ! ჩვენ რომ უტყუარი სტატისტიკო ცნობანი გვქონდეს კახეთ-ქიზიყის ღვინის მოსავლის რაოდენობისა და წლევანდელი ზარალი შეგვეძლოს ფულად დავაფასოთ, ვგონებ, უგულოსაც გულს შეუღონებდა საზარალო რიცხვის სიდიადე. ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ მხოლოდ, რომ ზარალი 0,75 აღემატება და აბა ასს ჩაფში ოც და ხუთი ჩაფი რა სათქმელი-და! ამას იქით კიდევ, ვინ იცის, რა მოელის ამ დარჩენილს ერთს მეოთხედსა! იქნება კიდევაც იმატოს ზარალმა. კი-

დევ ღმერთმა შეიბრალა ეს ქვეყანა, რომ წელს პური და ბალახი საკმაოდ მოდის, თორემ, შენი მტერი, მთლად დაღუპულები ვიქნებოდით. კახეთსა და ზემო-ქიზიყში ერთად ერთი ფულის საშოვარი საშუალება ღვინოა და ძალიან გაძნელდება კახელებისა და ზემო-ქიზიყელებისათვის გამოვლა ამ წლის გარდასახადისა. იქნება ბევრს მამულიც გაუყიდონ ამ გარემოებამ. ამიტომ საჭიროა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა სანდო კაცის შემწეობით გამოიკვლიოს დაგირავებულ მამულების პატრონთა მდგომარეობა და შესაფერი შეღავათი აღმოუჩინოს. შეიძლება ბევრმა დამგირავებელმა არც კი იცოდეს, რომ ამისთანა გარემოებაში მყოფს მოვალეს ბანკმა შეღავათი უნდა აღმოუჩინოს. ამიტომ ბანკი არ უნდა ელოდდეს თხოვნებს შეღავათისათვის, უბედურება საყოველთაოა და საჭიროა, რომ ჯეროვანი ყურადღება ექმნას მიქცეული. შეიძლება დამგირავებელთა შორის აღმოჩნდნენ იმისთანებიც, რომელთაც ვენახები წელს მეოთხედსაც აღარ მისცემს, სრულიად გაფუჭებულებია.

აგრეთვე საჭიროა, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ მიაქციოს ამ გარემოებას სრული თვისი ყურადღება და იღონოს რაიმე ღონე ამ ავადმყოფობის შესასწავლად ადგილობრივვე. ამისათვის საჭიროა, მცოდნე კაცი იყოს გამოგზავნილი ადგილობრივ, რომელსაც უნდა დაევალოს, რომ ყოველ მხრივ მეცნიერულის თვალით განიხილოს ამისთანა ჩვენი სატკივარი. ამ ავადმყოფობის სისუსტე-სიძლიერეზე, როგორც ეტყობა, ჭმოქმედობს მდებარება ვენახისა, ნიადაგი, ახალი თუ ძველი ანუ დედავაზი, ჯიში ვაზისა, შარშანდელი მდგომარეობა ვენახისა და სხვადა-სხვ. ვინც ყოველს ამას ბეჯითად გამოიკვლევს, ის, რასაკვირველია, რაიმე წამალსაც გვასწავლის და საუკუნოდ დაავალებს კახელებსა და ქიზიყელებს, რადგანაც მოსალოდნელია, რომ ამისთანა ავადმყოფობა შემდეგშიაც ეწვიოს კახეთ-ქიზიყსა.

კახეთის საუფლისწულო მამულში, მგონია, მცოდნენი ამისი უნდა იყვნენ, მაგრამ იმათ ისე აქვთ საქმე წარმართული, რომ ჩვენ მათი არა ვიცით-რა და იმათ ჩვენი. ჭეშმარიტად, საკვირველია ასე საქმის წარმოება! რასაკვირველია, არ ჩაიგდებს მისვლა-მოსვლა მოხელეებთან, რომელნიც ვენახს მეხიანისაგან ვერ არჩევენ და მება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულესთან, რომელიც სოფლად მილში ატარებს დროს და ქალაქად ლხინში. მე ვამბობ, რომ მოვალეა თვითეული მცოდნე კაცი, თვის გარეშემო მცხოვრებელთ თავიდან ააცილოს უბედურება, რომლის მოახლოვებას სხვაზე ადრე ჰხედავს და, თუ ვინმე ასე არ იქცევა, ღირსია კიცხვისა და სიძულვილისა. ხოლო თუ კიდევ თავის უგვანს საქციელს საფუძვლად უდებს გარეშემო მცხოვრებელთა გატაბარუკების სურვილს, ის ღირსი ზიზღისა და ჩაქოლვისა.

რადგანაც გაზაფხულის სიცივემ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ყველა მცენარეულობაზედ იქონია გავლენა და განსაკუთრებით თუთის ფურცელზედ, ამიტომ ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვა წლევანდელს ჭიაობაზედაცა ვსთქვათ, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელ ხუთ-ექვს წელიწადში კახეთი და ქიზიყი ისევ დაუბრუნდა ჭიაობას. წლევანდელი მოსავალი ჭიაობისა საშუალოზედ ნაკლებ მოსავლად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობათა მიხედვით, როგორც კახეთში, ისე ქიზიყში, საშუალო მოსავალი მისხალზედ 10—15 გირვანქა პარკია ახლად დარჩეული და ეს, რასაკვირველია, შუათანა მოსავალზედ ნაკლებია. ამისი მიზეზი ერთი არ არის, რავდენიმეა და აი მთავარი მათ შორის, ჩვენის აზრით: 1) როცა ჭია ჩჩვილი იყო, ციოდა და ყველას არ შეეძლო ბუხრით საკმაო სითბო დაემყარებინა; 2) გამუდმებულ წვიმების გამო მეტად ნოტიო ჰაერი იყო, რომლისაგან ჭიის დაფარვა არ შეიძლებოდა; 3) ფურცელი სიცივით გამკვრივებული იყო და ჭიას არ შეეძლო მკვრივის ფოთლის იმავე სისწრაფით ჭამა, როგორც ნაზსა და ჩვილს ფოთოლს სჭამს ხოლმე. წარმოვიდგინოთ, რომ კაცი გამუდმებით სჭამს, როგორც ჭია; ერთს მივუტანეთ გამხმარი შოთი და მეორეს იმავე ზომის ჩჩვილი შოთი, რომელი უფრო მეტ დროს მოუნდება შოთის გათავებას? რა თქმა უნდა, პირველი. პირველს შოთს მეორე მიუმატეთ, მეორეს მესამე და სხვ. გამოვა რომ მანამ ერთი სამს ხმელს შოთს შესჭამს, მეორე ხუთს რბილს გაათავებს. ასე იყო ჭიის საქმეც. ფოთოლი ისე მკვრივი იყო, რომ საკმარს ღალას ვერ იკრებდა ჭია ამ ფოთლის ჭამითა; ამიტომ პარკიც ნაკლებ აბრეშუმიანი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც; 4) საცახე წარსულ წლიდან არა ჰქონდათ დამზა-

დებული და თავის დღეში არც დაუმზადებიათ, რადგანაც მუდამ ცახის დროს საცახე მცენარეულობა თავისთავად შემოსულია ხოლმე, წელს-კი საქმე სხვანაირად იყო. საცახე მცენარეულობა დროზე არ შემოვიდა და მიჭირვებულ იყვნენ ნედლი მცენარე შეედგათ ცახად. ამ სინედლემ საჭიაო სადგომში სინესტე გაავრცელა. ზოგი ჭია ისე ერიდებოდა ნედლს ცახსა, რომ გალესილს კედელზედაც კი ადიოდა; 5) მაისის გასულს, როცა ჭია საცახედ იყო მომზადებული კახეთში, საშინელი ჭექა-ქუხილი იყო, სახლები ინძრეოდა ქუხილის გვრინვისაგან, ფანჯრებში შუშებს ზრიალი გაჰქონდა. ჰაერში ელექტრონს ავი სუნი საგრძნობელი იყო წამდაუწუმ. ცახისათვის მომრავი ჭია გარინდდა და ამ გარინდების შემდეგ გაყვითლდა. ცახზედ გასულმა ჭიამაც მუშაობას უკლო, ისეთი სისწრაფით აღარ მუშაობდა. ზოგმა ჭიამ პარკის მუშაობის დათავება ვეღარ შესძლო და დროზედ ადრე მოკვდა. ამისთანა პარკებს სხვადა-სხვა ხარისხის გამჭვირვალობა ჰქონდათ.

ამ მიზეზების გარდა სხვა მიზეზებიც იყო, მაგრამ სათქმელი არ არის. კახეთში რამდენსამე ადგილას ჰყვანდათ ჭია გაუმჯობესებულ გარემოებათა შორის და ეს ჭია სხვებისაგან უკეთესობით არც კი ირჩეოდა, ზოგან უფრო უარესიც იყო, მაგ. აწყურის სამრეველო სკოლაში ჭია 9 ივნის ბევრად უხეირო იყო, იმავე ჭიის თესლისაგან გამოყვანილ ჭიაზედ, რომელიც ჰყვანდა გლეხის დედაკაცსა; ესევე შეიძლება ითქვას ვაქირის სასოფლო მასწავლებლის ბ-ნ ჩიქოქიძის და იმის ამხანაგის ქ-ნ ეკატერინე ხატიშვილის ჭიაზედ, როგორც მიამბო ქ. ხატიშვილისამ. ამ პატივცემულთ საერთოდ ჰყვანდათ ჭია გაუმჯობესებულ გარემოებათა შორის, კარგადაც უვლიდნენ, მაგრამ გლეხთა დედაკაცების ჭიაობამ აჯობა მოსავლითა, თესლი ზოგისა ერთი და იგივე იყო, ზოგისა შინაური.

გაუმჯობესებულ გარემოებათა შორისვე ჰყვანდათ ჭია თელავში ქ-ნს ეკატერინე მიხეილის ასულს სუკიასოვისას და ბ-ნს შაქრო ბახუტაშვილს. ამათ ჰყვანდათ ჭია 48 მისხლისა. ისე საუკეთესოდ და გულდადებით უვლიდნენ, რომ შეიძლება ბეჯითად ითქვას, ჯერ არავის ასე თავდადებით და ყველა მოთხოვნილების შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებით არ მოუვლია ამდენი ჭიისათვის. ასე საუკეთესოდ მოვლილ ჭიამ მისცა მშრომელთ 35 ფუთი პარკი, 29 გირვ. მისხალზედ, მაგრამ ამანაც ვერ უნდა აღადგინოს დანახარჯი. თუ მაზანდაზედ ვიანგარიშეთ, სულ ეს პარკი ეღირება 490 მან. და ზედ კი დახარჯულია 650 მან. მეტი. გამოდის, რომ საალებ-მიცემოდ აბრეშუმის მოყვანა სასარგებლო არა ყოფილა. ეს აზრი ამ ერთადერთს შემთხვევაზედ დაფუძნებული არ გეგონოთ. ამისთანა შემთხვევანი რამდენიმე ვიცი წარსულ წლებისა და ყოველ შემთხვევაში ზარალი ყოფილა. ასეთისავე შეხედულებისაა თვით გლეხის დედაკაცობა, რომელსაც ჭიაობა ჰქონია. აბრეშუმს 4—5 მან. აფასებენ გირვანქას და, როცა ეუბნებიან, ახლა აბრეშუმი 120—130 კაპ. ფასობს და ჩვენ მეტს ვერ მოგცემთო, დედაკაცები ამბობენ: «ჰი ქა! ეგ ხომ იმ კაბის ფასიც არ არის, რომელიც ფურცელზე შემოვიგლიჯე. ღმერთი არ არის თქვენში! კაბა მაინც გამიახლეთ, ვითამ თქვენი მოჯამაგირე ვყოფილვარ, თქვე დალოცვილებო, ერთი თვე სწორედ არც მიჭამია, არც მისომს, არც ძილი მქონია და არც ქმარ-შვილისთვის მიმიხედნია და თქვენ ექვს აბაზს იძლევით! ვუი-ვუი-ვუი!!!» ამნაირად თვით მწარმოებელი კარგადა ჰგრძნობს, რაოდენად საზარალოა ეს წარმოება.

მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჯერჯერობით აბრეშუმის წარმოებაზედ ჩვენში არ გამოთქმულა გადაწყვეტილი აზრი და საქმის მდგომარეობა კი მოითხოვს, ამაზედ გადაწყვეტით გამოთქმული იყოს ერთხელ და სამუდამოდ ჩვენდა შესაფერი აზრი. თუმცა მეც მომისმენია ლექციები აბრეშუმის წარმოების შესახებ ტფილისში, სადაც კითხულობენ ლექციებს სასოფლო მასწავლებელთათვის, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ყოველთვის ისეთი ლექტორები შემხვედრიან, რომელნიც წიგნებში ამონაკითხს ჰქადაგებენ და რომელთაც პრაქტიკული ცოდნა, თუ არ ვსცდები, სრულებით არა აქვთ; ამაში თუნდა ვსცდებოდე, ის კი მაინც უტყუარია, რომ ჩვენის ცხოვრების ვითარების ცოდნა არა აქვთ, ამიტომ მათი ნათქვამი რჩევა ჩვენში მომეტებულ ნაწილად თითქმის გამოუსადეგარია, ხოლო ხშირად მთლად სასაცილოც. ამ მქადაგებელთა საზრდოობის წყაროდ უნდა აბრეშუმის წარმოება იყოს და არა სახელმწიფო ხაზინა,

მაშინ გაჩვენებდით მქადაგებელთა ზღვაილს შიმშილისაგან. იქნება ამ გარემოებას თვალი აეხილებინა მათთვის და ბევრი შეუმოწმებელი აზრი უარ-ეყოთ, ბევრი ახალი ექადაგნათ, როგორც ნაყოფი თვისის დაკვირვებისა. მაგრამ საქმის ამ სასურველს ნიადაგზედ დაყენებამდე ძლიერ ბევრი წყალი ჩაივლის. ჩვენ გახელ-ქიზიყელებისათვის აბრეშუმის მოყვანა სასარგებლო წარმოებაა, იმიტომ კი არა, რასაც ასახელებენ ის მქადაგებელნი, რომელთა წყალობით დღეს ბევრგან სასოფლო სკოლების მასწავლებელნი სასაცილოდ არიან გამხდარნი, როგორც აბრეშუმის მწარმოებელნი და სხვ., ჩვენთვის აბრეშუმის წარმოება ხელთ-საყრელია იმიტომ, რომ ჩვენი გახელ-ქიზიყელი დედაკაცი უსაქმოდ დარჩა მას უკან, რაც ხელი აიღო ნართის ცვლაზედ, ხამისა და თავთის ქსოვასა და სახამე-სათავთე ძაფის კეთებაზედ. უსაქმოდ დარჩა დედაკაცი ყველა წოდებისა, როგორც კნეინა და კნიაჟნა, როგორც მღვდლის ჯალაბი და მისი ქალი, აგრედვე გლეხის ქალ-რძალი, აიღეთ ჯერ მარტო ძაფი საკერავისა და ზონარ-ჩავარისისა. ამაების მოქსოვა რამოდენა შრომას და მშრომელს ხელს მოითხოვდა, როცა ყოველივე ესე მზადდებოდა ჩვენის ქალების შემწეობით. 30—35 წლის კაცი არ მოიპოვება ჩვენში, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს ან ფეირფიტის ჭერაში, ან საქსოვის ბეჭვაში. მაშ, ცხადია, რომ ჩვენს ქალებს კიდევაც აკლდათ მუშა თვისის საქმის შესასრულებლად, არამც თუ გარდამატებული ჰყოლოდეთ. ახლა ძაფიც და ზონარ-ჩავარისიც მზა-მზარეულად მოდის ფაბრიკისა და ჩვენს ქალებს საქმე გამოელიათ. ის დრო, რომელსაც ამისათვის ხმარობდნენ, ახლა უსაქმოდ არის დარჩენილი, არც ერთს ახალს საქმეს არ შეუმსია ეს დრო. განსაკუთრებით ზამთრის დროა შესავსები სუყველასათვის, ხოლო ზაფხულისა, შემოდგომისა და გაზაფხულის დროც შესავსებია იმათთვის, ვინც არც ყანაზედ გადის, არც ბოსტანში მუშაობს და არც სიმინდის მტვრევასა და რთველში იჭერს მუშა ადამიანის ადგილს. ეს უსაქმობა გახელ-ქიზიყელთ ქალებისა, და ვგონებ ქართლელებისაც (მხოლოდ იმერეთზედ არ ითქმის ესა, რადგანაც იქ ჯერაც შინ ამზადებენ საჩოხე შალებსა და ქალის თავ-შალსა), ვიმეორებ, ეს უსაქმობა ბევრნაირად მაზარალებელია, ბევრნაირად დამამცირებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ადამიანის ღირსებისა და ამიტომ ფრიად საყურადღებოა ყველასათვის. ჭიაობა კარგია, თუ გული დავუდევით და ეს ჭიაობა ამ უსაქმობას საქმიანობად შეგვიცვლის. გარნა მარტო ჭიაობა არა კმარა და არც სასარგებლოა, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, საჭიროა ჭიაობის მოსავალი ჩვენვე შევიმუშაოთ. ამისათვის აუცილებლად უნდა შევცვალოთ ჩვენი მანჯანიკი და ისეთი შემოვიღოთ, რომელზედაც შესაძლებელია ამოხვევა ერთნაირის ძაფისა. უნდა შევცვალოთ ჩვენი ჯარა და შემოვიღოთ რუსების კუსტარების ჯარა, რომელზედაც მუშაობა ერთი-ათად ადვილია. უნდა შევცვალოთ ჩვენი საფეიქრო, რომელიც თანდათან გამოვიდა თავისით ხმარებიდან, ასე რომ ფეიქრების რიცხვმა 98% იკლო, რადგანაც უხეიროდ არის მოწყობილი და დიდ შრომას თხოულობს; ამის მაგიერ შემოვიღოთ რუსეთის კუსტარების საფეიქრო დაზგა, რომელზედაც ერთი-ათად მეტის გაკეთება შეიძლება, როგორც ნაქსოვის სიდიდით, ისე მისის სიკეთითა. თუ ჩვენს აბრეშუმს ჩვენვე შევიმუშავებთ, საჭირო არ არის მისი მუშტარი გარედ ვეძებოთ, არც საჭიროა ფაბრიკის ნაწარმოებში გავსცვალოთ, ჩვენი ქსოვილები ღირსეულად დაიჭერს ადგილს ფაბრიკაზედ ნაწარმოებისას, მით უმეტეს, რომ ჩემის გამოანგარიშებით, თუ დავემყარებით აბრეშუმის აწინდელ ღირებულს ფასს, არშინი აბრეშუმეული ქსოვილი 25—30 კაპ. დაჯდება და სულაც ჩითის მაგიერად რომ ვიხმაროთ, მაინც მოგებაში ვიქნებით.

ყველამ უწყის, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება აბრეშუმის მოყვანაში ეხმარება ხალხს, მაგრამ მარტო მოყვანაში დახმარება არა კმარა, რადგანაც მარტო მოყვანა საზარალოა, საჭიროა, იგივე საზოგადოება დაეხმაროს ამოსავეცის მანჯანიკების, საუკეთესო ჯარების და საფეიქრო დაზგების გავრცელებაში და მათს ხმარებაში. მარტო ერთი დანახვა კმარა, რომ ჩვენმა დედაკაცობამ, რომელიც უსაქმობით სულ მთქნარებასა და მოწყენაშია, დიდის სიამოვნებით შეისწავლოს და შეითვისოს ყოველივე ესე.

ურიგო არ იქნება, თუ ვინმე ქართველთაგანი რუსეთის მქსოველ კუსტარების ახლო არის, ყურადღება მიაქციოს ამ წარმოებას და, საქმით თუ ვერ შეიძლებს გაგვაცნოს, სიტყვით მაინც გაგვა-

ცნოს იგი წარმოება. საჭიროა ვიცოდეთ, რა განის ქსოვილი რამდენი იქსოვება ერთის ფეიქრის ხელით; როგორა აქვთ განაწილებული მწარმოებელი სოფეიქრო საქმე; რამდენად ღირს საწარმოებელი ადრადი, სად და ვისგან შეიძლება უკეთესების შეძენა და სხვ.-და-სხვ. მართალია, ზოგ ამისათვის ბრეისკურანტები არის, მაგრამ ბევრი რამაა ჩვენთვის გამოურკვეველი. ბრეისკურანტები იმათ გამოადგებათ, ვინც უკვე ჭსმარობენ სოფეიქრო ადრადებს და მის შემადგენელს ნაწილებს იცნობენ. ჩემის აზრით, უტილიზაცია ჩვენის ქალების შრომისა ის საკითხია, რომელიც დაუყოვნებლივ თხოულობს გადაწყვეტასა. იმედი მაქვს თვით ქალები გამოსთქვავენ ამის შესახებ ჭეშმარიტს აზრს. თუ მე ვსცდები რაშიმე, გასწორებენ და მით მოგვცემენ შემთხვევას ეს საქმე დასხლოებით და უტუარად გავიცნოთ.

ამასთან რედაქცია გუგზავნი დაზიანებულ კაზის მტევნებს და ფოთოლს, იქნება აღმოჩნდეს ვინმე მადლიანი მცოდნე კაცი და თვისი აზრი ამ ავადმყოფობის შესახებ გაგვაცნოს.*)

აბრამისძე.

*) ამ წერილთან ერთად რედაქციამ მიიღო დაზიანებული ვაზის მტევნები და ფოთლები, რომელიც გადასცა სამეურნეო საზოგადოებას.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია
გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d'amour)

რომანი

პოლ ბურჟესი

თარგმნილი

ბრ. ყიფშიძის მიერ

ფასი 70 კაპ

მსურველს შეუძლიან დაიბაროს წიგნი პირდაპირ მთარგმნელისაგან ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „Моамбе". Гр. Кипшидзе. ვინც ხუთს წიგნზედ მეტს დაიბარებს, 20% დაეთმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 1895 წლის მარტიდან

მეურნეობის, ეკონომიკის, კაჭრობისა და მრეწველობის, ჰიგიენის, სტატისტიკის და სამეთაღო

ყოველკვირეული ჟურნალი

„მ ე უ რ ნ ე“

გამოიცემა ქუთაისში სხალის რედაქციისაგან

ხელ-მოსაწერიფასი: ერთი წლით ხუთი მანეთი, ნახევარის წლით სამი მანეთი. წელიწადი ითვლება ამ წლის აპრილიდან მომავალის წლის აპრილამდე. ვინც მეურნის აგენტობას იკისრებს, მას წლიური ფასიდან დაეთმობა 10% ანუ ათი შაური წლის ეგზემპლიარიდან.

—

ამასთანავე «მეურნის» რედაქცია აცხადებს, რომ

თავისს სკოლის-მომწერთა უმრავლესობის თხოვნისამებრ გადასწყვიტა

უსასყიდლოდ შეუტყოს საჭირო ცნობები (სპრავკები)

ქუთაისში, როგორც მართებლობის, ისე საზოგადოებრივს და წოდებრივს

ყოველ-გვარ დაწესებულებაში

იმ ხელის მომწერთ, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ და

ფლიური ფასი მთლად შემოტანილი ეძნებათ ცნობის (სპრავკის) შეტყობის თხოვნამდე.

პასუხისთვის უნდა გამოიგზავნოს ჯეროვანი ფასის ფოსტის მარკა.

ადრესი: Въ Кутаисъ, въ редакцію газеты „Меурнэ“.

„ქართველთა ამხანაგობის“
წივნის მაღაზიაში

ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით ფ ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე: . . . . . 1—20

იგივე მშვენიერ ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . 2—50

ოთხი ტომი ერთად . . . . . 9—

სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა. . . . . 1—50

თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . „—80

იგივე მშვენიერიის ყდით . . . . . 1—25

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—პოემა ბაჩანასი . . . . . „—15

ხალხური ზაღაპრები I ნაწილი . . . . . „—30

იგივე ყდით . . . . . „—75

ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ჰსევდონიმი) . . „—40

იგივე მშვენიერის ყდით . . . . . „—90

თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I . . . . . 1—20

იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერის ყდით . . . . 2—50

ტომი II . . . . . 1— „

იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . . . 2—50

ტომი III . . . . . 1— „

იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით . . . . 2— „

ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . 1—60

იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . . . 3— „

ჩანგი . . . . . 1— „

სოფლისე კუნწულა, დ. მაჩხანელისა. . . . . „—20

თხზულებანი აკაკისა, ტომი I . . . . . 1— „

იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . . . 2—50

თხზულებანი მისივე ტომი II. . . . . 1— „

იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . . . 2—50

არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . „—25

სიბრძნე-სიცრუე, მისივე . . . . . „—75

იგივე კარგს ქაღალდზე. . . . . 1—50

სტამბა

წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობისა

ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი № 13.

სტამბაში მიიღება დასაბეჭდად

ყოველ გვარი სასტამბო საქმეები:

წიგნები, გაზეთები, ათიშები, ბლანკები და სხვა-და-სხვა წვრილმანი საქმეები.

ეველა საქმეს სტამბა ასრულებს სუფთად და თავის დროზედ.

აგრედვე კისრულობს წიგნების კორრექტურასაც, უკეთუ ავტორი ისურვებს.